ლევან მეცრეველი

ჯაგანი

ფიდერაცია
1936

რედაქტორი — რ. გვეტაძე,
ტექრედაქტ. — ალ. ლორ-
დელი, მხატვარი — ლ. ზაა-
ლიშვილი, კორექტ. — ნ.
ფერაძე, გად. წარმ. 31/III
1936 წ. ბეჭ. დას. 15/X-36 წ.
ტირაჟი 3000, მთავლიტის
№ 13613, შეკვეთის № 436,
გამომცემ. „ფედერაციის"
სტამბა, პლეხანოვის პროსპ.
№ 181

ვაჟკაცურად!

დაღამდება თუ არა—ბოროტი ზრახვებიც აიშლებიან.

ტარიელიც ასეთ ღამეს ელოდა სწორედ: ბნელსა, უმთვაროს.

ღრმა ეახშმობა გადასული იქნებოდა, როცა მაღლად შეფენილ ტყიდან ფეხაკრეფით გამოვიდა, ფხიზელი ნადირივით მიმოავლო თვალი სიბნელით გასუდრულ არემარეს. ქურციკივით ფხიზლად წაუგდო ყური სიჩუმით მიძინებულ გარემოს:

არსაიდან არავითარი ხმაური — ამ საარაკო მყუდროების დამარღვეველი.

ტარიელმა ძმადნაფიცივით გულზედ მიკრული ოსმალური კარაბინი მარჯვედ შეატრიალა ხელში. როგორც ნაცადმა მეომარმა ერთიორჯერ კიდეე შეამოწმა ჩახმახის სწორი მუშაობა. დარწმუნდა, რომ ეს რკინის ძმა არ ულალატებს გაჭირვების წამს და შეუდრეკელ მუქარასთან ერთად იმედიანად გასწია სოფლისაკენ.

რაღაც ოციოდე წუთი იარა ტარიელმა მგლური ნაბიჯით და მიაღწია კიდეც სოფელს მუხისძირს. შიგ სოფელში არ შესულა. მხოლოდ შორიახლოს ჩაუარა ორღობეებს. აღარც ერთ სახლიდან აღარ იცქირებოდა ნაგვიანევი სინათლე. ხალხის დარდსა და სიხარულს ასე ნაადრევად, ასე მყუდროდ ჩასძინებოდა ყოველ ქოხში.

ერთ ორღობესთან რამდენიმე წუთით შეჩერდა ტარიელი. ყური წაუგდო იქვე ბედკრულად ჩაბნელებულ

პატარა ქოხს. სცდილობდა, ახალგაზრდული თვალი გაეკვეთა სიბნელის გული, ეგებ შეემჩნია რამე. მაგრამ პატარა ქოხის აჩრდილის მეტი არაფერი სჩანს. არც საჭიროა უნაყოფოდ დროის დაკარგვა.

ტარიელმა შეიტრიბალა მხარი და გასწია გულდაგულ მიზანში ამოღებულ ადგილისაკენ.

სადღაც ძალლის ყეფა გაისმა. ტარიელი შეჩერდა. ბალში ხის ტოტი გაიზმორა და გაადინა ლაწანი. ტარიელი აქაც შეჩერდა. მაგრამ ნახა: არცერთი ხმაური მისთვის არ მოასწავებდა ხიფათს. ამიტომ გუნება გამართული ისევ მიეშურება დამუქრებულ ადგილისაკენ.

მრავალ ვენახებსა და ნაფუზრებს ჩაუარა გვერდზე და ბოლოს... ოო, აქ კი ფრთხილად! სწორედ ეს არის მისი გულით და მისი ჯარაბინით მიზანში ამოღებული ადგილი. ის კარგად იცნობს ამ მაღალ და მზრუნველობით შემოვლებულ ღობეს. კარგად იცნობს იმ ხანდაზმულ კაცის ხმასაც, ღობის იქით რომ დადის ბალში და ღიღინებს გულდამშვიდებით.

კამეჩი წვეს და იცოხნის
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჰგონია.

ტარიელი ერთიანად ჩაიკეცა მახლობელ ჩირგვის ძირში და ნახტომად გამზადებულ ფოცხვერივით მისჩერებოდა ბალში მოღიღინე კაცის აჩრდილს.

გადიან წუთები, ერთი, ორი — გულის კაკუნით რომ ითვლებიან სიცოცხლის გზასავალზე. ტარიელმა ჩირგვიდან ღობისაკენ გადაინაცვლა. შემდეგ სამად ჩაკეცილი ნელნელა აიმართა და ტყუპის ცალივით აეკრა ერთ მომსხვილო ბოძს — თვითონაც ბოძად ქცეული.

ბალში კი ჩალის ქოხის წინ ისევ წყნარად დადის მოღიღინე კაცი და არ იცის რომ...

ამ დროს გაისმა თოფის ლაწანი და ბალში მყოფმა კაცმაც საზარელი ხმით შეჰკივლა.

— მომკლეს! მიშველეთ!

მაგრამ იგი არ წაქცეულა. სულგამწარებული, თავგზააბნეული მირბის სწორედ იქით, საიდანაც ტარიელი და ძისი კარაბინი დაუნდობარი სისასტიკით იცქირებიან და თან სასიკვდილოდ დაკოდილი ნადირივით ღრიალებს.

— მიშველეთ! მომკლეს!

აქ ხელმეორედ გაისმა ციცი ლაწანი ' კარაბინისა და შველაზე მოღალადე კაცი უსულო ლოდივით დაეცა ტარიელის თვალწინ. თოფის ხმა კი გაგორდა, გადაგორდა ტყიდან ტყეზე, მთიდან მთაზე და ჩაიღუპა მარადიულ მყუდროებაში.

რამდენიმე წუთს ყურწაგდებით სდუმდა ტარიელი. სამუდამოდ სდუმდა ბალში გულალმა გაშხლართული კაციც. (ტარიელის მარჯვენამ არ იცის გამტყუნება. ამაში დაჯერებულა უწინ მრავალჯერ).

არც კარაბინის წყვილმა ლაწანმა, არც მომაკვდავის საზარელმა ღრიალმა არ აახმაურა შორეულად მიძინებული სოფელი. ტარიელსაც ეს უნდოდა. კარაბინს მადლობით აკოცა ჩახმახში, ერთგულ ძმასავით მოიკიდა მხარზე და ნადავლიდან დაბრუნებული ნადირივით გამარჯვებულად გასწია უკან.

ცოტახნის შემდეგ გაჩნდა იმავე ტყის სიღრმეში. იქ მეხისაგან გულგამოლადრულ ასწლოვან მუხას მზრუნველობით ჩააბარა ბრეზენტში კოხტად გახვეული კარაბინი და თვითონ ალალმართალი კაცივით საჩქაროდ გაშორდა ივ არემარეს.

ნახევარი საათის გაკრული სიარულის შემდეგ, ხაშურის სადგურზე გაჩნდა. პირველივე შემთხვევითს მატარებელს მოახტა და გასწია — თვითონაც არ იცის საით.

ტარიელს არ ესიამოვნა ხალხით გაჭედილი ვაგონი.

მას ეხლა მარტო ყოფნა ათასჯერ ურჩევნია რჩეულ ხალხში ქეიფსა და ზეიმს. როგორც იქნა მაღლა საბარგულ ფიცრულზე მოსძებნა ძუნწი ადგილი და მძიმე ტვირთმოხდილივით მიწვა ვაჟკაცი ამ ხმელ სარეცელზე.

ტარიელს ენატრებოდა მოსვენება, ძილი, მაგრამ ერთიც და მეორეც მოსისხლე მტრებივით შორს განრიდებიან, ტრიალებს ხმელ ფიცრებზე დამძიმებული ტანით; მაგრამ ეს უფრო დამძიმებული ფიქრების ტრიალია, ვიდრე ტანის...

არავის ეგონოს, რომ ტარიელი ნანობს ჩადენილ საქმეს. პირიქით, ასე გამარჯვებულად თავი არასოდეს არ უგრძვნია მთელ სიცოცხლეში. მაგრამ არ იქნა, ეს მკვლელობის სურათი არ შორდება მის დალალულ ფიქრებს და თვალებს.

სამი წელიწადი ოსმალეთის ფრონტზე იყო კაცი. მისი ხელით რამდენი ათასი და ათიათასი გაზნა გასროლილა! ყოფილა შემთხვევები, როცა თავთუხის ყანასავით შეჯგუფულ ოსმალეთის ჯარებს შიგ შუაგულში ესროდა რიცხვდაუდებლად. მაგრამ ამ სამი წლის განმავლობაში ტარიელს მაინც არ ახსოვს, რომ სწორედ მისი ხელით მომკვდარიყოს ვინმე. მის მარჯვენას გარკვეულად არავისი ცოდო არ ბეჭევს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სწორედ მისი ტყვიით განგმირულს, მისკენ ხელებგამოწვდილს, დაებღავლოს შველაზე და ის კი სასიკვდილოდ გამასპინძლებოდეს მეორე ტყვიით.

მაგრამ ყველაფერი ეს სწორედ აქ ჩაიდინა, თავის სამშობლოში, თავის მეზობლის წინააღმდეგ.

ეგებ გულის სიღრმეში ტარიელს დანაშაულად მიაჩნია ეს მკვლელობა და სწუხს ნაგვიანევად ამ გამოუსწორებელ საქმეზე? მაგრამ არა! სცდება ვინც ასე იფიქრებს.

რომ რაიმე სასწაულით ტარიელის მსხვერპლი აღსდგებოდეს მკვდრეთით, იგი წამსვე მოჰკლავდა ისევე თავგამეტებით, ისევე სინდისის შეუბღალავად, — როგორც პირველად მოიდნო იგი.

II

მაგრამ მაინც რა იყო მიზეზი ასეთი დაუნდობარი მკვლელობისა ტარიელის მხრივ?

ამისთვის საჭიროა გადავიხედოთ ცოტა უკან. სწორედ იქ გამოკვანძულა ცხოვრება წაღმა-უკულმა. ამ კვანძს კი თან ჩაჰგრეხიან საარსებო ძარღვები ტარიელისა და მისი მსხვერპლის.

ტარიელის მამას თავის ძველებიდანვე მემკვიდრეობათ დარჩენოდა სიღარიბე და გაჭირვება. არ იქნა ვერც შემდეგში დააღწია თავი ამ განუყრელ ჭირვარამს. კაცი მუშაობდა, დღე-ღამეს ასწორებდა, წელებზე ფეხს იდგამდა, მაინც ვერავითარი ბარაქა ვერ დასდო დაცემულ ოჯახს. ან რა გასაკვირია: ერთხელვე ვალში და ვახშში ჩავარდნილი კაცი დარში ყოველთვის სხვისთვის მუშაობდა, ავდარში კი თავისთვის. ცხოვრების ჩარხის ასეთი უკულმა ტრიალით რა მალამო დაედებოდა მის არაქათმილეულ ოჯახს!

ასეთი შუბლგაუხსნელი სიღარიბის შვილად გაიზარდა ტარიელიც. მას ცხოვრება ვერ დააყვედრიდა ერთ მზიან დღესაც. მან არ იცოდა არც ბავშობის სითამამე, არც დავაჟკაცების სილაღე. მამისაგან მემკვიდრეობაში მიღებული გაჭირვება და უდიერი გარჯილობა მანაც ბავშობიდანვე შეითვისა, და თავის მამასთან ერთად ცხოვრების მძიმე ჭაპანს ისევე ქედმაგრად ეწეოდა, როგორც წლობით ნახედნი ღონიერი კამეჩი.

ულელი ხარი, სამი ღლიური მიწა და ერთი ღლის ნაფუზარი — აი, მთელი მათი დოვლათი. მათ ძარსა და ბეღელს არ ახსოვთ გაზაფხულამდე მიყოლილი ჭირნახულის ბარაქა. ცხოვრება თავისი ღლეობა-ზეიმით მუდამ გვერდს უვლიდა მათ კარმიდამოს. მათი სახლის ჭერს არ ახსოვს ერთი ლაზათიანი მომხიარულება. თუმცა ტარიელის მამა განთქმული მომღერალი იყო, მაგრამ მისი უბადლო სუფრული ყოველთვის სხვის ჭერს ახარებდა და არა თავისას. ბარემ კი ენატრებოდათ მამა-შვილს თავიანთ ოჯახში ენახათ ერთად მოლხენილი ნათესავები, მეზობლები, მოყვრები, მაგრამ თვალი დაუდგეს სიღარიბეს, რომ საწყალმა ხალხმა ერთხელ ვერ გააბარეს თავიანთი ჭია.

არ ყოფილა გაზაფხული, რომ ტარიელის მამა სიმონი რომელიმე შეძლებულ მეზობელს არ მისდგომოდა ჭირნახულის სასესხებლად. ყველაზე ხშირად კი ამგვარ გაჭირვებისას მიმართავდა თავის უმახლობელეს მეზობელს—სოსიკო მაისურაძეს. სოსიკო არასოდეს არ ეტყოდა უარს. ყოველთვის სიამოვნებით უმართავდა ხელს. მხოლოდ მოსავალზე კი უეჭველად კოდზე კოდს დააყრევინებდა და თანაც რამდენიმე მუშას გამორჩებოდა ხოლმე სარგებელში.

ჭირნახულის აკრეფისას სიმონი ყოველთვის პირნათლად აარიგებდა-ჩაარიგებდა ვალებს, ღალას, ბეგარას, დრამას და ბოლოს რამდენიმე თვის სარჩო აღარ შერჩებოდა ხოლმე ხელში. ამგვარად სიმონის ოჯახში მუდამ ცხოვრების გვალვა იდგა და უმსგავსოდ გადაეტრუსა ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური.

სამაგიეროდ სულ სხვანაირად ტრიალებდა ბედის ჩარხი სოსიკო მაისურაძის ოჯახში. ცხოვრებას მრავალსახიერი თავის სიკეთე თითქოს აქ დაურხევია მთელის სიუ-

ხვითო: გუთნეული ხარკამეჩი, ორას სულიანი ცხვრის ფარა, ორმოცი დღიური სოფლის თვალად მიჩნეული საუკეთესო მიწები, გამართული სახლ-კარი, დაუთვალავი წვრილფეხი. მთელ ამ დოვლათს კი დღე და ღამე ქორივით დასტრიალებენ თავზე თვითონ სოსიკო, მისი დავაჟკაცებული შვილები მიხა და გიგო, აგრეთვე ვაჟკაცების სწორად ჩასათვლელი მიხას თხუთმეტი წლის ვაჟი გელა. ამას ზედ უნდა დაერთოს რძალდედამთილი, ორი მოჯამაგირე, ორიც პატარა მწყემსი. აი, ყველა ესენი ბედაურებივით შებმულიყვნენ ამ ძლიერი ოჯახის ცხოვრებაში და კიდევაც ეწეოდენ მას ყველაზე წინ.

არ გეგონოთ, რომ სოსიკოს თავის მამაპაპათაგან მიელოს მემკვიდრეობით ეს დოვლათი, არა! ეს შეიძინა თავის სიცოცხლეშივე, თავისი საკუთარი მოხერხება-გაიძვერობით. ოჯახიდან მას გამოჰყვა მხოლოდ ერთი პატარა ბოსელი და უღელი კამეჩი, გამართული ურმით. სოსიკო მაშინათვე შეუდგა ქირაზე მუშაობას: ჭიათურიდან ეზიდებოდა შავქვას, ჭერთხევიდან — შპალებს. აგრეთვე დადიოდა ქირაზე ბორჯომში, გორში, ქალაქშიც. სოსიკომ ისე სახეიროდ მიიჩნია ეს საქმე, რომ რამდენიმე წელიწადს ხვნათესვას არც კი მიჰკარებია. აიყვანა ერთი დაკარგული კაცი მოჯამაგირედ და მთელი ოჯახის საქმეს სულ იმას აკეთებინებდა. ამაში მარჯვენა ხელად ჰყავდა თავისი მეუღლე სალომე, რომელიც იოტისოდნადაც არ აგრძნობინებდა ოჯახს მისი უფროსის გარედ ყოფნას.

ორი-სამი წლის შემდეგ უკვე საკმაო თანხა შეიძინა სოსიკომ. მობეზრდა კიდეც დღედაღამ კარში სიარული და მოუტრიალდა ოჯახს. მაგრამ მოგებასა და ფულის ტრიალს შეჩვეული კაცი ვეღარ შეეთვისა ამ ჯერობაზე ოჯახურ მყუდრო ცხოვრებას და მიწაზე მხვნელ-თესვე-

ლობას. ამას საუცხოოდ ასრულებდა მისი მოჯამაგირე, მეუღლე სალომე და უკვე მოჩიტული მისი ორი ვაჟიშვილი.

სოსიკომ ცოდვად მიიჩნია დღე-ღამის ტეხვით ქირაზე აღებული ფულები ასე უსარგებლოდ ლაგებოდა სკივრში, საიდანაც ნელ-ნელაობით უჩინრად გაქრებოდა იგი. აქ მან გამოსძებნა სრულიად ახალი საქმე; უფრო იოლი და უფრო შემოსავლიანიც. ის გაუამხანაგდა ერთ ნაცნობ ჩოდარს და მასთან ერთად დაიწყო საქონლით ვაჭრობა. ყოველ გაზაფხულ-შემოდგომაზე რამდენიმე პირად მორეკავდენ ხარკამეჩის ჯოგს და აჩაღებდენ ფაირთო-ვაჭრობას ყველა ახლო-მახლო სოფლებში.

როცა სოსიკომ ამ საქმეშიაც გაიმარჯვა, ამხანაგიც ზედმეტად მიიჩნია, ადგა და საკუთრივ დაიწყო ჩოდრობა. მართლაც საქმე კიდევ უფრო საუკეთესოდ წაუვიდა სოსიკოს. ის ეხლა ას თუმნებს ისე იოლად ატრიალებდა, თითქოს გასართობი რამ იყვესო.

ამ ხნის განმავლობაში სოსიკომ გამართა მშვენიერი სახლკარი, ნელნელა შეიძინა საუკეთესო მამულები. რჩეული ხარკამეჩებიც ხომ მუდამ მის ხელში იყო! რომელიც კი მოეწონებოდა, ის სოსიკოს ოჯახიდან აღარ გადიოდა. ამ წამოსწრებით გაიზარდენ მისი ვაჟებიც. მიხა უკვე დაცოლშვილიანდა, გიგო კი ჯერჯერობით უფრო თამამობდა და ყოველთვის გარე-გარედ ეჭირა თვალი. ბოლოს მაინც გიგომ თავისი გაიტანა და ხაშურში ერთ ამხანაგთან ერთად სამიკიტნო გახსნა.

ამდენი გამარჯვების შემდეგ უკვე წლებით დატვირთული სოსიკოც დაიღალა გარე-გარე სიარულით. ამასთანავე აღარც საჭიროება მოითხოვდა: ოჯახი ყელთამდე სავსეა, შვილები მოსწრებული, სიკეთის მეტს არსაიდან ხიფათს არ ელის. ადგა და მიანება ჩოდრობას თავი.

მაგრამ თარსნიანი და მოგებას მიჩვეული კაცი აღარც ოჯახში ისვენებდა: სულ უნდოდა საქონელზე საქონელი მიემატებია, მიწაზედ—მიწა, დოვლათზე—დოვლათი. მისი სიმდიდრის მადას აღარ უჩანდა სიმაძღრე. და ასეთ მადაშლილ კაცს სამკალიც ბლომად ჰქონდა თავის გარშემო. როგორც ღონიერ კაცს—ყველა იმას მიმართავდა გაჭირვების დროს: ვინ ფულის სესესებლად მოდის, ვინ ჭირნახულისა, ვინ თავდებობას ეხვეწება ან სხვა რამ კიდევ ხელის გამართვას. სოსიკო უკმეხად არავის დაუხვდებოდა; თითქმის ყველას უსრულებდა თხოვნას, გისაც კი პირი არ ჰქონდა შერცხვენილი მასთან. მაგრამ ვისმეს სამადლოთ და სასიკეთოდ კი არ აკეთებდა საქმეს, არამედ თავის სასარგებლოდ. ფულზე, ჭირნახულზე ან სხვა რამ ხელის გამართვაზე აუარებელ სარგებელს ახდენინებდა. მაგრამ გაჭირვებულ კაცს იმის იქით გზა არა ჰქონდა. ყოველ პირობაზე წინდაწინ იყო შერიგებული, როცა მასთან მიდიოდა რაიმე თხოვნაზე. ყველა ამ საქმეში საუცხოოდ გაიწრთვნა მისი შვილი მიხაც, იგი უკვე ლირსეულ მემკვიდრეობას ეწეოდა მამის მაგიერ და ზოგჯერ კიდევაც აჭარბებდა გაჭირვებული ხალხის სულის ამოხდაში და გაყვლეფაში.

რამდენის საქონელი დარჩენია ველში, რამდენის მიწელი ან სხვა რამ დოვლათი—ვინ ჩამოთვლის! ის კია, რომ სოსიკოს ოჯახი წლითი-წლობით უფრო მდიდრდებოდა, ძლიერდებოდა, ქონება ქონებაზე ემატებოდა.

სწორედ ასე გათამამებული სახით შეეგება სოსიკო მაისურაძის ოჯახი ცხრაას ჩვიდმეტი წლის რევოლუციას. უნდა ითქვას, რომ სიმდიდრითა და სიკეთით დაბაზებული სოსიკოს ოჯახს რევოლუცია არც გაბარებია, არცა სწყენია: არ გაბარებია, რადგან რევოლუცია ამაზე მეტად ვილარც გაამდიდრებს მას, ველარც გააბედ-

ნიერებს. არა სწყენია კიდევ იმიტომ, რომ რევოლუცია ემუქრება თვითმპყრობელობას, თავადაზნაურობას, ბურჟუაზიას. „მე ბომ გლეხი ვარ და რევოლუცია კი მშრომელ გლეხს სრულიად არ ემუქრება თავისი მრისხანებით“.

და მართლაც, რა გადაიარა რევოლუციის პირველი ღღეების ქარტეხილმა, სოსიკოს ოჯახიც სულ ერთიან დამშვიდდა, გული ისევ საგულეს იგრძნო და ტოტებშეურევლად განაგრძო ერთხელვე შეჩვეული ცხოვრების გზა.

სწორედ აქ უნდა გავიხსენოთ ტარიელიც. გახდა თუ არა ოცდაერთი წლისა—ჯარში წაიყვანეს. ერთი წლის შემდეგ მსოფლიო ომიც დაიწყო და ტარიელიც ალარ ბრუნდებია ოსმალეთის ფრონტს. სამი წლის განმავლობაში ტარიელმა არ იცოდა ოჯახის ამბავი. აგრეთვე ოჯახმაც ალარაფერი იცოდა მასზე. ლოდინით დალეულ მოხუცი დედა, რომელ დაბრუნებულ ჯარისკაცსაც კი დანახავდა, ყველას ეკითხებოდა შვილის ამბავს, მაგრამ ვერავისგან სანუგეშო რამეს ვერ ჰლოსებოდა.

მხოლოდ ცხრაას თვრამეტი წლის დასაწყისში ელისა ტარიელს შინ დაბრუნება—და რა ნახა? ისედაც ხელმოცარული ოჯახი ახლა სულ დარბევის გზაზე დამდგარა. მისი მამა ორი წლის წინათ გარდაცვლილა. მიუხედავად სილარიბისა, ტარიელის დედას მოენდომებია ქმრის გაპატიოსნება და ალარ დაეზოგა უკანასკნელი საღსარი მის წესიერად დასაფლავებისათვის. ცალი ხარი დაუკლა ხარჯად, ცალი ხარი და ნაფუზრის მიწა კი სოსიკოსთან დაეგირავებინა აუცილებელ სახარჯოს საშოვნელად და ისე მოეხადა უკანასკნელი ვალი თავის გაუხარებელ ნოვრების სწორთან.

ბებერი დედისა, გვერდზე გადაწოლილი ქოხისა და არაქათგამოლეულ სამი დღიური მიწის გარდა ალარაფერი დაუხვდა ტარიელს სახლში. ყველაზე მოუნელებელ

ავრად კი ტარიელს გადაეჭცა ნაფუზრის ხელიდან გაშ-
ვება. ეს მიწა მართლაც ერთ ოჯახად ღირდა. იმის იმე-
დით აპირებდა ტარიელი ფეხზედ დადგომას, ხალხში გა-
რევას. მაგრამ ფრთებშესხმული იმედი ასე კოკორგამოუ-
ლებლად დაუჭკნა საძირეშივე.

ტარიელი მივიდა სოსიკოსთანაც, მიხასთანაც. ბევრს
ეხვეწა მამაშვილს: ნუ დამლუპავთ, დამიბრუნეთ ეს მიწა
და ერთიორად, ერთისამად გადაგიხდით ყოველივე ვალსო.
მაგრამ აულებელ ციხედ გადაიქცა მამა-შვილის გული და
ტარიელის მუდარა ვერ შეიჭრა შიგ—თანაგრძნობის მო-
საპოვებლად.

— კაცო, თავადს არ უჭნია ჩემთვის ეს საქმე და შენ
რაზე მლუპავ გლეხკაცი? ცოტაოდენი დანდობა აღარა
გაქვს?

ამ სიტყვებზე სოსიკომ გულიანად ჩაიცინა.

— მე ჩემ ადგილას თავადიც ვარ და თავადზე მეტიც.
შენი კეთდგამხმარი ამირაჯიბი და ციციშვილები რითი
მჯობიან მე? ხარ-კამეჩითა, მამულ-დედულითა, სხვა რამე
ქონებითა თუ სტუმრის მილება-გასტუმრებითა?

ტარიელი მაინც ემუდარება:

— დამითმე, კაცო, ეგ ერთი ნაჭერი მიწა! ან მე-
ზობლობას შეხედეთ, ან ადამიანობას! მეც ახალი მონა-
შენე კაცი ვარ, ხელის მომართვა მეპირვება. მუქთად ხომ
არა გთხოვ! რაც მოგიციათ ერთი სამად მიიღეთ და
ვაიმც დამითმეთ როგორმე!

მიხამ დაცინვით გადაპხედა ტარიელს, დარდიმანდად
გაბრუნდა სახლისაკენ და თან უკმეხად გადმოისროლა:

— ვალში დარჩენილი საქონელი სხვა რომელ სუ-
ლელს დაუბრუნებია უკან, რომ ეხლა მე დაგითმო. ეს
უკვდავება მამული? წადი, ძმაო, სხვა საქმე გააკეთე!
მაგის თხოვნაზე კი თავს ნულარ იწუხებ!

ეს როგორ დაუთმობდენ ცხოვრების სარბიელზე ალვირ-აწყვეტილად დამსუნაგებული ხალხი! ამ ნაფუზარზე ისე-დაც დიდი ხანია თვალი ეპირა სოსიკოს; მარჯვენივ უკვე ძველთაგანვე იმისი ვენახი იყო, მარცხნივაც ამ ხუთიოდე წლის წინად ვალში დარჩა ერთი მეზობლის ბალი. ამათ შუა სოლივით იყო შეჭრილი ტარიელის ნაფუზარი. ეს ხელს უშლიდა სოსიკოს საუკეთესო ბალ-ვენახების გაერ-თიანებას და ყოველთვის ნატრობდა ამ ნაფუზარის ხელში ჩაგდებას, ბოლოს აკი ჩაიგდო კიდეც. ეხლა კი ტარიელი ეუბნება—უკან დამიბრუნეო. როგორ? სოსიკო და მიხა ცოცხალი თავით ამ მამულს ხელიდან არ გაუშვებენ! მათ უკვე უდაო საკუთრებად მიითვალეს იგი, ნამყენი ვაზიც ჩაყარეს შიგ, თან წრეულობით სიმინდიც უთესიათ. ნია-დაგმა თითქოს საგანგებოდ გადიხსნა პირიო და აქაური მოსავალი აადუღა თავგადგმული სიკეთით.

ამის დამნახავ ტარიელს გული უფრო უკვდებოდა. უფრო მეტად აღეძრა სურვილი ამ მამულის დაბრუნები-სა. რაკი ნებაყოფლობით ვერარაფერი გააწყო, გადას-წყვიტა—მიმართოს კანონს. ამ დროს უკვე მენშევიკების ბატონობას გაეშალა ფრთები მთელ საქართველოში.

ისეთ უმნიშვნელო საქმეებში მაინც, როგორც ერთი რაღაც ნაფუზარის დავაა, საკითხს სწყვეტდა პარტიუ-ლობა, ნათლიმამობა, პურმარილი და აქაც სწორედ ამ დაუბლაგველმა ფარხმალმა გასჭრა.

სოსიკოს უმცროსმა ვაჟმა გიგომ რევოლუციის პირ-ველივე დღეებშივე თავი მიანება მიკიტნობას. მან თაჯი-სი თავი გამოაცხადა მენშევიკად და გვარდიაშიც შევიდა ჩქარა. თავიდანვე გიგო მენშევიკებისა და გვარდიტლების ყოველივე უპირატესობას დიდის მოხერხებით იყენებდა თავის ოჯახის სასარგებლოდ. ეხლაც, რომ გაიგო ტა-რიელი მიწას დაობსო, მაშინათვე ჩაერია საქმეში თავისი

პარტიულობით, გვარდიელობით, რევოლვერითა და ფახა-ფუხით. ამას ზედ მიჰყვა სოსიკოსა და [illegible]ან ლაზ-თიანად შემზადებული პურმარილი და ტარიელის ნა-ფუზრის ბედიც სამუდამოდ გადასწყდა სოსიკოს სასარ-გებლოდ.

აქაც გაუცრუვდა ტარიელს იმედი. საშველ გზას თითქმის ველარსით სედავს. აემღვრა ახალგაზრდული სი-სხლი. აუმსედრდა შეულახავი თავმომწონეობა. იმის თვალ-წინ ჯერ კიდევ არ შემწყდარა თოფ-ზარბაზნის გრიალი, ყუმბარების აფეთქება, ნალმების ზანზარი. იმის წინ ჯერ კიდევ ცოცხალ სახეებად ტრიალებენ თავგამეტებული ბრძოლანი, ვაჟკაცური შეტევანი, ცეცხლისა და მახვილის პრიალი. ოთხი წლის ომებში ნაწრთობი სული ჯერ ისევ ამაყად უცქერის ცხოვრების გზაზე დაბნეულ ნარ-ეკალს.

რაკილა ვერც ტკბილი სიტყვით გააწყო რამე, ვერც კანონით—გაალმასებული ტარიელი ეხლა მუქარაზე წავი-და. უკვე მოხუც სოსიკოს კი არ შეკადრა, მაგრამ მიხას კი პირდაპირ განუცხადა:

— ან დამიბრუნეთ ჩემი ნაფუზარი, ან იმის მოსა-ვალს არ შეგარგებთ ცოცხალი თავითო!

მიხამ იტკიცა ასეთი მუქარა.

— განა ისე დალაჩრდა მაისურაძეების ოჯახი, რომ შენისთანა ციგნის მუქარას შევეპოვოთ! სადაც ვიწრო იყოს, იქ დაგვიხვდი და ვნახოთ ვისაც აუტირდება დედაო!

ამ გზითაც ვერაფერი გააწყო ტარიელმა. მისი ცხოვ-რება ყოველმხრივ გზამოკრილია. ის ეტყობა ვერ გაიხა-რებს მაისურაძეების გვერდით. მაგრამ, რადგან აგრეა — არც იმათ გაახარებს. და ამ დღიდან გადასწყვიტა სას-ტიკი შურისძიება.

ვავიდა რამდენიმე კვირა, ტარიელს მამულზე კრინტი ალარ დაუძრავს. ისე კი მეზობლებში სიტყვა მიაგდ-მოაგდო.

— ჩქარა ბორჩალოში უნდა წავიდე მოზვრების საყიდლადო.

ერთი თვის შემდეგ მართლა კიდევაც წავიდა ტარიელი. რამდენიმე დღეს სადღაც დაჰყო თავისი სოფლის განრიდებით. ერთ ბნელ ღამეს კი დაბრუნდა უკან და თავისივე ნაფუზარში დაუნდობლად ჩაჰკლა სადარაჯოდ მყოფი მიხა მაისურაძე.

ებლა წევს ტარიელი რახრახა ვაგონში და მისი ფიქრებიც რახრახებენ ჩადენილ მკვლელობის თავიდან ბოლომდის მეათასეჯერ გადაფურცვლით.

III

ოთხი დღის შემდეგ ტარიელი დაბრუნდა სახლში ხელცარიელი. ვერ ვიყიდე მოზვრები სიძვირის გამოვო.

სწორედ ამ დღეს დაესაფლავებინათ მიხა და მაისურაძეების კარმიდამოზე ხალხის მთელი ჯარი იყო თავმოყრილი.

ტარიელი დიდხანს იჯდა სახლში თავმორიდებით. მისი დედა ბევრს ეხვეწა — სამძიმარი უთხარი სოსიკოსო, მაგრამ ტარიელს არ ეჩქარებოდა.

საღამოზე უკვე მაისურაძეების სამწუხარო სუფრაც აიშალა. შორიდან მოსულები მაშინათვე გაუდგენ გზას. მახლობლები და შინაურები კი იქვე ტრიალებდენ კარმიდამოზე.

აგერ ტარიელიც გამოვიდა კარში და მძიმედ გაიარ-გამოიარა თავის ქოხის წინ.

მაისურაძეების კარმიდამოზე მაშინათვე შეიქნა ჩურ-ჩულ-პუტუნი.

ყველანი ქვეშ-ქვეშად და საეჭვოდ გამოხედავდენ ტარიელს და მერე განაგრძობდენ ისევ რაღაცა საიდუმლო შითქმა-მოთქმას.

ამ დროს სოსიკოც გამოვიდა კარში შავ ახალუხ გადაცმული. რა დაინახა ტარიელი, მაშინვე დამთხვეულ ნადირივით გაექანა მისკენ:

— ჰოი შე აძაღლებულის დატოვებულო! შენ მომიკალ შვილი! შენ გამიოხრე ოჯახი!

ტარიელი იდგა უძრავად. მისი თავმოყვარეობა კმაყოფილებას განიცდის, თუ კი მასში გრძნობენ შურის მაძიებელს. მაგრამ, მეორეს მხრივ, არც ესაჭიროება აღიარება ეს ხმამაღლა: იცის, ამ აღიარებას რა სასტიკი პასუხისგებაც მოჰყვება ფეხდაფეხ. ამიტომ გულდაკოდილ სოსიკოს ლანძღვა-გინებას ის წარბშეუხრელად უყურებდა.

მაგრამ დამუქრებულმა სოსიკომ გაარღვია ღობე და პარჭენად ავარდნილ ხარივით ეძგერა ტარიელს ყანყრატოში.

— ცოფიანი ძაღლივით უნდა დაგახრჩო საკუთარი ბელით, შე ძაღლის დანატოვარო, შენა!

ტარიელმა ერთხანად სცადა, სოსიკო როგორმე მოეშორებინა თავიდან; არ უნდოდა ამ დანადებაზე ახალი ესიამოვნება დაერთო. მაგრამ ვერ მოახერხა. გააფთრებული სოსიკო კი ორივე ხელით ჩასჭიდებოდა ყანყრატოში და ლამის მარილა ალრჩობდა კაცს. აქ კი ტარიელმაც ვამოიღო ხელი და ერთი მაგარი მუშტი სთხლიშა სოსიკოს გაცოფებულ სახეში. სოსიკოს მაშინვე სისხლი წასქდა თვალებში და ხელიც გაუშვა. აქ ხალხიც მოეშველა და იწყეს მაჩხუბრების დაშოშმინება.

ჩქარა აქვე გაჩნდა სოსიკოს ვაჟი — გვარდიელი გიგორა დაინახა დასისხლიანებული მამა, მაშინათვე იძრო რევოლვერი და ჭექა გაადინა ტარიელის მკერდთან. მაგრამ ტყვია ასცდა მიზანს. თავდაცვის გრძნობით შეპყრობილი ტარიელი ერთი-ორი ვეფხური ნახტომით შევარდა სახლში და წამსვე გამოვარდა უკან ხელში ნაჯახ-ამართული.

აქ შემოეხვიენ ბალხი ცალკე გიგოს, ცალკე სოსიკოს, ცალკე ტარიელს და შეუდგენ მათ დაწყნარებას. როგორც იქნა, ხალხმა ძალიძალად გაჰყარეს მაჩხუბრები და თავიანთ სახლში დააბინავეს.

კიდევ დიდხანს ისმოდა გაშმაგებული გიგოს ღრიალი.

— ამ გველის წიწილს დიდხანს არ ვაბოგინებ დედამიწაზეო.

ტარიელი კი არაფერს ამბობდა ხმამაღლა, მაგრამ გულში უკვე გადაწყვეტითა გრძნობდა — რაც უნდა გაეკეთებინა ხვალ.

მაგრამ არა, ხვალამდის აღარ ღირს დაცდა! დღესვე უნდა განშორდეს აქაურობას. უიმისოდ სულ ადვილად შეიძლება ეხლავე იმსხვერპლონ იგი მოსისხლე მტრებმა.

დღეიდან ცხადია: ან მაისურაძეები დალევენ მის სისხლს, ან იმან უნდა გაანადგუროს მაისურაძეების გასაგისი.

დალამდა თუ არა, მიატოვა ბუხრის ძირას დარდით და ვაგლახით დაოსებული მშობელი. გამოვიდა გარეთ და გასწია უღლიდან თავდაღწეული გაუხედნავი ხარივით — სადღაც შორს, იალაღისაკენ.

რამდენიმე დღეს ტარიელმა სულ შორეულ ნათესავებში იარა.

გული იჯერა მათი ნახვით და შემდეგ უგზოუკვლოდ მიიმალა სადღაც.

ორი კვირის შემდეგ გიგოს მეთაურობით მთელი რაზმი დაეცა შუალამისას ტარიელის სახლს. უნდოდათ მისი

ხელში ჩაგდება, მაგრამ უძლური დედაბერის მეტი შინ არავინ დაუხვდათ.

გიგომ ყველგან მოჰფინა ხმები, მთავრობამდისაც მიაწვდინა, რომ ტარიელი ბოლშევიკია: მას ყავშირი აქვს საჩხერეში—ხეთაგურთან, ოსეთში—ჯატიევთან. ჩრდილოეთ-კავკასიიდან კი პირდაპირ დავალებებს იღებს მახარაძისა და ორჯონიკიძისაგანო.

ამისთანა კაცის მოსპობა ან ხელში ჩაგდება, რასაკვირველია, მენშევიკებს ძალიან ეინტერესებოდათ. ამ საქმის შესრულება თავიდანვე გიგოს დაავალეს, და იგიც სცდილობდა როგორმე ხელში ჩაეგდო ტარიელი ან ცოცხალი ან მკვდარი.

მაგრამ ტარიელს აგრე ადვილად ვეღარავინ ჩაიგდებდა ხელში. ის თავის ოსმალურ კარაბინასთან ერთად ეხლა მხოლოდ ტყეს ენდობა და თავის უტყუარ მარჯვენას.

ტარიელის დედასაც დაუდგა აღსასრული. ცხოვრებით ყოველმხრივ დაბრიყვებულმა ადამიანმა ვეღარ გაუძლო ამდენ ჭირვარამს, ქმარშვილის დაკარგვას, ოჯახის მრავალჯერ აწიოკებას და ბოლოს განუტევა კიდეც ტანჯული სული.

მეზობლებმა სამადლოდ დაასაფლავეს.

თავის ერთადერთი შვილის ტარიელისაგან არ ეღირსა მიწის მიყრა.

IV

დრო მიდის სწრაფად, უკანმოუხედავად.

მიხას უკვე ორმოცი გადაუხადეს.

ერთი სოფლისოდენა ხალხი დაესწრო. სოსიკოს არ დაუზოგავს არავითარი ხარჯი; საკლავი, ღვინო, ხორაგეულობა—ყველაფერი თავსაყრელი იყო.

ქარგად დაპურადებული ხალხი საღამოზე უკვე დაიშალა. სახლში კი ხელმეორედ გაიშალა სუფრა შინაურებისა და მახლობლებისათვის.

დიდხანს გაგრძელდა ეს ოჯახური სუფრა. შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა ძლივას აიშალა იგი. დიდი ლაპარაკისა, მითქმა-მოთქმისა და ანგარიშების შემდეგ პურლვინით დამცხრალმა ხალხმა ყველამ მიაშურა თავის ბინას.

ჩქარა სოსიკოს ოჯახშიც ჩამოვარდა სიწყნარე. ჩაქრა უკანასკნელი სანთელი და დღის აურ-ზაურით მოქანცული ხალხი ყველა მიეცა გულიან ძილს.

პირველი მამლის ყივილი ჯერ არ დამდგარა. სოფელი სიჩუმით სასაფლაოს დამსგავსებია. ჭოტის ყივილიც კი არ ისმის რაიმე საბედისწერო ამბავის მომასწავებლად. სდუმს ყველაფერი. ბნელა ყველგან...

მაგრამ არა, ყველგან აღარა ბნელა!

აგერ ცეცხლის ალი ავარდა სოსიკოს საბძელს და გადარეული სისწრაფით ეხვევა მთელ შენობას. ალის ძლევამოსილი ტალღები სტიქიურის სისწრაფით იზრდებიან და თითქოს ცაში იტაცებენ ამ უზარმაზარ მუხის ნამშრალს.

მაგრამ მარტო საბძელი იწვის? აგერ სოსიკოს სახლსაც ავარდა ისეთივე გიჟური ალი და მთელ შენობას ელვის სისწრაფით იხვევს თავის კალთებში.

უცებ გაიღო სახლის კარი და საცვლების ამარა გადარეულივით გამოვარდა გიგო რევოლვერით ხელში.

გაისმა კარაბინის ცივი ლაწანი და გიგო მოწყვეტილი ეაშლივით გაგორდა ძირს.

აგერ გამოჩნდა სოსიკოც. ნამდვილ შეშლილივით გადმოხტა საძირკველზე, მაგრამ კარაბინის მეორე ლაწანთან ერთად იქვე ჩაიკეცა ცეცხლის ალში.

და აქ კარაბინის ლაწანზე უფრო ცივად გაისმა

— ჰაი, თქვე წუწკებო! თქვენ დალიეთ ტარიელის სისხლი, თუ ტარიელმა თქვენი!

ამ დანადებაზე სოფელმაც გაიღვიძა. ახმაურდა ქვეყანა, ხალხი მიეშურა ცოცხლების გადასარჩენად და ცეცხლის ჩასაქრობად.

მაგრამ ტარიელი გადვა განზე და თოფამაღლებულმა შეუტია რამდენიმე თავგამოდებულს:

— არავინ გაბედოთ ცეცხლის ჩაქრობა! დაე სულ დაიწვას არმად ნაშოვნი!

საბედისწეროდ თავგანწირულ კაცს ვინ არ შეეპუება! აქაც შედრკა ხალხი და თავი ანებეს ცეცხლის ჩაქრობას.

მაგრამ ხალხის გული მაინც ლმობიერია. განწირულობის ჟამია მაინც სჩვევია მას სულგრძელი თავგამოდება.

რამდენიმე მოხუცი მივიდა თავის კარაბინის ჩახმახივით ამართულ ტარიელთან და შეევედრენ:

— სოფელს ნუ შეარცხვენ, შვილო! არ შეიძლება ასე გულაელდაკრეფილი ვუცქეროდეთ ამდენ დოვლათის განიავებასა და მთელი ოჯახის გაუბედურებას. ნუ შეგვიშლი ხელს, თუ კი რამის გადარჩენა კიდევ შეიძლება!

ტარიელმა შეისმინა მოხუცების მუდარა. ბრძოლაც დამთავრებულად მიიჩნია და აპირებდა გაბრუნებას, მაგრამ ამ დროს დაინახა მისკენ გარბის თმაგაწეწილი, პერანგშეტრუსული ბიჭი. გარბის გადარეული, რაღაც დამუქრებული ზრახვით. ტარიელმა ინსტიქტიურად შეაშველა მამრჯვენა და იმის ხელის გულშიც ჩაისრიალა ხანჯალა დანამ. ეს იყო მიხას თხუთმეტი წლის ვაჟი — გელა.

ტარიელმა მაინც მოასწრო ბიჭის გაკავება. სასწრაფოდ გადაუგრიხა მარჯვენა და გამოგლიჯა დანა. მაგრამ გააფთრებული გელა იმ წამსვე კბილებით დააცხრა ტარიელს მკლავებში და მაგრა ჩაჰბღუჯა კრიჭაშეკრული მგელივით... ტარიელი ერთწამს შეეცადა — ვერ გააშვე-

ბინა. ტკივილით სული გაუმწარდა. აქ ველარ აიტანა და ხანჯალა დანა სწრაფად დაუსვა გელას ლოყაში. ბავშმა შეჰკივლა და გაუშვა პირი. ტარიელმა ერთი მაგარი წიხლი წაკრა პირმოსისხლიანებულ ბავშვს და გააგორა მიწაზე. შემდეგ აღარ დაუყოვნებია. შეაქცია ზურგი—ცეცხლით და სისხლით შეშფოთებულ სოფელს და მიიმალა შორეულ წყვდიადში.

———

ეს იყო უკანასკნელი მოჩვენება ტარიელისა. იმის შემდეგ აღარავის უნახავს იგი. ნადირმა შეჭამა, მიწამ უყო პირი, სიმშილით მოკვდა თუ რაიმე საბედისწერო შემთხვევამ იმსხვერპლა — ამისი მოწმე არავინ არის.

მისი სახელი მაინც დიდხანს ტრიალებდა სოფლის პირში. ბოლოს ეს სახელიც მიწყდა და ტარიელის ხსენებაც თითქმის საშუდამოდ დაიკარგა სოფლის ხსოვნიდან.

ამ თავზარდაცემის შემდეგ მაისურაძეების ოჯახი სულერთიან განადგურდა. ცოცხლები გადარჩენ მხოლოდ რძალ-დედამთილი და მიხას ვაჟი — გელა.

ქონება ხომ რაღა დასათვლელია. რაც ცეცხლმა შთანთქა, ის ხომ სულ ამაოდ წავიდა ხელიდან. რაც არა და ოჯახის ზედი-ზედ დამტყდარმა უბედურებამ ინაცვალა. თუ რაიმე დოვლათი გადარჩა კიდევ, ისიც მკვდრების დასაფლავებას, მათ ორმოცებსა და წლის წირვებს მოუნდა ერთიანად.

ამ განიავებულ ოჯახში აღარავინ დარჩა ბურჯი, შემომტანი. თუ სახლში ვაჟკაცის ხელი არა ტრიალებს, იქ ბარაქა ველარაფერს ვერ დაედება. ტარიელის შიშით მოჯამაგირეებიც ალარავინ გაუჩერდათ. ისე კი რაღას გააწყობდა ამ ქარტეხილით აოხრებულ ოჯახში უბედურებით ჩათუთქული ორი ქალი და ჯერ თითქმის უსუსური ბავშვი გელა.

ამას ზედ დაერთო კიდევ ქალების უნუგეშო შიში — ვაი თუ ტარიელმა გელაც მოიდნოსო და ერთიან ამოსთაქოს მთელი მაისურაძეების გასაგისიო. ამიტომ გადასწყვიტეს, გელა აღარასგზით აღარ დასტოვონ სოფელში და მართლაც ერთი თვის შემდეგ ბავშვი გაისტუმრეს ქალაქში. იქ გელა ერთმა ხელოსანმა ნათესავმა შეგირდად აიყვანა თავის სახარატოში.

ერთი წლის შემდეგ, ბავშვმა რომ გაიმარჯვა ხელი, რკინიგზის სახელოსნოში გადავიდა. თან როგორც მკვირცხლი, ყველაფრით მოინტერესე ბავშვი წიგნებსაც მისდევდა. მოცლილ ერთ საათსაც კი ამაოდ არ ჰკარგავდა. რასაც მოასწრებდა — კითხულობდა, ვითარდებოდა, განსაკუთრებით კი ეწაფებოდა რევოლიუციის ამბებს, რადგან თვითონვე ამ ძლევამოსილ რევოლუციის მძვინვარებაში უხდებოდა დავაჟკაცება.

გელა უკვე სავსებით შეეთვისა ქარხნებს, ქალაქის ცხოვრებას, მუშათა კლასის სულისკვეთებას, რევოლიუციით მომხდარ გრანდიოზულ ნგრევას და მშენებლობას. მას სოფელში თითქმის აღარაფერი დარჩენოდა დედისა და ბებრუცუნა დიდედის მეტი. ორთავე წვალებითღა მიდიოდენ იოლად, და ასე ატარებდენ თავიანთ დათალხულ ცხოვრების დღეებს.

გელას ახალგაზრდული გზნება და სიცოცხლით მალხაზი თვალები სულ ხვალინდელი დღის გათენებას მისჩერებიან. იქ ელის რევოლუციის ჯადოსნური ძლიერებით ხალხის სიკეთეს, ცხოვრებას სრულყოფილს.

სწორედ ამ ხანებში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. გელამ მრავალ თავის ამხანაგებივით ჭოჭმანში აღარ დაჰკარგა ძვირფასი დრო და პირველ დღეებიდანვე ჩაება ახალი ხელისუფლების ჭაპანწყვეტაში.

ძირიან-ფესვიანად გარდაქმნილ ქვეყანას აუარებელი მუშაკი სჭირდებოდა თავის განახლებულ ბუმბერაზულ მშენებლობაში. ვისმეს მცირეოდენი ცოდნა და გარჯილობაც უდიდეს დამსახურებად მიითვლებოდა ქვეყნის წინაშე.

გელაც არ იყო დატვირთული დიდი ცოდნით, მაგრამ მისი გარჯილობა, მისი გულწრფელი სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ არცოდნა ძლივსლა სჩანდა ყველთამდის მოყრილ საქმიანობაში.

ჩქარა გელამ შეატყო: თუ გინდა შენ შრომას ჰქონდეს მეტი ნაყოფი, თუ გინდა ქვეყნის ჭირვარამთან ახლო იდგე და შენი წვლილიც მიითვალოს ნამდვილ საკურნებელ მალამოდ, უმჯობესია ჩაება თვით მმართველ პარტიის თავგამოდებულ მუშაობაში. და ჩქარა კიდევაც შევიდა ბოლშევიკური პარტიის მებრძოლ რიგებში. ამან გელას პასუხისმგებლობა უფრო გაზარდა ქვეყნის წინაშე. ის უკვე ვისმეს დამხმარე ძალა კი აღარ არის, არამედ თვით შემომქმედი ძალაა, რომელსაც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყნის წაღმა თუ უკუღმა მართვაში. და აქ იგრძნო, რომ მისი ცოდნა მის მოვალეობაზე ბევრად სუსტია.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ხომ ფართედ გაუღო კარი ყველა მშრომელს, ვისაც კი ნიჭი და სურვილი აქვს სწავლისა!

გელაც შევიდა მუშფაკში. ორ წელიწადში გაიარა ზოგადი აუცილებელი ცოდნა. ამასთან სარგებლობდა ყოველივე თავისუფალი დროთი და ხარბად ეწაფებოდა ორლესული მახვილივით ყოველმხრივ გამოსაყენებელ თვითგანვითარებას.

იზრდება პარტიის რიგები, მრავლდებიან შუშაკები, მაგრამ კიდევ უფრო სწრაფად იზრდებიან ქვეყნის მოთხოვნილებანი. გელაც ჩქარა შეაბეს ისევ პასუხსაგებელ

მუშაობაში. მან ეხლა უფრო განსაკუთრებული უნარი გამოიჩინა ყოველგვარ საქმიანობაში.

სადაც კი მივიდა დაავადებულ, დასუსტებულ ორგანიზაციაში, ყველგან იწვევდა სრულ გადახალისებას, მუშაკების იშვიათ შერჩევას, თვით მუშაობის ძირიან-ფესვიანად ჭარდაქმნას. მისი ენერგიით და სიცოცხლით სავსე ბუნება, მისი უანგარო თავგამოდება და ახალგაზრდობით აღსავსე გატაცება ყველას ედებოდა წამქეზებელ ცეცხლად. ყველა ბუნებრივად სცდილობდა მის მხარში ამოდგომას, რომ არც თავიანთი თავი შეერცხვინათ და არც ისეთი ღირსეული ხელმძღვანელი.

რამდენი სუსტი ორგანიზაცია დააყენა ფეხზე, რამდენი ჩავარდნილი გეგმა გამოასწორა, რამდენი ნაკლი და ბოროტება აღმოფხვრა მუშაობაში—ყველაფერი ეს ხელმძღვანელი ორგანოების მიერ საგანგებოდ არის ჩათვლილი გელას აქტივში.

გელა უკვე დამსახურებულად მიეკუთვნა იმ ღირსეულ ამხანაგების კადრს, რომლებიც ყოველ ჩავარდნილ საქმეში გაჭირვების ტალკვესად ითვლებიან.

აგერ ეხლაც უმწვავეს ამოცანად წამოიჭრა მუშათა მომარაგების საკითხი. ბევრმა ორგანიზაციამ წაიკოჭლა ამ საქმეში და ვერ შეასრულა მათზე დაკისრებული მოვალეობა. ამის გამო გელას რამდენიმე ადგილას მოუხდა გადანაცვლება და ყველგან ჩინებულად გამოასწორა საქმე.

აგერ თევზით მომარაგების გეგმაც ლამის ჩაიშალოს და გელასაც მაშინათვე უკრეს თავი ქობულეთისაკენ. ამ ჯერობაზე მეთევზეთა არტელის თავმჯდომარეობა ერგო მოვალეობად.

გელასაც აღარ დაუყოვნებია და მეორე დღესვე გაეშურა საბრძოლო პოსტზე. გზაში მან უკვე ახლად მოუყარა თავი მთელ თავის გამოცდილებას. უკვე დააწყო

გეგმა; როგორ მიაგნოს და გამოასწოროს ორგანიზაციის სუსტი მხარეები; როგორ მოსძებნოს საიმედო აქტივი მეთევზეებში, რომელზედაც შეიძლებოდეს დაყრდნობა ყოველ დამკვრელ მომენტში; როგორ გამოიწვიოს პასიურ ელემენტებში წაქეზება და როგორ წაახალისოს კიდევ უფრო მეტად თავგამოდებული მუშაკები.

ყველა ამ საკითხს ატრიალებს გელა თითისტარივით, ზედ ართავს თავის ფიქრებს და ალაგებს გეგმიანად ცხოვრებაში შესასრულებლად.

მართლაც, მივიდა თუ არა გელა ქობულეთში, მაშინათვე შეუდგა საქმის სათავიდან გამოსწორებას. პირველყოვლისა, გაეცნო თევზის ჭერის პირობებს, სეზონს, მის განსაკუთრებულ მხარეებს. გამოირკვია მეთევზეობის ინვენტარი, გაიცნო თვით მეთევზეების ცხოვრება, მათი მომარაგება და უზრუნველყოფა კანონით მინიჭებულ ყველა უპირატესობანით.

უმთავრესად კი გელა ყურადღებას აქცევდა თვით მეთევზეთა შორის საუკეთესო აქტივის გამოძებნას და ამ აქტივში კიდევ—რჩეული მუშაკების პოვნას. გამოჭკითხა ყველას ერთი ერთმანეთზე: რომელია საუკეთესო ბრიგადა, ბრიგადის საუკეთესო წევრი. აქ ბევრი რამ სწორედ გაიგო გელამ, ბევრი რამ კი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. მხოლოდ ერთ რამეს აღიარებდა ყველა ერთსულოვნად.

— ბათომიდან სოხუმამდის საუკეთესო ბრიგადა არის ჰასანას ბრიგადა. ამ ბრიგადაში კი საუკეთესო არის თვითონ ჰასანი.

მართლაც რომ გადასინჯა გელამ არტელის ისტორია და ანგარიშები მთელი წლების განმავლობაში, გარცდა კაცი: არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჰასანს ყოველთვის დროზე და ყოველთვის გადაჭარბებით არ შეესრულებინოს გეგმა. ამასთან საუკეთესო ხარისხის თევზი ყოველ-

თვის იმისი მონაგარი იყო. ამნაირი გარჯილობისათვის ჰასანს მრავალჯერ ჯილდოც მიუღია.

გელა არც ეხლა დასტოვს არტელის გამორჩეულ მუშაკებს დაუფასებლად.

მაგრამ სად არის თვით ჰასანი? ათი დღეა გელა ქობულეთშია. ყოველ მხრიდან ჰასანზე ესმის ლაპარაკი, მაგრამ არ იქნა და არ ეღირსა იმისი ნახვა.

ჰასანს ეხლა არავის სანახავად არა სცალია. მან კვალი აუღო მურმანა თევზის ქარავანს და მთელი კვირაა მისდევს კვალდაკვალ. ყოველდღე მიდის ქობულეთში მისი თევზით დატვირთული ნავები, დაიცლებიან და ისევ მიეშურებიან ახალ ნადავლის მოსატანად.

გელამ გასინჯა დავთრები: ჰასანას გეგმით უნდა ჩაეპარებია ოთხიათას ხუთასი ფუთი, მას კი უკვე ჩაუბარებია ექვსი ათასი ფუთი და ჯერაც არ ფიქრობს დასვენებას.

გელას პირდაპირ მოენატრა ჰასანის ნახვა. ეს საამაყო მუშაკი ღირსია ყოველგვარი წაქეზების, ხალხში გახმაურების. მშრომელმა მასებმა უნდა გაიცნონ მათი მომარაგების საუკეთესო დამკვრელი.

ლამის ყოველ დღის გათენებას ნატვრით ელის გელა, რომ ბოლოს როგორმე ნახოს ჰასანი, მაგრამ ჰასანს კი არ ეჩქარება: სანამ მის ბადეს და ნესკავს ისევ ჯოგრად ედება მურმანას ჯიში, ის ფეხს არ გაიშშრალებს ხმელეთზე. ასე აქვს გადაწყვეტილი ჰასანს, თუ ამინდმა არ ულალატა.

გელას კი მაინც ეინტერესება—ვინ არის ეს ჰასანი? მაგრამ ჰასანის ისტორია არც თუ ისე გრძელია.

ის ოსმალელია. ამ ათიოდე წლის წინად გადმოიხვეწა ბათომში და ჩქარა მიიღო საბჭოთა ქვეშევრდომობა. ის პირველად მოჯამაგირედ მუშაობდა ერთ ბათომელ მეთევზესთან. შემდეგ მობეზრდა მოჯამაგირობა და მოინ-

დომა საკუთარ ფეხზე დადგომა. შეუამხანაგდა თავისავით ხელმოკლე ქობულეთელ მეთევზეს და გადასწყვიტეს ერთად საქმის მოგვარება.

თანხა არ გააჩნდათ, მაგრამ მათ მარჯვენაზე კაი თანხა რა შეიძლება ყოფილიყო! ჭოროხის მაღლობ ტყეებში მათ მოსჭრეს ათიოდე წაბლის ხე და ჩამოაცურეს ზღვის პირამდის. აქ რომელლაც ოსტატს გააკეთებინეს ერთ-ტონიანი ნავი და ხელფასად მისცეს ყველა დანარჩენი ხეები. თვითონ კი საკუთარი ნავით შესცურეს ქობულეთის ყურეში და შეუდგენ ბედის ძიებას. მაგრამ ჭკვიანი და გამრჯელი კაცისათვის ბედი იმისი მარჯვენაა, მისი უნარი.

ჰასანის და მისი ამხანაგის საქმე თავიდანვე ჩინებულად წავიდა. სეზონზე მეთევზეობას ეწეოდენ და ამითი იძენდენ საკმაო სახარჯოს. შემდეგ კი ქირაზე დადიოდენ რიზეში, ბათომში, სოხუმში. რამდენჯერმე ტრაპეზუნიდან სევასტოპოლამდეც გადაეჭრათ შავი ზღვის გული.

ჰასანმა ფეხი მოიკიდა ქობულეთში. შეიძინა პატარა სახლი კარმიდამოთი და ოჯახობასაც მოეკიდა. ამხანაგებში, ხალხში ჰასანს სულ ყველა კაი კაცად უცქეროდა მისი მომდურავი არავინ იყო.

როცა კოლექტივიზაცია შემოვიდა მეთევზეებში, ჰასანი როგორც ბელადი პირველი თვითან ჩაეწერა და შემდეგშიც არ დაუხევია უკან. თავისი ნავიც კოლექტივის საკუთრებად გადააქცია, თუმცა მისით ისევ თვითან თარეშობს შავი ზღვის ზურგზე.

ჰასანს უკვე მორწმუნე კაცის გატაცებით უყვარს თავისი ხვლობა. უყვარს თავისი ამხანაგები. უყვარს თავისი ნაამაგარი ნავიც. უყვარს თვით შავი ზღვაც. ჰასანს გულწრფელად მხოლოდ მაშინ შენანებია სიკვდილი, როცა ზღვაზე უცქეროდა მზის ჩასვლას და ათასგვარ განუმეორებელ სახეებად ენთებოდა ხელთუქნელი სილამაზე.

მაგრამ ჰასანთან რა უნდა ჯერ სიკვდილს! მისი ფიქრის ლაწანი, მისი კუნთები, მისი ცეცხლოვანი ბუნება ჯერ მხოლოდ სიცოცხლის ძლევამოსილებაზე ლაღადებს.

აბა, შეხედეთ მის მურმანით გაპენილ ნავს—ზღაპრული ცალფრთიანი გედივით რომ მოსცურავს ქობულეთის სანაპიროსთან! მკერდმოღეღილი ჰასანი ზეზეულად თვითონ ჰმართავს იალქანს და მოესწრაფის...

მაგრამ ნაპირზე მდგომმა ამხანაგებმა შორიდანვე იცნეს ამხანაგი და შეუდგათ სიხარულის ერიამული.

— ჰასან! ჰასან!

გელაც ნაპირზეა. ეს არის გაათავა თათბირი არტელის წევრებთან გეგმების შესრულებაზე და აპირებდა წასვლას. მაგრამ რა დაინახა მომავალი ჰასანი, რომელ საქმეს არ გაანებებდა თავს და არ შეხვდებოდა მას აღტაცებით?

ჰასანმა მიაგდო ნავი ნაპირზე და ხარი ირემის სილაღით გადმოხტა ამხანაგების გუნდში. თან ხელში უპირავს საამაყოდ—სპილენძის რაღაც მრგვალი ფირფიტა.

— აჰა, ამხანაგებო! მოსკოველებისაგან გაშვებული მურმანა მე დავიპირე იმათი ნიშნით.

— აი, ყოჩაღ, ჰასან! მაშ საპატიო საჩუქარიც შენ გიხაროდეს!—მიაძახა მეორე მხარედან გელამ.

ყველა მიესალმა ჰასანს. გელაც მივიდა მასთან.

ერთმა ამხანაგმა გააცნო ჰასანს:

— ჩვენი არტელის ახალი თავმჯდომარე!

გელამ ხელი გაუწოდა ჰასანს, მაგრამ უეცრივ შეკრთა, თითქოს თავში რაღაცა ელვამ დაჰკრაო. შემდეგ უცებ მიუბრუნდა ჰასანს:

— ჰასან! დიდიხანია შენ გელი! გამოდი განზე! შენთან საქმე მაქვს დიდი!

გელა გავიდა განზე ხალხიდან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით. ჰასანიც თან მიჰყვა.

უცებ გელა შემოტრიალდა, თვალი თვალში გაუყარა ჰასანს და ეკითხება:

— შენ ნამდვილად ჰასანი გქვია?

ჰასანი გაოცდა:

— აბა, ჩემი ნათლია შენ ყოფილხარ და მითხარი—მაშ რა მერქმევა!

გელა ისევ თვალს თვალში უყრის:

— შენ ტარიელი არა ხარ?

ჰასანმა შეამჩნია გელას შუაზედ ჩახლეჩილი ლოყა. ელვის სისწრაფით მიხვდა ყველაფერს, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ხანჯალა დანას მისწვდა ტარში და...

— დიაღ, მე ტარიელი ვარ და შენ კი გელა ხარ მაისურაძე! მერე რა გნებავს? გინდა გავსწორდეთ?

მაგრამ გელამ ჯიბის მაგიერ შუბლზე მოისვა ხელი და მერე იგივე ხელი გამბედავათ გადასტყორცნა ჰასანისაკენ.

— ტარიელ! ჰასან! დავიეიწყოთ—რაც იყო წარსულში! დღეს შენცა და მეც ერთ დიად საქმეს ვემსახურებით, ერთ მიზანს, ერთ რწმენას! ჩვენ არც შეიძლება მტრები ვიყოთ! ჩვენ ძმები ვართ დღეის იქით! მაშ გამარჯობა, ძმაო, ტარიელ!

ჰასანმაც სიხარულით გაუშვა დანას მარჯვენა და გელას მარჯვენასთან გაადინა ლაწანი.

— გაგიმარჯოს, ძმაო გელა! ვენაცვალე შენს ვაჟკაცობას! რახან ცხოვრების ძალა ეგრე გცოდნია, შენთან სიკვდილსაც არ დავინანებ! რომელ გაჭირვებაშიც გინდა გამიხსენე! ან დაგიხსნი ან თავს დაგანაცვლებ!

და ორთავე, ბრძოლამოგებული ვაჟკაცებივით ხელიხელ, ჩაკიდებული გამობრუნდენ მათკენ ყურადღებით მაცქერალ ამხანაგებისაკენ.

IV

იმავე დღეს საღამოზე გელამ თავისთან დაუძახა ჰასანს.

— ჰასან! ტარიელ! წელან ფიცი მომეცი: როცა კი დამისაჭიროებ — თავს არ დავზოგავო.

— ეხლაც ვიმეორებ მაგავე სიტყვას და შემდეგშიაც გავიმეორებ!

— მაშ რახან ეგრეა, მოდი ერთ საქმეში დამეხმარე ვაჟკაცურად!

— დამავალე და გამომცადე, მართლა ვყოფილვარ თუ არა სიტყვის პატრონი!

— კარგი! შენც უნდა იცოდე, ჰასან, ჩვენი დამზადების გეგმა ჩავარდნილია. შენი ბრიგადის გარდა თითქმის ყველანი მოიკოპლებენ. მე კი ათიათასი ფუთი მაკლია კიდევ გეგმის შესრულებამდე. ამას აუცილებლად მოითხოვს ჩვენი მუშების უზრუნველყოფა მომარაგებით. შეგიძლია შენი ბრიგადით...

ჰასანი თავმოქნილად გასწორდა წელში:

— მე მზათა ვარ, თუ ამინდი არ შეიცვალა, ორი კვირის განმავლობაში!

— იძლევი სიტყვას?

— დასტურ, ვიძლევი!

გელას სიხარულის იერმა დაჰკრა და გაუშვირა მარჯვენა ჰასანს:

— მაშ მოდის ათიათასი ფუთი, ძმაო ტარიელ?

ჰასანმაც სასწრაფოდ შეაგება ლახტივით მოქნეული თავისი მარჯვენა.

— ვაჟკაცურად მოდის ათიათასი ფუთი, ძმაო გელა!

1932 წელი.

სასჯელზე უარესი

წამოვდექი. მიმოვიხედე.

ლამეა. მატარებელი რომელიღაც ხიდზე მირახრახებს. ჩემს შემთხვევითი თანამგზავრსაც არ სძინავს.

— უჰ, რა საშინელი და თანაც რა მშვენიერი სიზმარი ვნახე! თან საწყენია, რომ გამომეღვიძა, თან მიხარია.

ჩემი თანამგზავრი ოდნავ შეიშმუშნა. მან უფრო თავაზიანობისათვის მკითხა, ვიდრე გულდაგულ თანაგრძნობისთვის:

— ეგეთი რა იყო, საინტერესოა?

— ასეთი ლამაზი და თან საშინელი განცდა არცა მქონია და არც მექნება სიცხადეში.

— აბა, ერთი გაგვიზიარეთ!

— ვითომ შეძინა და ზურგში კიდევ მომწოლოდა უშველებელი ლამაზი ვეფხი. იმის ქშინვაზე ვითომ გამომეღვიძა და რა შევამჩნიე ეს საზარელი მხეცი, შიშისგან ლოდათ გადავიქეცი. ვწევარ ასე უძრავად სულგაშეელილი. ვეფხიც მომხუტებია ზურგში და მშვიდად ხრუტუნებს. მე მეშინია, რომ გავინძრე: ვაი თუ მაშინათვე მომვარდეს ვეფხი, და სულიც გამაპნევიოს. დიდხანს ვარ ასე გატვრენილი. ვფიქრობ, ეგებ წავიდეს ვეფხი და მეშველოს რაღაც. თან საშინელ სიამოვნებასა ვგრძნობ ამ იშვიათი შემთხვევით, რომ ვეფხის გვერდით ვწევარ. რამდენჯერ მინატრია წინეთ: ლოგინზე უმწეოდ სიკვდილს, რომელიმე მშიერმა ლომმა ან ვეფხმა შემჭამოს — მირჩევნია მეთქი. ეხლა სა-

ამყოდ მიმაჩნია ვეფხის გვერდით წოლა. მაგრამ საშინლად დავიღალე წოლისაგან. ალარ შემიძლია. უნდა წამოვდგე. თან ვფიქრობ: ეგები ვეფხიც შემეჩვია, მეგობრად მიმიღო და ალარაფერს დამიშავებს? და თუ შემჭამა? მაგრამ აქ არჩევანი ალარ არის. ალარ შემიძლია ასე უძრავად წოლა და... წამოვიწიე. ვეფხმა თვალები გაახილა, შეშმახედა და შიშის ჟრუანტელისაგან მეც გავახილე თვალები.

— არა უშავს რა! მართლა კაი სიზმარია!

— ოჰ! რა სანეტარო იყო ამ საზარელი მხეცის გვერდით წოლა და თანაც რა ჟრუანტელის ამტეხი!

ჩემი მეზობელი სდუმს, ალბად ფიქრობს რალაცას და...

— მართალია! ლამაზი განცდაა, რომ ამავე დროს საშინელიც არ იყოს. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ადამიანზე საშინელი მაინც არაფერია.

— ოო! რასაკვირველია, ხშირად ადამიანი ყოველივე მხეცზედ უარესია! გაგძარცვავს, შეგლახავს, მოგეპარება და დაგკლავს ვერაგულათ...

— არა, ჩემო კარგო! შეიძლება არც გაგძარცვოს, არც მოგკლას, არც რაიმე ზიანი მოგაყენოს, მაგრამ მაინც საშინელზედ საშინელი იყვეს.

მე ჩავუფიქრდი იმის სიტყვებს:

— ეგ ალარ მესმის კარგად...

— დიალ! შეიძლება მაგის მსგავსი არაფერი არ ჩაიდინოს, მაგრამ მაინც საშინელი იყვეს.. საშინელი იყვეს თუნდაც თავისი სულ უბრალო სიტყვით.

— სიტყვით!?

— დიალ სიტყვით! (შეისვენა. დრო მიდის, რომ თქმა დამწიფდეს უფრო ბუნებრივად.) მთელი თექვსმეტი წლის განმავლობაში ყოველივე საზარელი მხეცის შეხვედრაზე მეტად მეშინოდა — არ შემხვედროდა ერთი ადამიანი და არ ეთქვა ჩემთვის მხოლოდ ერთი სიტყვა:

„ჰაი შე ქურდოვ!“

(ისევ დრო მიდის და გზას უკაფავს სათქმელად გამზადებულ ფიქრს.)

თექვსმეტი წლის განმავლობაში მრავალი ქვეყანა შემოვიარე. აკ არის ევროპა თავიდან ბოლომდე, ამერიკა, მაროკკო, ეგვიპტე, ჩინეთი და იაპონია. საპჭოთა კავშირიც რასაკვირველია. და ყოველთვის, როცა მიედიოდი ქალაქად თუ სოფლად, ყოველთვის ველოლი: აი, საცაა წამომეწევა ეს ადამიანი და მოშაძახებს —

„ჰაი შე ქურდოვ!“

მე ამ სიტყვის გაგონებაზე ან უნდა თავი მომეკლა, ან უნდა ჩემში ამომედალა ყოველივე სინიდისის ნასახი, ან... ერთი სიტყვით ამისი გაგონება ნიშნავდა ჩემს განადგურებას.

— მერე თქვენ განა მართლა ჩაიდინეთ ეგეთი ქურდობა?

— ...დიაღ! ჩავიდინე.

— ...?

— იცით რა? თუ კი ადამიანს მოეპოვება რაიმე საიდუმლოება ან იშვიათი შემთხვევა, მას ყოველთვის აქვს მოთხოვნილება—ვისმეს გაუზიაროს იგი, თუნდაც ერთხელ.

— როგორც ეტყობა, თქვენცა გაქვთ რაიმე ეგეთი შემთხვევა.

— დიაღ, მაქვს!

— მე გისმენთ მოწიწებით, თუ კი...

— რაკიღა შემთხვევამ მოიტანა, მაშ იყოს.

მატარებელი მირახრახებს, ჩერდება, ისევ განაგრძობს გზას. ამას აღარ ვუწევ ანგარიშს. მე ვისმენ მხოლოდ მეზობლის ამბავს.

— მაშ ვთქვათ ჩვენი ცხოვრების... გარდასავალი. ეს იწყება ცხრაას ხუთი წლიდან. (მუდამ ლამაზად მეჩვენება ეს წელთაღრიცხვა, არ ვიცი რათა).

„ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭი ვიყავ, როცა რევოლუციის კორიანტელში გადავეშვი გაშლილ დროშასავით. ჩქარა მეც შევიქენ ბრძოლის ერთ მნიშვნელოვან მესაიდუმლეთ. ქვესკნელში მიჩქმალული სტამბები, საწყობები, საბროპაგანდო წრეები, ტერორისტული... ერთი სიტყვით ბრძოლის ყოველივე ქარცეცხლში მედგა ფესი.

„სწორედ ამ ქარცეცხლში ტრიალის დროს შეეპვდი ჩემსავით აწყვეტილ ერთ ახალგაზრდა ქალიშვილს. ის მაინც ჩემზე უფროსი იქნებოდა რამდენიმე წლით. ყოფილ ბესტუჟევის კურსებისათვის შუაგზაზე მიეხებინა თავი და გაჰყოლოდა რევოლუციის ამხედრებულ სტიქიას პირველი რწმენის გულწრფელობითა და სიძლიერით.

„არ ვიცი ჩვენ რა გვეთქმოდა: შეყვარებულნი? ძმათნაფიცები? განუყრელად კი დავდიოდით რევოლიუციის უფსკრულების ნაპირას. თითქოს ორთავეს საიდუმლოთ დაგვედო ფიცი:

ან ერთად დავიღუპოთ ან ერთად გადავრჩეთ!

„...გადაიარა სასტიკ ბრძოლათა ეპოქამ. რევოლუციამ ისე ადვილად და ისე ჩქარა არ გაიმარჯვა, როგორც გვეგონა. ცხოვრების ყოველდღიურობამ ნელნელა აღადგინა თავისი უფლებანი და... მეც თვალების მოფშვნეტით მიმოვიხედე ირგვლივ. მიმოვიხედე და თვალწინ გადაიშალა ჩემი ნამდვილი მდგომარეობა:

„რევოლუციამ არ გაიმარჯვა, რომ ახალ ადამიანად წავმსდგარიყავი ქვეყნის წინაშე. არც დავიღუპე, ყოველ ხიფათს გადვურჩი ჩაუძირავი ნავივით. ჩემ წინ დავინახე ცხოვრების გზა, რომელზე სასიარულოდაც სრულებით არ ვიყავ შეიარაღებული: არც რამე ხელობა, არც დამთავრებული სწავლა.

„ჩემი რევოლუციური სტაჟიც კი აღარავის არ ვსჭირდებოდი.

„მემკვიდრეობით არაფერი გამაჩნდა. მეც არაფერი შემიძენია. ნამდვილი ლარიბ-ლატაკი, უიარაღო ედგეკვარ. ცხოვრების ჯვარედინ გზაზე ასე უმწეოდ.

„თანაც რამდენიმე კვირაში მემკვიდრესაც ველი.

„სწორედ ასეთივე დღეში იყო... მარია ივანოვნაც: არც რაიმე ქონება, არც სამსახური. და ჩქარა დედაც უნდა გახდეს...

„მე ვიგრძენი ჩემი საშინელი უმწეობა, სისუსტე. და ამ სუსტ მხრებზე დაწოლილი უზომო ტვირთი ცხოვრებისა.

„რა დროს ჩემი ცოლი და შვილი იყო! მე მწყურიოდა სწავლა, ცოდნა, გამოცდილება, ქვეყნების ხილვა. მე მინდოდა ნამდვილი შეიარაღება ამ სასტიკ ბრძოლად გადაქცეულ ცხოვრებაში.

„თანაც... მე აღარ მხიბლავდა რევოლუციის სტიქიონთა ძვრაში შენაძენი „ძმათ ნაფიცი". მე დავინახე, რომ აღარ მიყვარდა მარია ივანოვნა. განქრა პირველი სიყვარულის აღფრთოვანება, როცა შენი რჩეული ყველაზე მომხიბლავად გეჩვენება. დადგა ის მოსაბეზრებელი დრო, როცა შენი „რჩეული" ყველაზე უფერულად გეჩვენება.

„მე გადავწყვიტე, რომ არ შემიძლია ცოლშვილის ტვირთის ზიდვა.

„მე უნდა გადავვარდე სადმე.

„მე მინდა სწავლა, ახალი ცხოვრება.

„და... ერთ მშვენიერ ღამეს გავიპარე. დილამდის აღარც კი დავიცადე. გავიპარე და თან წავიღე... მარია ივანოვნას ჰქონდა ოქროს მედალიონი. სასწავლებელი გაეთავებინა საუკეთესოთ და როგორც ღირსეული მოსწავლე — ამ მედალიონით დაეჯილდოებინათ. გაპირვების დროს რამდენჯერმე დავაპირეთ ამ საგანძურის გაყიდვა.

დავაფასებინეთ კიდეც ოქრომჭედლებს: შვიდთუმან ნახევარს იძლეოდენ, მაგრამ ველარ გავიმეტეთ. არა, მარია ივანოვნამ ვერ გაიმეტა, როგორც მურაზი თავის სიყრმისა. თანაც ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით: ვაი თუ უფრო შავი დღე მოგველოდესო. ბოლოს გადასწყვიტა ეს მედალიონი გაეყიდა უკანასკნელ ჟამს და ისე მოელოგინებია. სხვა ალარაფერი საღსარი ჩვენ არ გაგვაჩნდა.

„გავიპარე და... აი, ეს მედალიონიც თან წავიღე ქურდულად.

„ეს იყო მთელი ჩემი ქონება.

„თუ გულის ძილში მიტოვებულ ჩემი ცხოვრების მეგობარს და ჩემ შვილს სულ ერთიან ვაძარცულათა ვსტოვებდი მომავალ განსაცდელთა წინაშე, ამაზე თითქოს ალარ მიფიქრია.

——

„გაიარა დრომ. მე ვიარე, ვისწავლე, ვიცხოვრე. მაგრამ ჩქარა ვიგრძენი, თუ რა საზიზღარი ვერაგობა და სულმოკლეობა ჩავიდინე.

„მე რევოლუციის რაინდათ რომ თავი მომქონდა, ჩემზე მონდობილ მეორე რევოლუციის რაინდს ასე ვუღალატე, ასე გავქურდე შუალამის დროს... ცხოვრების შუალამის ღროს.

„შემდეგ მე ბევრჯერ ვიფიქრე: მოვსძებნო ის ჩემი დაკარგული მეგობარი, თუ კიდევ სადმე ცოცხალი მოიპოვება და ერთი ათად გადავუხადო... მაგრამ მე თვითონ ვგრძნობდი: სიმშილით მომაკვდავიც რომ იყოს, ის ჩემგან არაფერს არ მიიღებს, მხოლოდ ზიზღით შემომხედავს და შეტყვის —

„ — ჰაი შე ქურდოვ!

„დიალ! თექვსმეტი წლის განმავლობაში დავდიოდი და თან დამსდევდა აჩრდილი მარია ივანოვნასი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს სინამდვილეთ იქცეოდა და შემომძახებდა:

„— ჰაი შე ქურდოვო!

„მეტს არაფერს მეტყოდა, მხოლოდ ამას! და მეც ალბად სიკვდილს ვარჩევდი. დიალ, ეს იქნებოდა ჩემთვის ნამდვილი განაჩენი სიკვდილისა.

—

„მე ინჟინერი ვარ — გეოლოგი.

„ცხრაას ოც წელში დავბრუნდი უცხოეთიდან. მას შემდეგ სულ საბჭოთა კავშირში ვმუშაობ სხვადასხვა გამოკვლევებზე.

„შარშან „სვირსტროიში“ გავათავე მუშაობა და გადამგზავნეს ურალის ერთერთ რაიონში ფერად ლითონების ბუდობთა გამოსაკვლევად.

„მივედი დანიშნულ ადგილას. მეორე დღეს გამოვცხადდი მეურნეობის უმაღლეს საბჭოში. მიმასწავლეს განყოფილების გამგესთან. შევედი კაბინეტში და ეს ვხედავ!?

„თქვენ უკვე მიხვდით, ვინც იქნებოდა.

„გავშეშდი ისე, როგორც თქვენ გაშეშდით ვეფხის გვერდში და გადავსწყვიტე, რომ ეს არის ჩემი განკითხვის წამი.

„მარია ივანოვნამ შემომხედა და მიმიპატიჟა თავაზიანად:

„— დაბრძანდით, ამხანაგო!

„მე გადავსწყვიტე, რომ ვერ მიცნო. როცა ჩემს მოწმობებს წაიკითხავს მაშინ კი, მაშინ კი...

„მივაწოდე მოწმობები და ფეხზე მდგომი მოველი განაჩენს.

„მარია ივანოვნამ წაიკითხა და ბუზიც არ აჰფრენია. ვერაფერი ცვლილება ვერ შევატყვე ვერც იმის სახეზე, ვერც კილოში.

„ნუ თუ კიდევ ვერ მიცნო? ეს შეუძლებელია! ის მსაჯულივით მშვიდად მეუბნება:

„— ხვალ მობრძანდით, ამხანაგო, და მაშინ მოვილაპარაკოთ თქვენი მუშაობის გეგმაზე.

„მე აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, რა ვიფიქრო.

„წამოვედი.

——

„მეორე დღეს ორწყალშუა ვარ: ველარ გადამიწყვეტია—კიდევ წავიდე მარია ივანოვნასთან, თუ სულ ერთიანად გადავიკარგო ამ ქვეყნიდან.

„მარია ივანოვნამ უეჭველად მიცნო, მხოლოდ არ ასწრაფდა. მას უნდა მეორე დღემდის უფრო უკეთესად მოიფიქროს ჩემი შერცხვენა.

„ამ დღედაღამეში გავნახევრდი. აღარა ვარ მთელი კაცი. მხოლოდ იმდენი ნებისყოფა კიდევ შემრჩა, რომ გამბედავად შევეგებო ჩემს განაჩენს. ჩემს განაჩენს, რომელსაც ველარსად ვერ გავექცევი. ეს არის გამბედაობა საღრჩობელაზე მიმავალი ანდერძგებულისა.

„მივედი. მარია ივანოვნა თავის ადგილას ზის. ველი... არაფერია.

„— ამხანაგო! მოითმინეთ, მე გაგაცნობთ ტეხნიკურ პერსონალს, რომელთანაც მოგიხდებათ თქვენ მუშაობა.

„ლამის თავი დავკარგო: შეუძლებელია, რომ მარ ი ივანოვნამ არ მიცნო. მაგრამ რას ნიშნავს ასეთი ქცევა? ნუ თუ ეს არის განაჩენი, თექვსმეტი წლის განმავლობაში, რომ ველოდი?

„ამ დროს კარი გაიღო და გარეული შველის სილაღით შემოვიდა ერთი ქალიშვილი. ჩემდაუნებურად მის აღნაგობაში ამოვიკითხე თექვსმეტი წელი. ის მაშინათვე გაეშურა მარია ივანოვნასთან:

„დედიკო! დღეს სადილათ დამაგვიანდება: ექსკურსიაზე მივდივართ ბოტანიკურ ბაღში!

„— წადი! მხოლოდ ძალიან არ დაიგვიანო.

„მე ჩემ თავს ჩემად აღარა ვცნობ. რა ვარ ამ ქვეყანაზე, ამ ხალხთან — ვეღარ გამიგია. და... ჩემდა უნებურად წამომცდა:

„— ასეთი მოხდენილი შვილით მართლაც რომ შეუძლიათ იამაყონ მისმა დედმამამ...

„გოგონა კეკლუცად შეტრიალდა. მარია ივანოვნა კი მიპასუხებს გრანიტად მოკვეთილ სიტყვებით:

„— მე, დიაღ, ვამაყობ. მაგრამ მისი მამა კი ვერ იამაყებს: სანამ ეს ჩემი გოგო დაიბადებოდა, სამი კვირით ადრე გარდაიცვალა იგი.

„გავიყინე, თითქოს იალბუზის წვერზე შიშველი ვიდგე შუაღამითო.

„გოგონა გაიქცა. თან წაიღო... ეჰ, აღარა ღირს!..

„მე ვცდილობ აღვადგინო ჩემი ნიადაგ-გამოცლილი არსება, თან ვლუღლუღებ. მინდა რაღაცა, რაღაცა...

„— მარია ივანოვნა...

„— დიაღ, მარია ივანოვნა მქვიან.

„— მარია ივანოვნა! ეგები მე ზედმეტი ვიყვე აქ...

„— რას ლაპარაკობთ, ამხანაგო! თქვენ გამოგზავნილი ხართ აქ გარკვეული დავალებით! როცა მას შეასრულებთ სავსებით, მხოლოდ შემდეგ შეგიძლიათ წაბრძანდეთ. მაგაზე ხელს ვერავინ შეგიშლით.

„მე სავსებით იარაღაყრილი ვარ. თითქოს დავკარგე უნარი ყოველგვარი არჩევანისა.

„მაშ მარია ივანოვნამ სამუდამოთ დამასამარა, როგორც მამა თავისი კოხტა გოგონასი. ეს არის ჩემი განაჩენი. მაგრამ, როგორ მოხდა, რომ ერთხელ მაინც არ მითხრა:

„— აი, შე ქურდოვო.

„მაგრამ მკვდარსა და სამუდამოთ დასამარებულს რაღა უნდა უთხრას! ალბად ეს არის მიზეზი, რომ არ მაგონებს იმ საშინელ სიტყვას, სიტყვას, თექვსმეტი წლის განმავლობაში თავზარს რო მცემდა.

„მე გამაცნეს საპირო ხალხი და შევუდექი ჩემ საქმეს. მთელი წლის განმავლობაში თავაუღებლად ვმუშაობდი. ვმუშაობდი და ვფიქრობდი. ვფიქრობდი და ვეწამებოდი: ალბად მარია ივანოვნა უკანასკნელ ჟამისთვის ინახავდა თავის საბოლოო განაჩენს. ეხლა არ უნდა საქმეს ავნოს, შემდეგ კი...

კრებებზე, თათბირებზე სხვადასხვა საპირო საქმეებზე მე ხშირად ვხვდებოდი მარია ივანოვნას. მას ერთხელაც არ ულალატია თავისთვის. მექცეოდა როგორც პირველად გაცნობილ ადამიანს, როგორც საპირო საქმის შესასრულებლად გამოგზავნილ ადამიანს.

„ეხლა, მართალია მკვდრათა მთვლის, მაგრამ შეასრულებ თუ არა ჩემს მოვალეობას, მაშინ? მაშინ კი გაიღვიძებს მასში ჯალათი, თუ მსაჯული, შურისძიებისა და გამომშვიდობების მაგიერ მეტყვის:

„— აი, შე ქურდოვო!

ორჯერ-სამჯერ შევხვდი იმ ნუკრია გოგოსაც. მინდა ვსთქვა „ჩემ გოგონას“ მეთქი, მაგრამ ამის თქმაზე ჩემ თავსა ვგრძნობ დანაშაულთა ანთებულ საკირეში. შევხედავდი და ვფიქრობდი: ამას მამა მოუკვდა დაბადებამდე სამი კვირით

ადრე მეთქი. და ასე ვგონებდი — სამარეში მწოლარე! აღმომხდება ეს ფიქრები.

„მხოლოდ ამ ნუკრია გოგონამ არ იცის, რომ „სიკვდილის“ წამებში მისმა მამამ ჩაიდინა საზიზღარი სულმოკლეობაც:

„მან გასძარცვა უკანასკნელი საღსარიდან მისი დედა და თვითონ იგიც.

——

„მე მხოლოდ ერთსღა ვსცდილობდი: ჩქარა გამეთავებინა ჩემი სამუშაო და ბარემ მიმეღო უკანასკნელი განაჩენიც:

„მარია ივანოვნას ასეთ იშვიათ თავდაპერას მე ვთვლიდი უდიდეს რევოლუციურ შეგნებად: მას არ უნდოდა პირადი შურისძიების გამო თუნდა მცირედი დაბრკოლება მიეყენებინა ქვეყნის საალმშენებლო საქმისათვის.

„გათავდა ბოლოს ჩემი სამუშაო.

„უკანასკნელად მივედი განწირული, რომ მივიღო თექვსმეტი წლის წინეთ დამსახურებული განაჩენი.

„მარია ივანოვნა იქ დამიხვდა. მაგრამ... არაფერი.

„ის ჩვეულებრივათ გამომემშვიდობა. თან მოწმობაც მომცა, რომ დავალება თავის დროზე და წესიერად შეეასრულე. შემდეგ გამშორდა.

„ღიაღ! მეტი არაფერი.

„მე წამოვედი ასე.

„მაგრამ ვაღიარებ: მე ეხლა უფრო დარბეულად მიმაჩნია ჩემი თავი, ვიდრე თექვსმეტი წლის განმავლობაში.

„მარია ივანოვნას სფინკსისებური დუმილი ბევრად უფრო სასტიკი გამოდგა, ვიდრე ის სამინელი სიტყვა, რომლის გაგონებასაც გავურბოდი იმდენი წლები.

„ეპლა ხშირად ალმეძვრის ხოლმე გადარეული სურვილი: მივიდე მარია ივანოვნასთან, დავეცე მუხლის ჩოქზე

და შეევედრო: მითხრას, მითხრას ის საშინელი სიტყვა, გულში რომ ჩაუკეტია ცეცხლგამძლე სალაროსავით. მაგრამ უეკველია, ისევ დუმილით შემხვდება იგი და ეს იქნება კიდევ ზედმეტი განადგურება ჩემი!

„ოხ! ნეტავ ერთხელ, ერთხელ მაინც გამეგო მარია ივანოვნას პირიდან—

„— ჰაი, შე ქურდოვო!

ეს უფრო ადვილი ასატანი იქნებოდა, ვიდრე...

——

მატარებელი ისევ მირახრახებს. ეხლა უფრო მკაფიოდ გაისმის მისი ქშინვა და... ჩემი მეზობლის სუნთქვაც.

რა კარგია მგზავრობა!

მოულოდნელად რა ძვირფას რამეს პოულობს კაცი!

1930 წ.

ჩადროსანი

— ზექია-ხანუმ! ეს ხომ შენა ხარ, ზექია-ხანუმ!—

ასე გაოცებული ალტაცებით წამოიძახა ზექია ქალმა, რა თავისი სახე პირველად დაინახა სარკის ნატეხში.

აქნობამდის მან არ იცოდა — რა იყო სარკე.

აპარის მიყრუებულ მთებში ეწვოდა მწყემსობას ზექიას მამა. სილარიბესა და გაჭირვებაში მიდიოდა მათი ცხოვრება. რამდენი რამ აკლდათ ოჯახში — ვინ ჩამოსთვალოს! არც სარკე ჰქონდათ.

ქალაქში ზექია არ ყოფილა. მახლობელ პატარა სოფელში კი ყველა ღარიბი იყო. არც აქა ჰქონდა არავის სარკე. ეს მართლა სიღარიბის ბრალი იყო, თუ უბრალო შემთხვევისა — ვინ გამოიცნობს?

მაგრამ ან რად ჯვინდა მის გამოცნობა! ზექიას არასდროს არ ენახა სარკე და არც იცოდა რა იყო იგი.

ასე იზრდებოდა თექვსმეტ წლამდის ზექია ქალი. მას ერთხელაც არ დაუნახავს თავისი სახე სარკის გულში.

ზოგჯერ, ზაფხულში, შუადღეს გულზე გახურებული გუნებით რომ დასწაფებია მთის ანკარა წყაროს — მის სილრმეში დაუნახავს თავისი სახე. მხოლოდ ეს სახე ჩრდილის მსგავსად ყოველთვის შავად ეჩვენებოდა. ნუ თუ თალხი ჩადრის გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ მის ახლის დროსაც ისევ რჩებოდა რაღაც ბინდი ზექიას თეთრ სახეზე? და თეთრი რომ იყო ზექია-ეს თვითონაც კარგად იცოდა. მასთან შემთხვევით მოსულ ტოლებს რამდენჯერ შეუნატრიათ ალტაცებით:

— რა თეთრი ხარ, ზექია!

— ნეტავი შენ წამყვანს, ზექია!

და ჩქარა კიდევაც გამოჩნდა ზექიას წამყვანი.

ახალგაზრდა ომარმა ულელ ხარათ იყიდა მშვენიერი ზექია.

მას ულელ ხარზე მეტი არც გააჩნდა სხვა საქონელი. მაგრამ უხაროდა მაინც, რომ თავისი გულის სწორი ასე იაფად იყიდა—სულ ულელ ხარად!

და როცა მოიყვანა იგი მამისეულ ღარიბ სახლში, პირველად აქ დაინახა ზექიამ თავისი სახე—სარკის ნატეხში.

გაოცდა ქალი ამ არხილულ მშვენიერებაზე. დიდხანს უცქირა დატყვევებულივით თუ მლოცველივით თავის მადლიან სახეს და...

და გული დასწყდა, რომ ამ სახეს ჩადრი აფარია! რომ ეს სახე სიცოცხლივ არის დასამარებული ქვეყნის უხილავად.

ზექიას არც აქამდის ეხალისებოდა ჩადრს უკან მალვა, მაგრამ სწორედ ზალა იგრძნო მწვავედ მთელი სიმძიმე და საშინელება ჩადრისა.

თითქოს იქ, სარკეში თავის საბესთან ერთად ალმოიკითხა, რომ ჩადრის ტარება დანაშაულია. დანაშაულია—თავის თავისა და ქვეყნის წინაშე.

მაგრამ ვის გაუმხილოს ეს დანაშაული? ვინ გაიზიარებს ქარტეხილივით ამოვარდნილ მის აღშფოთებას?

— არავინ! არავინ.

ზექიამ გაბოროტებული სისწრაფით ჩამოგლიჯა ჩადრი და შუამიანი გველივით მიაგდო კუთხეში.

მაგრამ ეს ვისი ხმაა ეზოდან?

— ზექია-ხანუმ! ზექია-ხანუმ.

ზექიამ დიდ დამნაშავესავით ისევ საჩქაროდ მოსძებნა ზიზღით გადასროლილი ჩადრი, ჩამოიფარა სახეზე და გავიდა კარში.

ეს იყო ზექიას მაზლი--მამედ და მისი რძალი—ნუნუმ. ელაპარაკნენ რაღაც ოჯახურ საქმეებზე, საქონელზე. ზექია უპასუხებს მშვიდათ, მკაფიოდ. მაგრამ არავინ ხედავს, თუ შავ ჩადრს უკან როგორ სცვივიან მდუღარე ცრემლები. არავინ ხედავს ზექიას ანთებულ სახეს, არც იმის აღშფოთებულ გულს.

მას წინ აჰფარებია საიდუმლოების საზარელი კედელი— საზარელი ჩადრი!

* * *

ზექიას როგორ შეუყვარდა ის სარკის ნატეხი! თავისუფალ დროს, მარტოობის დროს დათ შეფიცულივით მისჩერებოდა იქ თავის სახეს.

— რათა, რათ უნდა იყვეს დამალული ხალხისაგან ადამიანი? თუ კი ომარი უცქერის თავისუფლად ქვეყანას, მზეს, მთებსა და მინდვრებს, ის რაღად უნდა იმალებოდეს ყველასაგან რაღაცა დამნაშავესავით?

აქ ზექია გულში მოხვედრილი ისარივით იგრძნობდა რაღაც უნუგეშო მარტოობას და შეებრალებოდა ხოლმე თავისი თავი, როგორც ობოლი, დაკარგული, განწირული დასალუპავად.

როცა მიწაში იწვება ზექია, რომ შერჩებოდეს სიცოცხლის გრძნობა, ალბად საფლავის ლოდი იმაზე მეტად არ დაამძიმებდა, როგორც ამძიმებს ეხლა ეს შავი ჩადრი.

როცა ომართან მოვიდოდენ მეზობლები, ამხანაგები, ზექია უნდა მორიდებოდა სადღაც გარეთ, მიყრუებულ კუთხეში. ამ დროს ზექია თავის-თავს გრძნობდა ოთხფეხის სწორად, გალახულ და გარეულ გამოგდებულ ოთხფეხის სწორად.

მაშინ ზექიას გაალმასებული აფთარივით უცემდა გული. მაშინ აღეძროდა ხოლმე თავბრუდამხვევი ეინი — ქარივით

ძიჭვლიჯ-მოგლიჯოს ეს მოსაბეზრებელი ჩადრი. შეიჭრას იქ, კაცებთან, გასწორდეს გულმართალი, ამაყი ადამიანივით და შესძახოს... და შესძახოს:

— მეც მინდა ვიყო თქვენთან! მეც შემიძლია ლაპარაკი! მეც შემიძლია რჩევა და აზრის გამოთქმა! მეც მინდა ვუცქირო და ვუსმინო ყველას! მეც ადამიანი ვარ!

მაგრამ... რალაც ბორკილები ადამბლავებდენ მთელ მის არსებას. და ამ ბორკილებს ფეხებზე კი არა გრძნობს, არამედ — სახეზე, თავის მშვენიერ სახეზე.

* *

ერთ დღეს ზექიამ ძროხა გამოიყვანა გზის პირად ტყეში. ზაფხული იყო. სიცხის ბუღი ტრიალებდა ჰაერშიყველ-გან. მთელი ბუნება, მთელი გარემო თხოულობდა სილაღესა და თავისუფლებას. ადამიანი თითქოს აქ უნდა გამოდიოდეს მხოლოდ სანებივროთ და სანეტაროდ. ყველაფერ ამას თავდაუჭერელ ცდუნებად გრძნობს ზექია-ქალი. მაგრამ ეს წყეული ჩადრი როგორ საგანგებოდ ამძიმებს მაინც იმის არსებას!

— ვინ მოიგონა, რათ მოიგონა მარტო ქალების დასათრგუნავად ეს სახის... არა, მთელი სიცოცხლის დამსამარებელი საბურველი?

გული უწუხს ზექიას. სულიც ეხუთება. ყოველი მწერი, ყოველი ჭიანჭველა თავისზე ბედნიერად ეჩვენება. უბრალო ხის ან რომელღაც მცენარის ბედიც კი უფრო სახარბიელოა, ვიდრე ჩადრით სახეჩაბნელებულ ზექიასი.

უეცრივ ეს რა ხმაური ისმის შორიდან?

ეს რა მოჰქრის შავი ვეშაპივით ასე სწრაფად?

— ჰოო! უხარებო და სწრაფმა „ურემმა“ ერთხელაც გაიარა აქეთ, მაგრამ მაშინ კარგად ვერ დაინახა ზექიამ. ეხლა მაინც...

და ზექიამ მარჯვედ მოქნეული ხმალივით აჭრა ხელი თავის ჩადრს, რომელიც ზურგზედ ჩაეფინა — შავ ნაწნავებთან.

ის გულხელდაკრეფით მიეყუდა ხეს და განცვიფრებული შველივით მისჩერებია უცნაური ალიაქოთით მომქროლავ ჯადოსნურ ეტლს.

აგერ მოახლოვდა კიდეც იგი. შიგ სამი კაცი ზის და ორიც ქალი... უჩადროთ. მან დამფრთხალი ვეშაპივით გაისრიალა წინ და მიესწრაფის საითლაც შორს.

შიგ მჯდომმა კაცებმა თვალი მოჰკრეს ზექიას. ყველამ მოიტრიალეს თავი და ლიმილით ან ეგები გაკვირვებითაც მისჩერებიან ტყის მომჯადოებელ ალულივით გადმომდგარ ზექიას.

მიჰქრის საზლაპრო ეტლი და შიგ მჯდომნი ვერ აშორებენ თვალს მათკენ ლიმილით მაცქერალ დედოფალს.

ბოლოს შესრიალდა ტყეში და გაჰქრა სამუდამოთ.

— ნეტავი თქვენ! ნეტავი თქვენ!

ამოიკვნესა ზექიას გულმა. და მისმა ხელმა კი მძიმე სასჯელივით ისევ ჩამოუშვა სახეზე პირქუში ჩადრი.

* * *

სასოფლო კრებაა. ყველა უნდა დაესწროს იქ. ქალებიც უნდა იყვნენ უეჭველად. მეტადრე ისეთი ლარიბი — როგორც ზექია.

დანიშნულ დროს ყველა იქ არის, არც ზექია დაჰკლებია. მაგრამ ვინ შეატყობს — ზექიაა ის, ნუნუშა, თუ სხვა ვილაც გადამთიელი? ყველა გამოხვეულა შავ სუდარაში უსახურად, უსახელოდ, უცნობლად.

დაიწყო კრება. შინაურების შემდეგ მაღლა ავიდა ბათომიდან მოსული ახალგაზრდა. მან საკმარისად ილაპარაკა ბევრ სხვა ამბებზე და ერთიც ვნახოთ...

ეს რაზე ლაპარაკობს?

ჩადრის წინააღმდეგ! ის ამტკიცებს, რომ ჩადრი საშინელებაა! ეს მონობისა და ჩაგვრის მომასწავებელია! ის უნდა მოისპოს, როგორც ნაშთი დრომოჭმულ ადათ-ჩვეულებისა! ამგვარად სამუდამოდ უნდა გათანასწორდნენ ერთმანეთში ქალი და კაცი!

რო, ზექიას არ უნდა ამისი მტკიცება. ამას თითონაცა გრძნობს. სახე ულიმის ნეტარებით. თვალებში სიხარულის ცრემლი მოსდის მაგრამ ვინ ხედავს ჩადრის უკან მის მღელვარებას! მას უნდა ეხლავე აიგლიჯოს ეს სულის შემხუთავი ჩვარი და დაანახოს ხალხს — თუ როგორ უხარია თავისუფალი სახით გაელა ქვეყანაზე, მაგრამ ვაი თუ...

ამას რას ამბობენ? კარგა დაუგდეთ ყური?

ბათომში ყრილობა იქნება აპარელ და თურქ ქალებისა? დელეგატებათ არჩეული არიან... უჰ! რამდენი ნაცნობებია! და ზექია სურმანიძეც!

ზექიას სჯერა და არცა სჯერა.

ნუ თუ მართლა ასე ჩქარა შესრულდება მისი ნატვრა!

* * *

დიალ, ყველაფერი ეს ცხადია, მაგრამ როგორა ჰგავს რალაც მომხიბლავ ზღაპარს, ან ლამაზ სიზმარს!

ამოდენა დარბაზი! ამდენი ხალხი! ამდენი სინათლე!

ქალები და კაცები ერთად სხედან! რალაც სამოციოდე ქალის გარდა ყველა უჩადროთ არის!

ეს მეორედ მოსვლაა! სანატრელი, საბედნიერო მეორედ მოსვლაა!

ზექიას მთელ სიცოცხლეში არ ახსოვს ასეთი სიხარული. ის ჩქარ-ჩქარ გაჰხედავს იქვე, ნაპირზე, მდგომ ომარს. უნდა ლიმილით გაუზიაროს თავის გულში დაზღვავებული ნეტა-

რება. ომარიც იცქირება მისკენ, მაგრამ ხედავს მხოლოდ ჩადრს და არა ზექიას მოზეიმე სახეს.

აგერ სალაპარაკოზე წამოდგა სანდომიანი სახის მოხუცი.

რა გასაგებ და სადა რამეებს ამბობს. ზექიას ისე ეჩვენება, თითქოს ამ მოხუცს სათუთად აუკრეფია ყველა ის ფიქრები, რომლებიც მას დაუბნევია იქ, თავის მიყრუებულ კუთხეში, მარტოდ ყოფნის დროს.

გათავდა ლაპარაკი. ყველა ტაშს უკრავს. ყველა ხმაურობს. ნამდვილი დღეობაა, იშვიათი დღეობა, რომლის მსგავსსაც ნუ თუ კიდევ ნახავს ოდესმე ზექია!

აგერ ეხლა სხვები ავიდენ სალაპარაკოდ. ერთი, ორი... ათი.

ყველა იძახის.

— ძირს ჩადრი!

და მთელი დარბაზიც დიდი მთების გამოძახილივით ბანს აძლევს —

— ძირს ჩადრი!

ყველაზე თავგამეტებით კი გაჰკივის ზექია. რატომ მისი ხმა არ ისმის ყველასაგან გარჩევით? საგანგებო ზარივით?

აგერ ქალებიც ადიან სალაპარაკოზე! აჭარელი, ჩადრიანი ქალებიც!

წყალში რომ საბანაოდ ჩასცვივიან ხოლმე, ისეთი სიხარულითა და ძალღონის გამოფხიზლებით გაჰკივიან:

— ძირს ჩადრი!

აგერ ვილაც შორიდან მოსული აღგზნებულათ ლაპარაკობს და ბოლოს მიმართავს აჭარელ ქალებს.

— სალამი თქვენ სახეს! თქვენ თავისუფალ სახეს!

აქ წინა რიგები ირღვევა. გამბედავათ მოდის ხალხში ერთი ჩადროსანი.

მარჯვეთ ადის სალაპარაკოზე. ფრაზებგაშლილი ყორანივით გადაიფრიალებს უკან ჩადრ: და . ომარის თვალები რაზს ხედავენ?

იმისი ზექია გამარჯვებული დედოფალივით სდგას შუა ხალხში და ლაპარაკობს კიდეც. ომარი უცქერის, უსმენს ზექიას და ველარ გაუგია — რა სასწაული ხდება იმის გარშემო:

ზექია, იმისი კარგი ზექია, არასოდეს არ ყოფილა ასე მშვენიერი. ეს ხომ ნამდვილი მზე არის — ზაფხულში მთების გულიდან ამომავალი! რატომ წინედ არასდროს არ შეუმჩნევია, რომ ზექია ასეთი ლამაზია, ასეთი ტანადია, ასეთი... ოო, სულ სხვანაირია;

კარგზე-კარგი, სათაყვანოზე სათაყვანო, იმისი ხმა ხომ მიმინოს ფრთებით გაპრილ ჰაერის მკვეთრი ხმა არის.

ომარი ცოტა გამოერკვია თავბრუდამხვევ ბურანიდან და ესმის ზექიას უკანასკნელი სიტყვები:

— აქამდის არაფერი არ ვიყათ, ეხლა გავხდით ადამიანები!

— აქამდის ღამე იყო ჩვენთვის. ეხლა გაგვითენდა!

— ძირს ჩადრი!

აგერ ხალხს კიდევ მოარღვევს ვილაც. უფრო გამბედავათ, უფრო სწრაფათ, ვიდრე ზექია. ყველა გზას უთმობს წამაქეზებელ გულკეთილობით... და რა შეხვდავს ზექია სალაპარაკოზე ხარ-ირემივით ამოპრილ ვაჟკაცს — იმაში იცნობს თავის ომარს.

ომარმა თითქოს შეიბერტყა თავისი განიერი მხრები და...

— ხალხო!.. ამხანაგებო! სირცხვილი ჩვენ, კაცებს, რომ აქამდის ვიტანდით ჩვენი დედების, ჩვენი ცოლების, ჩვენი შვილების დამცირებას... ამიერიდან ყველა თანასწორი ვიქნებით — კანონში და ცხოვრებაში. ასე მგონია ჩემი

ცოლი აჟაძდის უცხო იყო და მხოლოდ ეხლა გავიცანნამდვილად, როცა ჩადრ-ჩამოხსნილსა ვხედავ...

აქ ალტაცებით მიუბრუნდა ზექია ქალს.

— მაშ გამარჯობა ჩემო ზექია! ძირს ჩადრი!

— გამარჯობა, ჩემო ომარ! ძირს ჩადრი!

ხელი ხელს გადაეჭდობა და ბაგეც-ბაგეს.

შავი ზღვის მსგავსად ამძვინვარებულ ხალხში გაისმის ტაშის გრგვინვა, საზეიმო ძახილი...

ზექია და ომარს კი ჰგონიათ, რომ ეხლა იხდიან ნამდვილ ქორწილს, იშვიათ ქორწილს, ყველაზე დამათრობელ ქორწილს.

1929 წ.

აულებელი სიმაგრე

(თავისუფალ სვანეთის ცხოვრებიდან)

თავისუფალ სვანეთში სოფლიდან-სოფლად დაჰქრიან შიკრიკები და ასმენენ ხალხს დაუჯერებელ ამბავს.

— ფუთა დადეშქელიანი მოდის ჩვენი მხარის დასაპყრობადო!

თავისუფალ სვანეთის ლამაზ და მიუვალ კოშკებში მცხოვრები ვაჟკაცები არასდროს არ გაშმაგებულან ისე მძლავრად, როგორც ამ ამბის გაგონებაზე.

— ფუთა დადეშქელიანი მოდის ჩვენი მხარის დასაპყრობადო!

* * *

ვაჟკაცის ნაცად მარჯვენით ნასროლი ისარიც კი ვერ ასწვდება ინგურის თავზე ჩაფიქრებულ რაინდივით ალმართულ კლდის ნაპრალს.

იქ არწივის საბუდარივით მოსჩანს კვირიკეს მონასტერი.

გალავნის შავათ გამორღვეული გულიდან ბრინჯაოს უშიშარ ქანდაკებასავით გადმომდგარა მოხუცი ფანგანი. გადმომდგარა და მაგარი კლდის ნამტვრევებივით ძირს სოფლებში სცვივა მისი მქუბარე ძახილი.

— ხალხო, აქეთ წამოდით!

— უფიცოთ საქმე არ გაკეთდება!

— არც ერთი ვაჟკაცი არ დააკლდეს!

— ყველა აქეთ, აქეთ!

ქვევით ინგურის გალმა სოფელ მუხდარში დაგროვილი ხალხი შეირყა შავი ვეშაპივით ამ მედგარ ძახილზე.

— მოვდივართ, მო!

და ეს შავი ვეშაპი, ეს ძლიერი ვეშაპი, რაღაც მღელვარე გუნებით გადავიდა ტივის ხეებზე მოქანავე ხიდს და შეერია ნაძვნარიან მწვანე გორას — მონასტრისაკენ.

* * *

კვირიკეს მონასტრის გალავანი ძლივსლა იტევს თავისუფალ სვანეთის ვაჟკაცებს.

აქავე არიან ჯერ მხოლოდ მწყემსობაში გაწვრთნილი ვაჟები და ნადირობაზე უკვე ხელაღებული მოხუცებიც.

მაღალი არის მესტიიდან, ლატალიდან და მულახიდან გადმოსავალი ულვირის ულელ-ტეხილი. ძნელი და სახიფათოა უშგულიდან და ხალდეედან მომავალი კლდოვანი ბილიკები, მაგრამ არცერთი მოხუცი არ დაჰრიდებია ამ სიძნელეს. თავისუფალ სვანეთის საფრთხეს ისევ ძველებურ გაუმაგრებია იმათი გული. ისევ ძველებურ გაუმაგრებია იმათი მუხლი.

ეხლა ყველანი აქ არიან, სადაც სცემს თავისუფალ სვანეთის ყველა ვაჟკაცის გული.

გვერდელათ დაქანებულ გალავნის თავზე ჰგდია ის დიდი მოგრძო ლოდი, რომლის აწევითაც თავმომწონე ყმაწვილები სცდიან ხოლმე თავიანთ ძალ-ღონეს ერთმანეთთან შესატოლებლად.

ამ ლოდზე წამოდგა მრისხანე სახით მოხუცი ფანგანი.

— ხალხო, და ჯამაათო!

ხალხი დადუმდა. ხალხი მოწიწებით ისმენს.

— ასეთი ამბის გაგონებაზე მთებიც კი უნდა შეირყეს, არამც თუ გული ვაჟკაცებისა. ჩვენი თავისუფლების მზეს ჩაყლაპვით ემუქრება დადეშქელიანთ უძღები ვეშაპი. რას იტყვით ამაზე?

— თავისუფალი დავბადებულვართ, თავისუფალიც უნდა ჩავიდეთ სამარეში!

— თუ მზის ამოსვლასა და ჩასვლას წინ დაუდგება ვინმე, მაშინ ჩვენი თავისუფლებაც მოისპობა!

— თუ ინგურის შეგუბებას შესძლებს ვინმე, მაშინ მოახერხებს ჩვენს დამორჩილებასაც!

— თუ მაღალი უშბა მოიდრიკება, მაშინ ჩვენც მოვიდრიკებით!

— ჩვენ, რომ დადეშქელიანის ბატონობა შევიფეროთ ეხლა, მამა-პაპის ძველებიც კი ადგებიან სამარიდან ჩვენ შესარცხვენად.

ხალხი ასე აკვესებს ცეცხლოვანად თავის რისხვას და გულის ნადებს.

— ერთი კიდევ გაგვაგონეთ იმ თავხედის დაბარება!

— კიდევ გვითხარით, თორემ არა გვჯერა მისი სირეგვნე!

უშგულის მამასახლისი ადის მძიმე ლოდზე.

— მოციქულად ვიყავით უშგულისა, კალისა და ლატალის მამასახლისები. დადეშქელიანმა გადაწყვეტით დაგვავალა: თუ არ დამმორჩილდა თავისუფალი სვანეთი, მაშინ შემოვალ ჩემი ლაშქარით და ისე დავიპყრობ ძალითო. ვადა ხვალამდისა გვაქვს კიდევ. ეხლა თქვენ იცით და თქვენმა თავგამოდებამ, რა პასუხსაც გასცემთ.

— არცა გვყოლია ბატონი და არც გვეყოლება!

— სანამ თავი მხრებზე გვაბია ვინ დაგვიმონებს!

— დროს ნულარ ვკარგავთ! დავლესოთ ეხლავე ჩვენი ხმალ-ხანჯალი!

— თოფებიც დავფეროთ!

— ლატალის უბე გავამაგროთ. რომ ერთი ფეხიც ვერ გადმოდგან აქეთ!

— ჩვენ თვითონ წავიდეთ პირდაპირ ბეჩოზე!

— წაეიდეთ ბეჩოზე! ბარემ დავასწროთ შეტევაცა და გამარჯვებაც!.

ისევ უშგულის მამასახლისი ადის ლოდზე.

ყველა სმენად იქცა.

— აჩქარებითა სოფელი არავის მოუპამიაო. ჩვენი ციხე-კოშკები აუდებელია უძლიერესი მტრისგანაც კი. მაგრამ ციხეებზე მაგარი თვით ჩვენი მკლავია და ჩვენი გული. დადეშექლიანი გვემუქრება ჩვენი მოძმე სვანებით. ისინი პირუტყვი მონებივით მოურეკია ჩვენ საზღვართან და ძმებს ძმების სისხლით უნდა მოგვასვრევინოს ხელები. კაცობაც მაშინ დავიტრაბახოთ, თუ არ მოვექცევით მის ნასროლ ბადეში!

— მაშ, როგორ მოვიქცეთ!

— გვირჩიეთ, რა ვქნათ!

— სიტყვა შენი და გაგონება ჩვენი!

— მაშ, სმენა! ჯერ დავიფიცოთ ყველამ ჩვენ ბრძოლაზე და თავისუფლებაზე! დაინგრევიან მთები, უკუღმა გადბრუნდებიან მდინარენი. დადნება თოვლი თეთნულდის წვერზეც-კი, მაგრამ ამ წმინდა ადგილას დადებული ფიცი არ გატეხილა, რაც არსებობს მოდგმა სვანების! არც გატყდება ვიდრე იარსებებს მოდგმა სვანების! მაშ ვისაც ძალა არ შესწევს ფიცის შესრულებაზე, სჯობია ეხლავე დასტოვოს ეს კრებული!

— ვინც მშიშარაა წავიდეს!

— ვინც ლაჩარია დაგვტოვოს!

— ვინც მოღალატეა გაგვშორდეს!

ფეხს არავინ იცვლის.

— ჩვენში არავინ არის მოღალატე!

— არც მშიშარა!

— არც ლაჩარი!

მამასახლისი განაგრძობს:

— მაშ, დავიფიცოთ: ქალის ლეჩაქი ეხურეს, ულვაშ-გაპარსულიმც ყოფილიყოს და ქვეყნისაგან შეჩვენებული, ვინც მსხვერპლად არ დაედოს ჩვენი მხარის თავისუფლებას.

— ამინ!

— ამინ!

— თავზე ჩამოენგრეს ცის სიძაღლე! ფეხქვეშ გაეცალეს დედამიწა! შაამად შეერგოს დედის რძე, ვინც თავი დაზოგოს სვანეთის თავისუფლებისათვის!

— ამინ!

— ამინ!

— ეფიცავთ ჩვენ ქალს, ჩვენს მარჯვენას, ჩვენ წინაპრებსა და შთამომავლობას, რომ არ გატყდება ჩვენი ფიცი, სანამ მკერდში გული გვიცემს და მხრებზე თავი გვაბია!

— ეფიცავთ!

— ეფიცავთ!

— კვირეკეში დადებული ფიცის გამტეხი ჯერ არ უნახავს თავისუფალ სვანეთის მთებს და ვერც შემდეგში ნახავენ! მაშ, ეხლა თვით საქმეზე მოვისმინოთ:

— დადეშქელიანი ჩვენ გვებრძოლება ისევ ჩვენივე ზეძმე სვანების ხელით. მოდი, შევეცადოთ, რომ ხადბინ სისხლი არ დაიღვაროს!

— მაგას რა საჭიროა!

— შავრამ როგორ!

— ისევ შენ გვითხარი ჭკვიანი სიტყვა!

მამასახლისმა სასტიკათ მიბოლავლო თვალი ეროელ კრებულს და წელში უფრო გაიწორდა კიდევ.

— საქმეს მეთაური აკეთებს. თუ მეთაური არა ჰყავს, საქმეც დაღუპულია. ჩვენზე ილაშქრებს ფუთა დადეშქელიანი და არა ის ხალხი, ვინც მას მოუდის. ჩვენი დამორჩილება სწყურიან ფუთას და არა მის მონათქცეულ პირუტყვ ხალხს.

— მართალია!

— მართალია!

— თუ მართალია, მაშ, მოვკლათ ფუთა. ჩამოვაშოროთ მეთაური და უიმისოდ ვეღარავინ გაგვიბედავს შებრძოლებას!

— კარგია!

— საუცხოვოა!

— მხოლოდ, როგორ?

მამასახლისის თავში უკვე გადაწყვეტილია პასუხი:

— აქ შემოვიტყუოთ დადეშქელიანი. გავუგზავნოთ კაცები. გამოვუცხადოთ მორჩილება. შემოვიპატიჟოთ აქ, როგორც ჩვენგან აღიარებული ბატონი და მერე თავიც აქ დავატოვებინოთ!

ბ ,ლამ მოიწონა უხუცეს მამასახლისის სიტყვა.

აირჩიეს პატივცემული პირები და წარგზავნეს დადეშქელიანთან სამოციქულოდ.

* * *

უშგულის მახლობლად, მაღალ გორაზე, თამარის კოშკებიან ნანგრევებთან, შეგროვილან თავისუფალ სვანეთის რჩეული ვაჟკაცნი.

ძირს აწყვეტილი ვეშაპივით თავზარ დაცემული ღრიანცელით კლდიდან კლდეებზე გადადის გიჟი ინგური.

შორიდან თეთრნაბდოსან გოლიათებად წამომდგარან ერთი-ერთმანეთზე მაღალი მთები.

ხევის პირად შეყოლებულ სოფლებიდან კი საბრძოლველად გაძღადებულ ვაჟკაცებივით იცქირებიან მაღალი და წერწეტა კოშკები. მათის ცქერით ყველა სვანში იღვიძებს შეუპოვრობა, ძალა და იმედი.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილა გაზაფხულის პირველი ბალახით აბიბინებულ გორაზე და იგონებს ბევრ სასახელო დღეებს სვანეთის ცხოვრებიდან. მრავალი ამბავი და ლეგენდა ახლად ისხამს ხორცს ფერად-ფერად გადმოცემებში. მაგრამ ყველაზე გატაცებით მაინც მსჯელობენ დადეშქელიანის მუქარაზე. თან ყველას მოთმინების ფიალა ევსება, სანამ თავხედ ბატონს ხელში ჩაიგდებენ და შეანანებენ ამ წუთი სოფელს.

მთის შეტყიანებულ ზურგზე გამოჩნდენ რაღაც მოძრავი შავი წერტილები.

— ნეტა ვინ არიან!

— ჩვენებია, თუ უცხონი?

— ბექავ, შენ უფრო ნაცადი თვალი გაქვს ჯეირნებზე ნადირობაში. აბა გახედე, ვინ არის ასე მარჯვეთ რომ ვადმოდიან ქედიდან-ქედზე?

ბექამ ხელი ჩამოიფარა თვალებზე და მიაშტერდა მთეპის შუაგულს.

— ჩვენი კაცები არიან!

— რა ჩქარა დაბრუნებულან.

— ნეტავ რა ამბავი მოაკეთ!

ზოგი გორიდან ძირს დაეშვა, რომ წინ მიეგებოს მოციქულებს და ჩქარა გაიგოს რაიმე ამბავი.

ცოტა ხნის შემდეგ, მოციქულებიც შუა ხალხში დგანან და ხმამაღლა აუწყებენ ყველას.

— დადეშქელიანს მოწიწებით ვაუწყეთ ჩვენი დამორჩილება. ჩვენი მოწვევაც მიიღო იმან. მაგრამ მაინც გული არ ენდობა და მოითხოვა ძევლებად გამომიგზავნეთ ოცი

რჩეული ვაჟკაცი და მათ შორის უშგულის მამასახლისის შვილიცო.

ხალხი შეირყა.

მამასახლისი ყველას მედიდურად გადააავლებს თვალს.

— რას იტყვით ხალხო, ხმა ამოიღეთ?

ხალხი ერთბაშად ამღელვარდა. ლომების გრგვინვაც არ იქნებოდა ისე ძლიერი, როგორც იმათი შეძახილი.

— ცოცხალს ვერავის ჩავუგდებთ ხელში!

— იქ მძევლად ვისმეს გაგზავნა, ეს ხომ ყველას სიკვდილს ნიშნავს!

— მაშ ისევ ვიბრძოლოთ!

— იარაღი ავისხათ ყველამ! და ვეკვეთოთ, როგორც ცოფიან ნადირს.

— რაღას ჭოჭმანობ ჭკუანაცადო მოხუცო?

კარგა ხანს კიდევ გაისმის ალიაქოთი, მუქარა და ბრძოლის ხმები.

მამასახლისი ისევ აიმართა დედა-ბოძივით ხალხის შორის. ყველა სმენათ იქცა.

— ხალხო, ოცი კაცის სიკვდილი სჯობია, თუ ასისა და ათასის?

— ნებით ოცის სიკვდილს, ბრძოლაში ათასის სიკვდილი სჯობია!

მამასახლისი წარბს არ იხრის:

— ვინც მძევლად წავა უეჭველად ხომ სიკვდილს არ ელის! ბრძოლაში ბევრი დაიღუპება. და ზარალიც დიდი იქნება. ჩვენ მარტო შემოვიტყუოთ დადეშქელიანი. თავი გავაგდებინოთ. შემდეგ კი უიმისოდ ველარავინ გაბედავს ჩვენთან შებრძოლებას. დადეშქელიანს ალბად მხლებლები წამოჰყვებიან. ისინი ცოცხლად დავსტოვოთ და მერე იმათით გამოვისყიდოთ ჩვენი მძევლები. ჩემი შვილი იქ-

ნება პირველი მძევალი. აბა, ოცი ვაჟკაცი სხვა ვინ იქნება, რომ უშიშრად წარსდგეს მტრის ბანაკში?

— რადგან ეგრეა, მაშ მეც წავალ!

— მეც წავალ!

— მეც!

— მეცა!

— ვინც თანახმაა მძევლად წასვლაზე, განზე გადექით.

აქ თითქოს ერთმანეთის დასწრებით ყველა გადიოდა განზე და ბოლოს მთელი ხალხი გადადგა მეორე მხარეს.

მამასახლისი აღტაცებულია.

— ვინ დაამარცხებს თავისუფალ სვანეთს, როცა მთელი ხალხი მზად არის საბრძოლველად და თავგასაწირად! მაგრამ, ხალხო, ოცი კაცია საკმარო, მარტო ოცი კაცი! ახლად გადმოვიდეს განზე, ვინც თანახმაა მძევლობაზე!

— ჩვენ ყველანი მზად ვართ!

— ყველანი!

— ყველანი!

და თანდათან ისევ მთელი ხალხი გადავიდა მეორე მხარეს.

მამასახლისი ღელავს.

— რამდენიც ვაჟკაცია, იმდენიც ცოხეა თავისუფალ სვანეთში! თქვენ კი გენაცვალეთ ეხტიბარში! რომელი დადეშქელიანი დაიმორჩილებს თქვენისთანა ლომ-გულებს!

— მაგრამ, რადგან ყველა ცილაობს მძევლობაზე, მაშ მეტი ჯანი არ არის კენჭი უნდა ვყაროთ, თუ ვის ერგოს ეს რაინდული და საპატიო მოვალეობა ჩვენი ქვეყნის წინაშე!

კენჭი ჰყარეს და გამორჩეული ოცი ვაჟკაცი, უშგულის მამასახლისის შვილის მეთაურობით, გაუდგენ ბეჩოში დაბანაკებულ ფუთა დადეშქელიანისკენ.

უშგულ'ში კი ხალხი შეუდგა მზადებას თვით დადეშქელიანის „შესახვედრათ".

* * *

მაგრამ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ სადავოდ გადაიქცა:

— ვინ უნდა მოჰკლას დადეშქელიანი?

— ვის უნდა მიეცეს უპირატესობა?

სულ ყველა ეცილება ერთმანეთს ამ მოვალეობაზე.

უშგულის მამასახლისს კი უნდა, რომ სწორედ იმის ტყვიამ გაურღვიოს გული დადეშქელიანს.

ხალხში ᲓᲘᲓᲘ ალიაᲝᲗᲘ გამოიწვია ამ ცილაობამ.

— არა, მე მინდა მოვკლა!

— ის ჩემზე მეტი რითია!

— მე ვისზე ნაკლები ვარ!

— ვანა მე კი არ მიყვარს თავისუფალი სვანეთი?

— მე არავისზე უკან არ დავდგები ასეთ საქმეში!

— ან მე რაღა ლაჩარი მნახეთ!

ასეთ აყალ-მაყალში — კინალამ სისხლამდი მივიდა საქმე.

MᲨᲘᲜᲔᲚᲐᲓ და მომრიგებლად ისევ მამასახლისი გამოვიდა.

ხალხო და ᲯᲐᲛᲐᲐᲗᲝ, რადგან ყველას ენატრება დადეშქელიანის სიკვდილი, მაშ, მოდი, ასე გადავჭრათ საქმე:

ხალხი გულმოდგინედ უსმენს.

— ᲙᲕᲔᲚᲐᲛ თავის ტყვიას ჩამოაჭრას თითო ნათალი. ამ ნათლებიდან ჩამოვასხათ მთლიანი ტყვია და ასე ყველას ექნება მონაწილეობა დადეშქელიანის მოსაკლავ ტყვიაში.

ხალხი აღტაცებაშია ასეთ გადაწყვეტით.

ყველა აჭრის თავის ტყვიას თითო ნათალს, ზოგიერთი აჭარბებს გულმოდგინეობაში და სქელ-სქელ ნაჭერს ათლის.

ეს ყველას შემოწირული ნათლები გადაადნეს და ჩამოასხეს მთლიანი ტყვია. მხოლოდ ეს ტყვია იმოდენა გამოვიდა, რომ ვერცერთი თოფის ლულა ვერ ჩაიტევდა.

ახლად გადაადნეს, გაჰყვეს შუაზე და ისე ჩამოასხეს ზომიერი ტყვია.

მაგრამ ვინ უნდა ესროლოს?

უმთავრესი სწორედ ეს არის: ვის მარჯვენამ უნდა მოუღოს ბოლო თავისუფალ სვანეთის დაუძინებელ მტერს?

აქ ისევ ახლად გაჩნდა ცილობა: არა ჩემია კუთვნილი და არა ჩემია.

— მე საუკეთესოდ ვიცი მიზანში სროლა!

— მე გაჭენებული ცხენიდან გაფრენილი ქორისთვისაც არ ამიცდენია ტყვია!

— მე რამდენი ჯიხვი მომიკლავს კლდიდან-კლდეზე გადახტომის დროს!

ყველა თავმომწონეობს. ყველა იქადის პირველობას.

ყველას ენატრება, რომ მისმა მარჯვენამ გაუგმიროს გული ფუთას.

აქ გაჭირვების ტალკვესად ისევ მამასახლისი გამოდის.

— ხალხო, აქაც არის საშველი! საფარიდან დამიზნებულ თოფის ჩახმახს გამოვაბათ გრძელი ბაწარი და ყველა ოჯახის წევრმა მოჰკიდოს იმას ხელი. როცა კი სროლის დრო იქნება ისევ ყველა გამოსწევს ამ ბაწარს და ასე ყველას გექნებათ წილი მის მკვლელობაში.

— საუცხოვოა!

— ჭეშმარიტი სიტყვაა!

— ნამდვილი ბრძნული რჩევაა!

* * *

კვირაცხოვლობა დღეა.

უშგულის წინ აღმართულ გორაზე, ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში არაჩვეულებრივი სამზადისია.

ასი მხარი სუფრა გაუშლიათ დადეშქელიანის შესახვედრად.

ჩქარა გამოჩნდენ შიკრიკებიც, მობრძანდებაო ფუთა დადეშქელიანი თავისი ორმოც-კაციანი ამალით.

თავისუფალ სვანეთის თავმოვწონე შვილებმა ახლად დასინჯეს თავიანთი ხმალ-ხანჯალი. ყველაზე მეტი მოუსვენრობა კი უშგულელებს ეტყობოდათ.

გალავანში ჩაყოლილ საფარს უკან საგანგებოდ არის გამზადებული მუხის ჯირკზე ერთი უშველებელი თოფი. ასეულზე მეტი ვაჟკაცი შეხიზნულა იქ და ყველას ხელი წაუვლია გრძელ ბაწრისათვის. მაგრამ საფარში მთელი სვანეთის თავგამოდებული ხალხი ვერ დაეტია. ამიტომ ბაწრის ბოლო სუფრაზეც გამოატარეს, რომ ყველას ჰქონოდა შეძლება ხელი მოეკიდა მისთვის.

აგერ გამოჩნდა დადეშქელიანიც. მთებში ნახედნი თამაში ლურჯა მსუბუქად მოაქანებს მდეყურ ვაჟკაცს გორის ვიწრო ბილიკზე. უკან მოსდევს დარჩეულ პირთაგან შემდგარი ამალა. იმათ კი მოჰყვებიან თავისუფალ სვანეთის თოფ-იარაღში ჩასხმული რაინდები.

ხალხი მოწიწებით თავს უკრავს და წელში იღუნება.

საპატიო პირები წარსდგებიან და მორჩილებას უცხადებენ მთელი თავისუფალი სვანეთის სახელით.

ფუთა მედიდურია და ღირსეულად იფერებს ამ ქედმოუპრელ ხალხის მორჩილებას.

— როგორც ერთად-ერთი ბატონ-პატრონი მთელი სვანეთისა, ამიერიდან მე პასუხისმგებელი ვარ მხოლოდ ღვთისა და ქვეყნის წინაშე. დაივიწყეთ ყოველგვარი თავნებობა და გქონდეთ რიდი თქვენი კანონიერი ბატონისა! ღირსეულისათვის მე მუდამ ვიქნები უხვი და მწყალობელი, უღირსებისათვის კი — სასტიკი და ულმობელი! მა გაუმარჯოს ძლიერი ბატონისა და მორჩილი ყმების პირველ შეხვედრას.

ხალხმაც რაღაც ძლიერი ხმაურით გასცა პასუხი.

ჩასაფრებული ბიჭები ღელავენ და შფოთავენ. დადეშქელიანისათვის უჩინარ არიან იგინი.

მამასახლისმა სუფრაზე მიიპატიჟა მთავარი და მისი ამალა.

იგიც დაბრძანდა დიდის დიდებით და გარშემო კი მხარს უმშვენებდენ მისი მორთულ-მოკაზმული მხლებელნი. დანარჩენ სუფრაზე კი ჩამწკრივებულან თავისუფალ სვანეთისა და უშგულის რაინდები. მათ ხელიდან-ხელში გადაუჭიმიათ თავისი თოფის ჩახმახიდან გამოყოლილი ბაწარი.

სუფრის თავში წამოდგა უშგულის მამასახლისი. ბებერი არწივივით განივრათ გაშალა შავი მკლავები და შესძახა:

— აბა, ბიჭებო! ეს ლა კი წითელი ღვინო დაგვალევინეთ!

ეს იყო ნიშანი.

ყველას ხელში აძაგძაგდა ბაწარი. ციხიდანაც იგრიალა თოფმა და მკერდ-განგმირული დადეშქელიანი საზარელი გმინვით გადავარდა გულალმა.

თავისუფალ სვანეთის ამღელვარებული შვილები აწყვეტილ ლომებივით ეძგერენ ფუთას მხლებლებს და შეუდგენ იმათ ჟლეტას.

მხოლოდ [illegible] მამასახლისის მეცადინეობამ გადაარჩინა თორმეტიოდე [illegible]ცი მძევლებზე გადასაცვლელად.

ცოტა რომ დაშოშმინდა ხალხი, შემდეგ ყველანი დასხდენ სუფრაზე და შეუდგენ სასიხარულო დროს გატარებას.

პირველ სადღეგრძელოს სვამს ისევ უშგულის მამასახლისი.

— ქრისტე აღსდგა! გიხაროდეთ, ვისაც გესმოდეთ, არა გესმოდეთ, პირსა და პირმეტყველსა, კაცსა და პირუტყვსა,

ტყესა და კლდესა! ქრისტე აღსდგა, გიხაროდეთ! ნამდვილი აღდგომა მხოლოდ დღეს გაგვითენდა!

* * *

მეორე დღესვე დადეშქელიანის მეუღლემ გაიგო ქმრის სიკვდილი. გამოგზავნა მოციქულები, რომ გვამი მაინც წაესვენებინა მამა-პაპეულ ადგილს.

მოციქულები ჩქარა გაჩნდენ უშგულში.

როცა ისინი შეეკითხენ, თუ ვინ მოჰკლა დადეშქელიანი, მათ ირგვლივ შეკრებილმა მთელმა ხალხმა ერთ-ხმად იგრიალა:

— ის ხალხმა მოჰკლა!

— ჩვენ მოვკალით ყველამ!

გაოცებული მოციქულები ეკითხებიან:

— ყველა როგორ მოჰკლავდა?

ხალხი ისევ გრიალებს:

— ყველამ მოვკალით!

— ყველამ ჩამოვასხით ტყვია!

— ყველამ დავუმიზნეთ თოფი!

— ყველამ გამოვსწიეთ ჩახმახს!

— მკვლელი არავინ არის ცალკე!

— მკვლელი ხალხია!

— მკვლელი მთელი თავისუფალი სვანეთია!

და ხალხი სვანური კოშკებივით სწორად და ამაყად მისჩერებია სახტად დარჩენილ მოციქულებს.

კაჟი და კვესი

I

სნოს ხეობაში სალამოს ბინდი დაზარმაცებულ თალხი ფიქრივით ჩასვენებულა.

ქვეყნის თავზე ტრიალით გაბეზრებული მზე დასავლეთის გადასაცდენზე დაქანებულა. მისი ოქროს თვალები უკანასკნელად ეკლებიან რჩეულ მწვერვალებს და ჰპირდებიან მეორე დღის ნაადრევ სალამს.

სიშორისაგან ორბის ტოლად ქცეული არწივი ნებიერად ტრიალებს ცაში. ტრიალებს და ქვეყანას თავზე აქსოვს უხილავ გვირგვინს ამაყ ფრენისას.

განგების მტკიცე ხელს ერთი გოლიათური კლდე ზედ შუაზე გაუგლეჯია. ნახევარი ერთ მხარეს აუყუდებია, ნახევარი—მეორე მხარეს და შუაში გაუპენებია სნოს მოლრიანცელე, დამფრთხალი ხევი. მისი განგაში დასაბამიდან უწყვეტლივ ესმის ამ არემარეს და ეთვისება, როგორც ნანა, ან ბავშური ცელქი ტიკტიკი. აქ დამკვიდრებულ მყუდროებას თუ არ აშფოთებს ან ქარიშხალი ან ცათა გრგვინვა, მაშინ სნოს ხევის ხმაური თვით იქცევა ამ მყუდროების შეხმატკბილებათ და უწყინარად რჩება სმენისათვის, როგორც მთების ზურგს უკან უტყვათ დასვენებული აჩრდილები.

სწორედ ასეთი მყუდროება სუფევდა ეხლაც — სნოს ბინარიდან ნანინა-თქმული.

ამ დამცხრალ გარემოში ყველაზე მედიდურად იცქირებოდა გაღმა მხარეს აყუდებული კლდე.

ეს კუთხე ითვლებოდა ყველაზე იშვიათ საჯიხვედ. მაგრამ განთქმულიც იყო ის — როგორც მიუდგომელი საუნჯე.

ბევრ მონადირეს უცდია ბედი, — მაგრამ სათაკილოდ ხელცარიელი დაბრუნებულა. ბევრს ვერც ჯიხვი მოუკლავს და თავიც წაუგია ამ მიუდგომელ კლდეთა ულრანებში. მხოლოდ ზოგიერთ რჩეულს რგებია წილად აქაურ ნადავლით შინ დაბრუნება. მაშინ მისი სახელი სოფლიდან სოფელში გაისმოდა ქება-დიდებით. ბავშები ეგებებოდენ აღტაცებით. ქალები უმღეროდენ სააშიყო ლექსებს. კაცები კი შეჰსვამდენ რაინდულ სადღეგრძელოს.

და რამდენადაც ძნელი იყო ამ ხიფათიან ადგილებში ნადირობა, იმდენად უფრო საცდუნებელიც იყო იგი თავმომწონე ვაჟკაცებისთვის.

აგერ ეხლაც გამოღმა კლდის დახლეჩილ გვერდებზე გამოჩნდა ერთი მოხევე. ის აქედან სცდილობს ჩაუსაფრდეს გაღმა კლდეებში მოთარეშე ჯიხვებს. თოფი მხარზე გადაუგდია, წელსაც უმშვენებს სევადით მოსილი ხანჯალი. ორივე ხელით მაგრად ებღაუჭება კლდის ნაპრალებს. ფეხებით ჯერ ზვერავს მოსაჭიდ ადგილს და მხოლოდ შემდეგ გადასდგამს სულ ნელა, ნელა.

საკმარისია ერთი ფეხის გადაბრუნება და შემდეგ სახსენებელიც აღარ ჩაჰყვება ამ ულრან ხევში, საიდანაც იცქირება მხოდოდ შიში უფსკრულისა და მოისმის სნოს მდინარის მთიური ვაგლახი.

რამ აიძულა ეს მოხევე ასეთ საბედისწერო ადგილას რომ წამოსულა სანადიროდ? ახალგაბრდულმა სითამამემ? თავის თავთან სანაძლეომ? სახელის მოხვეჭამ? — ეს ისეთივე საიდუმლოა იმ მოხევისა, როგორც მისი ფეხის გა-

დადგმა, ხელების ბღაუკი და უჩინრად მიპარება რომელი-ღაც ბედისაგან განწირულ ჯიხეზე.

ასე წვალებით მიდის მოხეევ. მას სამიზნო ადვილად ამოუჩენებია წინ გადაგანებული კონცხი, რომელიც ოცი-ოდე ნაბიჯით არის დაშორებული.

მიდის. უახლოვდება.

კიდეე ხუთიოდე ნაბიჯი!

კიდეე ორი ნაბიჯი!

აჰა, გადასდგა უკანასკნელი ნაბიჯიც და იმის პირის-პირ მეორე მხრიდან უეცრივ გაჩნდა ერთი ვაქკაცი.

ორივენი წამიერათ გაშეშდენ იმ კლდესავით, მათ რომ აშორებდა ერთმანეთისაგან თითო მკლავის გადაწვდენით.

— კობავ! შენ ბედის წერას აუტანიხარ!

— შენ თვითონ აუტანიხარ წერას, ბედშაო მარტიავ!

— შენ იარაღი მაიმარჯვე და მაშინ ნახავ, ვისაც დაუბნელდება შავად ეს მზიანი დღე!

— შენზე ნაკლებ ვაქკაცს — თავიმც ნუ ბმია მხრებზე! გადმაიღეე თოფი ჩქარა!

კობაც და მარტიაც სასწრაფოდ შეეცადენ მხარიდან თოფის გადმოგდებას, მაგრამ ვერ მოახერხეს: თუ ორ-თავე ხელს მოაშორებდენ კლდეს, მაშინ უფრო ადრე მოე-ლოდათ ძირს, უფსკრულში ჩაღუპვა, ვიდრე მტრის ტყვია მიეწეოდა. მაგრამ ცალ-ცალი ხელითაც ვერ იქნა და ვერ მოახერხეს თოფის მომარჯვება.

— თუ თოფს ვერ ხმარობ, კობავ, ხანჯალს გაიკარ ხელი!

— შენ თუ ხანჯლით გირჩევნის გულის გაპობა, მაშ რაის მაყოვნებ!

ორთავემ გაიკრეს ხანჯალზე ხელი.

ჰაერში შეპრიალდა ორი მუხანათი იარაღი და მუქა-რით აღიმართა ვაქკაცის ხელით — მეორე ვაქკაცზე.

ორივე გააფთრებული მოხევე მარცხენა ხელით კლდეს ებღაუჭება — გადაეარდნისა ეშინიათ. ხანჯალანთებული მარჯვენით კი ერთიერთმანეთს — ეკვეთებიან. მაგრამ მათი იარაღი მოწინააღმდეგის მკლავის იქით ველარა სწვდება. შუაში აყუდებული კლდე კი ნებას არ აძლევს სასიკვდილოდ მიუახლოვდენ ერთიერთმანეთს.

ხანჯალი ხანჯალს ეხეთქება — სასოსწარკვეთით დაიწკრიალებს, ახლათ აღიმართვიან მაღლა, გაიელვებენ ბრუნდეთ ჰაერში და ახლად ეკვეთებიან ერთმანეთს ვაჟკაცის გულით წაქეზებულნი. მიზანს აცდენილი ფოლადი ხანდახან კლდეზე დაენარცხება და ცეცხლის ნაპერწკლებად იელვებს ხოლმე იმისი მარცხი. ასევე აკვესებენ მათი თვალები. იმათი გ[illegible]იც.

ელვა, ჭახუნი, [illegible]ალი და კლდის კერპ შუბლზე დაკვესებანი მეორდებიან დაუღალავათ, გაშმაგებით. ვაჟკაცი ვაჟკაცს ვერაფერს ავნებს: იარაღი იარაღს სწვდება, მაგრამ მკერდს ვერა.

ცეცხლოვან დაკვესებასა, ელვასა და მუქარასთან ერთად ქშინავს ორი მოხევის გულიც. მაგრამ შუაში ჩამდგარი კლდე ვერ გაურღვევიათ და ერთმანეთს ვერ ჰკვეთებიან.

უნაყოფო ბრძოლით გაბოროტებულნი უფრო თავგანწირვით ხმარობენ იარაღს. ლამის შეალეწონ ფოლადი ფოლადს და ერთმანეთს კი ვერას აკლებენ.

ცეცხლი აენთო ორთავეს გულში. უფრო გამეტებით ეკვეთა მარჯვენა მარჯვენას. არ არის დაზოგვა. არც დაღალვა. არის მხოლოდ სურვილი მოწინააღმდეგის მოსპობისა, შუაზედ გაპობისა.

ამ სისხლის წყურვილში, გაშმაგებაში, დავიწყებაში — მიზანს აცდენილი კობას ხანჯალი ერთხელ კიდევ დაენარცხა კლდის უტეხ შუბლზე და უეცრივ ტარშიც გადატყდა,

ამის დანახვაზე მარტიამაც შორს გადასტყორცნა თავის ხანჯალი:

— ბედით წამხდართან მე რაისლა ვაქნევ ამ ჩემს ბარალს!

— რაიღა ვაჟკაცობაზე დაგიდვია თავი, მარტიავ, მაშ ხელდახელ გავსწორდეთ ეხლა!

— რაისთვი მახურავს ქუდი თავზე, თუ შენამც არ გაგისწორდები!

ეს ორი გამგელებული ვაჟკაცი მისწვდენ ერთმანეთს ხელით ხელში. ჩქარა ორმა მკლავმა მძლავრად ჩაბღუჯა თავისავით გაომებული მოწინააღმდეგის ორი მკლავი. არწივის კლანჭებივით ჰბოჭვენ ერთმანეთს. ეწევიან, იბრძვიან, შფოთავენ, ქშინავენ და ერთმანეთის გამძლეობით უფრო მეტად გახელდებიან.

ისინი ფეხქვეშ ვეღარა გრძნობენ მკვიდრ ნიადაგს. ორთავე განწირულნი არიან ძირს უფსკრულში ჩასაღუბაად. ჰხედავენ საფრთხეს — იმათ ქვევით საბედისწეროდ გარღვეულს. ამიტომ კიდეც მძლავრზე მძლავრად ეჭიდებიან ერთმანეთის ფოლადის მკლავებს.

და ასე თავგამეტებულათ დაბღუჯული ორი ვაჟკაცი უცნაური ხურჯინივით გადაკიდულან იმათ შუა აღმართულ ვიწრო კლდის კენზე.

— შეგანანებ, კობავ, ჩემთან შეხვედრას!

— შენი ხელით წამხდარ ვაჟკაცს ხომ აღარც გამეღების დედამიწაზე!

— სიტყვა კი გაქვს ბარაქიანი, თუ ძალმა არ გიმტყუნა!

— დიაცურ სიკვდილს ვამჯობინებ შენგან დაჯაბნას!

— მაშ, გამაგრდი, კობავ!

— შენ თვითონ იმარჯვე, ბედშაო!

და უკანასკნელი ძალღონით კიდევ დასძაგრეს ერთმანეთი: აჯანჯღალებენ. ჰკუმშავენ. თვალს თვალში უყრიან. ჭირის ოფლში იწურებიან. ისევ ქშინავენ და ლომებრ კბილებს აკრაჭუნებენ.

ამ დროს უეცრივ გაისმა ფოლადის ზარივით გადმოსროლილი ხმა:

— აჰაუ! გონით თუ გამოსულხართ, ბედშაენო! რაის სჩადიხართ?

ერთმანეთის დაუზოგაობაში უნებლიედ გამოფხიზლებულმა კობამ და მარტიამ აჰხედეს მაღლა და თვალი მოჰკრეს მოხუც გირგოლას.

— გულს ართობთ, თუ მართლა მტრობთ ერთმანეთს! ლომისა თუ გაგწყრომიათ ორთავ ბედშავებს!

ორივ მოხევე გაშეშდენ შელოცვილივით.

— რაის გაყუჩეთ სული? თოლები ისე დაგიდგათ, რომ ნამდვილ მტერს ვერ ხედავთ და ერთურთს გადახკიდებიხართ! თუ ძალი გერჩით, ქისტებთან სცადეთ, ორი სოფელი რომ დაარბიეს აგერ თვალდათვალ.

კობამ და მარტიამ რაღაც უცნაური ძალის ზეშთაგონებით გაუშვეს ერთმანეთს ხელი და გარინდული მისჩერებიან მაღლა მდგომ გირგოლას.

— რაის არ უბნობთ კაცურებ! ჭკუიდან თუ გამოსულხართ ღვთივ შეჩვენებულნი!

— რაი სთქვი, გირგოლაუ? ერთობ საწყენ რაისღაც უბნობ!

— ქისტებმა ორივ ჩვენი სოფელი დაარბიეს, და! საქონელი რაც ნახეს, სულ წაასხეს. რამდენიმე კაციც ტყვევ ქნეს!

მოხეველებს თითქოს დაავიწყდათ, რაც წუთის წინ ამღელვარებდა იმათ გუნებას. სიჩქარით, ფოფხვით და ოფ-

ლის წურვით ორთავ ამოვიდენ მაღლა და მისჩერებიან გირგოლას დაბნეულები.

— მართალ სთქვი, გირგოლაუ, რაი მოხდა?

— გითხარით, ქისტები დაგვეცენ მეთქი! ეხლა სნოს სათავეს გაცილებულ იქნებიან. შენი ძროხებიც სულ წაასხეს, კობავ! შენიც, მარტიავ!

— მერე მტერს მტრულებ არავინ დაუხვდა?

— ბარემ დაუხვდენ, მაგრამ რაის გახდებოდენ ცოტანი ბევრთან! კაი ვაჟები სულ კარშიდ არიან გასული თქვენსავით. ერთი და ორი კი რას გახდებოდა!

— ჰაი დედასა! მაშ მოხევენიც ალარ ვყოფილვართ, თუ არ შევანანეთ იმ აბრაგებს ასეთი ვერაგობა!

— მე სულ ჩამავიარევ სოფლები. ყველას შევატყობინე. მდევარი უკვე ფეხდაფეხ მისდევს. არც თქვენ ჩამორჩეთ! ბევრ არიან და ჩვენგანაც ბევრი დასჭირდება კაი ქუდოსანი.

— უკან ჩამორჩენილს ნურც გაუხარია თავის ტოლებში!

— მანდილიმც ხურებოდეს და ვაჟკაცებშიც ამოშლილიყოს მისი სახელი.

მოხუცმა გირგოლამ შეისწორა წელზე ხანჯალი, ხელშიც მოიმარჯვა ობოლი შვინდის გრძელი ჯოხი და გაუდგა მგლური ნაბიჯით კლდეებზე ჩაკლაკნილ ბრუნდე ბილიკებს.

კობა და მარტია ერთის წამით უხერხულად უცქერიან ერთმანეთს.

— ეხლა დრო ალარ არის. მერე გავსწორდეთ!

— ჰაი, ჰაი, რომ დრო ალარ არის! ჯერ თემის მტრებს გავუსწორდეთ და მერეც მოვურიგდები შენისთანა კაი ბიჭს.

— მარტიავ! გეუბნები, იმ ქალს ხელს ვერავინ ახლებს კობაის მეტი!

— ნუნუ ჩემია, ჩემი! და დედამც 'მემერთოს ცოლად, თუ სხვას დავანებო!

— ვნახოთ!

— ვნახოთ!

— აბა, ჯერ ქისტებზე სცადე შენი კაი ვაჟკაცობა!

— თუ ყველაზე წინ მავალს მარტია ჩამორჩეს, ნურც ლირსებია დამტირებელი.

ორთავე მოხევე საჩქაროდ გაუდგენ სხვადასხვა გზით სნოს სათავისკენ, რომ შეერთებოდენ უკვე წინ წასულ მოხევეთა მდევრებს.

*

ვინ იტყვის, რომ ერთი მოხევე სჯობია მეორე მოხევეს თავმომწონებით და გულოვნობით? ყველანი თანაბარ არიან! ყველანი თავანკარ არიან!

განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — ახალგაზრდობით და ხნოვანობით.

'მოხუცობით მუხლდაკოდილი მოხევენი უკან მისდევენ ქისტების რაზმს და სცდილობენ იმის დაწევნას.

ახალგაზრდა მოხევენი კი დაწინაურდენ, უყელონ ქისტებს ერთად-ერთ გადასავალზე — თავიანთ ქვეყნისაკენ.

ამ ჯგუფში ურევია კობაც და მარტიაც.

შუალამე იქნებოდა, როცა იმ რაზმმა მიაღწია შერჩეულ ადგილას და ჩასაფრდენ ნადავლის მომლოდინე ვეფხებივით.

ნელა მიდის ღამე ბნელი, ღამე ნატეხი.

ვაჟკაცის თვალები ანათებენ გზას ვიწროსა და ფათერაკიანს.

ნიავიც სადღაც გადაჰყოლია ნახტომს დამფრთხალი ნადირისას.

ვაჟკაცების გულისცემა ესმით მხოლოდ ისევ ვაჟკაცებს.

დალალულან კლდეებიც ქარისაგან, ნგრევისაგან, სიმ-ძიმისაგან.

მხოლოდ მათ ხერხემლებში სულგანაბული ვაკკაცები არ იღლებიან მტრის მოლოდინით.

მარცხდება ღამეც.

აღმოსავლეთის თალხი ჩადრი ჯადოსნურის გამოფ-ხიზლებით დადნა, დაირღვა.

იმის სანაცვლოდ გადაეფარა ნათლის ლეჩაქი. ჯერ ფრთა-ფარფატი მტრედისფერი ჩქარა გადიქცა ვარდის-ფერ ეშხათ და სილამაზეთ.

მაგრამ განთიადს უყვარს ცეცხლი, უყვარს ანთება, და აჰა წითელ დაირის ქიმი კიდეც გამოჩნდა ცის მოაჯირზე. აენთო, იწვის ცის ცალი კალთა. ცეცხლი მოედო ირგვლივ სიმაღლეს. ახლო მწოლარე გრძელი ღრუბლებიც ამ ცეცხლში დადნენ, იცვალეს სახე... ელავენ წითლად, ელა-ვენ ყვითლად, ლურჯად, ნარინჯად, ზურმუხტის ფერად.

წითელი დაირა დიადურ ვნებით უფრო და უფრო მოცუ-რავს მაღლა.

ცეცხლი მწველი, ცეცხლი მგზნებარე აღარა ჰზოგავს მთელ ცის ნახევარს.

ანთებული აღმოსავლეთის ამ გამარჯვებით—გადაწვას ელის თვით დასავლეთიც. მაგრამ წუთებს რამდენი რამე შეუძლიათ განგების სვლაში!

უეცრივ შენელდა ეს ხანძარი — ცას რომ ასე სწვავდა სიწითლით.

ოქროსფერი მადლი გადაევლო კიდიდან კიდეს და მზის მოვლენის მახარობელი პირველი ისარი, ბრწყინვალე ისარი ზედ საქოჩრეზე სწვდა მოხუც სარქალს—მედიდურ მყინვარს. უხსოვრობისაგან მიძღვნილს ვერცხლის მუზარადს — უდ-ნობს და უცვლელს — როგორ უხდება ეს ოქროს გვირ-გვინი!

რა დიდებულია ეს პირველი ამბორი, პირველი სალამი, რომელსაც უძღვნის ამომავალი მზე მის დასახვედრად გამზადებულ და თავაწეულ დედამიწას!

მაგრამ განთიადის სილამაზე და ჯადოსნობა თვალს ვერ აუბამს ბრძოლად გამოსულ მოხეველებს.

აგერ ბელადმა შეამჩნია მტრის მოწინავე მზვერავი.

ჩქარა გამოჩნდა საქონლის ჯოგიც.

მარტიამ იცნო ყველაზე წინ მომავალი თავისი ჰოტა-ხარი. თავნება ბელადივით ამაყად მოუძღოდა მთელ ჯოგს და მის სილამაზეს აკლდა მხოლოდ, რომ კოხტა რქებზე ორი წმინდა სანთელიც ანთებულიყო.

ჯოგი ახლოვდება. მას უკან მოსდევს მთელი რაზმი შეიარაღებულ ქისტებისა. რამდენი არიან? ორმოცი? სამოცი? ასი? თვალს არა სცალია მათ დასათვლელად.

აჰა, გადმოდგა მათი მზვერავიც მოხეველების სწორად.

შეამჩნია. აპირებს უკან დახევას. მაგრამ მიზანში ამოდებულ ტყვიას სხვა ვინ გაჰქცევია უფრო ყოჩაღი, რომ ის გაექცეს! მკერდ-განგმირული ერთი შეტრიალდა ჰაერში და უგონოდ გადიჩეხა ქვევით, ფლატეში. ხევიდან-ხევში, კლდიდან კლდეში კი მოედო სასტიკი გვრგვინვა თოფისა და ვაი-ვაგლახით გადაიღუპა უფრო შორს, მთებში.

შეფორიაქდა ქისტების რაზმი. მაგრამ ისინიც ჩვეულ არიან ბრძოლას და ხიფათს. ელვის სისწრაფით მოსძებნეს საფარი კლდეებში, ხრამებში და შეემზადენ გულდაგულად თავიანთ დამბევდრის დასახვედრად.

გაშმაგებული მოხეველნი დაეშვენ ქვევით და შეეცადენ ბოლად მტერის განადგურებას, მაგრამ ქისტებიც მზად დაუხვდენ.

მოხეველებიც დაფანტულად ჩასაფრდენ იმედიან ადგილას და გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა საფარიდან საფარში.

თოფის გრგვინვა, აცდენილი ტყვიის ზუზუნი და მსროლელთა ველური შეძახილი დიდხანს აყრუებდა ერთმანეთის გამოძახილში დამაბუილებულ კლდეებს. დიდხანს ისმოდა მდევარ გოდებათ ადამიანის გულში, გულს იქით სადღაც და ჰქრებოდა ახალ ეუხილის უფრო სასტიკ და მძლავრ ხმაურში.

უპატრონოდ მიტოვებული საქონელი ერთიან დაიბნა ამ აურ-ზაურში. დამფრთხალ მოზვრებს კუნტრუშით აჰყვენ დიდ ხარებიც და მოედვნენ უთადარიგოდ წიბოებ ჩამტვრეულ გოლიათ კლდეებს.

მებრძოლნი ერთმანეთს ედავებიან შეუპოვრობაში, გმირობაში, იარაღის სწორად ხმარებაში.

ან ქისტებმა უნდა გადაიარონ დამარცხებულ მოხევეებზე, ან მოხევეებმა უნდა გაჰქელონ ქისტების რაზმი. სხვა გზა არა აქვს არცერთ მხარეს სამშვიდობოსკენ გასასვლელი.

ბრძოლა გაგრძელდა.

მზე უკვე ცერად წამოდგა ცის საფეთქელზე.

ორთავე ბანაკში გაისმის რამდენიმე ვაჟკაცის თავდაჭერილი კვნესა.

საფრებში გამაგრებულნი ერთი-ერთმანეთზე საბოლოოდ ვერას აკლებენ.

დაიღალენ მოხევენი კუტათ ბრძოლისაგან და გადასწყვიტეს, სახელდახელო იერიშზე გადასულიყვნენ.

წამოიშალენ თუ არა საბუდრიდან მიმინოები, მათ გუნდში უეცრივ გაისმა ვაჟკაცის გმინვა — თითქოს კლდეს მკერდი გადაეპოვო.

ქორულებ გადმოავლო თვალი კობამ მკვნესარე მებრძოლს და იცნო მარტია. მტრის ტყვიას ორივე მუხლიდან ჰოეკვეთა ლომგული ბიჭი და უძლურად მისვენებულიყო კლდის ბრუნდე ქიმზე.

კობას სასიკვდილოდ ეგონა იგი დაჭრილი. მის გულში გაიღვიძა რაღაც რაინდულმა სიბრალულმა. თანაც შერცხვა, რომ მოქიშპე საქვეყნო საქმისთვის ბრძოლაში ასე მუხანათურად ჩამოაცილეს გვერდიდან და ნუნუ უდაოთ იმისი იქნება.

მაშ ნუ იფიქრებს მარტია, რომ კობას სულმოკლედ უხარია თავის მოქიშპის სიკვდილი.

— მარტიაუ! დედამც შემერთოს ცოლადა, თუ შენი ბადალი სისხლი არ ავიღევი!

ეს წამოიძახა ხანჯალ გაშიშვლებულმა ბიჭმა და ხტუნაობით გადაეშვა ქისტებისაკენ.

მარტიამაც შემოიხედა კობას ძახილზე. რა დაინახა მისი რაინდული თავგამოდება მტრად გადაკიდებულ მოძმისათვის, თითქოს თვალიდან რაღაცა ბინდი გადაეწმინდა.

— მათ უფრო ძმადნაფიცობა შეჰფეროდათ, ვიდრე მტრობა ქალის გულისთვის.

გულში იგრძნო მარტიამ რაღაც სიამე და ღრმა ტკივილიც. სულ დაავიწყდა ორთავე მუხლის მძიმე ჭრილობა.

ქურციკივით მიხტიან კლდეებზე მოხევე ბიჭები. ზოგიერთ ადგილას კიდეც გაჩაღდა ხელჩართული ფიცხელი ბრძოლა.

აჰა, კობაც მიუახლოვდა თვალში ამოღებულ ქისტების ბელადს. მაგრამ მოპირდაპირემ წამსვე სახეში მიახალა დამბაჩის ტყვია და ელდანაკრავი ვაჟკაცი დაემხო პირქვე.

* * *

გათავდა ბრძოლა.

დამარცხებას გადარჩენილი ქისტები სათითაოდ მიიპარებიან ჩრდილოეთით.

მოხევეებმა ჩამოლალეს დაბნეული საქონელი, მოჭრიბეს ბრძოლის ველზე შეწირული რამდენიმე თავისიანი და გადაჰკიდეს ბარებზე — სოფელში წამოსასვენებლად. ქის-

ტების მკვდრებიც მიაბარეს მიწას (რადგან მკვდარ მტერსაც სჭირდება პატივისცემა). დაჭრილებს ხომ საგანგებო ყურადღებით მოექცევნ ყველანი.

მარტიასთვის ორთავე მუხლი გაერღვია ბერდანის ტყვიას. მოხუცმა დოსტაქარმა მაშინვე გადასჭრა სახსრებში და ჭრილობის ზევით კი მაგრათ მოუჭირა ირმის მოქნილი თასმები, რომ სისხლად აღარ დაცლილიყო.

კობაც ორივე თვალში იყო მძიმედ დაჭრილი. მასაც დაადო დოსტაქარმა ბალახ-ბულახი, შეუშრო სისხლი და შეუხვია ნუგეშისცემით.

ორივე დაჭრილებს გაუმართეს ნაბდების საკაცე და ისე წყნარად მოასვენეს თავთავიანთ სოფელს.

II

-ახალწლის წინა დღეა.

სოფლის ბოლოს, თავის ქოხის წინ ჩამომჯდარა კუტი მარტია.

ისიც კუტია და იმის პირდაპირ აყუდებული გვირგვინას მთაც.

განსხვავება ერთშია მხოლოდ: მარტიას გული აქვს და მთას კი არა.

მაგრამ ვინ იცის! ეგებ მთასაც აქვს თავისი გული და მარტიას კი უგულო ჰგონია!

მაშინ როგორ ეგვანებიან ერთმანეთს — მთა და მარტია:

ერთიც კუტი და მეორეცა.

თუ გვირგვინას მთას ეწვევა ხალისიანი გაზაფხული და სხვა მთებიდანაც ჩამოუქროლებს ფრთოსანი ნიავი — არც მარტიაა დავიწყებული.

აგერ გამოჩნდა ყელმოღერებული ნუნუც.

თოვლის კედლებ შორის ვიწროდ ჩაწოლილ ბილიკზე მოდის ქვეყნიერად გამარჯვებულ დედოფალივით.

იმის გზაზე მდგომ ნაძვის ხეს, რომ სული ედგას — ისიც შეჰნატრებდა მის ტანის მოკვეთილ მოყვანილობას, და თუ მთებიდან გადმოკარგული ჯეირანი შეავლებდა თვალს, ისიც დაჰხრიდა თავს ნუნუს ამაყურ თავის წინაშე.

დაე, გათანაბრდეს ცხოვრება, მოისპოს ბატონობა და მონობა. ნუნუ კი დარჩება დედოფლად და მბრძანებელად ერთმანეთზე რჩეულის ვაჟკაცებისა.

გასწორდება მთა-და-ბარი. ნუნუ ქალი კი დარჩება გვირგვინოსან მწვერვალად ვაჟკაცურ სიყვარულის მთა-გრეხილებში.

მოდის ნუნუ და იმას ფიანდაზათ წინ ეფინება საიდუმლო სიმღერა მარტიას გულისა.

— ქალაუ! შენს გზაზე დამიდგა თოლები. რაისთვის არ მიბრალებ მე ბედშავს!

— გიბრალებ, გი, მარტიაუ! დედაისი ავათ ას და საშველი არ მექნა, გუშინაც მენახე.

— არ გიყორვარ ქალაუ, არა!

— თუ არ მიყორხარ, მაშ ეს რა არის!

ნუნუმ ძღვენით სავსე გუდა გადასდო განზე და ტყის უწვრთნელი დედოფალივით გრძნეულ მკლავებში ჩაიხვია ბიჭი მარტია.

— მჯერა, ნუნუისი, მჯერა!

— რაი გჯერა, რა?

— რომ გიყორვარ! ძალუმ გიყორვარ!

— მაშ გეყოფა! მეტს აღარ დაგსჯი!

ნუნუ შევიდა ქოხში. ცეცხლი გააღვივა შუა კერაში. შემდეგ წვალებით მარტიაც შეიყვანა სახლში და მოასვენა ორპირად გაშლილ ირმის ხამ ტყავზე.

მარტია უცაბედ მოგონებაში გადასრიალდა, როგორც თავმინებებით დაქანებული მარხილი.

— ჰაუ, ბეჩაუ ჩემო თავო! შარშან ამ დროს ნადირობ-ვიყავი და კიდეც მოვკალ ჩლიქ-დაუცვლელი ერთი ჯიხვი.

— მაგრამ შარშან ამ დროს შენ არა გყავდა ნუნუ!..

— დასტურ მომიგე სიტყვა, ქალაუ! შენ მირჩევნიხარ ჩემ ნადირობას, ჩემ მუხლებს, ჩემ თოლებს, ჩემ სიცოცხლეს!

— მარტიაუ! ქვეყნად რომ მეგულებოდეს ისეთი დოსტაქარი, მე მოვაჭრევინებდი ფეხებს და შენ გაგიმთელებდი, მაგრამ...

— დამირჩეს შენი თავი, ნუნუისი! ძალუმ ბედნიერათ ესთვლი ჩემ თავს, რაი შენ გიყორვარ, ჩემო ყველავ!

— ბეჩავ! რაისთვი არ უნდა მიყორდე? ჩემი გულისთვის სიცოცხლეს სწირავდი. და მე ხომ ქვა არა მაქვს გულის მაგიერ!

— ბედმა ძალუმ დამსაჯა, რომ ფეხები წამართვა, მაგრამ ძალუმაც დამასაჩუქრა — ნუნუ რომ ჩემი გახდა.

ნუნუმ წამოავლო საკვე გუდას ხელი, მიითრია მარტიასთან და ყველაფერი ამოალაგა რიგრიგათ:

— ეს ბრაწა ვაშლი — სტეფანწმიდიდან ამოვატაინე! ეს უცეცხლო თაფლი — ჩვენი გეჯიდან ამოლებული! ეს ხმიადის ბასილა — ჩემი ხელით კეცში გამოცხობილი! ესეც წმიდა სამთელი! აბრამიანს გაგიწყობ შენ ბრუნდე ტაბაკაზე — რომ მნახველი გაოცდეს!

— მე ვიცი ვინც არის ჩემი ახალწელიწადი, ჩემი აბრამიანი, ჩემი უცეცხლო თაფლიც და წმიდა სამთელიც!

ნუნუმ გააწყო ყველაფერი თავის ლაზათზე.

— აჰა, მოვრჩი, მარტიაუ!

— მაშ მოდი, ჩემო ყველავ, გვერდით მომიჯექ. მინდა, შეასედ დავიჯერო ჩემი ბედის კეთილი მონიჭება.

ნუნუ მოვიდა, მოეხვია. მიუალერსა.

— ქალაუ! მაინც ჩემი ხარ, ჩემი, სხვა არავისი!

— შენი ვარ, შენი, მარტიაუ!

ოთხი გრძნეული მკლავი ანდამატურის მიმზიდველობით გადაეჭვდენ ერთი ერთმანეთს და სიყვარულის უხილავმა ხელმაც საიდუმლოების ზეწარი გადააფარა გონებადაკარგულ ორ თავის მონას.

* * *

იმავე დღეს, საღამო ჟამზე, სოფლის მეორე მხარეს უსინათლო კობაც მოელის თავის სიხარულს, თავის ნატვრის თვალს.

აფსუს, რომ შორიდანვე არ შეუძლია შეავლოს თვალი თავის დედოფალს!

რა ბედნიერია იმის გვერდში ხრუტუნა კატა! ის ღამეც ჰხედავს. კობა ბიჭისთვის კი დღეც სიბნელეა!

— ეგებ კიდევაც მოდის, ვისაც ელის, მაგრამ შორს არის!

— ეგებ მტერიც უცქერის მას და სიბრალულით ხმას ალარა სცემს!

— ეგებ მოყვარეც შორიახლოა და გულმოკლული განზევე მიდის!

— დაე, მტერზე მტერიც ჰყოლოდა, ოღონდ თვალები კი შერჩენოდა.

— მაგრამ ვინცა ჰყავს, ის ხომ სჯობია ორთავ თვალის ჩინს!

— ოო, ის არ გაიცვლება ამქვეყნიურ არცერთ სიკეთეზე!

და აჰა, კიდეც გაისმა მოკისკისე ხმა ციურ საგალობელზე უფრო უტკბესი უჩინო კობასთვის.

— შოვედი, შო, კობაისი! ნულარ მოიწყენ!

— ნუნუ, ნუნუ! შენამც გაგიხარია სიცოცხლეში, როგორც მე გამახარებ ხოლმე შენის მოსვლით!

— მე დავივიწყებ დედას, დავივიწყებ ნათესავებს, მაგრამ შენ როგორ დაგივიწყებ, ჩემო ყველავ!

— ნუნუისი! მითხარი, მი! ჩემზე ბედნიერი და ჩემზე უბედური კაცი თუ მოიპოვება ვინმე ქოყანაზე!

— მარტიაი?

— ჰო, მარტიაისი! ისიც ერთობ განაწყენია ბედისაგან! მაგრამ მე უფრო ბედშავი ვარ!

— რაისთვი, კობაუ?

— მარტია მარტო კუტია. თოლებით კი ქოყანა ისევ ამისია. მე თოლები არ მაბადია და ამიტომ კუტიცა ვარ.

კობას რაღაცა ფიქრით სახე გაუბრწყინდა.

— მაგრამ არა!.. დაე, უსინათლოც ვიყო! დაე, კუტიც ვიყო! მაინც მე მრავალზომ უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე მარტია: მე ნუნუ მყავს!.. მარტიას კი არაფერი გააჩნია ამიხ ბადალი! საწყალი მარტია! რა რიგ მებრალვის!

და კობას სახე დაითუთქა სინიდისით შეწუხებულ ადამიანურ სიბრალულით.

ნუნუ უცნაურად მოიკუნტა. სცდილობს, დაიმალოს თავის სულში.

— კობაუ! ის ხომ შენი მტერი იყო. რაისთვი გებრალვის?

— დასტურ დიაცურია პასუხი შენი! მარტია ეხლა ქვასაც კი შეებრალვის, არამც თუ ადამის ძეს.

— მეც მებრალვის, მეცა, კობაისი, მაგრამ რაი ვქნა! ორთავეს ხომ ვერ შაგიყვარებდით!

— ჰო! ნუნუ მე მერგო წილში! განგებულებამ მარტო მე დამასაჩუქრა. მარტია კი დაივიწყა ბედის მწერალმა.

— საწყალი მარტია!

— საწყალი მარტია!

— თუ ეგრე გებრალვის, მაშ წავალ მასთან!

— ვერა, ქალაუ! მე ვერ გელევი ცოცხალი თავითა!

— ვერც მე გელევი კობაისი, ვერც მე! აფსუს, არ შეგიძ-ლიან დაინახო თუ რაზომ ბედნიერი ვარ შენთან ყოფნით.

— ნეტავი ერთხელ, კიდევ ერთხელ გაანათებდეს ქვეყანა ჩემთვის, დაგინახავდე მხოლოდ ერთხელ — როგორ მიზიხარ გვერდში და შემდეგ სულიც რომ განვუტევო — აღარ ვინაღვლი.

ნუნუმ უსურვაზის საშურველი მკლავები ცეცხლის სალ-ტეებად შემოჰხვია კობას მხარბეჭზე. ვაჟკაცმა იგრძნო სი-ცოცხლის ფასი ამ ქვეყანაზე. ძარღვებშიაც ადუღდა სისხლი ხვადი ლომისა. რა არის ქვეყანა? სიცოცხლის წყევა? თანაც სიბრმავე? ყველაფერი ეს დაძლეულია წამიერ დავი-წყებით, ღვთაებრივ დავიწყებით!

მაშ განზე!

უდროვოდ არ გამოვაფხიზლოთ წუთიერათ დამთვრალნი!

ნუნუმ ასე უცნაურად გადახლართა თავისი ბედი მარტიას-თანაც და კობასთანაც.

რომელს დასთმობდა ნუნუ ცხოვრებაში? რომელს გა-სცვლიდა ერთი მეორეში?

ამის საპასუხოდ ნუნუ ან დამუნჯდებოდა დიდ შუხის ქვეშ მდებარე საფლავის ქვასავით, ან მოგცემდათ მხოლოდ ერთ პასუხს:

— არც ერთს! არასდროს!

სანამ საღსალამათად იყო ორივე ვაჟკაცი, ნუნუ დიდ არჩევანში იყო და მაინც ვერ გადაეწყვიტა თავისი ბედი:

მარტია კობას სჯობდა და კობა — მარტიას.

მაგრამ მარტო ნუნუს ვინა ჰკითხავდა ასეთ არჩევანს!

ორთავე მოხეევეს ეს გოგო მიაჩნდა მხსნელად და დამ-ლუპველად თავიანთი სიცოცხლისა.

ეგებ უკუღმა შეტრიალდეს გაზაფხულით აქოთებული თერგი.

დადნეს მყინვარის მარადიული თეთრი გვირგვინი, კობა და მარტია კი ცოცხალი თავით ერთმანეთს არ დაუთმობდენ თავიანთთვის დედოფლადქცეულ — ჯადოქარ ნუნუს.

მაგრამ ქისტებთან ბრძოლამ ორთავე დაასახიჩრა.

ორთავემ დაჰკარგა სრული უფლება ისეთი მოხდენილი ქალის წადაგებაზე — როგორიც ნუნუა.

კუტმაც და ბრმამაც — ორთავემ განწირულად იგრძნეს თავი. ეგონათ — ნუნუ ისე გაუქრებოდათ თვალსა და ხელ შუა, როგორც მიზანში ამოღებული ჯიხვი უხებლიე ნახტომით გადარჩენილ მონადირის ხიფათისაგან.

ორთავემ ცალ-ცალკე უბედურად წარმოიდგინა თავისი თავი და ამ დაჩაგვრით გულმოკლულებს — ერთმანეთიც კი ებრალებოდათ.

მაგრამ ვინ იცის, რა იფარება ქვესკნელის გულში!

ან ვის შეუძლიან ჩაიხედოს ქალის გულში!

მარტია ისევ იფიქრებდა ფეხების აღდგენას და კობა კი — თვალის ჩინის სრულ განახლებას, მაგრამ ნუნუს კი თავის ტოლად ვეღარც ერთი ვერ იგულებდა.

მაგრამ მარტიაც კუტად დარჩა. კობაც — უსინათლოდ და სასწაული კი მაინც მოხდა:

ნუნუმ ორთავე გააბედნიერა.

რად მოხდა ეს?

ეგების უზომო სიბრალულმა შთააგონა სილამაზითა და ვრძნობით ნაქარგი უმაღლესი თავდადება?

ან ეგებ აქ მცირეოდენად მაინც გამომჟღავნდა ქალურ ბუნების უცნაური საიდუმლოება? ამ ბუნებას ხომ უყვარს ზოგჯერ ცეცხლთან თამაში, უფსკრულის პირად ხეტიალი და გაურკვეველ ბედისწერასთან გაუგებარი შეკამათება.

ან ეგებ ეს არის პირველი გაუბედავი სიტყვა საუკუ-
ნოებით გულში ჩამარხულ ჭეშმარიტებისა, რომ სიყვა-
რული არის ერთიც და მრავალიც?

ხომ უყვარს მშობელს რამდენიმე თავისი შვილი?

ხომ უყვარს და ს რამდენიმე თავისი ძმა?

ეგებ ნუნუს გამიჯნურებაშიც სუროს მოქნილი ტოტე-
ბივით ჩახვეულა მშობლიური და მასთან ერთად და-ძმუ-
რი გრძნობაც?

ნუნუმ იცის, რომ ნაძვის ხე იზრდება ერთ სვეტად—
სწორად და მაღლა. მაგრამ იმათ კარის წინ რომ ნა-
ძვია — ის შუა წელიდანვე ორ ტოტად გაყოფილა და გა-
ზრდილა სხვაზე უფრო სწორად და მაღლა. ტყეში სხვა-
კან არსად არ შეუმჩნევია ასეთი ნაძვი.

ეგებ ნუნუც უცნაური ორტოტა ნაძვია ხალხის დიდ
ტყეში? ვინ მიხვდება? ვინ გაიგებს?

ნუნუმ იცის მხოლოდ: კობას მარტიაში ვერ გასცვლის
და მარტიას — კობაში.

ერთი კაჟია და მეორე კვესი. მათგან გაბნეული ცეცხ-
ლით კი როგორ არ აენთოს ნორჩი ნუნუ! ისიც ხომ
ბედია — კაჟსა და კვესს შუა ჩაკინძული უცნაური ძალით!

რა გრძნობა დაუფლებია ასე მპყრობელად ნუნუს არ-
ბებას?

სიყვარული? სიბრალული? მადლი?

ან ეგებ ყვავლა ერთად?

ვერა! ნუნუ ვერავის აუხსნის თავის სიყვარულს! სიტყვი-
ა და აზრის მძლეობას ჯერ ვერ მოუქსოვია ისეთი წმინ-
და ბადე, რომ სტყორცნო ამ უცნაურ გრძნობას და გააბა
შიგ ყველას დასანახად, ყველას გასაცნობად.

ამიტომ ნუნუ, ამ ორ ძლიერ გრძნობას ისევ ფარულად
ინახავს, როგორც თავის ორ კრძალულ სიმდიდრეს —
ორ აღგზნებულ მკერდს.

მას კობა და მარტია მიაჩნია თავის ორ ჟუჟუნა თვალად. და როგორც მისი თვალები ვერ ჰხედავენ ერთმანეთს, ისე კობა და მარტიაც ვერ ჰხედავენ ურთიერთს.

ორთავეს მხოლოდ თავის თავი მიაჩნია ბედნიერად ნუნუს სიყვარულით, ნუნუს ალერსით.

ასე შეჰსვამდენ ცალ-ცალკე ნეტარების აზარფეშას და ვაჟკაცურის სულგრძელობით ერთმანეთსაც კი იბრალებდენ.

მაგრამ რაჲ ფიქრობს ნუნუ ხვალინდელ დღეზე?

ბოლოს ხომ სოფელიც გაახელს თვალს? ხომ დაილაპარაკებს აზრიც ხალხისა?

მაშ რა ჰქნას? რომელ მთას შებღავლოს? რომელ მდინარეს?

ეჰ, ნუ ჰკითხავთ! ნუ შეაწუხებთ!

ერთი დღით ადრე ნუ მოუვლენთ მიუტევებელ ბედის განაჩენს!

* * *

მარტიას ქოხში ანთია კერა. და კერაზე უფრო მეტად ანთია კიდევ ორი გული.

— ქალაუ! რაისთვისღა მაწოლებ შენით ბედნიერს!

— რას უბნობ, მარტიაუ?

— ხომ ჩემი ხარ, ქალაუ, ღვთივ და კაცურებ! მაშ რაისღა მაწოლებ! ბარემ დარჩი აქ დღეცა და ღამეც. რაისთვის ვმალოთ ჩვენი სიყვარული? ნაპარევ ას თუ?

— ნუ, მარტიაისი, ნუ!

— რაისთვის უარობ, ჩემო ყველავ?

— ჯერ კიდევ ასე სჯობს, მარტიაისი, ასე სჯობს.

— რაისთვის, ქალაუ?

— ნუ მკითხავ, მარტიაუ, ნუ! არ ვიცი, რაი გიპასუხო! მე ხომ შენი ვარ! მიყორხარ! ყოლა კაი შენ განაცვალე! სხვაის რას მთხოვ!

— არაფერს, არაფერს, ქალაუ! დამირჩა შენი თავი!

მარტია ჩაფიქრდა. რამდენჯერმე მწარედ გააბოლა ყალიონი. შემდეგ შეჰხედა ნუნუს და განაგრძო თითქოს თავისივე ფიქრში შეწყვეტილი ბაასი:

— მართლაც, მე რაი მაქვს საჩივლელი ამ ქოყანაზე! მთელ ხევს თოლები უდგებოდა ნუნუსთვის: ეხლა კი ის ჩემია. რალა სთქოს კობამ, ბეჩავმა კობამ? ისიც ხომ თავს მაკლავდა ნუნუს გულისათვის! ნეტავ თუ რა დღეშია ეხლა ის ბედშავი!

— ძალუმ გებრალვის მარტიაუ?

— დამირჩა შენი თავი, რომ მებრალვის, მაგრამ მე რაის გავხდები!

— მაშ ვინ?

— შენც უნდა გებრალებოდეს, ქალაუ, შენც!

— როგორ, მარტიაუ? მცდი თუ?

— რაისთვის გცდი, ქალაუ! ბედშავ კობასაც ისე ენატრებოდა შენი თავი, როგორც მე. უშენოდ სიკვდილ-სიცოცხლე არც იმას უღირდა არაფრად. ეხლა კი შენ მარტო მე გამაბედნიერე. ბეჩავი კობა კი, ალბათ თავის თოლებთან ერთად თავის ნუნუსაც დასტირის.

— მე რაი ვუშველო ბედით დაჩაგრულს?

— ქალები ულვთო ხართ, ულვთო!

— როგორ, მარტიაუ?

— შენ ისე ნშვიდათ უბნობ, თითქოს კობას შენი გულისთვის ერთხელაც არ დაუკვნესიაო.

— მერე მე რაი ვქნა?

— შენ ქვა გაქვს გულში. ზე უფროს მებრალვის, კობა ბიჭი, ვიდრე შენ.

— მეც მებრალეის, მაგრამ რაის გავაწყობ!

მარტია ჩაფიქრდა. ძალიან ჩაფიქრდა.

— საწყალი კობა, შენი ერთი ხელის გადახვევნაში ალბათ სიცოცხლეს ანაცვალებდა.

— თუ ეგრე გებრალვის, ვაჟავ, მაშ გაგანებებ თავს და კობასთან წავალ...

— მაგას ვერ დასტურ, ქალაუ!

— მაშ ორთავეს ხომ არ შეგიყვარებთ?

— ორთავე ძნელ ას...

— ცხო რაი ვქნა?

მარტიაც ფიქრობს: სხვა რა მოეთხოვება ნუნუს?

— განა მოახერხებდი ჩემთან ერთად კობაის შაყვარებასაც?

— როგორ შაიძლების? ორაი სიყორული სად გაგონილა!

— რომ გაგონილიყოს, შაიყვარებდი?

— ნუ მარტიაისი, ნუ! მე შენ მირჩევნიხარ ყოლას!

და ქალი უფრო ახლო მიეკვრა ცეცხლთან გახურებულ ვაჟის გულმკერდს.

— კობაის მადლობა სამარეში ჩამყვების. როცა ქისტებთან ბრძოლაში დავიჭერ, მეგონა კობას გაეხარდებოდა, ის კი მგელივიდ გადავარდა ქისტებში ჩემი სისხლის ასაღებად. ღირსეული ქუდოსანი ყოფილა, იხაროს იმის შშობელმა.

— მეც მომწონს კობაისი.

— სტყუი!

— რისთვის გგონია?

— თუ მოგწონდეს, შაგებრალვის კიდევაც!

— მებრალვის, ძალუმ მებრალვის, მარტიავ!

— თუ გებრალვის, უნდა გიყორდეს კიდევაც!

ქალი ცოტა შეეშეშანდა. გულშიც გადაიტანა რაღაცა ბრძოლა და შემდეგ თამამად წამოიძახა:

— კიდეც მიყვარს...

— სტყუი, ქალაუ!

— მიყვარს, ღვთის მადლმა!

მარტიას არ სჯერა თავის ყურით განაგონი.

— როგორ გიყვარს ქალაუ?

— შენსავით, მარტიაუ, შენსავით!

— არ მიჯერის!

— ვფიცავ ლომისას!

— დასტურ?

— დასტურ!

მარტია დაიბნა. ალარ იცის, ცეცხლი კერაში ანთია თუ იმის გულში.

— გონით თუ გამოხველ, ქალაუ!

— რისთვის? აკი შენ თვითონ მახელებდი კობაის სიყვარულად!

— ნუ მატყუებ, ქალაისი!

— მე არ გატყუებ! კობაიც მიყვარს! ისიც შენებრ კაი ვაჟია და ბედით განაწყენი.

— ჰაი, გველო, გველო! დიაცი დიაცურ მოქცეულხარ! მაგრამ შეგანანებ!

აქ მარტია გააფთრებით სწვდა ნუნუს ყელში. ნუნუმ იგრძნო გამხეცებული ვაჟკაცის მრისხანება და სულგამწარებით გაუსხლტა ხელიდან.

მარტიამ დაავლო ანთებულ მუგუზალს ხელი და წელში სდრუზა შეშინებულ ქალს.

ნუნუ გარბის. უკან ალარ იხედება. გაშმაგებული მარტია კი მუგუზალს მუგუზალზე ესვრის გაქცეულ ქალს.

ჩქარა მიეფარა ნუნუ ფერდობს და ჩირგვებს. იმის კვალზე კი დარჩენ მხჩოლავი მუგუზლები და მარტიას გაშტერებული თვალი.

* * *

ორ დღეს ნუნუ არ სჩვენებია ძე ადამიანს. მესამე დღეს ეწვია კობას. ვაჟმა მიუალერსა. უსაყვედურა. კიდეც სამი

დღის უნახაობა. შემდეგ ჩვეულებრივი გუნებით განაგრძო ბაასი.

— ამ ბოლო დროს მარტიაზე ფიქრი აღარ მასვენებს, ქალაუ. ნეტავი როგორ არის?

— მე რაი ვიცი. რომ მომკვდარიყო, ალბათ, გაიგებდი.

— რა-რიგ დაუნდობარი ხარ, ქალაისი!

— აბა, მე რაის ვკითხულობ მარტიას ბედს!

— მე თითქოს გული საგულეს აღარა მაქვს. სულ მარტიაზე ფიქრი მაწუხებს.

— მე სრულიადაც არ მენაღვლის იმისი ყოფა.

— სასტიკი ხარ, ქალაუ! არ გეკადრების.

— ასეთი ვარ შობით და ღვთივ.

— არ გეკადრების, არაუ!

— რატომ თვით მარტია არა სწუხს შენზე?

— ეგები სწუხს, რაი ვიცი!

— გნახავდა.

— კუტ ას. იგი ვერ მოვა ჩემთან.

— შენ კი როგორღა მიხვალ უსინათლ—

— შენ გამიძღვები და მიმიყვან.

— რა გინდა მასთან?

— ვნახო.

— მე მეჯავრების მარტია!

— ნუ, ქალაუ! ის ღირს ას სიბრალულის.

— მეჯავრების! მეჯავრების!

— იმას კი როგორ უყვარდი გონ გამოსულათ!

— მე არ მინდა მისი ხსენებაც!

— ნუ ხარ, ქალაუ, ავსული! ბედით დაჩაგრულს არ უწყრებიან ეგრე სასტიკად.

— მარტია მძულს! მეზიზღება!

— შენ გეზიზღებოდეს! მე კი უნდა ვნახო იგი!

— რაისთვის გეირდება?

— მე ბედნიერი ვარ შენით, ის კი უბედურია. მაშ მე უნდა მივიდე მასთან და არა იგი — ჩემთან.

— მერე?

— ვეტყვი, რომ თოლებით ბრმა — გულით არ დავ-ბრმავებულვარ. მარად ქამს ვწუხვარ მასზე.

— მერე?

— მერე ვეტყვი, რომ ნუნუ ბედმა მე მარგუნა წილ-ში. კიდევაც მრცხვენის მის წინ ჩემი ბედნიერების, მაგ-რამ ვინ შესცვლის განგებულობას და ქალის გულს! ამასთან ერთად მე შევფიცავ სამარადისო ძმობას და სი-ყვარულს!

— არ გირჩევდი!

— გული მეუბნების — ეხლავ წავიდე მასთან.

— მარტო როგორ წახვალ?

— შენ წამიყვან.

— მე არ გამოგყვები!

— თუ გიყორვარ.

— ნუ დამაფიცებ!

— მაშ მარტო წავალ.

— გზაზე დაიმტვრევი!

— თუ არ გებრალები, დაე დავიმტვრე!

— რა ძალა გადგია?

— უცილობელ უნდა ვნახო ჩემი ძმა მარტია.

— წა!

— წავალ!

კობამ დაავლო ჯოხს ხელი და გასწია. არ გაევ-ლო მცირე მანძილი და უკვე წააწყდა იქვე ახლო ჩარ-ღვეულ უძირო ხრამს. ნუნუ სასწრაფოდ გაექანა და წიოკობით შეაჩერა იგი.

— არ გეუბნები, დაიჩეხები მეთქი!

— მაშ გამიძეხ წინ!

— მიგიყვან მარტო კარებამდის. სახლში არ შემოვალ.

— მეტი არ მინდა.

ნუნუმ მოჰკიდა ხელი და ნელნელ გაუძღვა მარტიასკენ. რამდენიმე ხნის სიარულის შემდეგ უკვე მიადგენ სოფლის გარეთ ეულად მდგომ მარტიას სახლს.

ნუნუ განზე გადგა. კობამ დააკაკუნა.

— ვინ არის?

— მე ვარ, მე!

— ვინ შენ?

— რა დაგმართვნია, მარტიაუ? ვეღარ მიცანი შენი კობა?

— გააღე კარი, თუ კობა ხარ!

კარი გაღლო.

— შემოდი ჭერქვეშ!

ნუნუ კანკალებს. გრძნობს რაიმე საბედისწეროს?

კობა შედის სახლში.

მარტია რაღაცას ფათურობს თავის გარშემო დაყრილ კონკებში.

— რაისთვის მოსულხარ, ვერაგო?

— მარტია, ნუ სცოდავ! მე საძმოთ მოვსულვარ!

— სტყუი, ბეჩავო! შენ საძმოთ როგორ მოხვალ, როცა ჩემი ცოლის ღალატს დიაცურ იფერებ.

— რაის უბნობ, მარტიაუ?

— განა არ გესმის, შე ლაჩარო!

— გონით ხომ არ გამოხველ, ვაჟავ! შენ ცოლი სადა გყავს? რარიგ გიღალატებდი?

— ნუნუ მაშ ვისი ცოლია, ვისი?

— მარტიავ! რას უბნობ! ნუნუ ჩემი ცოლია, ჩემთან შეფიცული!

— მაშ მართალია!? აღარც შენ ჰფარავ!?

— რა მაქვს დასაფარი, ნუნუ ჩემი ცოლია!

— ოო, ვერაგო, ვერაგო! მოდი ახლოს, ჩემთან!

— აბა, სისხლი მე თვითონ მქონია ასაღები, თუ ჩემ ცოლს შენაც ქმრობდი. სადა ხარ, კუტო!

— აქა ვარ ბრმაო, აქა!

მარტიას ხელში დაუჭერია ხანჯალა დანა და ცოფიანი ვეფხვივით მიღოღავს კობასკენ.

კობაც დაეძებს მოსისხლე მტერს თავისი ჯოხით. აჰა, კიდევაც მიაგნო და გამეტებით შემოჰკრა მარცხენა მხარში.

მარტიამ იხელთა დრო და კობას მარჯვენა მუხლში ჩაუსრიალა ბასრი დანა.

კობამ ამოიკვნესა და, ტკივილით გაშმაგებული, მთელი სიმძიმით დაეცა მარტიას.

მარტიამ ისევ მარჯვედ ამოიტრიალა დანა და ახლა მკერდში ჩაურჭო თავზე დაწოლილ კობას.

ვაჟკაცმა ერთი კიდევ ამოიგმინა ლომურებ. სულგაბწარებით ამოიძრო მკერდიდან დანა და გამეტებულია ძალღონით ჩასცა მარტიას შიგ ყანყრატოში.

ამ გააფთრებულ ბრძოლაში გაისმის აწიოკებული ქალის კივილი.

— რას ჩადიხართ, ბედშავებო! იწამეთ ღმერთი!

მარტიამ ერთი მძლავრათ-ღა ამოიხრიალა და მოწყვეტით გაიშხლართა მიწაზე.

კობა წამოდგა. ძალღონე მილეული მიეყუდა კედელს. სისხლად მოთქრიალე მკერდზე მიუფარებია ხელი და უკანასკნელ სიტყვებათ ისმის ვედრება:

— ნუნუ! მარტიას მიხედე!

მაგრამ სად არის ნუნუ? ცოცხალია თუ მკვდარი?

— ...ნუნუ, მარტიას მიხედე!

ნუნუ კი უჩინრად აჰკვრია გამურულ დედაბოძს.

ისიც ბოძია — უტყვი და უძრავი...

1927 წ.

საბედისწერო პაემანი

გამოვემშვიდობეთ ბათუმს.

„ფრიქის“ გემით მივცურავთ სტამბოლისაკენ.

ათ დღეს მოვუნდით ბოსფორამდე მისვლას.

ანატოლიის ყოველ ნავთსაღგურში მთელი დღეობით ჩერდებოდა ჩვენი გემი.

ჩამოვიარეთ რიზე, ტრაპიზონი, სამსუნი, ორდუ, კირასუნი.

ზუნგულდაკში ვდგევართ მთელი ორი დღე. ქვანახშირით იტვირთება ჩვენი გემი. მარსელამდის საკვებს იმზადებს.

ერთ კვირის განმავლობაში ყველა მოგზაურებმა გავიცანით ერთმანეთი.

ბევრი შინაურადაც დავვახლოვდით.

ახლად შეძენილ ნაცნობებს მე ხშირად ვუმასპინძლდებოდი თეთრი და წითელი ნაფარეულით. სხვა დარდიმანდები კიდევ გამოსძებნიდენ ნექტარად სასმელ „ბენედიქტინს“ ან „შერი ბრანდის“ და სადილის შემდეგ ვატარებდით დროს ათასფეროვან მასლაათში.

ძალიან ხშირად მიყვარდა აგრეთვე ჭადრაკის თამაში.

ერთი კვირის განმავლობაში ყველას ნიჭი ესცადე ამ ვარჯიშობაში, მაგრამ ღირსეული ტოლი არავინ შემხვდა. ყველასთან გრდანელი გამოვდექი.

მიყვარს კი კარგი მოთამაშე. მაგრამ უფრო მიყვარს თუ, მიუხედავად კარგი თამაშისა — მაინც მე ვაჯობებ.

მეორე დღეს მოვიარე მთელი ზუნგულდაკის მაღაროები. შთაბეჭდილებით დატვირთული, დაღლილ-დაქანცული და გამურული დავბრუნდი გემზე.

ვისადილეთ.

რამდენიმე პირს ვეთამაშე ჭადრაკი. გამარჯვება ისევ ჩემია, როგორც ყოველთვის.

წყნარად მოდის ერთი ქალიშვილი, სუფრის ბოლოში რომ მუდამ მოკრძალებით იჯდა ხოლმე, და მეუბნება:

— ერთხელ მეც გეთამაშებით!

— თუ კი მოისურვებთ, გავართოთ გული!

დავსხედით. შევუდექით თამაშს.

მე აინუნში არ ჩავიგდე იგი. ყველასთან გათამამებული — დარდიმანდულად ვეთამაშები მასაც.

მე მხოლოდ მესიამოვნა, რომ საბაბი მომეცა მისი გაცნობისა.

რამდენიმე ფიგურა უკვე წავაგე ულაზათოდ. ჩვენს ირგვლივ ნიშნის მოგებით გაისმის:

— ყოჩაღ, გოგონი, ყოჩაღ!

— ეგრე მოსცხეთ ჩვენს ქებულ ფალავანს, ყველა რომ დაგვიბრიყვა.

მე შევეცადე საქმის გამოსწორებას, მაგრამ ველარაფერი მეშველა: საბოლოო გამარჯვება ჩემ მოწინააღმდეგეს დარჩა.

— ერთი კიდევ ვითამაშოთ!

დავიწყეთ.

მთელი მარიფათი მოვიხმარე, მაინც წაგებული დავრჩი.

— მადლობა ღმერთს! მოვიკაკვიჯ თითი! მე არ ველოდი!

მან წყნარად გაიღიმა. იმას არაფერი აკვირვებს ამ ქვეყანაზე.

თუმცა ჭადრაკში დავმარცხდი, მაგრამ თავი ნოგებულად მიმაჩნია, რადგან გავიცანი ეს გოგონა.

ოცი თავის დასთან ჩუმათა ზის სუფრის ბოლოში.

მისი მაღალი სიტყვა ჯერ არ გამიგია ოდესმე.

შესაძლოდ მარადიული ლიმილი სახიდან არ შორდება. ეუბნება არ ვიცი, ეს ნამდვილი ლიმილი იყო თუ რამე ტანჯვა, ან ფიქრი უნებლებელი, ან დაცინვა წუთისოფლისა.

— თქვენი სახელი?

— ლიუბა...

— არ მომწონს ეგ სახელი! გვარი?

— პანჩენკო.

— ეს ლამაზია!

— ავიდეთ ზევით! ზღვას ვუცქიროთ!

— გამიძეხით წინ.

ავედით ბაქანზე. ვემის ბოლოში მოესძებნეთ მყუდრო კუთხე.

— მადემუაზელ პანჩენკო! თქვენ რაღაც განუყრელი ადგილი გაწუხებთ.

— შეიძლება...

— მაშ თქვენი წაუშლელი ლიმილი რას მოასწავებს?

— მე განა ვიღიმები!

— ყოველთვის. ნუ თუ სარკეში არ ჩაგიხედიათ?

— ლიმილი განა ასეთია?

— ოო, ლიმილი ათასნაირია. მაგრამ თქვენი სახეც მარად მოღიმარეა, თუმცა უცნაურად, რომლის ბადალიც ჯერ არ შემხვედრია მთელ სიცოცხლეში.

— თქვენ უფრო მეტ ყურადღებას მაქცევთ, ვიდრე ღირსი ვარ.

— თქვენ უფრო მეტის ღირსი ხართ, მაგრამ მეტი ბოთამაშე ვაი თუ თავხედობას დაედაროს.

ჩაბუშდა ქალი. ზღვას ჩასცქერის. სხვადასხვა ფერი შეღებილი ბაზიზ-მაზიზად ლივლივობენ კამკამა სილრმეში.

უცქერის ქალი აშ ზღვის გატკეცილ სიღრმეს და ვერ მიემხვდარეარ: იქა ჰკრეფს ფიქრებს, თუ იქ მარხავს ფიქრებს.

სიჩუმე გაგვიგრძელდა. უსერხულობა ვიგრძენი.

— თქვენ უკრაინელი ბრძანდებით, მადემუაზელ?

— დიალ! არ არის ძნელი გამოსაცნობი.

— შორს მიემგზავრებით?

— არ ვიცი. სტამბოლამდის კი მივალ და მერე არ ვიცი.

— თქვენ გაწუხებთ რაღაც მოუსვენრობა.

— მე მაწუხებს მთელი სიცოცხლე.

— თქვენ ლტოლვილი ბრძანდებით?

— დიალ! დენიკინის ჯართან ერთად მე და ჩემი დაც გამოეიქეცით.

— რათა? განა თქვენ სამშობლოში თქვენი სამყოფი ადგილი აღარ იყო? ან თქვენ ვინ გაგცემდათ ხმას, თუ...

— ყველა გამორბოდა. ჩვენც წამოვედით. ჩემი ძმა დენიკინთან აფიცრად იყო. მისი გამოჯავრებით შეიძლება ჩვენც დაგვესაჯეთ. თან გამომყვა ოთხი მილიონი, ისიც გზაში შემპარეს. სულს აქეთ აღარაფერი მაბადია.

— მაშ რა უნდა ქნათ შემდეგში.

— არ ვიცი, დღეზე დღე რომ დამიმატონ საფიქრებლად, მაინც არ ვიცი — რა გზას დავადგე. ამასთანავე ჩემი და ავადმყოფიც არის. იმას არ შეუძლია ბევრი წვალება.

— მერე სტამბოლში რად მიდიხართ?

— რა ვიცი! იყო გემი, გვქონდა ბილეთის ფული. დავსხედით და წავედით. განა სულ ერთი არ არის უპატრონოდ ბათომში ვიქნებით, თუ სტამბოლში?

— გყავთ ვინმე ნაცნობი?

— არავინ.

— მაშ როგორ! ქალიშვილისათვის კაი გამბედაობაა ეგრე ღვთისანაბრად უცხო მხარეში გადაკარგვა.

— მე შინდა სწავლა. მე არაფისგან არ ველი რამეს. მაგრამ თუ მოხდა სასწაული და ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტმა მომცა სულ მცირედი რამ საშუალება — პარიზში წავალ. მხატვრობა მიყვარს განსაკუთრებით. ამ ხელოვნებაში ნაცადიცა მაქვს ბედი. თუ ეს ნატვრა შემისრულდა, მაშინ წარსულის დანაკარგს აინუნშიაც არ ჩაიგდებ. მაგრამ არა მაქვს იმედი. ჩემი ბედისა კარგი არაფერი მჯერა.

— ეგ სათუო საქმეა.

— დიაღ! მე არცა მჯერა მაგის შესრულება, მაგრამ ადამიანს მაინც უყვარს ოცნება, სანამ პირში სული უდგია.

— ... ვინ იცის სად რა მოგელით. ამასთანავე თქვენ-ნაირი გარდახვეწილებით უკვე სავსეა მთელი ევროპა. ადვილად შველას არ უნდა ელოდეთ საიდანმე.

— მე არც ველი სხვა რამეს, გარდა გაჭირვებისა.

ასე ვიბაასეთ კარგა ხანს. მე უფრო მეტად მომხიბლა მისმა სიმშვიდემ. და ღიმილი ხომ — ეს იყო რაღაც ღვთაებრივი, უკვდავი, მხატვრული. ის დარჩება ჩემ ხსოვნაში ისევე უცვლელად, როგორც ვარსკვლავი ჩრდილოეთისა ცის კამარაზე.

სამ დღეს ვიარეთ კიდევ. სტამბოლამდის.

ამ ხნის განმავლობაში უფრო დავვახლოვდით მე და ის ასული.

ძალიან შეეჩვიე. მე თითქმის ველარც კი წარმომედგინა, როგორ უნდა გავშორებოდით სტამბოლში ერთმანეთს.

პანჩენკოც ერთობ თავდაპერილი გოგონა იყო, მაგრამ მაინც აშკარად ვამჩნევდი, რომ იგიც მომეჩვია.

ჩემი არსებიდან თითქოს უკვალოდ გადაიკარგა ყოველივე ავხორცული ზმანება, რაღაც უცნაურ გარდაქმნას ვგრძნობ ჩემში, და იმ ასულს ვუცქერი, როგორც შშვენიერ სურათს სიცოცხლის მუზეუმში.

იგი მომაგონებდა ტბის თეთრს შროშანს, რომელიც სილამაზითაც სტკბება ადამიანი მხოლოდ ნაპირიდან.

ნორჩი სატაცურივით ატყორცნილი მისი ტანი შე არ მახელებდა ვაჟურის თრობით.

მისმა ღიმილმა სულ სხვა ანდამატურის ძალით დამიპყრო: მსურდა მეკვრიტა მისი სახე ყოველთვის, თვალგაუცდენლად.

იგი სახე ,ადამეშალა მრავალ საიდუმლოთა უცნაურ წიგნად, ჯერ უცნობ სილამაზეთა აღმოუკითხავ წიგნად.

მისი ღიმილი ხომ თავისი სიღრმით და მიმზიდველობით სულ გავიწყებდა ზღვასა და მისი შორეულ კიდეს.

ბევრს ეხარბებოდა ჩვენი დაახლოვება.

ნაცნობი ვაჟები ორპოფულად ჩამიკრავდენ თვალს. მეც ვიფერებდი.

სად ამეხსნა ყველასათვის საიდუმლოების ზღვიდან ამოტივტივებული ინვიათი გრძნობა, რომელიც უცხო იყო აკნობამდის თვით ჩემთვისაც!

* * *

ბავშური ნატვრა! უფრო კი გიჟური!

მინდა გასცდეს სტამბოლი პიბრალტარს, მექსიკას, რომ უფრო მეტბანს ვიყო ერთად იმ ასულთან.

მაგრამ ჩვენ უკვე ,ეაცურდით ბოსფორში.

ედემის მსგავსი ნაპირები მარჯვნივ და მარცხნივ გვეგებებიან ახალი და ახალი სილამაზით.

პირველი გაზაფხულით ატეხილი ხეხილოვანი ბაღები მიწის სიხარულს ანთებენ გულში.

კოხტა-კოპტა სასახლენი და ძველებური ჩათხრობილი კოშკები მრავლად მოსცურავენ ჩვენ თვალ წინ — დროდამჯდარი მედიდურობით.

და ყველაფერი ეს იწვევს რაღაცა მძიმე სევდას, რადგან ყველაფერი გვაახლოვებს სტამბოლთან, განშორებასთან.

აგერ სტამბოლიც თავისი საზღაპრო პანორამით!

ნეტავ შეადღის მაგიერ მთვარიანი შეაღამე იყვეს, მაშინ უფრო მომხიბლავი იქნება შორეული იერი სტამბოლისა.

დიდებულ მეჩეთების წერწეტა მინარეტები თვალს იტაცებენ სადღაცა ცის სიმაღლეში და გაიწყდება ძირს ქალაქის არსებობა.

ცის დაპლა ჩამოსვლა და მიწის მაღლა ასვლა მბოლოდ აქ ვიპილე ასე აშკარად იმ მინარეტების ცქერით.

ნაგრამ ყველაფერი ეს სიამე იჩრდილება მომავალის განშორებით.

გემი უკვე გაჩერდა.

პანჩენკო და თავისი და ჩამოდიან.

— მშვიდობით!

— მშვიდობით!

— ოჰვენ ხომ აქ იქნებით კიდეე?

— მარტოდ ერთ დღეს! ბვალ კი დაიძრება გემი მარსელისაკენ.

— მაშ ქალაქში შევხვდებით კიდეე!

— შეიძლება.

ასე უჯიშოდ გავშორდით, რადგან მრავალი თვალი მოსჩერებოდა ყურადღებით ჩვენს გაჭომშვიდობებას.

მეც ჩავიმარხე ბევრი რამ გულში და იმ გოგონამაც.

ეს ვიგრძენით ორთავემ კარგად.

ამიტომ ეაპატიეთ ერთმანეთს ასეთი სისასტიკე განშორებისა.

საღამოზე კიდევ შევხვდით ერთმანეთს გალატას ხიდზე.

გაგვეპარდა თითქოს მთელი წელიწადი არ გვენახოს ერთმანეთი.

მე ვიყავი ამხანაგთან ერთად, ის კიდევ თავის დასთან.

კიდევ ჩავეარდით უხერხულ მდგომარეობაში.

— მაშ თქვენ მიემგზავრებით ხვალ?

— უეჭველად.

— მაშ მშვიდობით! ალბათ ალარადროს არ შევხვდებით ერთმანეთს.

— უსათუოდ მოიწერეთ ან პარიზში, ან მიუნჰენში, როგორც დაგიწერეთ — ისე!

— ვნახოთ! მშვიდობით!

— მშვიდობით! გისურვებთ ყოველ სიკეთეს.

ეს იყო და ესა, ამით შორჩა ჩვენი პირველი შეხვედრა.

* * *

ეხლა გეტყვით ჩემს მეორე შეხვედრას.

უემისოდ რა ფასი აქვს ამ თხრობას.

მეორე დღეს მივეცით თავი მარსელის გზას.

ექვს დღეს საშინელ ღელვაში გვიხდებოდა მოგზაურობა.

ვუცქერდი დარდანელის დანგრეულ სიმაგრეებს, საბერძნეთის ხრიოკიან მთებს, ცეცხლის ფრქვევით დაქანცულ ეტნას და სტრომბოლას, შეუწყვეტლივ რომ ბოლავს ცის მაღალ გუმბათში. მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი პანჩენკოზე და იმის წაუშლელ ღიმილზე.

ოო, ამაზე ლამაზი ქალი ბევრი მინახავს დედამიწის ზურგზე, მაგრამ ისეთი იშვიათი და ძლიერი შთაბეჭდილება მგონი არავის დაუტოვია ჩემს ხსოვნაში.

მე მოვიარე საფრანგეთი, გალმოველი გერმანიაში.

მას შემდეგ გავიდა უკვე რვა თვე.

მე არავითარი წერილი არ მიმიღია არც პარიზში და არც მიუნჰენში.

რა ვუყოთ! ეს ჩვეულებრივი მოვლენაა სასიამოვნო მოგზაურობის შემდეგ.

მე კი მაინც ძალიან ხშირად ვფიქრობდი იმ გოგონაზე,

ამ წინებზე ერთ საკომერციო საქმეზე მომიხდა სტამბოლში წასვლა.

თქვენ უკვე გრძნობთ, რომ ჩემი მეორე შეხვედრა პანჩენკოსთან აქ უნდა იყოს.

დიაღ, ეს მართალია!

მაგრამ ყველაფერი თავის წესზე.

* * *

ზამთრის ცივმა ქარმა გუნება მოსძრა.

შევდივარ პერაზე ერთ ყავახანაში, რომ გადავკრა თბილი რამე.

ვზივარ ჩემთვის და ვფიქრობ ათასგვარ ზედმეტ რამეზე.

ჩემ პირდაპირ სარკეში ვხედავ ზურგით მჯდომ ერთ ქალიშვილს.

იგი მოსჩანდა კობრა და ყელყელა.

უფრო მეტად მომეწონა კიდევ მისი სამოსი. შავ ქათიბაში საუცხოოდ იყო ჩაქსოვილი შვინდისფერი ზოლები.

მასთან ვილაც კაცი იჯდა.

ქცევაზე ეტყობოდათ, რომ იგინი სულ ახალი გაცნობილნი არიან.

მაგრამ მე არც თუ იმდენ ყურადღებას ვაქცევ. სტამბოლი იმ დროს სავსე იყო ბრავალი ჯურის ლაბაზი ქალებით და მათი მუშტარი მამაკაცებით.

მე გავუსწორე ანგარიში და გამოვედი ეუჩაში. ვდგევარ კარებთან და ვფიქრობ — საით წავიდე.

ამ დროს გამოდიან ის ქალ-ვაჟიც.

პირველივე შეხვედრაზე ვიცანი — ეს იყო პანჩენკოს ასული.

მან ვერ დამინახა. ორთავემ ჩემ წინ გამოიარეს.

უცნაურმა ჟრუანტელმა ელექტროსავით დამკრა ტანში.

ავყევი ფეხდაფეხ. მეინტერესება გავიგო რამე.

ვინ არის ის კაცი? რათ აცვია ესე კოხტად პანჩენკოს? რა იქნა მისი სიყვარული მხატვრობისადმი? კიდევ ულიმის სახე ისევე ღვთაებრივად, გულში ჩამწვდომად?

ყურათა სმენა გამიმახვილდა. ქარიც ჩემსკენ უბერავს და მესმის ნაწყვეტ-ნაწყვეტად ასეთი ლაპარაკი:

— ათ ლირას მოგცემთ!

— ოცზე ნაკლებ არ შეშიძლიან.

— სასტუმროში ვაგიმასპინძლდებით.

— ეს თქვენი საქმეა. მე კი ოცი ლირა მომეციო და!

— ხომ იცით ეხლა ლამაზი ქალები ჯოგივით არიან სტამბოლში.

— როგორც გენებოთ! მე არ შემიძლია. ეს ხომ ჩემი ხელობა არ არის. მე მხოლოდ გაპირვებისათვის... დაცა მყავს ლოგინათ ჩაეარღნილი, ათი ლირით რა უნდა გავაწყო?..

— კარგი, თბუთმეტი იყოს.

— არა!

— მაშ მშვიდობით. სავას მოვსძებნით უფრო იაფად!

კაცი მიდის.

პანჩენკო დგას გაშეშებული ეუჩაში. გული სწყდება. ეტყობა ენდა დაუძახოს და ველარ მოუბერხებია.

მე ჩავუარე გადაწყვეტით გვერდით.

— მადემუაზელ! წამოდით ჩემთან! მიანებეთ იმ ძუნწს თავი!

თახ საბეს ვარიღეთ, როშ ვერ ძიცნოს.

— აი, თქვენ ოცდა ათი ლირა. მაგრამ მე დღეს არა მცალიან თქვენთან დროს გასატარებლად.

— ისე ვერ გამოგვართმევთ!

— არა უშავს რა. ხვალ შეგხვდებით „პარიზის კაფეში" და მაშინ იყოს...

— მე უხერხულად მეჩვენება.

— ნუ გეხათრებათ; ოცდა ათი ლირა ჩემთვის არაფერია, მხოლოდ დღეს მეტი არა მაქვს.

— ეს იშვიათი შემთხვევაა!

— მაშ აიღეთ...

გოგონამ გამომართვა უხერხულად ფული, მაგრამ ელექტროს შუქზე უეცრივ მიცნო და გაშეშდა.

— ...არ ელოდით ჩემგან.

— გაანებეთ თავი, მაგის დრო არ არის.

— ძალიან გამიკვირდა... ძნელი ყოფილა სიმშილი... უბინაობა... ჩემი დაც ლოგინად ჩავარდა... სხვა გზა არა მქონდა...

— არ მინდა, გოგონი, ახსნა. გულს რათ იბოროტებ? ამ აუცილებლობას თითქმის წინათვე ვგრძნობდი, როცა ღვთის ანაბარად მოეშურებოდით ამ უცხო ქვეყანაში.

პანჩენკო შეჩერდა. შეფიქრიანდა.

ის ღიმილი ისევ წაუშლელია მის სახეზე, მხოლოდ ვამჩნევ—რაღაცა სიმწარის ზოლებიც ჩაწვნია შიგ.

უხერხული სიჩუმის შემდეგ ისევე უხერხულად შეუბნება, თბთქოს გულიდან ძალის-ძალათი შჩეხდეს რაღაც სიცოცხლის კლდეებსო:

— მე ვიღებ თქვენ დახმარებას, მაგრამ მინდა მაინც მადლობა გადაგიხადოთ უეჭველად. მხოლოდ როგორ? თუ მოგწონვართ და მიკადრებთ.

— განა თქვენ თითონ არ იცით, რომ მომწონხართ, მაგრამ...

— მე სხვა საშუალება არა მაქვს მადლობის გადასახდელად, მაშ ნუ გიკვირთ...

— ნუ გეშინიათ! მე არ გზრახავთ არაფერზე. ან რა უფლება მაქვს.

— ...ან გაჭირვებით სიკვდილი უნდა მერჩია. ან ეს ბზა. სიცოცხლემ დამძლია... მერე და ჩემი დაც სულ უპატრონოდ იყო.

— მე ხომ მსჯავრს არა გდებთ?..

პანჩენკო შეჩერდა ხელების მტვრევით. რაღაც უნდა სთქვას, მაგრამ ვერ მოუძებნია თავი და ბოლო.

— მითხარით, რა გაწუხებთ ეგრე მოუსვენრად?

— მე ძალიან დამავალეთ თქვენი გულკეთილობით, ჩვენი საერთო მოგზაურობიდანაც წარუშლელი შთაბეჭდილება ჩამრჩა... ამიტომ ერთ რამეზე უნდა დამთანხმდეთ.

— ბრძანეთ! ვეცდები — შევასრულო.

— ხვალ დღის თერთმეტ საათზე უეჭველად მობრძანდით ჩვენსა.

— საქმე გაქვთ რამე?

— დიალ! ძალიან საჭირო! ამ ჩვენი ხანმოკლე, მაგრამ ალსანიშნავი ნაცნობობის დასაგვირგვინებლად მინდა ერთი იშვიათი დროება გაგატარებინოთ.

— როგორ?

— თქვენ ნახავთ ხვალ! ისეთ დროებას გაგატარებინებთ, რომ მთელ სიცოცხლეში არ დაგავიწყდეთ. მხოლოდ უეჭველად უნდა მოხვიდეთ.

— თუ კი დრო მექნება...

— არა, უეჭველად იშოვეთ საამისო დრო! გთხოვთ ეს ერთი რამე აუცილებლად შემისრულოთ. გარწმუნებთ და-

უვიწყარ დროებას გაატარებთ და მეც ძალიან მასიამოვნებთ.

— თუ კი თქვენ ეგრე დაჟინებითა გსურთ, მეც შეგისრულებთ მაგ თხოვნას.

— მაძლევთ პირობას გადაწყვეტით?

— უეჭველად!

— მაშ ეხლა გაგშორდებით. ღამე მშვიდობისათ.

— გამარჯვებით.

— არ დაგავიწყდეთ ხვალ სრულ თერთმეტ საათზე გელით ოტელ ბელვიუ-ში პერაზე. არ მომატყუოთ.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ — სიტყვას არ გადავალ.

— გენდობით!

ასე გავშორდით ერთმანეთს.

* * *

მეორე დღეს ადრე ავდექი, მაგრამ სულ დამეკარგა ხალისი ყოველგვარი საქმისა.

მოუსვენრად ველი თერთმეტი საათის მოახლოებას.

დრო საშინლად გაგრძელდა. ასე მეგონა — ამდენი ხნის განმავლობაში დაბერებასაც კი მოვასწრებ მეთქი.

როგორც იქნა მოახლოვდა ვადა.

სრულ თერთმეტ საათზე მივადექი „ოტელ ბელვიუს“.

რალაც ერუანტელი მივლის, თითქოს ოფლსაც მასხამს. გულში ბობოქრობენ რალაცა გრძნობანი. თავს სულ სხვანაირად ვგრძნობ ყოველმხრივ.

შევაღე სასტუმროს კარი.

არავინა სჩანს, არც პატრონი, არც მოსამსახურე.

დაფაზე ამოვიკითხე პანჩენკოს გვარი.

მესამე სართული: ოცდაცამეტი ნომერი.

ავედი თუ არა, დერეფანშივე შემხვდა პატრონი.

— თქვენ ეინა გნებავთ?

— მადემუაზელ პანჩენკო!

— მადემუაზელ პანჩენკო? ეჰ, ჩემო კარგო, იმან წუხელის თავი მოიწამლა.

— რას მეუბნებით!

— დიაღ, თავი მოიწამლა! ქაფური დალია!

— გარდაიცვალა?

— ეს არის ეხლა დალია სული!

აქ შემომესმა მისი დის გადარეული წივილიც.

მე გავშეშდი.

ალარ ვიცი — სად წავიდე.

ჩემს ირგვლივ შეიკრენ ქვეყნის გზები.

* * *

— „ისეთ დროებას გაგატარებინებთ, რომ მთელ სიცოცხლეში არ დაგავიწყდეთო!"

დიაღ, მთელ სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს სასიკვდილო პაემანი იმ ბედისაგან განწირულ ასულთან.

1924 წ.

წუთების ქვანძი

განთიადის სამი საათია.

საძილოდ მიბნედილ მუსიო რონდოს მიაქანებს ავტომობილი თავის სახლისაკენ.

ძლივას მიწყნარებულ პარიზის ქუჩებში კიდევ ხვდება თითო-ოროლა აწყვეტილ ავტოს, დაგვიანებულ ნაქეიფარ მგზავრებით.

ნაგვის ყუთებში კი ფუსფუსობენ ჯურღმულებიდან ვამომძვრალი ღარიბ-ღატაკნი.

— ბედნიერნი არიან თუ უბედურნი ის ხალხი, ვინც წყალში გადასაყრელ ეუეყში და ნაგავში ჰპოვებს თავის ღღიურ ლუკმას?

რონდო უკვე შინ არის.

რამდენიმე წამის შემდეგ სძინავს გულიანად.

* * *

შვიდ საათს გადასცდა ათი წუთი.

ძილით დაბნედილ ოთახში უეცრად მოესმა ლოთური წკრიალი ტელეფონის აპარატისა.

— ოხ, ეს წყეული ტელეფონი. ვინ მოიგონა დილის ძილის დასაფრთხობად.

— გისმენთ!

— დიალ! მუსიო რონდო!

— ლონდონიდან?

— სირ ოსტვალდ, თქვენა?

— რომელ საქმეზე?
— ჩემი აპარატის შესახებ?
— მაინც გნებავთ შეიძინოთ?
— უეჭველად?
— მაშ ალარ მეჯანჯლოთ! ეს იქნება უკანასკნელი მოლაპარაკება.
— კარგი!
— დილით პატარ-პატარა საქმეები მაქვს პარიზ-შივე. ისე, რომ ცოტა დამაგვიანდება. სრულ თორმეტის ნახევარზე კი ლონდონში ვიქნები.
— ოტელ მეტროპოლში, როგორც ყოველთვის.
— მაშ ნახვამდის!
— სრულ თორმეტის ნახევარზე!
— კარგი! კარგი!

* * *

ორი წუთით ისვენებს მილი ტელეფონისა:
მუსიო რონდომ დილის გუნებაზე გააბოლა ტანაგრას პაპიროსი და მისწვდა ტელეფონს.
— ცენტრალური?
— თუ შეიძლება — მომეცით — 10-23-45.
— ვის ვებაასები.
— ჩრდილო — ავიო — საზოგადოება?
— კეთილი!
— გთხოვთ, ერთი ადგილი შემინახოთ ათი საათისათვის ლონდონში გადასაფრენად.
— კეთილი, კეთილი! სრულ ათ საათზე მანდა ვარ.
— ნახვამდის!
ეხლა ათ საათამდის რა გააკეთოს მუსიო რონდომ? მაგრამ ცოტა საქმე აქვს განა!
ამინდი კარგი სჩანს.

ეს წუბანდელი ჰანგი კი არა შორდება თავიდან. თან იცვამს და თან ღიღინებს:

„ფოქსტროტ-ჯიმმი, ფოქსტროტ-ჯიმმი.
რა გვიხდება ყველას გრიმი.
ეს ქვეყანა ჩვენია—
თუ კი მოგვილხენია.
ჰოპ-ჰოპ ალლო. ჰოპ-ჰოპ ალლო!
გამოგვივა ყველას ალლო!
ჰოპ-ჰოპ ალლო. ჰოპ-ჰოპ ალლო!
გამოგვივა ყველას ალლო!

სახლის მოურავმა ფოსტა მოიტანა.

— გმადლობთ!

„აბა, ვნახოთ ერთი — ქვეყნიერობამ როგორ მომიგონა.

პირველი წერილი:

„ოო, მთელი სამი გვერდია გაჭიანურებული. ეს უეჭველად ჩემი რუსი მეგობრისაა.

„ბოლოს რა აწერია?

„ბორის კულიკოვ.

„აკი ვსთქვი, ის იქნება-მეთქი.

„აქ მთელ მსოფლიოს ბედ-ილბალზე იქნება ლაპარაკი. მაშ გადავდოთ. წავიკითხოთ, როცა მოვიცლით პატარა საქმეებიდან.

„ოო, ეს პნევმატიკი უფრო საყურადღებოა.

„ქალის ხელი სჩანს...

„ექსპედიტ... ივნეტ ნეტტერ...

„აკი ვსთქვი!

„ჩაგვირისტებულ წერაზე ვიცნობ.

„და მისი ხელების სურნელებაც ასდის თითქოს ამ ყოხტა წერილს.

„ვნახოთ, ვნახოთ — ყურეკ-თვალება რას იწერება".

„არ მოგენატრა ჩემი ნახვა?"

„მე კი უშენოდ მომეწყინა“.

„როდისა გნახო — შემატყობინე!“

ივნეტ.

მეორედაც წაიკითხა საამო სიტყვები მუსიო რონდომ:

„ასე ცოტა სიტყვები და ამდენი რამის გადმოცემა!

„ოო, ის გიჟი. პასუხს მოითხოვს ეხლავე.

„საღამოს შვიდ საათზე ჩემთან იქნები, ცუღლუტო, „უნივერსალის“ კაფეში!

„ეს მესამე წერილი საიდანღაა?

„ჰავრიდან?

„აბა, ვნახოთ!“

ზეზეულა კითხულობს რონდო.

„ოო, მამაჩემი ავად ყოფილა! და ისიც მძიმედ!

„თბოულობს ჩემს ნახვას.

„დალოცვილი ტელეფონი! ეს რომ არ იყვეს, რა გვეშველებოდა!

„აბა დავრეკოთ!

„ცენტრალური.

„მომეცით თუ შეიძლება ქალაქთა შორის კავშირი.

„გთხოვთ შემაერთოთ ჰავრთან!

„გთხოვთ მომცეთ 15 — 29!

„ვინ ლაპარაკობს?

„ლუიზა, შენა?

„მამა როგორ არის?

„გადაეცი, რომ შუადღის სამი საათისათვის მანდ ვიქნები!

„უეჭველად!

„ნახვამდის გენაცვალე!“

მუსიო რონდო გამოეწყო. უკვე მზად არის წასასვლელად. დროს აღარ ჰკარგავს.

სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა კარში.

ყავა დააეიწყდა. რა ვუყოთ მერე!

— ეი, ტაქსი!

— ქარხანა „პეეო“, თუ შეიძლება! ლევალუაში!

ათი წუთის შემდეგ მუსიო რონდო ტრიალებს ქარხანაში.

ათვალიერებს ავტომობილის ხელნების ახალ ყალიბს, თავის მიერ გამოგონილს.

რესორი მოკლედ ეჩვენება და ჭახრაკიც დუნეთ.

— ოსტატო! ერთი მისხლითაც არ შესცვალოთ, რაც გეგმაში მაქვს ნაჩვენები!

„ნახევარ ადლიან ხრამშიაც რომ ჩაიჩეხოს ცალი გოგორა, თანასწორობა საჯდომისა მაინც არ უნდა დაირღვეს.

„ეს უნდა იყოს უკანასკნელი სიტყვა სააგტომობილო ტექნიკისა!“

ოსტატი მონაა ამგვარი ბრძანებისა. სიტყვასიტყვით შეასრულებს რონდოს კარნახს.

— თუ დღეს ვეღარ დავბრუნდი, ხვალ დილით შემოვიღლი უეჭველად. მზად იყვეს უკანასკნელი ნიმუში! შეიძლება ხვალვე გამოვცადოთ.

— ყველაფერი შესრულდება უკლებლივ, მუსიო რონდო!

რონდომ მიატოვა ქარხანა.

„რომელი საათია?

„ცხრის ნახევარი?

„ოო, მეტრო მიდინეტებით იქნება საკვე.

— ტაქსი!

— შაქარლამა როშერისა!

მიჰქრის ავტო გალალებულ, განიერ ქუჩაზე.

— გთხოვთ გააჩეროთ გაზეთის გამყიდველთან!

მუსიო რონდო არჩევს გაზეთებს.

— „გოლუა“.

— „ფიგარო“.

— „ეკო დე პარი“.
— „ლ-უმანიტე“.
— „ჟურნალი“!
უცხოური გაზეთებიც ყოფილა.
— მაშ ავარჩიოთ!
— „ბერლინერ ტაგებლატ“.
— „კორრიერე დელლა სერრა“.
— ჟურნა დე ჟენევ“.
— „დეილ მეილ“.
— რა ბედნიერნი იყვნენ ჩვენი წინაბრები, როცა არც ერთ გაზეთს არ კითხულობდენ!
— ტაქსი! განაგრძე გზა!

* * *

მუსიო რონდო უკვე ზის როშერის მოკრიალებულ დარბაზში. კოპწიად გამოწყობილი გოგონაც დაცქრიალებს მის მაგიდასთან და ასრულებს ხალისით სხვადასხვა შეკვეთას.
რონდო ჰაეროპლანის სისწრაფით გადააევლებს თვალს გაზეთიდან გაზეთს.
— ინგლისის არჩევნები...
— რეიხსტაგის გარეკვა...
— ჩან-ძო-ლინის გამარჯვება უ-პეი-ფუზე.
— მოსკოვის ნოტა დიპლომატიურ კორპუსს.
— ქარიშხალი კალიფორნიაში...
— ესპანელების დამარცხება მაროკოში.
— ტრაგედია რივოლის ქუჩაზე...
— რიოტინტოს აქციების დაწევა.
— მარსის ატმოსფერა...
— ნობელის პრემია...
— ანატოლ ფრანსის ანდერძი.

— გაფიცვა „სიტროენთან" (რა კარგია გაფიცვა კონკურენტის წარმოებაში!)

მუსიო რონდომ შეისვენა. შეექცა ყავას. თვალი მოავლო გოგონას.

„რა კაი გვრიტია!

„სხვა გაზეთები რაღას ამბობენ?

„მაგრამ ეხლა მაგვიანდება.

— ანგარიში, გოგონი, თუ შეიძლება!

— მიირთვით!

— ეს ზედმეტიც — თქვენი კოხტა სიარულისათვის.

გოგონა მადლობას უხდის. ჰნატრობს რონდოს მეორედ შოსვლას. კაი კაცი ყოფილა.

რონდო სდგას ტროტუარის პირად. გულმშვიდად ჩაიდო პაპიროსი პირში. დინჯად გააბოლა. დამნახავს ეგონება, რომ იმას წუთისოფელში არასოდეს არ ეჩქარება. საათს სინჯავს:

„ორმოცი წამი კიდევ მაქვს ვადა.

— ტაქსი!

— აეროდრომზე! მარდათ!

— გზად გაიარეთ ბულვარ რასპაი, № 21.

ტაქსი მისრიალებს გონდოლასავით — ვატკეცილ ასფალტზე.

„რა საუცხოვო მანქანას წარმოადგენს ეს ცხოვრება!

„ვინ შოფერია, ვინ დურგალი, ვინ მემალაროე, ვინ ინჟინერი.

„ნუ თუ ბანდიტები და გლახაკებიც ამ მანქანის ნაწილები არიან...

„დედა-მიწის ?ერგზე კიდევ რამდენ კაცს ენატრება ავტომობილში ჩაჯდომა.

„რამდენ კაცს ჯერ კიდევ არ უნახავს თვალით ავტომობილი...

აქ რონდომ ფეხი ფეხზე გადიდო და ორთავე დაუ
დევრად მიაბჯინა ავტოს კედელს.

— რასპაი, 21! უკვე მზათ არის!

ავტოს ბუკი რამდენჯერმე დააყვირეს.

მეოთხე სართულის ფანჯრიდან გადმოეკიდა ივნეტას
ცულლუტი თავი.

— ძვირფასო მეგობარო, მხოლოდ ორი წუთი! ეხლავე
ძირს ვიქნები.

— ვიცდი, რამდენსაც მოისურვებ!

რონდომ გახედა პირდაპირ, შორს და თვალი მოჰ-
კრა ცის კამარას.

„რა იშვიათად ხედავს კაცი ცას დიდ ქალაქში!

„რა ცუდია სიბერე.. სიკვდილზე უარესია.

„ივნეტ, შენც დაგეჭმუკნება სახე. და იქნებ ამ რას-
პაის კუთხეშივე მოგელის გაზეთების გამყიდველობა.

ივნეტა გამოჩნდა ცელქი და კოხტად გამოკანკლული.

გიჟურად ჩაუხტა რონდოს ავტოში და მხარი დაუმ-
შვენა.

— მე მანიკიურის გასაკეთებლად მივდივარ.

— რომ შემდეგ „არმენონვილის“ ვერანდაზე იმ თი-
თებით ლერწამი გეჭიროს და ნებიერად სწუწნიდე ციტ-
ორანჟადს, არა?

— ან კიდევ შენ დაგირეკო ტელეფონით...

— ან მომწერო პნევმატიკი —

„არ მოგენატრა ჩემი ნახვა?

„მე კი უშენოთ მომეწყინა და სხვა...

— ჩემო ძვირფასო, სად მიეჩქარები ეხლა?

— ჰაეროდრომზე.

— იქიდან?

— ლონდონში.

— ალბათ საქმეზე?

— რასაკვირველია.
— ჩქარა დაბრუნდები?
— საღამოზე აქ ვიქნები.
— საღამომდის გავძლებ უშენოდ!
— მაშ მშვიდობით, გოგონი!
— მხოლოდ არ მალოდინო.
— შენ თვითონ მოდი ჰაეროდრომზე.
— კარგი! შვიდის ნახევარზე!
ივნეტამ შოფერს დაუკაკუნა:
— მე უკვე მივედი ჩემ მანიკიურთან.
— მაშ მშვიდობით, ჩემო გრაციელლა!
— მშვიდობით, ჩემო ძვირფასო!
— ეხლა ჰაეროდრომზე!
— ...შვიდის ნახევარზე. კარგი?
მუსიო რონდო მივიდა ჰაეროდრომზე.
ხუთიოდე წუთის შემდეგ კი მიჰქრის პარიზის თავზე.

* * *

ქალაქზე მწვანე სარტყელად გადავლებული სენა.
უკან რჩება ტრიუმფის არკა.
მას მისდევს ობელისკი. ოტელ დე ვილი. პანთეონის გუმბათი, პარიზის გალავანი.
„რა საწყლები იყვენ ჩვენი წინაპრები, რომ ერთხელაც არ უგრძვნიათ მიწიდან დაშორება.
„რა სისწრაფით ვითარდება ყოველგვარი სისწრაფე:
„იყო ურემი.
„შემდეგ ეტლი.
„მატარებელი.
„ავტომობილი.
„ჰაეროპლანი.
„რადიო.

„რადიო.

„თუ ასე განვითარდა ტეხნიკა, ჯერ კიდევ დიდ ხანს არ ვიგრძნობთ სიცოცხლის ხანმოკლეობას.

* * *

„ეს ამიენია, თვალქვეშ რომ მოსჩანს.

„ერთი საათი კიდევ არის თავისუფალი.

რონდომ თვალი მოჰკრა ქვევით რომელღაც დიდ ფრინველს.

„ქორია?

„ქორი კი არა — ბეღურაა!

„ქორი ჩვენი ჰაეროპლანია.

„არწივი კიდევ სხვა იქნება. შემდეგში. მომავალში.

რონდომ გაზეთები გადმოფურცლა.

„ანატოლ ფრანსიც არ ყოფილა უკვდავი.

„ნეტავ რას იზამს ეხლა მისი თექვსმეტი წლის ცოლი?

„აგერ ჰამუნდსენი ჩრდილოეთის პოლიუსზე!

„სისხლის ღვრა კალკუტაში!

„მახათმა განდი კი ისევ შიმშილობს.

„ამით უნდა მოსპოს ინგლისის უსამართლობა?

გაზეთები განზე გადასდო.

„ფორდი. „ჩემი ცხოვრება და მიღწევები".

„რა დიდებული კაცია.

„არც სიკვდილს ფიქრობს. არც სიბერეს.

„რადიოს სისწრაფით ანაღდებს ორას-სამასი წლის სინამდვილეს.

„ნუ თუ ისე მოკვდება, რომ არ იგრძნოს კრიზისის რეემატიზმი!

„დიეპიც უკან დარჩა.

„ესეც გუნება-ამღვრეული პა-დე-კალე.

რამდენი შფოთავს ეპლა უმსგავსო გემში. რონდო კი ყველაფერს ზევიდან უცქერის გულ დამშვიდებით.

მუსიო რონდომ დაღალულად იგრძნო თავი და წე ბიერად მისთვლიმა კიდეც.

„პროპელერის ხმაური — ეს ნანინაზე საამურია.

თვალები გაახილა ლონდონის ცაზე.

პარლამენტი.

ვესტმინსტერ კათედრალი.

ტემზა და ჰაიდ-პარკი.

ორი წუთის შემდეგ — ჰაეროდრომი.

— ავტო!

— ოტელ მეტროპოლი!

სირ ოსტვალდი და მუსიო რონდო ერთად. საქმიანი საუბარი.

მორიგდენ.

შემდეგ ყუათიანი სადილი.

* * *

ორ საათზე ისევ ჰაეროდრომი.

ვინმე ახალგაზრდა მანდილოსანიც მიემგზავრება პარიზისაკენ.

რონდო კმაყოფილია ასეთი თანამგზავრით.

გაფრინდენ.

ლონდონი უკვე შავ დიდ წერტილად მოსჩანს უკან.

— უკაცრავად. თქვენ...

— მადამ ლაროშ!

— ნება მომეცით...

— რისაგ?

— თქვენ მომბიბლავ ხელს მიწაზე მრავალი კოცნა ექნება დათვლილი. ჰაერზე კი — არცერთი. მაშ...

— ინებეთ!

და კელაპტრად ჩამოქნილ უცხო საუნჯეს მხურვალედ დაეწაფა მუსიო რონდო.

— თქვენ უკვე გადასცდით ოფიციალურ რიცხვს...

— სილამაზეს არა აქვს რიცხვი და სათვალავი.

— მეტადრე ჰაერში, ქვეყნის ზევით, არა?

— ოო, რასაკვირველია, მიწაზე მძიმედ მოვიქცეოდი.

და რონდოს ბაგე დაეწაფა მკლავის ჯადოსნურ ხვეულში.

— თქვენ გამბედაობთ!

— იმ ლამაზი მომენტისათვის, რომელიც ერთხელ მოგევლინება და აღარც განმეორდება, — გამბედაობასთან ერთად გაგიჟებაც შეიძლება.

— მიუხედავად ცაში ყოფნისა, მაინც გევალებათ ცოტაოდენი მიწიერი დარბაისლობა.

— მადამ ლაროშ! თქვენისთანა მოხდენილი ქალიცის სივრცეს ალბათ ჯერ არ უხილავს.

— თქვენ ეგრე გგონიათ, მუსიო რონდო.

— ამ წუთში ფქვენ მირჩევნიხართ ყველას და ყველაფერს.

— მხოლოდ ამ წუთში!

— განა საკმარისი არ არის, რომ თითო წუთი მაინც ყველაფერი იყვეთ სილამაზით დამათვრალ ადამიანისთვის?

— ეგებ მართალი ხართ...

— ნება მომეცით შემოგფიცოთ, რომ მართალი ვარ!

და თავდავიწყებული რონდო ისევ გზნებით დაეწაფა ლაროშის მომხიბლავ მკლავს, საცდუნებელ მხარს და გრძნეულ ბაგეთ...

— მორჩა! მეტის ნებას აღარ გაძლევთ...

— მე არ ვიტყვი — კმარა! მაგრამ ვემორჩილები თქვენს ბრძანებას.

— ეგრე სჯობია!

— მადამ ლაროშ! პიწაზე როდის გამაბედნიერებთ თქვენის შეხვედრით?

— ხვალ.

— კარგი.

— საღამოს შვიდ საათზე.

— კარგი.

— კაფე როიალში.

— ძალიან კარგი.

— ეხლა კი ჰავრიც გამოჩნდა. მე აქ ვრჩები.

ხუთი წუთის შემდეგ გამოემშვიდობენ ერთმანეთს ათი წლის გულითადი ნაცნობებივით. რონდო დარჩა ჰავრში. მადამ ლაროშმა გაჰქროლა პარიზისაკენ.

* * *

რონდომ ინახულა თავისი მომაკვდავი მამა. გულითადი მწუხარებისაგან საკმაო ცრემლიც კი დაღვარა.

იქ — და ანუგეშა, აქ — დედა. უმცროს ძმას მისცა ოჯახური გაწკარგულება - დარიგებანი. მამასაც მიუალერსა სიყვარულობით.

„ეგებ გამოსათხოვარიც იყვეს ეს მამა-შვილური მიალერსება!

რონდოს გული აუჩუყდა.

„ფოლადის და რკინის ხანაში ნუ თუ შესაწყნარებელია კიდევ ასეთი გულჩვილობა!

„მაგრამ ადამიანი ყოველთვის ადამიანად დარჩება, და გული — გულად.

„ეხლა კი დრო აღარ არის წუწუნისა. ოთხი საათია. მაშ უკვე უნდა გაემგზავროს.

ყველა დაჰკოცნა. გამოემშვიდობა და გასწია ჰაეროდრომისაკენ.

ხუთის ნახევარზე ჰაერო მიარღვევს ცას — პარიზისაკენ.

ექვს საათზე უკვე პარიზშია. ქარხანაში.

მის მიერ გაუმჯობესებული ახალი შასსი უკვე აწყობილია.

საჯდომის მაგიერ დადგეს ყუთი. თვითონ რონდო მოაჯდა საქეს. გვერდშიც მოისვა მექანიკოსი და გაუშვა მანქანა.

საითაც ოლრო-ჩოლრო გზები იყო, სულ იქით, არბენია. გოგრები მოუსვენრად ხტოდენ მაღლა თუ დაბლა, მაგრამ შასსი ისე სწორედ მისრიალებდა, როგორც წყნარ ზღვაში გაშვებული ნავი.

საუკეთესო შედეგია.

რონდო კმაყოფილია თავისი გამოგონებით.

ეს ერთი გამარჯვება თავდებია სხვა მრავალისა.

„მთელი დღე საუცხოოდ მიმდინარეობს, როგორც მიზანში გასროლილი ისარი.

„ყველაფრის საცდუნებელი დაგვირგვინება! იქნება ალბათ ცოტა ხნის შემდეგ ივნეტასთან შეხვედრა.

ხვალიდან მუსიო რონდო განკარგულებას გასცემს, რომ დაიწყოს ახალი შასის ფაბრიკაცია.

ეხლა კი დრო არის კაფე „უნივერსალისაკენ“.

* * *

შვიდ საათს გადასცდა რამდენიმე წუთი.

რონდოს ავტოც მიადგა „უნივერსალს“.

ესტრადიდან წამოხტა სახე-განათებული ივნეტა და საყვედურებით მიმართა მუსიო რონდოს.

— არა გრცხვენია. საძაგელო! რათ მაცდევინე ჰაეროდრომზე! ტყუილად მომიყვანე!

— ჩემო გოგონი, ბოდიშს ვიხდი. მეუფრო ადრე მოვედი, მაგრამ დრო მაინც ამაოდ არ დამიკარგია.

— ეგ ჩემთვის ნაკლებ სანუგეშოა საძაგელ ო.

ამ დროს ჩამოიქროლეს გაზეთის გამყიდველმა პატარა ბიჭებმა:

— „ლა პრესს“. სიკვდილი ლორდ კერზონისა

რონდომ გაუწოდა ორ-სუიანი და გამოართვა გაზეთი.

„მაშ კერზონსაც მოერია სიკვდილი! იმის წინაშე ლორდი და მინისტრი, სარდალი და მეფეც ისევე სუსტები არიან, როგორც ნოტრ-დამის კარებთან მდგომი მოხუცი გლახა.

მიუტრიალდა ივნეტას და გრძნეულად ჩაჰკიდა ხელი.

— ჩემო ძვირფასო, აპერიტივი უკვე მიირთვი?

— შენ გელოდები.

— მაშ წავიდეთ.

ივნეტამ და რონდომ მოსძებნეს კაფეში კოხტა ადგილი და მოიკალათეს არხეინად.

პირდაპირ სარკეა. უკანაც სარკე.

უეცრივ რონდომ ივნეტას სახეზე შეამჩნია რალაც ლიმილი, რომელიც იმას არ ეკუთვნოდა. პირდაპირ სარკეში კი თვალი მოჰკრა მის უკან მჯდომ ახალგაზრდა ვაჟს, რომელიც ნაცნობური, მაგრამ ფრთხილი შეხედვით სალამის მსგავსს უძღვნიდა ივნეტას.

„აჰა, აქ რალაც შეთქმულებაა სიყვარულის — „წმიდა“ სახელით!

დასხდენ.

რონდო მოუსვენრობას განიცდის.

„ნეტა ვინ არის ის ყმაწვილი? რა კავშირი აქვს ივნეტასთან? მაგრამ ახალგაზრდა კაცს ლამაზ ქალთან პარიზში შეუძლია ჰქონდეს მხოლოდ ერთადერთი კავშირი.

„ოო, ლამაზი და საყვარელი ქალი განა შეიძლება მოლალატე არ იყოს!

ივნეტამ ალბათ ალღო აუღო რონდოს იქვეებს.

— რაზედ ჩაფიქრდი, ჩემო ძვირფასო?

— შენს ხელზე. შენი ხელი სარკეშიაც კი სჩანს. ლამაზი და უცნაური.

— მოგწონს?

— ვანა მარტო მე!

— მაშ სხვას ვილას აქვს უფლება მის მოწონების?

-- ყველას, ვინც სილამაზისათვის უდროოთ არ დაბერებულა.

— საძაგელო!

ახალგაზრდა კაცი გაფაციცებით უგდებს ყურს ივნეტას და რონდოს გადაკრულ საუბარს.

რონდომაც შეამჩნია ეს ყურადღება და უფრო დარწმუნდა თავის ალღოში.

„რა არის მამის მძიმე ავადმყოფობა, კერზონის სიკვდილი, ან ახალი საკუთარი ტეხნიკური გამოგონება, როცა საყვარელ ქალის სახეზე დაიქერ ღალატის ღიმილს!

აპერიტივის შემდეგ სადილი გაეწყო.

ივნეტა ცელქობს... ამხიარულებს რონდოს და ხანდასან მხიარულების საფანელს იქ, სხვა მხარესაც გადააბნევს.

უეცრივ კაფეს კარი გაიღო.

შარიშურით შემოვიდა წარმოსადეგი ქალი და უკან მოსდევს — ალბათ, ქმარი.

მუსიო რონდო აენთო:

— მადამ ლაროშ...

მადამ ლაროშმაც შეამჩნია რონდოს თვალები, მათ ერთი-ერთმანეთს გადახედეს. ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ ბევრი რამ კი სთქვეს.

რონდოს მრავალი ფიქრი, უელავს თავში. ყველაზე მწველი კი მაინც ერთია.

„ნეტავ თუ ნამდვილი შეხვედრის შემდეგაც ასევე საცდუნებელი იქნება მადამ ლაროში, როგორც არის ახლა?

ივნეტას მახვილი ალღო აქვს. არ გამოეპარა რონდოს ყურადღების საიდლაც გადაცდენა.

— მუსიო რონდო!

— მიბრძანე, გენაცვალე.

— თქვენ სად ხართ?

— ...ვფიქრობ — რა არის სიყვარული?

— ძველი თემაა...

— ...ან რამდენი გვარისაა სიყვარული?..

— ...იმდენი გვარისა — რამდენიც ადამიანი!

— შენ მართალი ხარ, ჩემო ცელქო, — შენი რვალის ჩაწკეპილი კბილებივით.

— მაშ თუ მართალი ვარ, ასეთ მსჯელობას არა სჯობია — „ორ-დ-ოვრს“ შევექცეთ?

— ვემორჩილები შენს რჩევას, როგორც ყოველ შენს კაპრიზს.

და მადის ასაშლელ ნაირ-ნაირ საუზმეულობამ პატარა ლატარიასავით დაიწყო ტრიალი რონდოსა და ივნეტას ხელში.

* * *

მადამ ლაროში თავისი ქმრით კარგა საპატიო მანძილზე დაჯდა, მაგრამ მისი და რონდოს შორის საუკეთესო თარჯიმანი ისევ სარკეა.

ჩუმჩუმათ გადაავლებენ ერთმანეთს თვალს და კმაყოფილებით ჩაღუნავენ თავს.

მაგრამ მუსიო რონდოს გართობით ბეი ივნეტამაც იხელთა დრო და მადლიანი ღიმილი მიუძღვნა უკან მჯდომ ახალგაზრდა ვაჟს.

რონდომ თვალი მოჰკრა. ჰამის მადამ უკლ'ო.

ვინ ეცილება. თავის ცუგრუმელა ივნეტას. განა იმიტომ დაჰყავს ასე თვალდასაყენებლად გამოკანკლული, რომ ყოველ ნაბიჯზე სხვები ჭდავებოდენ?

რონდო მზად არის, ჭკუა ასწავლოს იმ უცნობ ყმაწვილს, მაგრამ მაინც უცდის უკეთეს შემთხვევას.

მადამ ლაროშსაც ეტყობა რაღაცა ჩუმი მოუსვენრობა.

ძველი ბორდო დამდნარ ქარვასავით ელვარებს ბაკარას ჭიქებში.

ივნეტას ჭიქამ ვერცხლის ზარივით გაიწკრიალა რონდოს ჭიქაზე და მაცდურის ღიმილით „იმ“ ვაჟსაც გადასტყორცნა რადიო-ღიმილი.

მაგრამ რონდოს, როგორც ფხიზელ ანტენას, არ გამოეპარა ეს უჩინ-მაჩინი რადიოც.

სარკის სილრმეში კი მადამ ლაროში სულ-განაბული კატასავით მისჩერებია მუსიო რონდოს და ელის მის შეპედვის დაჭერას.

დაიჭირა კიდეც.

ჩუმად ჭიქა დაუმიზნა და აზიზად შესვა მისი იდუმალი სადღეგრძელო.

მუსირ რონდომაც სიამით მიიღო ეს სახიფათო და მალული სადღეგრძელო.

კარგა ხანს გაგრძელდა არშიყობის ეს ჯამბაზობა.

მადამ ლაროშის ქმარიც ფხიზლად ადევნებს თვალყურს თავის მეუღლის მიერ მიზანში ნასროლ უჩინარ ისრებს.

მადამ ლაროში განგებ იძახის ხმამაღლა:

— ჩემო ძვირფასო ჰანრი. აქედან „ამბასადორში“ წავიდეთ.

— კარგი! უეჭველად! მერე დღეს ახალი პროგრამაც არის!

რონდო მიხვდა.

ოსმალური ყავით და „შამპან ფინით“ დამთავრდა სადილი.

— აქედან სად წავიდეთ, მუსიო რონდო?

— თუ მოისურვებთ — „ამბასადორში“!

— ძალიან კარგი.

კიდევ „ვილამაც“ გადასწყვიტა გულში — „ამბასადორში“ წასვლა.

ერთი საათის შემდეგ ყველა „ამბასადორში“ სხედან.

მუსიო რონდო ცეცხლს იკიდებს იმ ყმაწვილ კაცზე, კოხტა ივნეტას რომ უჩოჩქოლებს მოუსვენარ გულს.

უფრო მეტად კი საწყენია — მთელ ყურადღებას რომ ვერ აქცევს მადამ ლაროშის საცდუნებელ ანდამატობას.

ერთგან შეექცევიან ნამცხვარს და მარწყვის კრუშონს.

მეორეგან — სილეულობას და თავანკარ შამპანს.

მესამეგანაც ისევ შამპანით ართობენ გულს.

სცენიდან კი ისმის ხან სიმღერა, ხან მუსიკა, ხან მბატვრული იუმორი და ოხუნჯობა.

მუსიო რონდო ველარ იტანს „იმ“ ყმაწვილის მეზობლობას და ივნეტას ყურადღებას მისდამი.

გულის ვასამაგრებლად უკანასკნელი ჭიქა ასწია. ივნეტას უთხრა რაღაც აზიზი სიტყვა. თვალებით, მრავალის მეტყველი თვალებით კი გადაპაედა მადამ ლაროშს და შესვა.

მადამ ლაროშმაც მსწრაფლად დააკლო ჭიქას ხელი და საპასუხო ნეტარების ღიმილით შესვა ჩუმი სადღეგრძელო.

ლაროშმა ყველაფერი შეამჩნია. მეტის ატანა აღარ შეიძლება.

ცოტა ხნის შემდეგ მუსიო ლაროშის ერთმა ნაცნობმა ცალკე გაუძახა მუსიო რონდოს.

გადასცა მუსიო ლაროშის სადარბაზო ბარათი და სანაცვლოდ გამოართვა თავისი.

— დილაზე ადრე გეწვევიან სეკუნდანტები და პირობაც იქ შემუშავდება.

— როგორც ნამდვილი ფრანგი და რაინდი ფრანგი, მუსიო რონდო იღებს ამ გამოწვევას.

„მხოლოდ საწყენია, რომ მადამ ლაროშის წყალობით „ის" ყმაწვილი გადურჩა რონდოს რისხვას.

რა გაეწყობა!

მუსიო რონდოს აქ აღარ უნდა დგომა.

მან ვაიტაცა თავისი კეკლუცი ივნეტა და მონმარტრის კაბარეში გაატარა მთელი ღამე სიმხიარულით.

ხანდახან მოელანდებოდა მადამ ლაროშის გრძნეული ტანი, რომლის სიშიშვლეც მან ვერ იხილა.

თვალწინ წარმოუდგებოდა კელეპტრად ჩამოქსილი ჭკლავები, საგანგებოთ გამოკვეთილი „ჩლიქები" და სინაზით მწველი წვიკები

„მუსიო რონდოს ... სიკეთე არ უგეშია და მსხვერპლს კი სთხოვენ წინასწარად.

„დასთანხმდა გამოწვევას, მხოლოდ ერთის მოსაზრებით: მუსიო ლაროშმა არ იფიქროს, რომ მისი ცოლის მოარშიყე მასზედ ჩანჩურა და ლაჩარი იყოს.

„რომ იცოდეს ივნეტამ ეს ამბავი, მაშინ ორმაგად იქნება გამართლებული მისი გიჟმაჟური ღალატიც. მაგრამ რონდო არავის დაუთმობს ეგრე ადვილად თავის ცუგრუმელა ივნეტას.

და ამ ფიქრებს მოსდევს უფრო მბურვალე კოცნა და ალერსი ცელქი გოგონა ივნეტასი.

მხოლოდ დილით დაბრუნდა რონდო თავის ბინაზე.

დღეს კვირა არის. ეგონა დასვენებდა, მაგრამ ვინ აცენებს.

* * *

დილის ათ საათზე ეწვიენ სეკუნდანტები.
შეიპუშაევეს პირობები.
დაშნებით.
პირველ ჭრილობამდის.
ნაშუადღევის ოთხ საათზე.
ვენსენში. მარნის ნაპირას.
სეკუნდანტები წავიდენ.
ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონის ხმა ისმის.
— ვინ არის?
— ბადამ ლაროში? სასიამოვნოა!
— ჭვიდ საათზე არა გცალიათ?
— მაშ როდის?
— სამიდან ხუთამდის?
— რაო? თქვენი ქმარი სხვაგან მიდის ექვს საათამდის?
— მეც რომ არა მცალია მაგ დროს!
— სავა დროს არ შეიძლება?
— რა სასტიკი ხართ! ან დღეს ან არასოდესო?
— ეეპეველად სამიდან ხუთამდის?
— ოა გაეწყობა? თქვენი სიმშვენიერის გასაცნობად მე ყველაფერს დავთმობ.
— მაშ გელით ჩემსას სამი საათიდან!
— კარგი, მშვიდობით!
რონდომ ივნეტასაც დაურეკა.
დღეს დაღალულად გრძნობს თავს, ეძინება. არსად აპირებს წასვლას. ამიტომ ნურც ელოდება.
რონდომ პირველ საათამდის გულიანად იძინა.
შემდეგ წაისადილა.
სამ საათზე კი ისევ შინ არის და ელის პირველ ხილვას ახალი სილამაზისას.

ჩქარა გაჩნდა მადამ ლაროშიც.

დაიწყო ორთა გიჟური დროს გატარება.

ხილეულობით და შამპანიურით სავსე არის ირიბი მაგიდა.

რონდოს აზიზი შეტევა და ლაროშის ნებიერი წინააღმდეგობა ორთაეეში მსწრაფად აღვიძებს მოახლოვებულ ცდუნების ჟინს.

რონდო არ შემცდარა:

მადამ ლაროში ახალი სიტყვაა სილამაზისა. ახალი ეშხი გიჟმაჟობისა, ახალი შარბათი — თავდავიწყებისა.

* * *

ვნება-მიხდილი მადამ ლაროში გრძნების ვარდისფერ ზიდივით ელავს მათი სიგიჟით გადარეულ თეთრის-თეთრ ზეწარზე.

— მუსიო რონდო! ჩემო მეგობარო! მცხელა!

— ჩემო მზეო, გცხელა? შენ ნიე სიცხით იწვი!

მუსიო რონდო ილეს მოშიშვნინე სავსე ვაზას და ციელ შამპანიური გადაევლება მადამ ლაროშის აზლვაეებულ მკერდს.

ამ დროს ისმის კარის კაკუნი.

სამჯერ.

ორთავე შეკრთენ.

რონდომ იცნო ივნეტას კაკუნი.

სული განაბეს.

არას გზით კარი არ გაიღება.

კაკუნი მეორდება.

ხმას არავინა სცემს.

მეორე ოთახში ტელეფონის ზარი გაისმა.

მუსიო რონდო ფეხაკრეფით მიდის აპარატთან.

— გისმენთ!

— ჰავრიდან?

— ლუიზა, შენა?

— შამაჩემი გარდაიცვალა?

— პასუხეველი დაუმკვიდროს ბამა ზეციერმა.

— მე ერთ საათში შეგატყობინებ, როდის წამოვალ.

— კარგად იყავი!

— ერთ საათში უეჭველად!

მუსიო რონდო ცოტახანს გაშტერდა.

საათმა ოთხჯერ ჩამორეკა.

დერეფნიდან ისმის ივნეტის ნაბიჯები.

მუსიო რონდო თითქოს გამოფხიზლდა და ჰხედავს:

ვენსენში, მარნის ნაპირას ბაიყუშად მომლოდინე მუსიო ლაროში სეკუნდანტებთან ერთად.

ჰავრში, სამკვდრო სარეცელზე მამის გაციებული გვამი.

კიბეებზე გულ-დაწყვეტით ჩამავალი ივნეტა.

მეორე ოთახში კი ნებიერად მფშვინავი ლეთაება.

მუსიო რონდომ აავსო ვაზა.

— მადამ ლაროშ! გაუმარჯოს ცხოვრების რადიოს ქროლვას, ყოველ მხრიდან! და გაუმარჯოს იმათ მიმღებ ფხიზელ ანტენას —ადამიანს, თანამედროვე ადამიანს!

— მე დავუმატებ: გაუმარჯოს უკვდავ გრძნობას — სილამაზეს და თავდავიწყებას.

შიშველი მკლაფი ძირს გადმოვარდა...

მუსიო რონდო ფიცხლავ დასწვდა ცალი ხელით და ცხარე ბაგით.

მეორე ხელიდან გაუვარდა აზიზი ვაზა.

ესიც მიაშველა შიშველა მკლავის საშურველ ტყვეობას.

„შარნის ნაპირი.
„სიკვდილის სარეცელი.
„კიბეები.
„საცდუნებელი შიშველი მკლავი.
„ცხოვრების რადიო.
„წუთების კვანძი!
„გაუხსნელი წუთების კვანძი!

1986 წ.

საზღვარზე

— ნანას სიცოცხლე და გამარჯვება!

— ოჰ! სალამი სანდალას.

— მაგდენი სიკეთით დატვირთული — საით მიეშურები, გოგონი?

— სამხარი მიმაქვს ჩვენებისათვის. აგერ, აქავე მუშაობენ სამკალში.

— ნეტავ მეც იქ მამყოფა მომკალად! ერთი მომალხინა შენით მოტანილ სამხარზე და მერე თუნდა მომკლა კიდევაც.

— შე კაი კაცო, მაგაზე ადვილი რა არის! წამოდი იქა და რამდენიც შოგეხალისოს — იმდენი იმუშავე. ეგეთ სასიკეთო საქმეზე ვინ გეტყვის უარს. სამხარით და ვახშამით გამასპინძლება კი მე მომკითხე.

— კაი რომ არა მცალია, თორემ...

— როგორც გეტყობა, შორს მივმგზავრები სადღაც.

— ქალაქში მივდივარ. ე სკოლის საქმე უეცველად მინდა მოვაგვარო როგორმე.

— რაბან ითავე, უნდა ბოლოც მიაყოლო, მაშა!

— რას მოვეშვები ისე! ცოტა კიდევ უნდა გაიპირეოს სოფელმა და ორ თვეში მთელი ამ კუთხის დამაშვენებელი სკოლა გვექნება. ეხლა ქალაქშიც იმიტომ მივდივარ, რომ სამეურნეო სკოლათ დავამტკიცებინო და შესაფერი მასწავლებლებიც გამოგვიგზავნონ.

— ალბათ დაგიფასდება კიდეც — მაგდენ სიკეთეს რომ ეწევი ჩვენი ბეჩავი ხალხისთვინა.

— მე რაში შეეაშნიკება ან დაფასება და ან მადლობა! ოღონდ ხალხმა გაიგოს, რა არის მისთვის სასარგებლო და საზარალო — მე ამის მეტი არაფერი მინდა.

ნანომ გადაბედა. უნდა გამოეცნო — რამდენად გულწრფელია სანდალას სიტყვები და გადასწყვიტა:

არა! არ სტყუის!

და ახალგაზრდა ქალს რაღაც სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა მთელს არსებაში, რომ სანდალა ასეთი გულმართალი ბიჭი გამოდგა.

სანდალამაც მიმინოსებური ალლოთი იგრძნო თავისი გამარჯვება ნანოს თვალებში და რაღაც სიამით ჩაიღიღინა:

„— თვალი გიგავს მელნის ტბასა
და წამწამი ხშირი გაქვსო.
ერთი შენი შემოხედვა
ათას სევდას დაჰკარგავსო“.

— მამაჩემმა რომ დაგვინახოს ასე ერთად მობაასე, ვინ იცის, სულ ჩამაშხამოს ეს მზიანი დღე.

— რათა, ქალო? საძრახისს რას ვსჩადივართ განა?

— ეჯავრები, ძალიან ეჯავრები მამაჩემსა!

— ნეტავი შვილს ეუყვარდე და მამის წყრომა მე რას დამაკლებს!

— რომ შვილსაც არ უზიხარ თვალში და მამაც გიწყრება!

— ეე! თუ ეგრე გაინწირული ვარ, მაშინ საშველი ალარ მქონია.

— ენგრეა, ენგრე!

— თუ მამაშენს ეკლესია დავუკეტეთ და იმაზე მიწყრება, შენ რაღა დაგიშავე, შე კაი ქალო?

— შეც გემდური!

— რათა? რათა?

— რათა? გახსოვს პატარაობისას რომ დამიბრიყვე, მთელი კალათი კვაბრჩხილა რომ მომტაცე და მეც ფეხშველა ეკლებში ჩამაგდე?

— ერიჰა! როდინდელ საქმეს მედავები! ეგეთი რამე შენ როკ არ მაპატიო, დრო მაპატიებს, ქალო!

— არც მე გაპატიებ, არც მე!

— მა შენი ხმალი და ჩემი კისერი! რაც გინდა მიყავი, თუ გამიმეტებ!

— გაგიმეტებ, გა!

და გოგოს შეპედვა შუადლის მეორე მზესავით მოეფინა ვაჟის აბორგებულ გულს. მიუახლოვდენ ჯვარედინ გზას. ნანო გამოემშვიდობა და გადაუხვია მარჯვნივ — ყანებ შუა მიმავალ ბილიკზე.

სანდალამ გულმოდგინეთ გააყოლა თვალი მობდენილად მიმავალ ტანლერწამა გოგოს. ხედავს — როგორ ჰლელავენ იმის გარშემო ნიავით შეზარხოშებული ყანები და ფიქრობს:

„— ზღვა ღელავს — ზღვაში!"

და თვითონაც ხომ ისევე ღელავს — როგორც ერთი ზღვა და მეორე ზღვა.

სანდალა გაუდგა ქალაქის გზას.

როგორც კარგი საგზალით დატვირთული სასიძო, მოყვრებში რომ მიემგზავრება, იმავე გრძნობით მიდის სანდალა ქალაქისაკენ. მიაქვს სიკეთე სოფლისა და ხალხის სასარგებლო. მიაქვს სიკეთე საკუთარის ცხოვრებისა.ასეთი იმედებით არის აღსავსე იმისი გული. უხარია, რომ ბედმა გაჰხადა მესვეურად თავის ხალხისა. უხარია, რომ აქ, თავის სოფელშიეე შეიგულა ნატვრის თვალი, რომელიც...

ნანო მიდის კაბის შრიალით, ყანის შრიალით. ხელით მიაქვს სამხარი და გულით კი...

აგერ იმათ ყანაშიც გაისმის მომკალთა ხალისიანი ყიჟინა. მომკალებს მეთაურად მიუძღვის ნანოს მამა — გიო. ჭარმაგი მოხუცი ნაცადი მეომარივით ტრიალობს მარჯვნივ თუ მარცხნივ და ალმასისებურ ნამგლით დაუღალავად ჰსვაავს ოქრის ფერად ამღელვარებულ მოშრიალე ზღვას.

ორი გლეხიც მხარდამხარ მისდევს ღირსეულ მეთაურს და იმათ უკან ოქროს ქოჩრიან შიშველ ბიჭებივით კოტრიალობენ წაქცეული ხელეურები. სამ ახალგაზრდა შემკონავის ხელში კი ეს „ბიჭები“ ვაჟკაცებად გადიქცევიან და როგორც ერთად დახოცილი ძმადნაფიცნი — ჯგუფ-ჯგუფად გაწოლილან სავანედ ქცეულ დედა-მიწაზე.

ჰაერს კი აბარბაცებს მოზეიმე შრომის ყიჟინა.

— აბა, ბიჭო, ნუ ზარმაცობ,
ნუ აჩერებ ნამგალსაო.
მასპინძელი გვემდურება —
აგვიანებს საბხარსაო!

მაგრამ აგერ ქარვის ზღვიდან ამოტივტივდა ნანოს აჩრდილი და მომკალებმაც იგრძნეს შვება. უკანასკნელად ჩააგუგუნეს სასიხარულო ჰოოპუნა და აიშაბაშეს.

ნანოც მოვიდა.

— აქა მშვიდობა!

— ეგრემც გახარებული გვენახე ცხოვრებაში, როგორც ჩვენ გაგვახარე, ქალო!

ერთის პირით ასე დალოცა ყველას გულმა გიოს აამაყო გოგონა — ნანო.

შრომით მადაგაღვიძებული გლეხები მბრჯვეთ შემოუსხდენ სუფრას და ყუათიანად შეექცენ ოროლ ჯამ ყერძს.

გაათავეს. ნანო შეუდგა სუფრის ალაგებას.

გიოს ნათლული ვანე ხუმრობს:

— ვოგო ნანო! შენი თავი განა ისე გონჯი ვგონია, რომ ევრე ადვილად ეწდობი ამ მინდვრებს, ამ ყანებს, ამ შეადლის მხეს?..

— ბუზსაც ეერავინ ამიფრენს, თუ ჩემი ნება არ იქნება.

— ვითომც ეგრე ყოფილა!

— რასაკვირველია! ერთის გადახედვით გავაქროებ ჩემს ბრუნდეთ შემოვბედავსა.

გიო კმაყოფილებით უცქერის თავის გოგონას რიბიან ლაპარაკს.

— ჩემი ნანო ბიჭს მირჩევნია, ბიჭსა, თავისი ფხიანობითა.

ნანო უფრო თამამობს.

— ვაჟის ქცევა მუდამაც ქალის ქცევაზეა დამოკიდებული. თუ მე არ მივეცი საბაბი, ისე ვინ რას შეშოქადრებს!

— ეგრეც ნუ გათამამდები, ქალო! ქვეყანაზე განა ცოტა რევვენი დადის? — ეუბნება ერთი გლეხი.

ვანე კი უფრო კვიმატობს:

— ეე შვილოსა! თუ ცოტა ლამაზად მიგაჩნია თავი, მაშინ ეშმაკისაც უნდა გეშინოდეს და ანგელოზისაცა. თუ ეამივითა ხარ და მაშინ იარე ქვეყანაზე, შენი შეუწუხებელი არავინ იქნება.

— ჩემთვის ჯერ კაცს არ უწყენინებია და შემდეგში რაღაზე ვაუწყრებათ ღმერთი!

— შენ რა იცი, აქეთაც რომ ბოდიოდი, ზამდენი გადმოგავლებდა გვერდზე თვალს, მაგრამ...

— ეხლა მაინც ვინ რას გამიბედავდა!

— ვითომ რატომაო?

— ისეთი მარიფათიანი ვაჟი ბოძდეედა გვერდზე რო...

გიომ ყურები სცქვიტა:

— ვინა, ვინ მოგდევდა?

— მამაჩემი ისე კითხულობს, თითქოს რაღაც დანაშაულზე დაეჭირე.

— მაინც ვინ იყო — და მე თვითონ ბივბვდები — დანაშაულია თუ არა!

— ვინ იყო და — სანდალაი — ჩვენი აღმასკომის თავმჯდომარე.

გიოს აშკარად დაეტყო ნაწყენობა.

— ხომ იცი, რომ ის კაცი მე არ მეპაშნიკება! მა რალათ მაწყევინებ, შვილო?

— საგანგებოდ ხომ მე არ მაცილებდა! გზათ მოდიოდა და უნებლიეთ შევხვდით ერთმანეთს. ბერეა და ისეთი რა დაგიშავა, მამა?

— ჩემთვის რომ დაენავებინა მარტო — ამას უფრო მოვინელებდი. მავრამ მთელ ქვეყანას დაუშავა და იმიტომ მეზარება იმის დანახვა.

— ისეთი არაფერიც აო ჩაუდენია იმას, რომ ქვეყანა აესტუტებინოს.

— ეკლესიის დაკეტვა, სარწმუნოების მოსპობა, მაშ არაფერია? ხალხმა როგორ უნდა იცხოვროს და იარსებოს, თუ არაფერი არა სწამს ამ ქვეყანაზე?

— სანდალა კიდე იძახის: მამაშენს იმიტომ სწყინს ეკლესიის დაკეტვა, რომ თვითონ იყო მნათეთა და ცოტაოდენი შენოსავალი ჰქონდა ხოლმეო.

— აი, შვილოსა! მაგითი უნდა ქვეყანას აუბას თვალები, ჰა! მე მანამ ცოცხალი ვარ, ჩემი მარჯვენაც მეყოფა სარჩენადა. თუ მალაპარაკებს მე, ეს ქვეყნის გაკერანება მალაპარაკებს. ღმერთი აღარა გწამდესო! ხატი აღარა გწამდესო! ეკლესია აღარა გწამდესო! მა, სანდალა დავაყენოთ და იმაზე ვიწეროთ პირველი, მეტი რაღა დაგვრჩენია.

აქ მეორე გლეხიც ჩაერია:

— სანდალაი კაი ბიჭია, მარამა ე ეერაფერი საქმე ქნა მაინც ეკლესიის დაკეტვითა! გვქონოდა შვილოსა ეგ ერთი ხუხულაი — საბელმწიფო ხო არ დაიქცეოდა მაგითი! ჩვენ მამას ულოცია, პაპასა, პაპის პაპასა და ჩვენ რალა ქვეყნის გადამბრუნებლები გამოვედით, რომა ყველაფერზე ერთბაშად ავიღოთ ხელი!

ნანო მაინც თავს არ ანებებს სანდალას გამოსარჩლებას..

— რა ვუყოთ ახლა! ცხოვრებამ ეგრე მოიტანა და მარტო სანდალამ ხო არ უნდა აგოს პასუხი!

გიოს უფრო აბრაზებს თავისი პირმშოს გამოსარჩლება.

— შენა როგორღაც საეკვოდ ექომაგები იმ უღმერთოსა და მე ვიცი...

— არა, მამა! სანდალას ხომ სიბოროტით არ მოსდის.. ყველგან ეგეთი ამბებია ალბათა. უფროსები უბრძანებენ და ეგეც ასრულებს — მორჩა და გათავდა.

— მეც კარგა ვიცი, როგორც არი საქმე და შენ ტყეილად ნუ ჰხდი ბოდიშსა!

— თვალი სანდალასაც დაუდგება! მე იმიტომ კი არ ვამბობ, რომ შენ გაწყენინო, მამა! მხოლოდ...

— თუ არ გინდა მაწყენინო, მაშ ნურც მელაპარაკები იმ ურწმუნოზე! კაცო, კურკას ბიჭმა უნდა მონათლოს ქვეყანაი, კურკას ბიჭმა! განა ხალხი ისე დაეცა, რომა სოფლის სინდისი კურკას ბიჭს უნდა ეკითხებოდეს!

— ი კურკას ბიჭია სწორედა სასახლესავით სკოლა რომ აგვიგო!

გიომ თითქოს იგრძნო ამ საბუთის სიძლიერე.

— სკოლა... ჰო, მაგაზე კი კარგის ფეტი რა ეთქმის, მარამა...

— მარამა, მარამა?

და ნანო გაუდგა სახლის გზას.

ყველამ სიამოვნებით გააყოლა თვალი ეშხიანად მიმავალ ნანოს. გიოს სასლიკაცი კი ულვაშებზე ისვამს ხელს და გვაროვნულის კმაყოფილებით:

— ჰეი, რა ვოვო დადგა ეს დასაჭცევი. გიო, სიძე გეკუთვნის ისეთი რომა —ყაენთან მიესვლებოდეს!

— ეჰ, ენახოთ! ყველაფერი ბედის საქმეა!

კიდევ წაილაპარაკეს ცოტაოდენი ამ ქვეყნის ავკარგზე და მიწვენ თვალის მოსატყუებლად, რომ ჩქარა ისევ შეუდგენ შრომის.

* *

კვირა დღეა. სოფელი ისვენებს.

უცებ გაისმა ზარის რეკვა.

რამდენი ხანია სოფელ ვარდისუბანს ალარ გაუგონია ზარის რეკვა, ეხლა რა მობდა? ეს ეკლესიის ზარის ხმა არის, მაგრამ... თუ ხუმრობს ვინძე... გიომ ლამის პირველვარი გადაიწეროს, მაგრამ ჯერ უნდა დარწმუნდეს, თუმცა სასწაული ხომ არ მოხდებოდა! გიო გამოვიდა დერეფანში და გაჰხედა ეკლესიისკენ. ნანომ დაინახა ეს და გიუმაჟურად ჩაიკისკისა.

— მამა, სად უცქერი? ხომ არა გგონია, რომ წირვაზე მოგიწოდებენ?

— ჰო, კურკას ბიკი სანდალა გახსნიდა სწორედ!

— ეგ მართლა სანდალას ეკლესიაა, მამა, სანდალასი, რომ რეკავს! აბა, შეხედე თუ არა!

და ნანომ ვაუწვირა ხელი სოფლის შუაგულში ამაყურად ალმართულ სკოლაზე, რომლის აივნიდანაც მოისმის ზარის მოწკრიალე ხმა.

გიო კარგახანს უცქერის სკოლას. ისმენს იმის ზარის რეკვასაც. შემდეგ მრავალი ფიქრების იერიშზე რაღაცა გაჯავრებით ჩაიქნევს ხელს.

— აი, შვილო! ეპლანდელი ხალხი ეკეთია: რაგინდ კაი საქმე გაკეთონ — ბიგ მაინც უნდა ჩაკრიონ რაღაც ბალღაში. თუ კი აშოდენა სკოლა ავაშენეთ სოფლის შნოთი და უნარითა, განა ერთი ზარის ყიდვას ველარ შოვახერხებდით, რომ ეკლესიიდან არ ჩამოეპონწიალებინათ შანდა?

— მერე რა, მამა! იქ სამრეკლოში ტყვილად გდებასა, არა სჯობია სკოლაში მაინც გამოვიყენოთ!

— არა, შვილო! რა საჭიროა ეგეთი დახმარება! გდებულიყო ის იქავე, ეგები...

— ეგები კიდევ მოვესწროთ არა, ეკლესიის გახსნასა?

— მერე რა? მა გგონია რომა ათასი წლობით დამკვიდრებული ქრისტიანობა ერთ წელიწადში მოისპობა, ჰა!

— იი, მამაჩემო! ეპლანდელ ხალხსა ხომ ხედავ, არაფერი არ ეძნელებათ. გაფიქრება, თქმა და შესრულება — ეითქოს სულერთია იმათთვისაო.

აგერ სოფლის არჩეულმაც ჩამოიარა.

— გიო, წამოდი, რაღას უცქერი! სასოფლო კრებაა სკოლაში დანიშნული. ნუღარ აგვიანებ! ხო გესმის ე ზარის რეკაი!

— ზარის რეკაი... ახლა — მეც სეფისკვერს ავიღებ იქა უზმოზე!

— სეფისკვერსა ჯობია, გიო, რასაც იქ გაიგონებ, მა!

— რა უნდა გავიგონო, შვილო! უკეთეს თობნასა და მკას ველარ მასწავლით ვიდრე ვიცი და გლეხკაცს კი აქის მეტი რაღა სჭირდება!

— ეე, ჩემო გიო! წამოდი იქა და მერე გაიგებ, კიდევ გჭირდება რამე თუ არა! აბა, ალარ დაჭვიანო!

არჩეულმა მარჯვედ ჩაიარა სახლებსა და ბოსლებს შუა, რომ მთელ სოფელს შემოუაროს.

გიოც გაემზადა წასასვლელად.

— წავალ, ვნახავ — რა არის. კაცი მაინც არ უნდა ჩამორჩეს სოფლის ხმასა და იმის ავ-კარგსა.

— მეც წამოვალ, მამა, კრებაზე!

— აბა, შვილო, შე რაღა გინდა! არა სჯობია დედა-შენს მიეშველო! ოჯახში ცოტა რამეა გასაკეთებელი თუ!

— სახლი დაგვილი მაქვს. ჭურჭელი გარეცხილია. შეჭამნდიც ჩავადგი, დანარჩენი თუ რამეა — მერეც მოვასწრებ. ეხლა კი რა გენაღვლება მეც წამოვიდე! რომელი თრეატრებით ვართობთ გულსა.

— აბა, რა ახალგაზრდა ქალის საქმეა იმდენ ხალხში ჩაერიოს და პირდაღებული უცქერიდეს ქვეყნის ამამტუტებელ ქადაგებასა!

— არა ეშავს რა, მამა! მინდა ვიცოდე ყველაფერი, რაც სოფელს შეეხება.

— მე გითხარი და შენ როგორც გინდა ისე მოიქეცი ეხლა.

გიო წავიდა კრებაზე. ცოტა ხნის შემდეგ ნანოც იქ გაჩნდა.

სკოლის წინა მოედანი სავსეა ხალხით. სხედან, დგანან, დადიან. ჯგუფ-ჯგუფად საუბრობენ ვინ სოფლის საქმეზე, ვინ პირად ანგარიშებს ასწორებს მეორესთან.

მაგრამ აგერ, აივანზე გამოჩნდა ახალგაზრდა ვაჟკაცი. შავქოჩორგადაყრილი, იმედიანი იერით, მკვეთრი მიმოხვრით. გადმომდგარა ხალხის წინ და რიხიანი ხმით შეჰკუმშავს მთელ ხალხს თავის საუბენლად.

სად შეითვისა სანდალამ ასეთი უნარი მჭერმეტყველობისა! იმის სწავლა ხომ სოფლის სკოლას არ გასცილებია! ან რა იყო ის ამ სამოცდე წლის წინად? სოფლის ტლუ ბიჭი, რომელიც თავის სამ-ოთხ დღიურ მიწაზე იყო გადაყოლილი, ეხლა კი ისე გაზრდილა ამ სამოცდე წელიწადში, რომ მთელი თემის პატრონობას ეწევა. და ეხლა

როგორ პატრონობს! თითქოს ქვეყნის სამსახურში დაბერებულიყვესო.

აგერ ეხლაც გადმომდგარა ახალი ცხოვრების მოციქულად და ჯანღონით სავსე აზრებით იპრება ხალხის გულში.

მაინც რას ელაპარაკება სანდალა? არა, ის მწიგნობრობით არ არის შეპყროპილი. იმისი სიტყვა სადაა და ფართე — როგორც თვით სოფელი. ძარღვიანია და ნაყოფიერი — როგორც თვით გლეხის მარჯვენა. გასაგებია და შინაარსიანი — როგორც სოფლის მთელი ცხოვრება.

აი მოუთხრო ძველი და ახალი დროების ერთმანეთთან შეჯახება. განუმარტა აუცილებლობა ახალის გამარჯვებისა. ამის შემდეგ ჩქარა დატრიალდა თავის სოფლის არეზე. გაიხსენა სკოლის აშენების ამბავი. აუწერა — თუ რამდენი რამის გაკეთება შეუძლია სოფელს, თუ ერთსულოვნად შეუდგება საქმეს. მარტო სკოლით არ გაბედნიერდება ხალხი. კიდევ ბევრი რამ არის საჭირო სოფლის კეთილდღეობისათვის. ყველაზე მეტად კი აუცილებელია, რომ გარდაიქმნეს სოფლის ცხოვრება საფუძველშივე.

და აქ სანდალამ დაუწყო განმარტება გლეხების ერთად დაჯგუფებას. მიწების საზოგადოებრივად დამუშავებას და საერთოდ კოლექტიურ მეურნეობის განხორციელებას.

გაათავა სანდალამ და ახლა თვით გლეხებს აქეზებს თავიანთი აზრის გამოსათქმელად.

ხალხში ჯერ სიჩუმეა. შემდეგ უწესრიგოდ გაისმის ნაგლეჯ-ნაგლეჯი წინადადებანი:

— კარგია, კარგი!

— მერე რას ეგვანება ეგრე!

— კარგია ბარემ. მაგრამ...

— ჩვენ ხალხში ეგეთი რამე არ გამოდგება შვილოსა...

სანდალა ისმენს ამ აბნეულ სიტყვებს, მაგრამ ხელში შთლიანი აზრი ვერ დაუჭერია.

— კაცო! თქვე ოჯახაშენებულებო, გამოდით და წეესიერათ ილაპარაკეთ, რომ ერთმანეთისა გავიგოთ რამე.

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ წინ ისევ გიო წამოდგა.

— ჰა, გიო, გაბედე, რის თქმა გინდა!

— რა ვთქვა შვილოსა! წინაალმდეგი ვთქვა, იტყვით— ჟულაკიაო, არა და ეგეთი ახალი აზრები რო არ შედის თავში.

— სთქვი, გიო, სთქვი! ეგებ შენი აზრი უფრო სწორი და სამართლიანი იყვეს!

— ისეთი რა უნდა ვსთქვა რომა — მთელ ხალხსა ქკუის სასწავლებლად გამოადგეს, მაგრამ მაინც კაცი ვერ ითმენს; არც ის ვარგა რო ყველა დავმუნჯდეთ. მუნჯი კაცი ვერც თავის თავს არგებს და ვერც ქვეყანასა!

— მართალი თქმაა, ჩემო გიო, მართალი!

— ჰოო და! აბა მითხარი — რას ეგვანება ეგეთი საქმეი? ერთად მოხანითო, ერთად მოთესეთო, ერთად მომკეთო! ეგა, შვილო, ზარმაცების დღეობა იქნება მაშინა. მომჭირნე და მუყაითი კაცი კი იქ უეჭველად გაფუჭდება. თქვეწა, შვილო, სულ ბრიღატებსა, ზარმაცებსა და არაქნია ხალხს უგალობთ და იმათ უსვამთ თავზე ქონსა. ლარიბი კაცი უნდა შეიბრალო, მაგრამ /განა` თავზე უნდა დაასვა იმასა, ვისაც ცხოვრების შნო და ლაზათი აქვს. აი თუნდაც ჩვენ სოფელში რამდენია ისეთი რომა — იმასთანა არც მუშათ წავალ და არც ჩემთან წამოვიყვან მუშათა. შენ კიდე, ჩემო სანდალა, იძახი რომა — იმათთან ერთად იმუშავეთო. ხელსაც მოგიმართავთო. სესხსაც მოგცემთო. მერე ეს ჩამსესხებელი ვილა ოქნება? ვისაც პატარა დოვლათი გვაბადია, ისევ ხო იმათ დაგვაწვა კისერ-

ზე? მდიდარი ჩვენში აბა ვინ არის? ჩანახითა და ტომ-
რით რომ არავის მივადგები კარებზე — იმიტომა ვარ
მდიდარი? ჩვენი გარჯილობით თუ ერთ ლუკმა პურსა
ვჭამთ, ამაზე უნდა აგვისისიანოთ ის არაქნიები, ვინც
ვერც თავის თავს არგებს და ვერც სახელმწიფოსა? არა
შვილოსა! საერთო მუშაობაში თუ არაფერი დამაკლდება,
არა შემემატება-რა. როგორც მიწერია, ისე უნდა ეწერო.
რაზე გავიხადო სასაყვედუროთ საქმე! რაზე გავიბოროტო
გული! ვისაც შნო აქვს და გარჯილობა, ის ისევ იცხოვ-
რებს, ვისაც არა და — კომპერატია და კოლექტივი იმას
ვერ მონათლამს. ხო ამდენს ეხმარება, შვილო, მთავრობაი
ლარიბებს. მიწებსაც აძლევს, თესლსაცა. არც გადასახადს
ახდევინებს, მაგრამ აბა რომელი დადგა ფეხზე? ააფრინე
ალალიო — რაც არ არი არარიო! აბა ემაგნაირ ხალხთანა
როგორ გავხდე ამხანაგად მუშაობაში! მე კი არ მინდა
შვილოსა თქვენი კოლექტივია თუ რაღაცა და ვისაც
ჭკუაში უჯდება, მიირთვან. თუ ნებაყოფლობით არი, არ
მინდა, და თუ ძალათია — რა ვიცი! ძალათი კვდარი არა
ცხონდება.

ხალხმა სული გამელა. გიოს სიტყვები ალბად ზოგი-
ერთს დაუჯდა ჭკუაში. ან შეარყია სანდალასაგან მოხდე-
ნილი შთაბეჭდილება. ზოგგან კიდევაც გაისმა დამადას-
ტურებელი ხმები:

— მართალს ეაბობს გიოი, მართალსა!

— ზოგიერთს კი არ ესიამოვნება, მარამა...

აქ ახალგაზრდებმაც შექმნეს ჩოჩქოლი:

— ოლონდ კი დღევანდელ მთავრობას ვინმემ შეაგი-
ნოს და ყველა კულაკებს მართალი ჰგონიათ ისა!

— გიოსაგან სხვას რას მოველით!

— მაგას არაფერიც არ მოსწონს ახალი.

— გიო ბელადია, ბელადი კულაკებისა!

გიოს ნაწყენობა დაეტყო.

— რითი ვარ, შვილო, კულაკი! დაწყი-დაბადებიდან წელებზე ფეხს ვიდგამ მუშაობითა. მამაჩემისაგან ულელი ხარი დამრჩა მემკვიდრეობათა და ეხლაც ულელი ხარი მყავს ისევა. ვვაჭრობ, ვატყუებ, ტყავს ვაძრობ ვისმესა, თუ რა!

— ულელი ხარი გყავს, მაგრამ სხვის ყევარსა სჯობია.

— ეგ ჩემ სიყოჩაღეს მიეწერება. ალბათ მოვლა მცოდნია და მაგიტომ უნდა გავხდე ყბად ასაღები?

— არა, ქონებით ეგები არა ხარ კულაკი. მაგრამა შენი აზრებითა და ლაპარაკით კი იმათზე უარესი ხარ.

ისევ სანდალამ დაამყარა სიმშვიდე. ისევ გააგონა ხალხს რწმენითა და იმედით სულჩადგმული სიტყვები. ისევ შთანერგა სიცოცხლე და აზრი ცხოვრების მიერ ნაკარნაბევ ახალ გზებში და კანონებში. ხალხს აშკარად ეტყობა, რომ მოსწონთ მისი ლაპარაკი და სხარტად გამოკვერილი აზრები, მაგრამ არა სჯერათ ადვილად მისი განხორციელება და ამიტომ არც იჩენენ თავგამოდებას.

მაგრამ სანდალა არ იქცევა აპილპილებით. მან უკვე მოაბნია კეთილი თესლი. ეხლა ცოტა უნდა ადროვოს, და ნაყოფსაც მიიღებს ჩქარა — ეს უდაოა! ვინ არის იმისი დამხმარე და წამქეზებელი? თავისგანვე გაწვრთნილი ახალგაზრდობა და თითქმის მთელი ხალხიც. მხოლოდ ხანდახან ძველი თაობა ყოველთვის ვერ იფერებს დღევანდელი მთავრობის ზომებს, რომლის განსახიერებასაც ვარდისუბნის თემში წარმოადგენს სანდალა.

კრება გაგრძელდა თითქმის შუადღემდის. იქ, სადღაც, კრების ბოლოს მიმალულიყო ყველაზე ერთგული მსმენელი სანდალასა — ნანო, გარშემო მრავლად ეხვიენ მას თავის ტოლები. ბაასობდენ, იცინოდენ, მხიარულობდენ. მხოლოდ ნანო გამორჩეული ტორიოლასავით თავაწეული

შისჩერებოდა იქ, წინ, საიდანაც მარადიად ნასროლი ისრებივით იფანტებოდენ სხარტულ სიტყვებით მოკვეთილი აზრები. ნანო რაღაცა ფარულ სიამაყეს გრძნობს, როცა სანდალა მთელი ხალხის ყურადღებად გადაქცეული, გულადი მეომარივით აღმართულა ყველას წინ და თვით იმის სახეში კითხულობს შეუდრეკელ რწმენას გამარჯვებისას.

მაგრამ როცა ამ ამომავალი მზის წინ ცხოვრების დედაბოძიკით აღიმართა გიო — აქაც იგრძნო ნანომ ახალი და სხვაგვარი სიამაყე: ორი ძალა, ორი რჩეული სოფლისა ერთმანეთს შეეჯახენ. ეს ორნი არიან სხვადასხვა მსრიდან შომავალი ხალხის აზრი და სინდისი. და ორთავე ნანოსათვის წარმოადგენენ უძვირფასეს ადამიანებს.

რაო? ორთავეო?

დიაღ, დიაღ! სანდალაც ძვირფასია ნანოსათვის. მხოლოდ ეს ჯერ არ გაუმხელია არავისათვის. თავის თავისთვისაც კი ვერ უმხელია ჯერ გადაწყვეტით. მაგრამ იმის ყოველ ფიქრს, ყოველ ოცნებას წინ ეგებება სანდალას აჩრდილი და ნანოსაც ესიამოვნება სანდალას ასეთი განუყრელობა.

კრება დამთავრდა. ხალხი კიდევ ცოტახანს მსჯელობდა ახლად მოვლენილ აზრებზე და ნელნელა დაიშალა.

ნანო ყველაზე ადრე გაიქცა სახლში და საგანგებო ხალისით შეუდგა ოჯახურ საქმეს. თან უხარია ზედმეტად რაღაც, რასაც გრძნობს მზის სინათლესავით, მაგრამ პირისპირ კი ვერ შეუხედია — როგორც თვით მზისთვის. თვალსა სჭრის, გულსა სჭრის ეს ახალგაზრდობის შუადღეზე მოვლენილი მზე და კმაყოფილდება მხოლოდ მისი სითბო და სინათლეში ნეტარებით.

ეხ, რა კარგია ასეთი გრძნობა! ეკეყანა თავისი ჰგონია ნანოს.

უცქერის მოხუცი დედა — თუ ფრთებგაშლილ ფარშევანგივით როგორ ტრიალებს იმისი გოგო კუთხიდან-კუთხეში და გულზე ადგება ნათელი სიხარულისა.

* * *

მახლობელ სადგურზე დიდი ამბავი იყო დღევანდელ დღეს. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე თვალსაჩინო ბელადები სწვეოდენ ამ კუთხეს და ამან საგანგებოთ გამოაცოცხლა მთელი ხალხი. ყველამ მიანება თავი ჩვეულებრივ მუშაობას და სადგურზე გაეშურა, რომ სახიერად იხილონ ამ ახალი დროების ხელმძღვანელნი და სულის ჩამდგმელნი.

კრებამ გასტანა შუადღემდის. მრავალად ილაპარაკეს ქვეყნის ავ-კარგზე, საქართველოზე, მუშებზე და გლეხებზე. შუადღისას ხალხი დაიშალა.

ყველაზე კმაყოფილი ბრუნდება ცეცხლოვანი სიტყვებით წაქეზებული ვარდისუბნი სახალგაზრდობა.

მოდიან, მსჯელობენ, კამათობენ, მღერიან, ხმაურობენ, თვალწინ უდგიათ ისევ მრავალ ქარტეხილში განვლილ მებრძოლთა სახეები.

ამ ახალგაზრდებს ხომ არ უნახავთ რევოლუციის კორიანტელი! არცერთ ბრძოლაში არ განუვლიათ, რომ იმათაც ეგრძნოთ თავი სრულუფლებოვან მონაწილედ გამარჯვებულის რევოლუციისა. ეხლა ისინი თითქოს მზა-მზარეულზე დათარეშობენ. რა იყო ხალხისათვის წამება, ცივ, სიკვდილი და უბედურება — ეს მათ არ უწყიან. რა იქნებოდა ერთი ათი, ოცი წლით ადრე დაბადებულიყვნენ, მათაც გაეღოთ ღირსეული ხარკი ქვეყნის უკეთესმართებლობასთან ბრძოლაში და ეხლა თავმომწონედ მდგარიყვნენ ნაცად მებრძოლთა რიგებში! ეხლა ისინი რაღაცა შეგნებულად ეჭიდებიან თავს. მხსენებელი არაფერი დაუხვდ

ჯიათ.— ნაყოფს კი იმკიან. ამავე დროს იმათ ახალგაზრდულ არსებაში რამდენი მეპრძოლური ძალლონეა დაუბებული! რა თავგამეტებით ეკვეთებოდენ ვინმე მტერსა და მოწინააღმდეგეს, რომ სადმე გამოჩნდებოდეს რევოლუციის ასპარეზზე. ეხლა რაში მოიხმარონ ამდენი ჟინი ბრძოლისა და მოქმედებისა! უნდათ ვიღაცაზე ან რაღაცაზე იყარონ ჯავრი. უნდათ რაღაცანაირად დახარჯონ ეს დაუბებული ძალლონე ბრძოლისა და აფეთქებისა.

მიდიან ახალგაზრდები. მღერიან, თამაშობენ, ბღლაძუნობენ. არ იციან რაში მოიხმარონ მოჭარბებული ძალა და ხალისი.

მოადგენ სოფლის ბოლოს. იქავე მარცხნიდან მოსჩანს სერზე წამომდგარი პატარა თეთრი ეკლესია. უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც წირვა-ლოცვა დაუქმებულია იქ. ეს გადაწყვეტილება სოფლეურად იქნა მიღებული, თუმცა ერთიორი მოხუცი კი გულნატკენი დარჩა მთელი სოფლის ასეთ ურწმუნოების გზაზე დადგომით. მას შემდეგ ეს ეკლესია მუდამ ყარლიათ გდია. იმის კედლებს მთლიანად საქონელი და მწყემსები აფარებენ თავს ან ავდარში ან სიცხეში.

— ეი, ბიჭებო! ე ჯვარი ნეტავ რისას მაქნისია, რო წამოჭიმულა უშნოთა ამ სამრეკლოს კინკარიბოზე! (წამოიძახა ერთმა).

— ჩვენ გამოსაჯავრებლათა, ბიჭო, ჩვენი, მა! (იძახის მეორე).

— მაგი სალავათი კი დაიქცეს! ბოდი მოვაგდებინოთ, ჰა!

— მართლა და მართლა, ემაგი მოგდება როგორ გაგვიჭირდა აქამდინა!

— ჰეი, დედიჩვენის ღმერთსა! თუ საქირიანათ არ ამოვაგდეთ ეგა, მაშ ბიჭებიც არა ვყოფილვარ! მომყევით ყველანი აქა!

და ამის მთქმელი ისე მარჯვედ გაექანა ეკლესიისკენ, თითქოს თავგასამეტებელი რამე გადასწყვიტაო. იმას თან გაჰყვენ ყველანი.

— მოვგლიჯოთ, მაგის რჯული კი დაიქცეს, მაგისი!

— მა, თუ კი წირვა-ლოცვა მოესპეთ, ე ჯვარი რაღა ოხრობათ უნდა!

ყველანი მივიდენ ეკლესიასთან და იერიშით ასცვინდენ სამრეკლოზე. ორი მარჯვე ბიჭი მძლავრათ მოეპიდა ჯვარს. მოსწყიეს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და აკი ამოაგდეს კიდეც რამდენიმე აგურთან ერთად.

— თუ მაგაზე მეტი ძალა არა ქონია, მა რაღაზე იწერდა პირჯვარს მთელი ხალხი ამდენი ხნის განმავლობაში!

— ე, ბიჭებო! მარტო ამითვინა ღირდა მოცდენაი და ამსიმაღლეთ ამოსვლაი!

— მოდი, ე, თვითონ ეკლესიასაც ავუგოთ ანდერძი!

— მაინცა და მაინცა ე ცარიელი კედლები რიღას მაქნისია ეხლა!

— მართლადაც! ემაგი დანახვაი ტყუილა ერთ-ორ ბეზერს კიდე აუშლის საღერღელს სალოცავადა.

— მაშ აბა იერიშით, ბიჭებო!

და გახელებით შეუდგენ ყველანი ეკლესიის დანგრევას. ჯერ ზევიდან მიჰყვეს ხელი. წითელი ჩიტებივით მოფრინავენ მაღლიდან კრამიტები და ლუკმა-ლუკმა იქცევიან მიწაზე დანარცხებისას.

მოაშორეს მთელი სახურავი და ეხლა კედლების დაღვევას მიჰყვეს ხელი. მაგრამ ქვიტკირი უფრო ურჩი გამოდგა და ცარიელი ხელებით ვერაფერს აკლებდენ ბიჭები მკვიდრათ აღმართულ კედლებს.

— ლომები და წერაქვები მოვაშველოთ ბიჭებო, თორე ისე ტყუილა დავიმტვრევთ ხელებსა!

— აბა, გიგლა, სანდრო! გაიქეცით და ხელათ ამოარბევინეთ ლომებიცა და წერაქვებიცა, საიდანაც კი მოახერხოთ!

ორი ბიჭი მოწყდა ხელათ და სისწრაფით დაეშვენ სოფლისაკენ. სხვები კი ისევ განაგრძობენ ცარიელი ხელებით ბრძოლას ჟამთაგან ჩაკირულ განიერ კედლებთან.

— ე რას ჩადიხართ, ამხანაგებო, რა დაგმართიათ?

— ოო, ამხანაგო სანდალა! აბა ერთი შენც მოგვაშველე შენი ბარაქიანი მარჯვენაი!

— ეგ ვერ არის, ამხანაგებო, კაი საქმე!

— რაო, სანდალა! როდის აქეთია დადეჯი ქრისტიანობაზე?

— ქრისტიანობაზე კი არ არის საქმე! აღარ იყო ეხლა ეს საჭირო!

— მითომ რატომაო? ხალხმა თავის ნებით ხელი აიღო და ერთი-ორი ბებრის ბუტბუტს შეეპოვოთ კიდე!

— მოდი, მოდი, სანდალა, შენც გვიშველე! მა როგორი მეთაური ხარ თუ უკან ჩამოგვრჩები!

სანდალა შეპოუმინდა. რა ჰქნას? როგორ მოიქცეს? უეჭველია სოფლის ზოგიერთ ხნიერ ხალხზე ეს ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს. მაგრამ ამ ახალგაზრდების ხელისშეშლაც არ არის კარგი. როგორ შეანელოს ამათი აფეთქებული გრძნობა, რაც ასეთ მოქმედებაში ჰპოვებს თავისებურ გამოსავალს?

— რადგან არ დაგიშლიათ, ამხანაგებო, მაშ მოდი ეს მასალა ბარემ სასარგებლო საქმეზე გამოვიყენოთ! სასოფლო მნიშვნელობის რაიმე შენობა ავაგოთ და ამგვარად ავლაგმოთ ყოველგვარი ბოროტი ენების სისინი, კარგი?

— შენ პირს შაქარი!

— მაგას რა სჯობია!

— სამასწავლებლო ოთახი მივადგათ სკოლას!

— ხიდი გავაკეთოთ!

— კოლექტივის ბელელი ავაშენოთ!

აგერ ლომები და წერაქვებიც მოიტანეს ბიჭებმა.

— აბა, სანდალა! წერაქვი გირჩევნია, თუ ლომი?

ცოტახანს ფიქრია. მერე ერთბაშად გადასწყდა კიდეც.

— რომელიც იყვეს მომეცით! ჩემთვის სულერთია!

სანდალამ დაავლო დიდ ლომს ხელი და მარჯვეთ მოეჭცა ეკლესიის თავზე.

— აი, ეგრე! თუ მეთაური ხარ, ყველაფერში უნდა მეთაურობდე!

ხელად გაჩნდა ლომებისა და წერაქვების ტრიალი. ალიაქოთით სცვივიან ძირს აგურები, ქვები, კუთხის ნათალი ბალავარები. კირისა და ლორლისაგან თეთრი კორიანტელი ავარდა ირგვლივ და ნელი სიო ჰაეროვანი გემივით მიაცურებდა სოფლის თავზე.

ამ სურათის დანახვაზე ყველას მიუნებებია სახლისთვის თავი და კარში გამოსულა სეირის საცქერლად.

ბავშვები გარბიან გორაზე, რომ უფრო ახლო ჰნახონ— რაც ხდება. ქალები კარიდან-კარზე ეხმაურებიან ერთმანეთს, გაოცებას გამოსთქვამენ და თანაც ჭორიკანობენ სხვადასხვა ჰანგზე.

რამდენიმე მოხუცს კი ერთად მოუყრია თავი სოფლის შუა მინდორზე და გაოცებით მისჩერებიან სერს. იმათში იმყოფება გიოც. მას უფრო ყველაზე მეტად ემჩნევა რაღაცა მოუსვენრობა.

— ეს არის სამართალი! ეს არის დროება! ძალიძალათი უნდა დაგვაყენონ ურჯულობაზე!

— არა, ეს წირვა-ლოცვა რომ მოგვისპეს ის არ გვეყოფა, რო ეხლა თვით ეკლესიასაც ანადგურებენ!

— რა, შვილო! თქვა რამე — მთავრობის წინამდეგიაო, არა თქვა და ლაბის ჯავრმა გაგათაოს.

— მე ხო ველარას მოვესწრები, მარამა თუ ამნაირათა ქვეყანას მონათლამენ, მოდით და საფლავი ამიკორკოტეთ.

— ეს რა ღმერთის გაწყრომაა კაცო! ვის რას ვუშავებდით, რომა ცარიელი პირჯვარი მაინც დაგვეწერა ხოლმე ე კედლებზედა!

— არა შვილოსა! ცხოვრება აღარა ღირს. სულ ერთიან გაოხრდა ქვეყნიერებაი.

— ჰაი, კურკას ბიჭი! მაგითი გინდა ღაიგდო სახელი ქვეყანაზე! ნეტამც კი ჩამოვარდებოდე და კისერი მოგტყდებოდეს, ახი მაშინ იქნება, აი!

— დიდ ვაჟკაცობაში ჩაგივარდება რაღა ამის დანგრევაი, უჰ, უჰ?

გიო უფრო და უფრო შფოთავს. მისი ჩვეულებრივი დარბაისლობა ველარ ჰფარავს ამ მოულოდნელ სურათით გამოწვეულ მღელვარებას. ეკლესიის კედლიდან ჩამოვარდნილი ყოველი ლოდი ძირს კი არ ვარდება, არამედ გიოს გულზე ეცემა.

— კაცო სალხი არა ხართ! ამნაირი ამბავი გაგონილა, სმენილა? წავიდეთ კაცო და ვუთხრათ, გავაგებინოთ რამე! სხვა არა იყვესრა, ეგები ჩვენი სიბერისა მაინც მოერიდოთ და ხელი აიღონ ამ სამარცხვინო საქმეზე!

— ჰო, ძალიან დაასვინდისებ ახლა შენა კურკას ბიჭსა და იმის ამყოლ-დამყოლებსა!

— ვნახოთ მაინცა, კაცო! ცდა ბედის მონახევრეაო, კაცი კაცსა როგორ ვერ გააგებინებს რამესა, რა ვიცი!

— თუ არ დაგიშლია, წავიდეთ, ჰა! ხოლოთა ტყვიილა კი ვირეკებით. ეკლესიის დამანგრეველსა, კაცო, შენ გააგებინებ რამესა!

— რა ვიცი! ეგებ ჩვენ ჭალარას მაინცა სცენ პატივი და...

— გაგვიძეხი წინა! წავიდეთ, ჰა!

და ზარმაცად, უგულოდ ეს ოთხი-ხუთი მოხუცი გაემართენ სერისკენ. ფეხები უკანა რჩებათ, რადგან იმედი არა აქვთ, რომ გააწყობენ რამეს ამ ღმერთზე ხელაღებულ ახალგაზრდობასთან. მაინც ბიდიან, რადგან მშვიდად არ შეუძლიანთ უცქირონ იმ წმინდათა-წმინდის დანგრევას,

რომელზეც პირველვრის დაუწერელად არცერთი ნაბიჯიც არ გაუდგამთ სოფლის გარეთ.

აჰა, მივიდენ კიდევაც.

— რაო, ბებრებო! ქრისტე-ღმერთმა ხო არ გამოგაგზავნათ დელეგატებათ?

— რათ სჩადიხართ, შვილო, ემაგასა? ვის რაში სჭირდება ამ ეკლესიის გაოხრებაი? აქაო და მოსარჩლე არავინა გვყავსო, განა ეგრე უნდა დაგვიბრიყეოთ?

— ამაზე მეტი გაოხრება გინდათ! ხარი შიგ დადიოდა, ძროხა, ძაღლი და ღორი. ბოლოსა და ბოლოს ტურტლის საბუდარად გადიქცა და ასეთი შენობის დანგრევაზე გტკივათ გული?

— ბებრებო, ბებრებო! იქით გაგვიცალეთ, ქვა არ მოგხვდეთ და თქვენ ცოდოში არ ჩავდგეთ ჩვენდა უნებლიეთ!

— ნუ სჩადიხართ, შვილო, ამ საძრახის საქმესა! თქვენ მამას ულოცია ამ კედლებში, თქვენ პაპასა და ე შვილებმაც შეინახეთ ცოტაოდენი პატივისცემა ამისი! ჭირში და ლხინში სოფელსა ამაზე დაუფიცია ხოლმე. ამას რო ანგრევეთ, შვილო, სამაგიეროს რას გვაძლევთ? რალაზე დავიფიცოთ ამას იქითა?

— თუ მაინცა და მაინც არ დაგიშლია, ძია გიო, საფიცარი ცოტა რამეა ამ ცხოვრებაში, უფრო ცხოველი და შესაპოვარი, ვიდრე ეს კედლები?

— აბა ერთი აგვიხილე თვალი და გვიჩვენე — ისეთი რა არი?

— თავისუფლება! მშრომელი ხალხის ბედნიერება! ამაზე კარგი საფიცარი სხვა რალა გინდათ!

— ჩვენც ხომ სწორედ ემაგას ვეხვეწებოდით აქა, ამ კედლებში!

— ეს ხვეწნით კი არა, ბრძოლით მოიპოვება, ბრძოლით, ძია გიო!

— კაცო, სიტყვებს კი მაგარს იძახით, მარამა ფესვებს
რო ვერა ეგრძნობ ნიადაგში — ეს არის ცეცხლი და.
დიდი წვალების შემდეგ აგერ მთელი კუთხე მოერღვა
და ვაგლახით დაიფშვნა მოხუცების ფეხებთან.

— აკი გეუბნებით, იქით დადექით მეთქი, კაცო! თავი
ხომ განწირული არა გაქვთ?

— ამ დღის მომსწრესა რაღა გვაქვს დასანანი, შვილო!
ბარემ დაგვხოცეთ და გაათავეთ რაღა!

— რომ ქვეყანას გამოადგებოდეს თქვენი დახოცაი,
გგონიათ უკან დავიხევდით თუ!

— ეგ კი გამოადგება მერე, რასაც თქვენ სჩადი-
ხართ?

— გამოადგება, ძია გიო, გამოადგება! დედაშიწა უნ-
და გავწმინდოთ ყოველგვარი სიყალბისა და ცრუმორწმუ-
ნოებისაგან.

— ჭუჭყისაგანაც, ჭუჭყისაგანაც!

— დღეგრძელი იყავით, იცოცხლეთ ჩვენოდენაი და
მაშინ ნახავთ, ინანებთ თუ არა თქვენ ეხლანდელ ქცევასა!

ამის საპასუხოდ ბიჭები თითქოს უფრო გახალის-
დენ და მეტის სიმხნევით შეუტიეს პირველ იერიშით და-
ძლეულ კედლებს.

— რა უნდა ვინანოთ, ბებრებო! თუ მოვიპოვებთ რა-
მესა, თორემ დაკარგვით რა უნდა დავკარგოთ — რაც
არაფერი გვაბადია!

— ამ თქვენი მოქმედებითა სოფელი კარგავს, სოფე-
ლი. ვაი, დროებას რა ეუთხრა თორემა თქვენა ან ავი უნ-
და გეკითხებოდეთ სოფლისა და ან კარგი!

— ეხ! ნეტა არც თქვენ სცდებოდეთ და არც ჩვენ
გვაცდენდეთ!

— ხომ ხედავთ თქვენი ღალადისი არ შედის ჩვენ ყურ-
ში, არა!

გიოს „ლაშქარს“ თითქოს სულ დააყრევინეს იარაღიო, ერთმა უიმედოთ ჩაიქნია ხელი და ყველას მაგიერ —

— მეორეთ მოსვლას რომ იტყვიან, აი სწორედ ეხლაა, ძმაო, როცა ადამიანებსა ერთმანეთისა აღარაფერი გაეგებათ.

— წადით, ბებრებო, წადით ბოსლის თავზე, მშვიდათ ზოსწიეთ ყალიონი! რაზე იბოროტებთ აქ გულსა? ხომ იცით ამ განწირულ საქმეს ვერაფრით უშველით! ეხლა თავიც რომ გავანებოთ, რაღაში გამოგადგებათ — ნახევარი უკვე დანგრეულია.

ახალგაზრდები თუმცა ოფლში იწურებიან, მაგრამ უფრო დაფაცურდენ, თითქოს სანაძლეო ჰქონდეთ დადებული, რომ უეჭველად დღეს მოუღონ ბოლო ამ მრავალ წელთაგან შეუდრეკელ შენობას.

მოხუცები ცოტახანს კიდევ უცქეროდენ შორიდან, დაბნეულათ, და შემდეგ გამოტრიალდენ სოფლისკენ რაღაცა მოუნელებელ გულდაწყვეტით.

საღამო ჟამს ეკლესიის ნაცვლად მხოლოდ მისი ნანგრევები-ღა მოსჩანდენ მაღალ სერიდან.

* * *

— ნანო ქალო! ხომ ხედავ შენს იქით აღარ იცქირებიან ჩემი თვალები!

— მერე მე რა ვქნა?

— რიღასთვის ვაღამებთ ამ წუთისოფელს? მომეცი ხელი და შევუდგეთ ერთად ახალ ცხოვრებას!

— ვერა, სანდალა! ეგრე ადვილათ ვერ გადავსწყვეტამ ამ საძნელო საქმეს.

— ქალო, მთელი ქვეყნის საკითხებს სწყვეტენ ერთის დაკვრითა და ჩვენი შეკავშირება ისეთ რა საძნელო რაზეს წარმოადგენს, განა!

— არა, სანდალა! ხომ იცი, როგორ მიყვარს ჩემი მშობლები. მეტადრე მამაჩემი. მე ვერ წარმომიდგენია იმისი წყენა. ჯერ შენ ისედაც ძნელად შეგიფერებს სიძეთა. ის სულ სხვა ქვეყნის კაცია, შენ სულ სხვა ქვეყნისა. მერეა და ყველაფერზე რომ დავიყაბულო, ჯვარდაუწერელად მაინც არ გამათხოვებს არავიზე. შენ კი ჯვრის წერაზე უარსა ხარ.

— კომუნისტობა და ჯვრისწერა სად გაგონილა! სულ უცოლო რომ დავრჩე მთელ სიცოცხლეში — ჯვარს მაინც არ დავიწერ!

— მე კიდევ ისე არ შემიძლია. მამაჩემი ცოცხლივ რომ დავკლა იმას არჩევს, ვიდრე ჯვარდაუწერელად გავყვე ვისმეს.

— ეგ სულ უბრალო რამეა, ქალო! პირველად გაბრაზდება, ეწყინება, მერე კი ნელ-ნელ შეგვირიგდება. აბა მეტი რა ჭარა აქვს! თავის ერთადერთ ქალიშვილს განა ისე მოიმძულარებს, რომ სამუდამოდ ამოიგლიჯოს გულიდან?

— არა, სანდალა! მაგნაირ დიდ მსხვერპლს ნუ მომთხოვ, ნუ!

— მაშ ჩემი თავი არაფრად გიღირს, თუ ეგრეთ უბრალო რამესაც არ დამითმობ!

— მიღირს, როგორ არ მიღირს, კაცო! განა შენ თვითონ ვერ ხედავ ამას?

— მაშ რალათ უარობ, ქალო?

— ის რაღა ბედნიერება იქნება კაცო, თუ კი ქმრის გულისათვის საყვარელ მშობლებს მოვიძულებ სამუდამოდ!

— შენ თვითონ არ გინდა, თორე მშობლები აქ ვერაფერს გახდებოდენ.

— გულახდილათ რომ გითხრა, სანდალა, მართალია, მეც მეჩოთირება ჯვარდაუწერლად გათხოვებაი, მაგრამ

რომ დაესძლიო ჩემი თავი, დედ-მამას მაინც ვერ მოვუ-შხამავ წუთისოფელს. ეს მეხის დაცემა იქნება იმათთვის.

— მაგნაირი დაბრკოლება სულ ადვილი დასაძლევია, რომ გიყვარდე, მაგრამ...

— რათ გინდა უეჭველად ასე გავუმწარო სიცოცხლე მშობლებს?

— მაშ რა ვუყო, ქალო? ჩემი ჯვრისწერა არასგზით არ შეიძლება. შენ კიდევ ამბობ, ახალი წესით არ გამოგყვებიო. მაშ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს!

— რათა?

— აბა მაგის მეტი რაღა დაგვრჩენია?

ნანო დაბნეულივით სდგას ჯვარედინ გზაზე. ვეღარც წინ წასასვლელი გზა გამოუძებნია. აღარც უყან დასახევი აქვს. რა ჰქნას? რა წყალში ჩავარდეს? საქმრო ანაცვალოს დედმამას თუ დედმამა — საქმროს? არცერთი არ დაითმობა. ორივეე ეჭირვება ნანოს, რომ მისი საცოცხლე იყოს ლამაზი, სრული, მდიდარი.

სანდალა? ის რაღას ფიქრობს? მაგრამ იმას რა აქვს საფიქრალი?

ის ან თავის სურვილზე წაიყვანს ნანოს, ან ხელს აღ-ებს სამუდამოდ, დაე რაც უნდა სასურველი იყოს იგი. თავისი რწმენის დათმობა კი არ არსებობს მებრძოლ კაცისთვის ამ ცხოვრებაში.

— ცოტახანს კიდევ იფიქრე, ჩემო ნანო, და თუ შემ-დეგ მაინც არ დამყაბულდები, მაშინ... მაშინ შენ შენთ-ვის და მე — ჩემთვის.

— შენ, როგორც ვხედავ, სულ არა გყვარებივარ, სან-დალა!

— რათა გგონია?

— მა როცა ეგრე ადვილად ამბობ..

— სხვა არჩევანი მე არა მაქვს გენაცვალე. ან გაშორმყვე ჩვენებურათ, ან სამუდამოდ გავშორდებით ერთმანეთს. მე ძალას არაფერში არ გატან. როგორც გინდა, აირჩიე. მიყვარხარ! ძვირად მიღირხარ! შეგიფერებ კიდევაც! მხოლოდ ჩემ აზრსა და რწმენას კი ვერ ვულალატებ. ეხლა შენ იცი.

სანდალა წავიდა.

ნანო კი დარჩენილა ორწყალ შუა და ვერცერთ სანაპიროზე ვერ გასულა, რომ მოიპოვოს გულის სიმშვიდე.

* * *

სანდალამ, როგორც იქნა, დასძლია ჩვენი გლეხის ჩამორჩენა, იქვიანობა, უნდობლობა და შეადგენინა ერთი საგლეხო ამხანაგობა. — ეს იყო პირველი სახე კოლექტივისა.

„სოფლის ოჯახი“.

ამ ამხანაგობის „პირველ მერცხალს“ წარმოადგენს ტრაქტორი.

აგერ, დიდი შავი კამეჩივით აღმართულა იგი შუა მინდორში. გარშემო ხალხი შემოჰხვევია. ყველა საგანგებო ყურადღებით მისჩერებია. უნდათ საკუთარი თვალით იხილონ, თუ როგორი იქნება პირველი გასეირნება მიწის გულში — ამ ტრაქტორისა.

ყველაზე მეტად გული უთრთის თვითან სანდალას. თუ გემოზე გაარღვია მიწის გული და მოიწონა ხალხმა — ხომ გამარჯვებულად იგრძნობს თავს, თუ არა და კარგა ხანს შეფერხდება კოლექტიური მეურნეობის საქმე მთელ ამ კუთხეში. ასეთია ჩვენი ხალხი. მცირედი გამარჯვება — ცას დასწვევს ხოლმე. უმნიშვნელო დამარცხება კი მიწასთან ასწორებს. მეტადრე ახალ და მიუჩვეველ საქმეში აუცილებელია პირველი გამარჯვება. უამისოდ ადვილად ვე-

ლარ დააჯერებ ჩვენ ხალხს, რომ მეორედ და მესამედ სცადოს რაიმე დასაწყისი.

თვით ამხანაგობის წევრებიც ყველა აქ არიან. ზოგმა მათგანმა ხარებიც კი გაჰყიდა რომ წილი შეეტანათ. ეხლა რომ დაიოჩნოს იმათი ფოლადის ბედაურმა — ხომ დაილუპენ. ამას გარდა ხომ ქვეყნის დასაცინიც გახდენ.

აჰა მემანქანემ გამოაფხიზლა კიდეც აქნობამდის გულის ძილში მყოფი ეს შავი მდევი. ხალხი ჩამოეცალა და შორიახლოდან დაუწყო ცქერა.

ქშინვითა და ვაგლახით დაიძრა ეს მდევი და თავის უკან დასტოვა ოთხპირათ გაყოფილი მიწის ზურგი. გაუარა ერთხელ, მეორეთ, მესამეთ. გამარჯვებამ ლამის მოლოდინს გადააჭარბა. ამ შავად აკოტრიალებულ მიწის ცქერით სანდალა ნამდვილ დღეობას გრძნობს.

— ჰა, გიო, რას იტყვი? არ მოგწონს ეს ჯადოქრული გუთანი?

— ვისაც ხარ-კამეჩი არა ჰყავს და მეხრეობაც ეზარება, რატომ, კარგია!

— მარტო მაგიტომა?

— მა სხვა რა არის გასაკვირი?

— ერთ საათში რომ ერთ დღიურ მიწას მოხნავს — ეს არაფერია განა?

— კი მოხნავს, მაგრამა...

— მაგრამა?

— მე მაგას, შვილო, სახრითა და მაამოთი ვერ გავაწევინებ და ერთიც ვნახოთ მოეშალა რაიმე ბულღი, მერე სად ვირბინო მე მაგითვინა ქალაქში?

— შენ გუთანს კი არ უფუქდება მერე?

— რო უფუქდება, ერთი ნაჯახი და იმი ჯანი! მე ვიცი შორს მომინდება სიარული თუ!

— ეე, ჩემო, გიო! შენ მართლა მოძველებული ხარ ამნაირი რამეებისათვისა.

გიო დაიკუზა და ციდით ბეჯითად ზომავს კვალის სიღრმეს.

— აი, შვილო. ა! მა ჩემი ხის გუთნით გავლებული კვალი და ესა ერთია? ეს ერთი ციდა ვერცკია. ჩემი გუთანი კი ციდანახევარზე მეტად მიდის მიწაში.

— სამაგიეროდ შენ სამ წელიწადში ერთხელ ხნავ გუთნით და მერე მხოლოდ აკავებ. ამით კი ყოველ წელიწადს შეგიძლია მოხნა. ან არა და ოთხი კვალის მაგიერ სამი გააკლე და უფრო ღრმა იქნება. ერთი სიტყვით...

— ერთი ვნახოთ უდროვო დროს ან ნავთი შემოაკლდა ან ზეთი, მერე?

— ეე! შენ გინდა ყველაფერი ლარში იყვეს გამოსული. ეგრე როგორ შეიძლება, კაცო?

— არა, შვილო! მე როგორც მიწირია, ისე უნდა ესწირო. ჩემი თაფლა ხარები ერთ ოც დღეს თუ არ შევაბი მამაპაპურ გუთანში, ისე ულლის გაწევა დაავიწყდებათ.

— აჰ, მე როგორც ვატყობ, შენი მონათვლა შეუძლებელია, გიო.

— მოსანათლი, შვილო, შენ ხარ, ურჯულობაზე რო დამდგარხარ და წირვა-ლოცვის დაუქმება ალარ გვაკმარე, თვით ეკლესიაც საძირკვლიანათ ამიკელი.

— ეე, შენ ისევ ძველ ამბებს მისტირი. ქვეყანა ეგრე მოტრიალდა, კაცო! ახალგაზრდა, ჯანსალი, იმედიანი და მოუსვენარი ხალხი ახალნაირათ და თავის გემოზე აშენებს ამ ქვეყანას და ამაზე ველარავინ შეუშლის ხელს. შენ თუ მოგწონს, იყავი მარტო და ჰხანი შენი ადამიჯნის გუთნით. მხოლოდ სხვებს კი ნულარ შეუშლი ხელსა, თორემ ასეთ საქმეზე ჩვენმა მთავრობამ კისრის მოლრეცაც კარგა იცის.

— ვისაც მოსწონს, ღმერთმა ხელი მოუმართოს. მე კი როგორც დაწყებადებიდან ყოფილა — მამაპაპის გზაზე უნდა ვიარო და არა შვილებისა.

— ეჰ, გიო! ეგეთი ჭკვიანი კაცი და ეგეთი გაჯიუტება — სად გაგონილა! შეპოვება და პატივისცემა დიდი გაქვს სოფელში. ხათრი ყველასა აქვს შენი. მაგრამ შენი დრომოჭმული ბასიათითა და აზრებით ვერავის ვერ იფერებ, ვისაც კი ახალი სული უდგია არსებაში.

— როგორ უნდა შევიფერო, კაცო, როცა იძახით ალარც ადამიანობაა ალარც სვინდის-ნამუსი, ალარც სარწმუნოება, ალარც სიყვარულიო! მა უამისოთა ხო სულ განადირდა ადამიანი.

— არის ძია, გიო! არის, როგორ არა! მხოლოდ ჩვენი სვინდის-ნამუსი და ჩვენი სარწმუნოება სრულიად ახალია და იოტისოდენაც არა ჰგავს თქვენსას.

— ეკლესია არაო! ნათლობა არაო! ჯვრისწერა არაო! დღეობა არაო! მა რაღას მიტოვ ცხოვრებაში, კაცო?

— სამაგიეროთ ბევრი რამეა, მაგრამ რომ არ გინდა დაინახო.

— აბა რა დავინახო? ააფრინე ალალიო, რაც არ არი არ არიო.

— მაშ, კაცო, განა არაფერია მებატონეობის მოსპობა, სწავლა-განათლება, ნაყოფიერი ხვნა-თესვის მოწყობა, სასოფლო და საქვეყნო საქმეებში გლეხობის ჩაბმა? ჯერ კიდევ სად არის, რამდენი სიკეთე შეიძლება მივიღოთ ამ ახალი ცხოვრებიდანა!

— თქვენ მოსპეთ სვინდის-ნამუსი, უფროს-უმცროსობა, ღმერთისა და ხატის შიში და მერე ვნახავთ — რა ქვეყანასაც ააშენებთ!

მექანიკოსმა გაიყვანა ბოლოში ტრაქტორი და გააჩერა. ხალხი ისევ ახლოს მიეხვია და ათასნაირად დაუწყეს

სინჯვა. ყველაზე მეტად კმაყოფილნი არიან თვით „სოფლის ოჯახის“ წევრები. იმათ აქედანვე ჩაენერგათ საბოლოო რწმენა, რომ საქმე გაჩარხულად წავა და ქვეყნის ყბადსაღები არ გახდებიან. სანდალამ თავისი მაღლიანი და ბარაქიანი სიტყვით კიდევ უფრო წააქეზა იგინი. უფრო განაღვიძა მათში სურვილი და რწმენა, რომ ერთმანეთის მხარისმიცემით ყველაფერს ადვილად დასძლევენ. მათი შრომა და თავგამოდებაც იქნება უფრო ნაყოფიერი და მისაბაძ მაგალითად იქცევა სხვა მრავალისთვისაც.

მართლაც ბევრს დაებადა აქედანვე სურვილი, რომ შევიდეს ამხანაგობაში. ან დაარსოს სხვა ახალი ამხანაგობა „სოფლის ოჯახის“ მსგავსად. საერთოდ ამ მანქანის მცირე გამარჯვებით გლეხობაში უკვე დაითესა აზრი შეკავშირებულად მუშაობისა და მოქმედებისა.

მხოლოდ გიო და რამდენიმე გლეხი არ შერყეულან თავიანთ აზრში და ჩვეულებაში.

— ე, შვილოსა! ეხლანდელ ხალხსა რო ყველაფერი გაუკვირდება. საქმე ხომ მარტო მიწის აჩიჩქნაზე არ არის! უნდა მოსავალიც მისცეს და!

— ჯერამა ენახოთ, აბა მემრისა როგორ თავთავს დაისხამს მაგი მოხნულში დათესილი პური და მერე მოგვიგონ ნიშნი.

— არა! მე მაგი მეხრეობაი სად ვისწავლო ამ სიბერი დროსა, ჰა!

— თუ ხარ-კამეჩსა ზურგზე ხელი არ გადაუსვი და თან ჰოროველაც არ შესძახე — ისე რა მადლი აქ გლეხკაცის მოხნულ-მოთესილს!

— არა, მაგაზე იტყვის სწორეთა მეხრეი ჰოროველასა, აი! ისემც რა უთხრა მაგი მამგონსა.

— ვისაც დოვლათი და ბარაქა მოსდევს, შვილო, ჩვენ ლირლიტიან გუთანსა რა შეედრება!

— ვენაცვალე იმასა მუხის წელში — გვერდელად რო წამოუწვება კორდეულსა და ყამირი-ყამირზე გადაჰყაეს კაი ფალავანივითა.

— არა! კი არა მშურს! ნეტა კი ყველა მშიერ კუჭს გააძღობდეს ე ტრანტორია თუ რაღაცა და ვინ ღმერთ გამწყრალსა არ გაეხარდეს!

ასეთი საუბრით შემოვიდენ სოფელში. სერიდან ისევ გამოჩნდა ეკლესიის ნანგრევები. მის დანახვაზე გიოს კიდევ უფრო აეშალა ძველი ბოღმა.

— როგორცა, ძმაო, კაცის მკვლელის ხელით მოწოდებული ლუკმა არ ჩავა ყელშია — რაც უნდა შიოდეს, ისე ამ ეკლესიის დამანგრეველის ხელით კაი საქმეს არ მოველი ამ ქვეყანაზე.

— ეგ ისეა რომა — ერთი ხელითა ლუკმას მაწვდიდე, მეორეთი კი ყელში მიჭერდე და მახრჩობდე. ქარისა არც მოტანილი მინდა არც გატანილიო.

— ახალ ქვეყანას ვაშენებთო! როცა თქვენ ახალი ქვეყანა ააშენოთ ზარმაცები და არაქნია ხალხის შემწეობითა — მე შიგ ნულარ შემიშვებთ! დაე, ამომძვრეს სული იმის გარეთა!

კიდეე წაილაპარაკეს თავიანთებურათ სოფლის ცხოვრებაში მოულოდნელად შემოჭრილ სხვადასხვა ახალ ოცლენებზე და შემდეგ გასწიეს თავიანთ სახლისკენ.

თუმცა ისინი ძველი ქვიტკირის ბურჯებივით ურყევად სდგანან ამ ახალი გაზაფხულით მოვარდნილ შუა მდინარეში, მაგრამ გრძნობენ, რომ გარშემორტყმული არიან მისი ტალღებით, მისი ხმაურით, მისი სიმძლავრით. ისინი ტყვეებად გადაქცეულან ამ მდინარისა და ვინ უწყის... ეგებ წაილეკონ კიდეც ბოლოს და ბოლოს მისდენისაგან.

* * *

— ეპეი! რას ჩადის კაცო ე სანდალაი! ძაან ბიკი გაბოდგა აი, მედაჩენმა ღმერთმა! ხან რას მოიგონებს და ხან რასა! თუ რამე ნახა ქალაქში, მაშინვე უნდა აქაც შემოიღოს.

— ან სად გამოიჩეჩა, კაცო, ასე მარჯვეთა! მე ვიცი უნივერტეტი გაუთავებია, აი! ჩვენ დიაკვანმა არ ასწავლა ანბანაი! მაგრამ კაცს რო მოსდგამს ჯიბში თავიდანა— ისა, ძმაო, ყველგან გაიტარს ლელოსა.

— არა ძაან კი გაიწია მართლა! ყოჩაღი ბიკია, ძმაო, რაც მართალია, მართალია!

— არა, ეს რალამ მოაგონა და?

— რას ეძახიანო? დასწყეველა ღმერთმა, სუ ბაეიწყდება! ირიოდიონიო თუ რალაცა...

— რადიო, კაცო, რადიო! გამოიჩიჩენე ყურები!

— ქალაქის ამბებსა სულ გავიგებთ აქაო! მოდი ახლა და დაუჯერე!

— მა, კაცო! შენ რო არ იცი თორე! აი, ამას წინათ ქალაქში რო ვიყავი, იქა ქუჩაში რამდენ ადგილას იდგა ეგეთი ზოროტოტოები და მთელ ხალხს ელაპარაკებოდენ საიდან სადა.

— სიმღერაც იქნებაო, კაცო!

— მა, რავქნა!

— როგორა, კაცო! ქალაქიდანა სიმღერას გაიგებს კაცი?

— თუ არ გაიგებ და აჰა, ნახავენ შენი თვალები!

სკოლის ბალკონზე საგანგებო მზრუნველობით დატრიალობს ტრაქტორზე შომუშავე ოსტატი. ის ებლა რადიოს აპარატს აწყობს სახელდაბელოდ. მთელი ხალხი გამალიზიანებელ ყურადღებით მისჩერებია. მოლოდინში კი ბაასობენ ათას რამეზე, მაგრამ ბოლოს მაინც ლაპა-

რაკი ისევ უტრიალდება ამ ახალ დროების სასწაულებს: ეს ავტომობილია! ეს ჰაეროპლანია! ეს ტრაქტორია! ეს რადიოვო! და კიდევ ვინ იცის — რას არ მოიგონებენ ხვალა და ზეგა!

უცებ გაისმა ფოლადისებური ხმა—მკვეთრი და ძლიერი.

— ამხანაგებო და მოქალაქენო!

გაოცებულმა ხალხმა სული გამელა. ყველა სმენად გადაიქცა. დაუჯერებელი ამბავი ხდება. ყველა ფიქრობს:

— ნუ თუ ქალაქიდან მოდის ეს ხმა!

— ეშმაკურათ ხომ არავინა ზის მაგიდის ქვეშა და ასე ამასხარავებენ ამოდენა ხალხსა!

ხმა უფრო ძლიერი და მიმზიდავი ხდება. ლაპარაკია რადიოს სარგებლობაზე და საჭიროებაზე. ის უნდა შეიჭრეს ქალაქში და სოფელში, მის მეოხებით ყველა უნდა დაუკავშირდეს ქვეყნიურ ამბებსა და მოვლენებს. უნდა გაფართოვდეს ადამიანის ფიქრი, განცდა, გულისცემა, ყურთასმენა. დამარცხებულია მანძილი და დრო. ცხრამთის იქით ამბებს ისმენ, როგორც შენი მეგობრის პირისპირ საუბარს.

ბარე ნახევარ საათს გაგრძელდა ეს საუბარი. ხალხს შეიძლება არაფერიც არ გაუგია ამ საუბრისა, რადგან გაოცებამ შთანთქა მთელი მისი ყურადღება. მხოლოდ ამ გაოცებაში ყველა გრძნობს რაღაც ახალი გრიგალის ქროლვას, ახალ ეშმარიტებას. ეს არის ძლევამოსილი გამარჯვება აქნობამდის რაღაც უხილავ და უცნობ ქვეყნისა, რომელიც დღეს იქცევა სასწაულებრივ სინამდვილეთ.

ხუთი წუთის შემდეგ გაისმა საუცხოო სიმღერა პიანინოს ხმების ჩართვით. ყველამ ისევ გამელა სული.

— ნანო, გენაცვალე, მოგწონს?

— რა კარგია, ღმერთო! მართლა ქალაქიდან ისმის ეს ხმაი?

— მართლა, შაშა!

აგერ გიომაც ჩამოიარა. ნანომ მოჰკრა თუ არა თვალი— ერთიან აენთო. სანდალაც განზე გადგა იმიხ დანახვაზე.

— რას გელაპარაკებოდა ეგ ვაჟი ისე გულითადათ?

— საიმისო არაფერსა.

— ეგა როგორღაც სხვანაირად გიცქერის და...

— ოჰ, ნეტავი მამა არ მოიგონებდე უცნაურ რამესა.

— მა, ჩემი თვალები მატყუებენ?

— ალბათ...

— მაგნაირ ულმერთო და ურწმუნო ხალხს ერიდე, შვილო, თორე მაგათგან კეთილი არაფერი დაიბადება.

— სანდალას ჩემთვის არაფერი დაუშავებია და ისეთი საგანგებო მოსარიდი რა უნდა მქონდეს იმისაგან!

— მაინც... მე გამიგონე, შვილო! შენ რა იცი, ჯერ ახალგაზრდა ხარ.

— ნუ გეშინია, მამა! მტრისა და მოყვარის გარჩევა მეც შემიძლია ცოტათი.

აჰა, ეხლა გაისმა გუნდის მწყობრი სიმღერა. ხალხი ისევ დატყვევებულია გაოცებით და აღტაცებით.

სანდალა დატრიალებს ხალხში. ხან ერთს გამოელაპარაკება და ხან მეორეს. უნდა სრული მონაწილე გაბდეს ხალხში მოულოდნელად შეჭრილ სიხარულისა და აღტაცებისა. ბოლოს მაინც ნანოს ჩამოუარა. იკი თავის დედას დანდობოდა მხარზე და გულმოდგინედ ისმენდა სადღაც შორეულ გუნდის ცოცხალ და სასიამოვნო ხმებს.

— საღამო მშვიდობისა, სალომე!

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, შვილო!

— ხედავ რა ამბები ხდება, სალომე, ქვეყანაზე?

— რა ვიცი შვილო! ეხლანდელი ხალხი რას არ მოიგონებთ. ეხლა აღარც ის უნდა გაუკვირდეს ადამიანსა— კვდარსაც რო ენა ამოადგმევინოთ.

— მა რალათა გვძრახავთ, სალომე, რალათა?

— მე ვისა ვძრახავ, შვილო?

— რა ვიცი! ე შენი კაცი კი ყოველ ნაბიჯზე ინჩში მიდგია. სწორე გაშარჯობის თქმა ეზარება ჩემთან შეხვედრისას.

— რა ვუყოთ, შვილო! ყველა ხო ერთი აზრისა არ იქნება ამ ქვეყანაზე. ყველაფერს თავისი დრო და შეფერება აქვს. ეხლა მე რო დედოფლობა და ლეკური ვითამაშო — ვინ მოშიწონებს? გიოს საქმეც ეგრეა, შვილო. მა თქვენი ახალგაზრდების მთელი ყოფა-ქცევა რათ მოეწონება იმასა.

— ცხოვრებაში ავისა და კარგის დაფასება ჰასაკის მიხედვით ხომ არ უნდა ხდებოდეს?

— რა ვიცი, შვილო! მე სამ-ოთხ სოფელს არცკი გავცილებივარ მთელ სიცოცხლეში და რა ჯანდაბა უნდა გამეგებოდეს ქვეყნიერობის!

— თქვენ კი ალარ წაგედავებით არაფერში, მაგრამ აი ნანოსთანა ახალგაზრდებს კი ალარ დაგანებებთ. ამათ კი ჩვენ ჭკუაზე წავიყვანთ.

— ჩემი ნანო ისეთი არ არის, ენაცვალოს დედა, რომ სხვის ხმას აჰყვეს მაიმუნივითა, თუ თვითანაც არ უჯდება ჭკუაში.

— სხვის ხმა კი არა, თავის გულის ხმა იქნება, თავისი, სალომე!

სალომე რალაცა სწორმა ალღომ შეაშფოთა.

— ჩემ ნანოს ტყუილად ნუ ედავები, ვაჟო! ეს განა ისეთი გოგოა, რომ თავის დედამის საწყენი ჩაიდინოს რამე?

— აი ამ დღეებში ქალაქიდან მოვა ერთი ამხანაგი ქალი, რომ ჩვენშიაც მოაწყოს ქალთა წრე და ნანოსაც უეჭველად აეირჩევთ იქა.

— ამან რა უნდა გააკეთოს იქა?

— გააკეთებს. ასწავლიან. არა, ნანო?

— თუ კი სხვები მოახერხებენ რამესა, მე რაღა ღმერთი გამიწყრება?

— ეი, ეგრე, გოგონი, მაშა! ქვეყანას რათ უნდა ჩაშორჩე? რითი სარ სხვებზე ნაკლები?

სალომე უკმაყოფილოდ თავშალს ისწორებს.

— მაპატიობას თავი გაანებე, შვილო. ქალის საქმე ოჯახია. ის რო გარე-ვარე დაიწყებს ტანტალსა, შერე ოჯახს ალარ გამოადგება.

სანდალა თვალებში მისჩერებია ნანოს. სწორი სწორს სცნობს და უფრო ღონივრად გრძნობს თავის თავს დედამიწაზე. ორნი შეთქმულნი აშკარად კითხულობენ, ერთმანეთის გულისპასუხს, რაც სხვებისათვის უხილავია, შეუმჩნეველი.

ცოტა ხნის შემდეგ გათავდა კონცერტი. ხალხს თითქოს ეზარება დაშლა. ისევ იქავე ტრიალებენ. ათასნაირად მსჯელობენ ამ ქვეყნიურ საკვირველებაზე. ჰხედავენ რაღაც დიდრონი მთები დაძრულან ამ დროებაში და მიწისძვრასავით არყევს იმათ ცხოვრების ნიადაგს. მკვიდრათ აღარაფერი მიაჩნიათ. თითქოს ყველაფერს მოელის გარდაქმნა, შეცვლა ან მოსპობა. ხვალინდელი დღე ყველას გულში მოდის და მოდრტვინავს რაღაცა მოლოდინით, შიშითა და იმედით:

— რა იქნება? როგორ იქნება?

დიდ მოვლენებით დაშინებულ ზოგიერთ სულმოკლეს დაე, უთრთოდეს გული! სანდალამა და მისი მხარის დამამშვენებელმა აბალგაბრდობამ, სოფლის უმრავლესობამ, კარგად იცის — რაც იქნება და როგორც იქნება. და თუ წინ რაიმე დაბრკოლებას წააწყდებიან, არც ამის შეეშინდებათ. ყველაფერ მოულოდნელობას პირისპირ შეეგებებიან, რო-

ორც გამზადებული მებრძოლნი. ასე ფიქრობს სანდალა, როგორც თავის მაგიერ, ისე ამხანაგების მაგიერაც.

* * *

მუადლის მზე პირდაპირ ისვრის ცეცხლის ისრებს დედამიწაზე. სიცხის ბულით დაბნედილია მთელი გარემო.

მძიმეთ და გაჭირვებით მოქრიალებს ძნადადებული ურემი. ქედმაგარ ხარებს ლამის ემძიმებათ თავიანთი საპალნე. ურმის თავზე მჯდომი გიო ნელის ღილინით უქარვებს ჭაპანს თავდაუზოგავ ბედაურებს.

აჰა, მოადგა სოფლის მდინარეს. ეზარება გიოს ეს ადგილი, მაგრამ სხვა მხრით რომ არ მოევლება: ჯერ დალმართი ჰკლავს აქ ხარებს და მერე ალმართი. რამდენჯერ უნახავს აქ გიოს საქონლის საცოდაობა. თვითონაც ბევრჯერ გასჭირებია. ებლაც ბარაქიანი საპალნე უძევს, მაგრამ იმედი აქვს თავის ჯეირანის სადარ ხარების.

ფრთხილად ჩამოუძღვა წინ. გავიდა მდინარეს და მარჯვედ შეუყენა ალმართს. ფიცხ და ძალოვან ხარებმა გამბედავად შეაქანეს ჭარბათ დატვირთული ურემი, მაგრამ შუა ალმართში დაიოჩნეს. თან ცალი გოგორაც ნათხარში ჩაეარდა.

მალლიდან მეზობლები გადმომდგარიყვენ და უცქერიდენ. გიომ ითაკილა, რომ სოფელში ნაქვბმა იმის ხარებმა სწორედ გაჭირების დროს ასე დაიოჩნეს. და ამას ჰხედავენ მისი მეზობლებიც. თავმომწონე მოხუცმა მარჯვეთ გადასცხო თითო სახრე, თანაც რიხიანათ შეუტია. გათამამებულ სარებსაც ეჩოთირათ თითქოს შუაგზაში გაჭირება და თავგამეტებით შეებრძოლენ საპალნეს. გასწიეს ერთხელ, გასწიეს მეორედ. უცებ ლაწანი მოიღო უღელმა და ურემიც დაეცა ძირს. ხელნის თავებმა ველარ გაუძლეს მძიმე საპალნეს და ორთავე ჩაიმსხვრნენ.

გიო გაცეცხლდა.

— ჰაი, ამი რჯული კი ვატირე! ლამის ქვეყანა გადატრიალდეს ერთიანა და ამ გზის გაკეთებას კი არა ეშველარა! არა ი კურკას ბიუსა ეკლესიის დანგრევის მაგიერა, ა'ხირ ე ხიდი' გაეკეთებინა აქა! მითომ ისიც ქვეყანას აშენებს რაღა!

და აგერ თვით სანდალაც თავზე წამოადგა გიოს, რომლის საყვედურებიც სიტყვა სიტყვით გაიგო ყველა.

— რაო, გიო? რას იგინები ეგრე ჯიგრიანათა?

— ვერა ხედავ რასაც ვიგინები? ესლა მადლია გლეხკაცითვინა ურმის დამტვრევაი ამ გზხურებულ მუშაობის დროსა? არც ძველად ეშველა აქა სიდის გაკეთებასა და არც ეხლა. რათ გინდათ, რა? ი ეკლესიის დანგრევა უფრო ადვილი არ-არი, ვიდრე ამნაირი სამადლო საქმის გაკეთებაი?

— მაგასაც გავაკეთებთ, გიო, ნუ გეშინია!

— ჰაცა, ვირო, ნუ მოკვდები, ალავერდი ამოავო!

— აღდგომა და — ხვალაო! აი, ნახავ თუ არა!

— ეხლა კი მე ეს მეყოფა საწვალებლათა და!

— რა ვუყოთ! ბევრისთვის გაგიძლია, ცოტასაც გაუძელი და ბოლოს მაინც ეშველება.

— ოლონდა კი ამ ხიდის გამკეთებელი გამოვიდეს ვინმე და შვილის მკვლელი რო იყვეს — მოყვრად გავიხდი.

— კარგი, გიო, კარგი! მე კი ადვილათ შევასრულებ ჩემ სიტყვასა და აბა შენსასაც ვნახავთ.

— როგორა! პირიანობაში თქვენ უნდა გვაჯობოთ,— სვინდის-ნამუსის მატარებელ ძველ ხალხსა?

— კარგი, გიო! როცა გავაკეთებთ ამ ხიდს, პირველად შენ გაგატარებ მასზედ და შუა წელზე სახალხოთ უნდა გაღიარებინო, რომ საბჭოთა ხელისუფლება საუკეთესო მზრუნველია ხალხის კეთილდღეობაზე. მაშინ ალბათ ჩე-

მზეც მოიბრუნებ გულსა და ეგრე ეტრულად აღარ დამიწყებ ცქერასა.

— ვაი, ოღონდაც იმ დღეს მოვესწრო და...

— მოესწრები! არც ისე შორს იქნება ეგ ამბავი.

გიოს ჩამოეშველენ მეზობლები. ძნა სხვა ურემზე გადააცლეინეს და მიატანინეს საალამდის.

სანდალა კი წამოვიდა ახალი გადაწყვეტილებით დატვირთული: თან გულში გრძნობს უდიდეს კმაყოფილებას, რომ გაუჩდა ახალი საზრუნავი.

ეს იქნება ახალი გამარჯვება — არა, თავისი კი არა! არაშედ იმ ხალხის, იმ თაობის, იმ ხელისუფლების, რომელიც მას აძლევს უფლებას და საშუალებას — სოფლის საერთო კეთილდღეობაში მაინც გაავლოს ერთი ნალარი.

* * *

— შვილო, ნანო! გაანებე ე თუთუნის გრეხასა თავი! მოდი აქა!

— რა გინდა, მამაჩემო?

ნანომ გაანება თუთუნს თავი და მორჩილად მიუჯდა გვერდში თავის მამას.

— აჰა, მოვედი! ეხლა?

გიომ მძიმედ გაისწორა ულვაშები (ალბათ ფიქრებიც). დინჯად გადაჰხედა თავის გოგონას და...

— იცი, შვილო! მე არ მომწონს შენი ქცევაი.

— რა ქცევაი, მამა?

— აი, რო ჩაწერილხარ სადრაცა.

— ქალთა წრეში, მამა?

— რა ვიცი რას უძახით თქვენა! მე კი სულაც არ მიჯდება ჭკუაში.

— მერე რაო, მამა! ჩვენებიანთ თეკლეც იქ არის, მაროცა, გაიანეცა...

— ისინი სულ ეგრე ახტაჯინათ დადიან და შენ რა გაქვს იმათთან მისაბაძი, შვილო?

— ჰო და, თუ ეგეთი ახტაჯინები ჩაერევიან ამ ახალთაობის ავან-ჩავანში, მე რაღა კოჭლი ბატი ვარ, რომ ყველას უკან ჩამოვრჩე.

გიო ჩაფიქრდა. აათვალ-ჩაათვალიერა თავისი გოგო. უნდა თავისი რაღაცა დიდი დაკვირვება და რწმენა ჭირნახულმოსწრებული მინდორივით გადმოშალოს თვალსაჩინოდ, მაგრამ...

— ...ყველაფერი ეს, შვილო, ჯერ მკუხე საქმელია. მაგას მაოლოდ სულსწრაფი ხალხი ეტანება და როცა კბილს მოიჭრიან, ჭკუასაც მაშინ სწავლობენ მარტო. ჯერ უნდა დაუცადო, შვილო, დამწიფდეს ყველაფერი. შემდეგ კი რაზეც ხელი მიგიწვდება, ყველაფერი დედის რძესავით იქნება შესარგები.

— მუდამ რომ ეგრე ვიფრთხილოთ, მამა, ადამიანი სულ დაობდება და ქვეყნის მაჩანჩალათ გადაიქცევა. მე არ მინდა, რომ ჩემმა ტოლებმა ყველაფერში წინ გამისწრონ.

— მეტიჩრობაში? გაგასწრონ, მერე რა?

— ხომ იცი, მამა, ძალიანაც მიყვარხარ და შენი ხათრი მთელ დუნიას მირჩევნია, მაგრამ რომ მინდა ჩემ ტოლებშიც არ გამოვწყდე? რა გენაღვლება მეც ვისწავლო ამ ქვეყნის ენაი, რომ სულერთიან მუნჯათ არ დავრჩე ცხოვრებაში...

— რაც უნდა სთქვა, შვილო, ი კურკას ბიჭსა მაინც გული არ ენდობა. ღვთისა და სარწმუნოების მგმობელი კაცი ყველაფერ ადამიანობასაც ისე გალეწამს ფეხქვეშ, როგორც ნაბოლარა კრუნჩხის კალოსა.

— რა არის, მამა! ამოგითვალისწუნებია ი საწყალი ბიჭი და ლამის არის შენი საყვედურების მოთვლაში დააღრჩო. რას ერჩი, სოფლისთვის არ ზრუნავს, ვანა?

— რა ვიცი! ქვეყანას ხო მარტო იმითი ვერ დააბრმავებ, რომ ერთი ორი სამაპატო რამ გააკეთო და სოფლის არაქნია ხალხს დილიდან საღამომდის ულოცო — „მე გიშველი, ბიძიაო!“ უჰ დიდი რამ მოხდა, რაღაცა მატრაკვეცული რადიოა თუ კვინტრიშა — ი რო დადგეს.

— ტრაქტორიო? სკოლაიო? მამულებიო? ი თავადები და ჩარჩები რო აღარ გასხედან თავზე — ეს აღარაფერია განა?

— ეჰ! ბატონმა ბატონი შესცვალა, შვილო, რა გამოვიდა!

— მაგას რათ ამბობ მამა! აბა სადღა ჯანდაბაში არიან ეხლა ბატონები?

გიო გაკვირვებით მისჩერებია და ვერ გაუგია — ნუ თუ ნანოს თვითანვე სჯერა, რასაც ამბობს?

— მა, ყველა ეს ბიჭბუჭები განა ჩვენი ბატონები არ არიან? მა რა არიან? ი კრებაზე რო დამიწყებენ ხოლმე სისინსა — შენაო კულაკი ხარო — ამაზე უარესი გინდა კიდევა! ნიკოლოზობის დროსა მამასახლისები მეპოებოდნენ ხოლმე და ეხლა გუშინდელი ღლაპები უნდა მჩრიდენ პირში ბურთსა! ჰაი გიდი, გიო!

— ხო ხედავ, მამა, ყველაფერი გამოიცვალა. აღარ არის შენი დროებაი, აღარა!

— მეც მაგასა ვტირი და ვჩივი. მგზავრი კაცი რომ სიმშილითა კვდებოდეს, პურს აღარავინ მოუტეხავს. ეს არის დროებაი?

— რა ვუყოთ მერე! გადაივლის ეს გაპირვების დროებაი და ყველაფერი ისევ გასახარებლად მოეწყობა.

გიო აბოლებს ჩიბუხს. თან ისე ათვალიერებს თავის გოგოს, თითქოს ვილაცა გადამთიელი იყვეს და მხოლოდ ეხლა ჰხედავს პირველადო.

— ნეტა ვიცოდე შენ ვილამ გასწავლა ე ტიკტიკი! კურკას ბიჭმა თუ მოგნათლა ეგრე!

ნანო კოპწიათა და ცელქურად გასწორდა კაი თავთუ-ხის ლერწამივით.

— აბა მიყურე, მამა! თვალები ხო მაქვს?

— მერე?

— ყურებიცა, ხომ?

—

— მე მგონი, ცოტა ჭკუაცა მაქვს, არა?

— კარგი, მერე?

— ჰო და მე თვითან ხომ შემიძლია დავინახო, კაი-გონო და ჩავუფიქრდე ყველაფერს, რაც ხდება ქვეყანაზე? განა უეჭველად ვინმემ უნდა ჩამაგონოს?

— მე ვხედავ, შვილო, ყველაფერსა, მაგრამ ვაი, რო შეპოება აღარა მაქვს!

— შენ ჩემზე ნუ სწუხარ, მამა! თუ შეგარცხვინო რა-მეში, მაშინ მითხარი საყვედურები.

— არა! ი კურკას ბიჭი მაინცა... სჯობია ერიდო! იმანა ქვეყანა არია და მე ვატყობ — ჩემ ოჯახსაც არეკს. ჩემი ხნის კაცსა სიზმარიც კი დაეჯერება, თორე...

— უიმე, უიმე! ეგრე კაცის შეძულება გაგიგონია!

— ეე, შვილო! შენ რა იცი ქვეყნის ავკარგი როგორ იწონება, თორემა არც ეგრე იტყოდი.

— ეჰ, ნეტავი შენა, მამაჩემო! მოეწყობა ქვეყანა წესზე — კარგი, არა და შენ ხომ გაგიტარებია შენი დრო ავათ თუ კარგათ.

— თქვენთვისა ვწუხვარ თორე...

ნანო გაჰყვა საბლის დალაგებას. გდო კი სთლის შვინ-დის ტაბიკს. ახალ ჭოპოსანს მაგრა ესვამს — რადაცა ჯავრს აყოლებს ყოველ გასმაზე.

* * *

ძველებური ფართე დარბაზი ახალი ხალხით არის სავსე. ხალხი ეგები ძველიც ბევრია, მაგრამ ახალი მოწოდებით არის ყველა აქ თავმოყრილი. სხედან. დგანან. სადაც მოუსწრიათ და როგორც მოუსწრიათ. თავში კი სდგას თვით ხალხსავით უბრალო მაგიდა. რამდენიმე კაცი შემოსჯდომია და საქმიანათ ჰფურცლავენ ქალალდს.

კოოპერატივის წლიური კრებაა.

საერთო მოხსენება, ანგარიში. ძველი ცოდვების წაშალოყვედრება, იერიში და თავდაცვა. ზოგის უარყოფა. ზოგის დაფასება. ბოლოს ახალი არჩევნები გამგეობისა:

ესა და ეს.

ესა და ეს.

ესა და ეს.

ქალებიდან კი — ნანო ლომაური.

ხალხში ცივი ყინულის ნამტვრევებივით ერთბაშად სცვივა მკვახე სიტყვები.

— რაიო? ნანო ლომაურიო? ეს ვისი მეტიჩრობაა ნეტავი?

ყველამ შეიტრიალა თავი და საგანგებო ცნობისმოყვარეობით მისჩერებიან გოროზათ ამართულ მოხუცს გიოს. ის კი...

— ამოშალეთ ეხლავე! როგორ? ოჯახში გამოელია განა საქმე?

თავმჯდომარე სცდილობს დაამშვიდოს:

— გიო, გიო, რა გაღელვებს, კაცო! ქვეყნის საქმეში შვილის ჩაბმა შენ განა საძრახის საქმედ მიგაჩნია!

— განა კაცები გამოიღიენ, რომ გოგოებზე დაგიდგათ ეხლა საქმე? მე გეუბნებით ამოშალეთ მეთქი!

— გიო! შენი სიტყვით ნანოს არ ამოეშლით. თუ კი ხალხი აირჩევს, შენ პირიქით უნდა ამაყობდე კიდეც, არამც თუ გწყინდეს.

— თქვენი დები და ცოლები აარჩიეთ და თქვენვე იამაყეთ! თქვე ულმერთოებო სახლის დამლაგებელი და შეჭამანდის ჩამდგმელი ალარ უნდა დამიტოვოთ სახლში?

— ცოლი რას გიკეთებს?

— გადაყრუვდა.

ხალხიდან ისმის ხმა:

— მა ალარც გაათხოვებ — თუ ეგრე გეპირდება შეჭამანდის გამკეთებელი?

— რატომაც არ გავათხოვებ! მაგრამ წინდაწინ რათ გავიმწარო ლუკმაი?

თავმჯდომარე ურეკავს:

— თუ კი ხალხს უნდა, შენ წინააღმდეგი ვერ წახვალ, გიო.

— ჩემი საქმისა მე უკეთესად არ ვიცი ვიდრე ხალხმა? ხალხსა როგორც გინდათ, ისე ააყვირებთ რა!

— მა შენ რატომ ალარ გაყვირებთ, მაგ ერთ კაცსა — როგორც გვინდა?

— ხალხს რა ენაღვლება ჩემი გაპირვებაი, ჩემი ოჯახის სინდის-ნამუსი! მე კი მენაღვლება.

— ერიჰა! საზოგადო საქმეს შენ უსინდისობათაცა ნათლავ! ეგ უკვე მეტი მოგდის, გიო!

— ნუ გამამწარებთ და არ ვიტყვი! რა უნდა ჩემ გოგოსა კომპერატიაში, თავის სახლისთვის ვერ მოუვლია წესზე! ძალათ — მაცხონეები ხართ, შვილო?

ხალხში გაისმის ხმა:

— თვითან ნანოსაც ჰკითხეფ, კაცო — უნდა თუ არა არჩევაი.

— ჰკითხეთ! ჰკითხეთ!

— თუ კი ბალბი აირჩევს, ვერც ნანო იტყვის უარსა-
ყველა მისჩერებია კუთბეში მიკუნტულ ნანოს. სცდი-
ლობენ მის სახეში ამოიკითხონ ამ დავის გადამწყვეტი
პასუხი. მაგრამ იგი გამოუცნობია თავის დუმილით, უმო-
ძრაობით.

გაბრაზებული გიო კაი გუთნის საკვეთელივით მიარ-
ღვევს ხალხს და მძიმე ბელტებივით ისვრის:

— როცა თქვენ ყეფითა და ყივილით სოფელი აეშე-
ნოთ, მე ნულარ შემიშვებთ მაშინ შიგა! ე შვილი არ გა-
დამიბირეთ თორემა, ეგები ვინმე შემომაკვდეს კიდეცა
ამ სიბერის დროსა.

გათავდა კრება. როგორც სხვები — ნანოც ერთხმად
იქნა არჩეული გამგეობაში.

ხალხი დაიშალა. სანდალამ ჩაუარა უკან ჩამორჩენილ
ნანოს. გულითადათ ჩამოართვა ხელი, ერთიც გაუღიმა და
გაშორდა უსიტყვოდ.

* *

— რა გიშავს, გიო, ეხლა რა! შენი გოგო კომპერატი-
აში აირჩიეს და...

გიომ ხმა არც კი გასცა თავის მეზობელს ისე შევიდა
ეზოში. იქავე კარებწინ ჩამოჯდა წიფლის მორზე და ყა-
ლიონი გააჩაღა.

— მამა, შენ მოსულხარ კიდევაცა?

— მა, იქ თუ დავრჩენილიყა თქვენთანა, პირი ბლით
ამევსებოდა!

— ვინ იცის როგორა ხარ ჩემზე ნაწყენი, არა, მამა?

— ეჰ, ჩემ წყენასა ვილა იგდებს, შვილო, აინუშში!

ნანო მიუჯდა გვერდში და მხარზე გადასდო ხელი
ალერსით.

გიო ერთხანად სდუმს. თითქოს ხე უკვე მოპრილდა
და საცაა ელის მის წაქცევასო.

— ...ხომ აგირჩიეს?

— ამირჩიეს.

— რაღა უშავს ქვეყნიერობასა! ეხლა სულ გაძღება, გალამაზდება და შეიმოსება თავიდან ფეხებამდის, შენნაირი გარდაქმნილი თუ ჩააყენეს საქმეში.

— შენ უფრო არ უნდა გიხაროდეს, მამა, რომ ჭორიკანობისა და კეკელაობის მაგიერ სოფლის საქმეებში ვიქნები ჩარეული?

— დათვი რო სამგლე გახდაო, იმის საქმე წახდაო. ქვეყანა და სოფელი რომ თქვენი საპატრონო გახდა, მართლა რატომ არ დაიქცევა ეს ქვეყანა! ეხლა სხვას რაღაზე ვედაო. ბოლშევიკი სახლში გამიჩნდა, შვილო.

— მე ბოლშევიკი სულაც არა ვარ, მამა!

— რაღა გაკლია? ერთი რიველი და ეკლესიის დანგრევაი რაღა!

— ეგრე რათ ამბობ, მამა, გენაცვალე! თუ კი ერთი გაიწევს განზე, მეორე, მესამე, მა ვილა არის მოვალე, რომ ყველას მაგიერ აკეთოს საქმე?

— ჰო, ძაან სვინდის-ნამუსის პატრონ ხალხში მოგიხდება მუშაობაი! რაღა უშავს ეხლა ჩემ ოჯახსა!

ეზოს წინ ჩამოიარა გამგეობის ახალმა თავმჯდომარემ.

— ნანო! სალამოზე არ დაგავიწყდეს, უეჭველად მოდი!

— კი მოვალ უსათუოდ!

სალომეც გამოჩნდა ეზოში. გიო მძიმე ურემივით შეტრიალდა მისკენ.

— აი, ჩემო ქალო, იამაყე! ჩვენი შვილი ამიერიდან ქვეყნის მოწალმართე შეიქნა:

— რას ამბობ, კაცო! როგორ-იგავებითა ლაპარაკობ შენა?

— აი კითხე შენ შვილსა!

სალომე ნანოს მიაპყრობს თვალებს.

— რა, შვილო? შენ ბაინც ამიხსენი ქრისტიანულათა!

— მამა ტყუილად იმრიზება. ისეთი არაფერია, დედა! კოოპერატივში ამირჩიეს და რათა, რათ აგირჩიესო!

სალომეს თითქოს სრულიადაც არ ეწყინა!

— მერე რა, კაცო? იყვეს ე ჩვენი მაჭატა გოგოცა, თუ კი ჩაირეეენ რა! აქ ურიგო რა არი?

— თუ არ არის ურიგოი და ენაბოთ, რა სიკეთეც დაიბადება მანდედანა!

ნანომ არ იცის როგორ მოალბოს გიოს გული.

— მამა გენაცვალე! ლამის ბოელი სოფლის ჭკუა ტრიალობს შენში და ეგეთი რაბის წინააღმდეგი რათ უნდა იყვე, ვერ გამიგია! ყველაფერი სულ ძველებურათ გინდა იყოს, უცვლელათა? ხომ ხედავ ქვეყნის ახალი მოსავალი სძლევს ძველსა და ტყუილად რათ სცდილობ ცხოვრების ჩარხი უკუღმა შეატრიალო, ვიდრე ბდინარე სცემს.

— არა! ჩემი ანდერძი მართლა აგებულია, როცა საკუთარ სახლშივე გამიჩნდა ბოლშევიკი.

ისევ სალომე სცდილობს — ჩამოაგდოს მშვიდობა მამაშვილს შორის.

— კაი, კაცო, ახლა! მართლა გულს ნუკი აუცრუებ ბავშვსა ყველაფერზე! იყვეს, იმუშაოს, თუ კი თვითონ ხალხს არაფერი აქ საწინააღმდეგოი.

— ხალხს კი არა, მე მაქვს საწინააღმდეგოი, ბე! ამანა, ამან უნდა გამიკეთოს ქვეყნის საქმეი, ჯერ სახლის დაგვაც არ იცის სწორე.

— სახლის დაგვაც ვიცი და კოოპერატივში მუშაობასაც მოვახერხებ! აი ნახავ თუ არა, მამაჩემო!

— ჰო! აქამდისაც სულ თქვენისთანაებს ეშენებიათ ქვეყნიერობაი, მა!

— კარგი! მაშ გავანებო თავი, მამა? მერე მთელი ოჯახი ხომ აგვითვალისწუნეს — როგორც ძველი რეჟიმის

ხალაბი. მაშინ წინდაწინვე არ უნდა მიმეცა ნება არჩევისა. ეხლა რომ უარი ესთქვა, რას ეგვანება.

— ან წინეთ ვინ შეგეხვეწა მერე — აერჩიეთ?

— ალბათ შეეხვეწენ.

— კურკას ბიეი არა?

— რა არის, მამა! დაადგი ყბაი ი კურკას ბიჭსა და ალარ ასვენებ! ბოლოს მართლა ხომ არ უნდა ამოიჭამო.

— არა, შვილო! ის უფრო ჩქარა ამომიჭამს მე თვითანა. მეტადრე თუ ჩემი საკუთარი შვილიც დაეხმარება.

— მე ჩემი ოჯახისა და ჩემი მშობლების დალუპვაში სარავისაც არ დავეხმარებე. და თუ საჭირო გახდება, იქნება თავიც შევაკლა.

ნანო და სალომე მიდიან სახლისკენ. გიო რჩება მარტო. ბოლებს ყალიონს, ბოლებს. თუთუნი ილევა — ფიქრები კი არა.

* * *

— მაინც რა ულმობელია ეს ახალი ცხოვრება და რა შეუდრეკელად მოდის იგი ყველგან. ჯერ იგი დაიბადა სადღაც ნორს. მერე იქიდან მოვიდა ქალაქში. ქალაქიდან — სოფელში. ეხლა აქა, იმის ოჯახშიც იპრება იგი. რა არის მდევია თუ ვემაპი, ასე მძლავრად რომ ნოტორტმანობს? კი არ მოტორტმანობს, მოჰქრის! არა, ნოგრგვინავს! მაგრამ ყველაზე გულსაკლავი უფრო ის არის, მისი ოჯახის კარებსაც რომ ამტვრევს. ნუ თუ მართლა საბოლოოდ უნდა გაიმარჯვოს ამ ახალმა ცხოვრებამ?.. თუმცა ეგები მართალი არიან ესენი და ჩვენ, აზრითაც ძველებმა ნამდვილათ მოვსჭამეთ ჩვენი დროება?

აქ შეშფოთებულმა გიომ გაჯავრებით დააფურთხა დედამიწაზე და წიბლიც დაჰკრა ზედ გაშმაგებით:

ახალი ცხოვრება მარტო ოჯახში შემოეკრიათ ალარ ჩერდება. იგი თითქოს გიოს გულში იკრება იქვის სახით. ეს უკვე საშინელებაა, როცა თვით იგი ფიქრობს: ეგები მართალი იყვენ, ვინ? ვინც ქვეყანას ჭრევს, ეკლესიებს ანგრევს? ვისაც არა სწამს ნათელ-მირონი, ადამიანობა, პატიოსნობა? ვინც... ვინც...

— გიო! წამოდი, კაცო, რალას უცქერი! ყველას შენ უნდა გაუძღვე წინა შენი ჯეირანა ხარებით!

— შენ სხვებს გააბერტყინე ყური, თორემ მე ეხლავეც შზათა ვარ!

— მაშ წამო ბარემ, რალას აყოვნებ!

— აგერ შევაბამ ხარებსა და ეხლავე გამოვალ.

სანდალა გაჰყვა უბანს, რომ სხვებიც ააჩქაროს. გიომ შეაბა ხარები და გამოვიდა გზაზე. აჰა, სხვებიც შეუერთდენ მრავლათ და გიოს მეთაურობით გაუდგენ...

— გიო, საით მიდიხარ, კაცო?

— საით მივდივარ და მტკვარზე.

— მტკვარზე რა გინდა, კაცო?

— მა, ქვაი ჩემი ბალის ბოლოზე ხომ არ ამოდის!

— არა, კაცო! აი, ეკლესიის ნანგრევი ქვა უნდა ჩამოვიტანოთ. თუ ეგ არ ეყოფა, მერე ტკვარზეც წავალთ.

გიომ შეაჩერა ხარები. თითქოს არ სჯერა — სწორედ გაიგო სანდალას სიტყვები თუ არა.

— რაიო? ეკლესიის ნანგრევებიო?

— ჰო, კაცო! მა გესალისება, ორი ვერსიდან ზიდო ტკვრის ქვაი, როცა აი აქვე აბდენი გვაბადია? ეს ქვაი ჩვენ ხიდსა თავსაყრელიც მოუვა, არაფც თუ ეყოფა.

გიო ისევ ჩაფიქრდა. იმის გულს ისევე ეკარება სანდალას სიტყვები, როგორც კედელს ცერცვი.

— იცი რა გითხრა, შვილო! მე უმალ ქედებს დაეაპრი ჩემ ხარებსა, ვიდრე ეკლესიის ქვა ვაზიდინო ხიდის

ვასაკეთებლათია. ვინც უნდა გააკეთოს ეს ღვთის საგმობელი საქმეი, მაგრამ ჩვენგან კი იმედი ნურავის გექნებათ.

— უარს ამბობ მაშა თვითდაპეგვრაში მონაწილეობაზე?

— უარს რათ ვამბობ! მე წავალ და ტკვრიდან მოვზიდამ. ეგ კი ვისაც გინდათ ჩამოიტანეთ. აბა, სამოცი წელიწადი ეკლესიაში მილოცია და ეხლა ჩემივე ხელით ჩამოვზიდო იმის ნანგრევები ბიდის გასაკეთებლათა? განა ი დალოცვილ ტკვარზე ეგრე გამოილია ქვა და ლოდი?

— შენა, კაცო, მუდამ ეგრე ახირებული ხარ.

— არა, შვილო! მე კი ტკვარზე წავალ და სხვები როგორც უნდათ ისე მოიქცენ.

გიომ შეუტია ხარებს და გაჯავრებულის სიფიცხით გარეკა რიყისკენ.

სანდალამ უიმედოთ ჩაიქნია ხელი ნიმავალ გიოზე და მიუბრუნდა სხვებს:

— დაე მაგ-ერთმა კაცმა რაც უნდა ისა ქნას! თქვენ კი ჩქარა გაბრუნდით და შეუდექით ეკლესიის ქვის ზიდვას.

ახალგაზრდები ხელათ შეტრიალდენ და გაუდგენ ეკლესიის გზას. თან ლარდიმანდულათ ათასგვარ შენიშვნას ამბობდენ გიოს ახირებაზე. მოხუცი გლეხები კი შეფიქრიანდენ: არ იციან ვის გაჰყვენ.

— ჰა, ბებრებო! რას უცქერით? გიოს მაგალითმა ხომ არ წაგახალისათ?

ზოგმა მოახერხა პასუხი:

— მართლა როგორღაც უხერხული კია!

— ე მოხუც ხალხს არ შეგვფერის და!

— თქვენთვინა სულ ერთი არ არის — საღამაც მოვიტანთ?

არა, არ ჯავრობს სანდალა. ის სრულიად გულდამშვიდებით ეუბნება:

— თუ არ გებრალებათ არც თქვენი თავი და არც თქვენი ხარები, როგორც გინდათ — ისე მოიქეცით!

ერთმა გლეხმა როგორც იქნა გადალახა ჭოჭმანი.

— რაც აბალგაზრდებს შეფერით, ის მოხუცებს არ შეფერით. მეც მტკვრიდან მოვიტან ჩემ წილ ქვასა.

— ბარემ მეც იქით წამოვალ!

და ეს ორი მოხუცი გაუდგა გიოს გზას. დანარჩენები წავიდენ ეკლესიისკენ, და მრავალ შენიშვნებში ყველაზე მკაფიოდ ისმის ერთის ხმა:

— თუ მადლი ქონდა, შვილო, მაშინ უნდა გამოეჩინა, როცა ანგრევდენ. ეხლა კი რალას უშველის ჩვენი ჭირისუფლობაი!

უკვე დაიწყეს ქვის ზიდვა. აგერ გიომა და იმ ორმა გლეხმაც მოაჭრიალეს მძიმეთ დადებული ურმები. სანდალა იქავე ტრიალებს ტეხნიკოსთან ერთად.

— ნეტაი თქვენა, რო არც თქვენი თავი გებრალებათ და არც ხარები — ემაგსიშორიდან რომ ეზიდებით.

გიო როგორღაც გამოჯავრებით გაიმართა წელში და თავის მიერ მოზიდულ მძიმე ლოდებივით გაიძახის ყველას გასაგონად:

— ობრად დამირჩეს ჩემი თავიცა, ჩემი ხარებიცა, ჩემი ოჯახიცა, თუ მე ამ ბიდზე გავიარო როდისმე. ვინც უნდა ჰქელოს თავის ფეხით ეკლესიის ნანგრევები, მაგრამ ჩემი ფეხი კი მძიმე იყვეს აქ გასავლელათ.

— გაგიჟირდებაო, გაიელი, გიო, გაივლი!

— როცა მე ამ ხიდზე გავიარო, მაშინ მოდით და პირში ჩამაფურთხეთ მთელმა ქვეყანამ.

— შენ არ გაივლი და შენი შვილები გაივლიან, შვილიშვილები!

— ჰო! თუ ასე აკეთეთ ყველა საშვილიშვილო საქმეი ქვეყნის ბედსა ძაღლი ალარ დაჰყეფს, მა!

* * *

გიოს ოჯახში ეს არის გაათავეს ვახშმობა.

სალომემ ისევ თითისტარი აუბა. ნანო სუფრას ალაგებს. გიო კი ცეცხლზე თბება.

ნანომ გაათავა მილაგ-მოლაგება. შემდეგ გავიდა კარში, ისევ შემოტრიალდა სახლში. ვერსად ვერ ჩერდება. რალაცა მოუსვენრობასა გრძნობს. არ იცის რა ჰქნას.

ბოლოს მივა. მამას მიუჯდება გვერდით. დაეყრდნობა მხარზე და... სტირის, დიად სტირის.

— რა იყო, შვილო, რა დაგემართა?

სალომეც შეშფოთდა ნანოს უცნაურ ქცევაზე.

— რა მოგივიდა, გოგო? რა გატირებს? ჯერ ხომ დედა არ მოგკლომია?

ნანო ხმას არ იღებს. უფრო ქვითინებს.

— რა ქენა, ავათ ხომ არა ხარ, შვილო?

— ავათ რა გახდიდა, ე ვახშამზე სალ-სალამათად იჯდა და...

გიო ჭოჭორზე უსვამს ხელს. სალომეც შეშფოთებით ეალერსება.

— მითხარი გენაცვალე რა იყო?

— თქვი, შვილო, რა გატირებს? ასე უცაბედათ რა დაგემართა ნეტავი?

— ასე გულამომჯდარი რისთვისა სტირი, შვილო, რატომ არ იტყვი? ი კომპერატიაა რალაცა, იქ ხომ არავინ გაწყენინა? ნეტამც არ მინდა ვისმე რამე გაებეღოს და...

ნანო ეხლა დედას მოეხვია. ტირილი კი შეანელა.

— თქვი, შვილო, რა გეტკინა? კარში ხომ არაფერმა შეგაშინა წელანა?

გიოს ჩიბუხი ხელში გაჰშეშებია და შეშფოთებით მისჩერებია თავის გოგოს.

— უეჭველად რამე არის მაგი თავსა, თორემ ეგრე როდის იცის...

ნანო თითქოს დამშვიდდა.

— არაფერიც არ არის, მამა...

— მა თუ არაფერია, გულს რალაზე იხეთქავ შე საძაგელო?

— ეს ისე... რალაცამ მომიარა... ეხლავე გაივლის ყველაფერი.

ნანო კარში გავიდა. უკან მისდევს გამოცდილი თვალი გიოსი და გული არ უჯერის, რომ იმის თავს არაფერია.

სალომესაც ვერაფერი გაუგია.

— ნეტა რა მოუვიდა ამ გოგოსა? უწინამც დღე დალევია სალომეს, ვიდრე ნანოს დაემარცხებოდეს რამე!

გიო ადგა. ისიც კარში მიდის. თან ვერ გადაუწყვეტია:

— თუ ვინმემ აწყენინა რამე... მაგრამ არა, აქ უფრო სხვა რალაცა უნდა იყვეს... მხოლოდ რა?

* * *

გადავიდა ვახშმობა. ნანო არსადა სჩანს.

გადავიდა შუალამე. კიდევ არსადა სჩანს.

მამლიყივილიც დადგა. მაინც არა სჩანს.

ჯავრით წელმოწყვეტილი სალომე და გიო ლამის მეათედ მიდიან ყოველ მეზობელთან და ეკითხებიან ნანოს შესახებ. ყველგან ერთი და იგივე პასუხია:

— არ გვინახავს!

— არ ვიცით!

მეზობლებსაც ხელად შეუდგათ თავისებური ჩოჩქოლი. დაიწყო ჭორი, მითქმა-მოთქმა და ათასგვარი მოსაზრება.

უკვე გათენდა. სალომეს და გიომაც თეთრად გაათენე მთელი ღამე, მაგრამ ნანოს კვალს მაინც ვერ იპნა — ვერ სად მიაგნეს.

— გიო, კაცო! გინდა გახარო რამეი?

— ჰა, ეგები გოგოზე იცი რამე? სხვა რაღა უნდა მახარო...

— ჰო, ნანოი, მა!

სალომეც თითქოს გაპირვებით მოფართხუნობს ნაცემი ყვავივით.

— ოი, ნათლი! ნეტავი თუ ჩემი გოგოსი უნდა მახარო რამე!

— კაი მაღარიჩი იქნება, კარგი?

— სულს აქეთ რაც გინდა მომკითხე, ოღონდ კი ჩემი გოგო კიდევ დაპანახვა საღ-სალამათადა.

— მაღარიჩი, მაღარიჩი, ნათლიდედ!

გიოს თითქოს დაჰკარგვია აქნობამდის განუყრელი დარბაისლობა და მოუთმენლად ეკითხება, უფრო კი ემუდარება:

— მითხარი, ლექსო! ნულარ დამლიე კაცი! ისედაც...

— კარგათ არი, კარგათა თქვენი გოგოი!

— თუ კარგათ არი, სად არი — ერთი დამანახვეთ თვალითა!

— ხო გეუბნებით, ნულარა ჯავრობთ, კარგათ არი მეთქი!

სალომემ მღელვარებით ლამის მეათედ გაიხსნას და შეიკრას თავშალი.

— მერე სად არი. კაცო, სადა, თუ კარგათ არი?

— სად არი, და... თქვენ სიძესთანა.

ან სალომეს და ან გიოს ეს რა ესმის? ლექსო კი უმეორებს დაბეჯითებით:

— სიძესთან არი მეთქი ხალხო, ვერ გაიგეთ!

— ვინ სიძესთან, კაცო?

— მა! სანდალაი ეხლა თქვენი სიძეა.

მოხუცი ცოლ-ქმარი თითქოს საშინელ კორიანტელში მოხვდენო. მხოლოდ უკვირთ — ფეხზე როგორა დგანან კიდევ.

— ჯერ რომ დავეკალი და მერე წასულიყო ი კურკას ბიჭთანა, არ მერჩია!

— რათა, კაცო! რა დასაწუნი ბიჭი ის არი!

სალომე თითქოს ეხლა გამოერკვა:

— ვაი ჩემ თვალებსა! სულ დამლუპია და დამნელებია ოჯახი!

— რამ დაგლუპათ ხალხო? მადლობის მაგიერა თქვენ საწყენადაც დაგრჩათ ეგეთი კაი ამბავი?

— როგორა? ჩემი გოგოი — კურკას ბიჭის ხასათა?

— რალა დროს ხასობაა, კაცო! ვერ გაიგეთ, ეხლა ვინც ვისთან ცხოვრობს, ცოლიც ის არის და ქმარიცა.

— აჰ, არა ლექსო! მაგნაირი ამბის სამახარობლოს ვერ მოგცემ!

— ამ ულმერთოს უყურე, ამასა! სოფლის თვალი ბიჭი სიძეთ უხდება და ეს კი უარზეც არის.

გიო უმწეოთ მიეყუდა ეიშკარს და

— ეჰ, დამიღუპა ოჯახი ი ქიანმა გოგომ და მომიღო ბოლო!

* * *

არც ნანოს მოუსვენია მთელ ღამეს. მარტო იწვა ტახტზე ტანთგაუხდელათ. რალაცა უძლეველმა კორიანტელმა მოსწყვიტა იგი ბანშეზრდილ კერას და ახალიც ჯერ ვერ შეუთვისებია. მაინც მის სიცოცხლეში ეს ხომ უდიდესი მოვლენაა. თითქოს ერთბაშად აუფეთქდა ფსკერი მისი ცხოვრების ზღვას და რა გასაკვირია, რომ ერთ ღამეს ვერ დაწყნარებულა იგი!

ნანო კიდევ დიდხანს იქნებოდა დედამის ოჯახში, მაგრამ...

დიაღ, ნამდვილ ბიწისძვრას წარმოადგენდა მისთვის, რა პირველად იგრძნო თავის არსებაში მეორე არსებაც. უკვე აღარ შეიძლებოდა სახლში დადგომა, და სანდალაც ხომ ყოველდღე ეხვეწებოდა... აჰა, ეხლა ხომ გადაწყდა საბოლოოდ მისი ბედიღბალი.

ეს კარგია, რომ თავის გულის მურაზთან შეაერთა თავის ცხოვრება. მაგრამ დედამამა? რასაკვირველია ბოლოს შეურიგდებიან, მხოლოდ რამდენ ხანს გასტანს ეს ლოდინი?

აგერ ლექსოც მოვიდა. მოუტანა ამბავი სახლისა. ნანო ცოტა დამშვიდდა — რა დედამამაც წარმოიდგინა დამშვიდებულად.

მაგრამ გიო და სალოსე მართლა არიან დამშვიდებული?

* * *

— არა! უნდა გამქელოს უეცველათა ამ დროებამა, ჰა!

— რას ვიფიქრებდი თუ ჩემი გოგო ამას ჩაიდენდა!

— ეგა თქვი და! ჩემი შვილი — კურკას ბიჭის ხასათა? დაე ყველამ რაც უნდა მიყოს, მაგრამ თვით ჩემი შვილი რათა მწიხლავს ქვეყნის სასეიროთა! რასაკვირველია, ეხლა შეუძლია დაიკვეხნოს — გიოს ქალი ხასად წამოვიყვანეო! რაღათა ვარ ცოცხალი ქვეყანაზე!

— ხასა კი რათ იქნება! ეხლანდელი ჯვრის წერა სულ ეგრეთი არ არის? რა განსხვავებაა, რა? ბადასედეს, გადმოხედეს! გამარჯობა, გაგიმარჯოს! ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთსა და მორჩა! ეხლანდელი ხალხისა ნიშნობაც ეს არის და ჯვრის წერაცა.

— ნანოსაგან? როგორ წარმოვიდგენდი, რომ ეგრე გამომეჩრიდა ყელს.

— რაც მოხდა, მოხდა, ჩემო კაცო. ეხლა კი ყველაფერს ემჯობინება შევირიგოთ. „ავია თუ კარგიაო, ქალო. შენი ქმარიაო“.

— შევირიგო? ჰმ! ადვილი საქმეა განა? ქვეყანა გადაატრიალეს, ღმერთი და ხატი მოსპეს, ადამიანობა დაპატიოსნობა ფეხქვეშ გასთელეს. ოჯახი მეგონა ხელშეუხებელი — ესეც გამოიხრეს და ეხლა შევურიგდე კიდევაცა ქვეყნის და ხალხის ამამტუტებელს?

— მა, კაცო! ი ერთი გოგოლა დაგვრჩენია და იმასაც ხო არ გამოვწირამთ ჩვენგანა!

— იმან რო ძაღლათ არ ჩამაგდო ამხნის კაცი! მთელ სოფელში მომეკრა თავი სამუდამოთ!

— იჰ, ნეტავი ერთი შენცა გააზვიადებ? მარტო ჩვენ თავს ხო არ არი ეგეთი საქმეი! ქვეყანა ეგრე ირეკება და ჯანდაბას — რაც მოხდა, მოხდა.

— ვამბობდი ვაჟი არა მყავს მეთქი, მაგრამ თავს ვინუგეშებდი: ვაჟის მაგიერადაც და ქალის მაგიერადაც ჩემ გოგოს ისეთ ქორწილს გადავუხდი, რომ მეორეზე გაჯეელებას მოვესწრო მეთქი და აი, „მოვესწარი“ კიდეცა!

აქ გიოს უკანიდან უცებ შემოეხვია ქალის ორი მკლავი და სახეზეც მოულოდნელი საჩუქარივით სცვივა ზედიზედ გიჟური კოცნა.

— მამა! შენ გენაცვალე შენა, ჩემო კარგო მამა!

გიო თითქოს უძრავია, მთელი ტანი კი უთრთის და ბული უფრო მეტად.

— ხომ აღარ მიწყრები, მამაჩემო, შენ გენაცვალე, ხომა?

გიოს თითქოს ზღვა მოაწვა საგულეთან. მაინც სდუმს.

— გაეცი, კაცო, ხმაი ე გოგოსა, არ გეცოდება?

გიო შეირყა, მაგრამ სად მოიპოვოს ძალლონე, რომ ხელი ჰკრას შესარიგებლად მოსულ თავის ერთადერთ გოგონას?

— იმანა, იმან არ შემოდგას ფეხი ჩემ ოჯახში — სანამ ცოცხალი ვარ!

— მამა გენაცვალე, თუ კი არ გესიამოვნება, არ მოვა, რა ვუყოთ!

სალომეს უკვე სულ დაავიწყდა ყოველივე წყენა და რალაც სასოებით მისჩერებია თავის გოგონას.

— წამოდი, ჩემო გოგო, სახლში, წამოდი! რამდენი ხანია ჩვენ ჭერს ალარ გაუგონია შენი ხმა.

სალომე და ნანო მიდიან სახლისაკენ. გიომ გააყოლა თვალი. მას აგონდება შემოდგომით გასაფრენად გამზადებული მერცხალი, უკანასკნელად კიდევ რომ შეშოფრინდება რამდენჯერმე თავის ბინაზე.

სალომე საგანგებოთ ელოლიავება ნანოს და ალარ იცის, როგორ გამოჰხატოს თავისი სიხარული.

— შვილო, შენ დაგენაცვლოს დედაშენის თავი, როგორა ხარ? ხო კარგად გეკიდება ი...

— ძალიან კარგად ვარ, ჩემო დედიკო. თვალში რო ჩაუვარდე სანდალასა, ხელს არ ამოისვამს — ისე მიფრთხილდება. რომ იცოდე, დედიკო, რა კარგი რამეა, თქვენ თვითონვე შეეხვეწებოდით და შეირიგებდით.

— მე რა, შვილო... ეს მამაშენის ახირებაა, თორე... ეხლა რალა ეშველება!

— ოჰ და მაშ დააჯერე, რა არი, მამაცა! დედა არ მომიკვდება, თვითონ სანდალასა ისე უყვარხართ ორთავენი რომა...

— იჰ! ბოლოს მამაშენიც მოიტრიალებს გულსა! მა რა იქნება!

— სად გაგონილა, ქაცს ერთი სიძე ჰყავდეს და ისიც მომდურებული?

— ერთი მითხარი, შვილო, — ჯვარი ხომ მაინდ დაიწერეთ?

— მა რა ვქენით! მეორე დღესვე მოვაწერეთ ხელი.

— ჰო ეგრე, შვილო! ქვეყნი ყბად ასაღები ნურც შენ გახდები და ნურც ჩვენ გაგვხდი.

— უხ! ნეტა იმ დღეს ვეღირსო რომა — სანდალაი და მამაი ერთად ისხდენ სუფრაზე.

— მოესწრები, შვილო, ნუ გეშინია! მა შენს მეტი ვილა გაგვაჩნია — რომა შენც სამუდამოდ მოგიმძულაროთ.

ნანო ახლად მოსული სტუმარივით ათვალიერებს ყველაფერს და თითქოს ვერა ძღება აქაურობის სიყვარულობით. სალომეც გაუმაძღარის თვალით მისჩერებია თავის გოგოს და ვერ გაუგია: მართლა ერთი კვირაა, რაც არ უნახავს იგი, თუ მთელი ხუთი წელიწადია?

— ეხლა, ქალო? ეგრე დედიშობილა რო წახვედი — არაფერი არა გეჭირდება განა?

— თუ კი მომცემთ რამესა — ყურს უკან კი არ წავიღებ!

— რატომაც არ მოგცემთ! მა ნაბოშარი ხომ არ ყოფილხარ! მე უკანასკნელ კაბას გავყიდი და შენ კი შეგმოსავ ერთი თავი რამით მაინცა.

— როგორც თქვენი სურვილი იქნება, დედაჩემო! არც მე და არც სანდალა თქვენ მოდავეთ არ გამოვალთ.

— თვალები კი დამიდგეს! სულს აქეთ თუ კი რამ გვაბადია, მა ვილასთვის გვინდა, თუ შენთვის არა! მამაშენსა მე მოვარჯულებ, შვილო, ნუ გეშინია! ისა სიცოცხლეს არ დაზოგავს შენთვისა, არამც თუ...

— მე, დედა, არაფერიც არ მინდა თქვენი, ოღონდ კი მომდურავი ნუ იქნებით.

— კარგი გენაცვალე, შენ გული დაიმშვიდე! წესზე და ლაზათზე გათხოვილიყავი — ბარემ კარგი იყო, მაგრამ ეხლა სხვა რალა დაგვრჩენია — სიამტკბილობის მეტი.

— დედა, გენაცვალე! ოღონდ კი მამა დაიყოლიე რო-
გორმე და სანდალასა მისვლა-მოსვლა ჰქონდეს აქა... ისე
ბა რას ეგვანება...

— კარგი, შვილო, კარგი!

* * *

— ვისაც პატარა თვალი ადგია, თუ ასე ულმერთოდ
აძრეს ტყავი, რალა დარჩება შვილონიასა!

— პირში ლუკმა უნდა გაგიწყოთო — გიო, კაცო, ვერ
გაიგე!

— არა, შენ და შენი ღმერთი — მე სად შემიძლია
თხუთმეტი თუმნის გადახდაი? რომელი ქოჩორა ბიჭები
მე მყვანან რომა ასე ბარაქიანად დამაბეჭეს?

— რავა, შენი-სიძე ის არის და თუ შენც არ დაგ-
ზოგავს, მა სხვა ვილა უნდა დაინდოს!

— მე ვინა მკითხა შვილონიასა ან სიძეობაი და ან
რძლობაი.

— ასეა თუ ისე, ე ყველაფერი კი სულ სანდალას ოი-
ნებია და...

— შენაო ვენახი გაქო! ორი ძროხა გყავსო! ღორი
გყავსო და ქათამიო. მოვსპობ, ამი ქითაბი კი დაიქცეს,
მოვსპობ! თუ ამითი მართლა სახელმწიფო აშენდება, დაე
მე დავიქცე, ჯანდაბას ჩემი თავი!

— მაგრამა სახელმწიფო კი აშენდება? ვინ არი მაგი
თავდები!

— რავა ეს ოხერი, მე ამ ქვეყნისა ველარა გამიგია-
რა. ვისაც ცოტაოდენი დოვლათი გაგვაჩნია, ასე ულმერ-
თოდა გვხდიან სულსა. ვისაც არაფერი აბადია — სწო-
რედ იმათ უყრიან წინა ფეტვი მარცვალსა.

— ვაი გამრჯელისა ამ დროებაში, თორემ არაკნია
ხალხს რა უშავთ. იმათ არც ბეგარაო, არც გადასახა-

დიო. პირიქით! დახმარებასაც უწევენ და ქონსაც კარგად უსვამენ თავზე. არა, კაცსა თავის თავისთვის რომ ვერ მოუვლია, ქვეყანას რალა უნდა არგოს? აი, აგერა მოდის არაქნიების ერთი უსტაბაში.

მართლაც გზის პირზე გამოჩნდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ის მივიდა გულდაგულ გიოსთან და —

— უჰ, გიო! კარგია მოცლით შეგხვდი!

— რა ვქნა! თქვე რო მოცლილი ხართ, სხვაც ეგრე გგონიათ არა!

— ჰო, კარგი! საყვედურებს თავი გაანებე და ერთი კაი საქმე გვიყავი!

— ნეტა ვიცოდე, რაში დაგჭირდათ ჩემნაირი „კულაკის“ თავი!

— იცი რა! შაქროს გააცივა და სხვა კაი მთესავი კი არავინ არის ჩვენში. წამო გვიშველე დღესა! ნუ მოგვაცდენ თუ კაცი ხარ!

— ჰოი თქვენი ბარაქა კი რა ვთქვა! თქვენმა მოსავალმა უნდა გააძღოს ქვეყანაი, რო უბრალო თესვაც კი არ გეხერხებათ!

— კარგათ გვინდა, თორემა გლახათა ყველაც მოახერხებს.

— აი, შვილოსა! თავზე რო გვაჯდებით ყოველთვის — ემაგი იმედეთა?

— კარგი ახლა! მაგდენსაც ნუ კი' დაგვამუნათებ თავსა! წამო ჩქარა! ხალხი გვიცდება იქა!

— წამოვალ შვილონიასა, მეტი რა ჩარაა! რო არ წამოვიდე, ერთიც ვნახოთ ღმერთი გაგიწყრეთ და სულ ერთიან მოგიცდეთ მოსავალი, მაშინ ხო მე დამაბრალებთ თქვენ უბედურობასა.

მოვიდენ. ტრაქტორი ქშინავს. ოხრავს, რახუნობს.

გიომ ცოტა ხანს იქვის თვალით უცქირა მას. შემდეგ განივრათ გაშლილი ციდით ზომვა დაუწყო კვალის სიღრმეს.

— ასე აკირტნულ მიწაში უნდა მოვიდეს ჭირნახული? სახნის-საკვეთი თუ საძირემდის არ ჩაწვდა, ისე რა მადლი აქვს!

— შენ თუ რამეს წუნი არ დასდე, ისე ხომ არ შეგიძლია, გიო!

— ამნაირ მოხნულში აფსუსია, შვილო, თესლის ჩაპნევაი, თორე ენახავთ, რა ხოდაბუნებსაც დაიდგამთ!

— ჩვენ ამ მიწის გათავება გვეჩქარება, თორემა თუ ორ ფრთაზე დავაყენებთ — კვალს გააკლებს იმისთანასა, რომ შენ რვაუღელა ხარ-კამეჩიან გუთანსაც გაუპირდება.

— მოიტა თესლი აქა, ის გირჩევნია! ჯერამა ბულღი არ გამოძრობია ამ თქვენ დევ-კაჟიანსა, თორე გაცდენას აბა მაშინ ნახავდით, აი!

გიომ ბარაქიანათ გაივსო წინსაფარი და შეუდგა თესვას. ნაბიჯის მძლავრი გადადგმით, მარჯვენის განიერი მოქნევით ის თითონ ემსგავსებოდა იმ მიწის გულიდან ამოსულ გმირს, რომლის სიღრმეშიც ასე იმედიანათ აბნევდა თესლს — გასანოყიერებლად.

— შენა ე, უსტაბაშო!

— რაო, გიო?

— თუ კი ეს ჰოდროგელა მოათრიეთ სახნავათა, სათესიც ხომ არის? ბარემ ისიც მოგეტანათ და ასე სულ განათლებულ ხალხათ იქცეოდით.

— ღაგვაცადე ცოტა! მემრისს ისიც გვექნება.

— ჰო! ამის მოხნულით რომ ზეინებს დააყენებთ და ვაგონობით რომ ჭინახულს გაჰყიდით, რატომაც არა...

— შენა ყვავივით ნუ დაგვჩხავი, გიო! აბა ნახავ თუ არ გავყიდით! მა სახელმწიფო ტყუილა გვაძლევს სესხსა, თესლსა და სხვა რამესა!

— თქვენი იმედით თუ დარჩა სახელმწიფო, აშენდება ოჯახი.

— რათ ამბობ ეგრე, გიო? შენა სულ გაბოროტება და სიძულვილი გალაპარაკებს ახლის წინააღმდეგა, თორემა...

— რათა, კაცო? მა, ამასა მოხნული ეთქმის, ამასა? რალა, ჩემი ხის გუთანი რომ წამოუწვება მოგვერდზე და ლამის ნახევარ ადლის სიღრმეზე ბდღვნის მიწასა და რალა ესა!

— ძია, გიო! ეხლა ტრაქტორების დროა, ტრაქტორებისა! და შენ კი რაც უნდა კარგად გეჩვენებოდეს ხის გუთანი, იმან უკვე მოსპამა დრო. ეგებ შენც ძალიან კარგი კაცი ხარ, მაგრამ ამ დროებისთვის ალარ ვარგიხარ და შენც შენ კაი ძველ გუთანს გაჰყვები ალბათ. ჩვენ „გლახები" კი დაე დავრჩეთ ამ ტრაქტორით. ახალი ცხოვრების კანონი ასეთია, მორჩა და გათავდა!

— იცით რას გეტყვით ჩემი დრომოჭმული ჭკუითა?

— აბა ერთი ისეთ რას გამაგონებ, რაც აქამდის არ გეთქვას?

— აი, შვილო! თქვენ ხო ქვეყნის საქმეზე არავინ გაწუხებთ? სახელმწიფოც თქვენ გეხმარებათ: ჰაი, სესხიო! ჰაი, თესლიო! ჰაი, ტრაქტორიო! და სხვა ათასგვარი წაბეზეება. მიუხედავად ამისა, თქვენ გგონიათ მაინც მოეწევით რამესა?

— შენა ძალიან ირიბათ უცქერი ჩვენ მუშაობასა, გიო, მაგრამ ნახავ, თუ არაფერს არ მოვეწევით.

— თქვენ რომა მომუშავე და წალმართიანი ხალხი იყვეთ, აქამდისიც გექნებოდათ რამეი გლეხკაცის კვალობაზე და თუ აქამდის მშივრები ყოფილხართ, ეხლა ვერც სახელმწიფო გაგაძღობთ თქვენა.

— თუ ერთ წელიწადში ფეხზე ვერ დავდგებით და მაშინ მართლა არამი ყოფილა ჩვენზე ყველაფერი ამაგი!

გიომ ურწმუნოდ ამოიხვნეშა და უფრო უხვად გაშალა თესლი შავათ დაფშხვნილ მიწის გულმკერდში. თან თავისთვის ლაპარაკობს. ან შეიძლება ელაპარაკება მიწას, მხოლოდ კაცს არა.

* * *

— მამა! შეურიგდი, რა არი-სანდალასა! სიძე არ არი, კაცო? გადამთიელი ხომ არ არი?

— დაიწერეთ ჯვარი და მაშინ იქნება ჩემი სიძეი.

— ჯვარნაწერი ვართ, მამა, ჯვარნაწერი! რა ჯიუტი ხარ, ღმერთო ჩემო! ხომ გაიგე, რომ უკვე მოვაწერეთ ხელი!

— ხელი მოაწერეთ — ვითომ სვეტიცხოველში ან სიონში დაგიწერიათ ჯვარი.

— ახლა მარტო შენი ქალისთვის ხომ არ შეატრიალებენ უკულმა მთელი ქვეყნის წესწყობილებასა!

— არ შეატრიალებენ და არ მინდა, კაცო! თქვენ ხო ცხოვრობთ? ხო ცოლ-ქმარს უძახით თქვენ თავსა? ხომ გადაიარეთ ჩემ გულზე და არაფერში არ მეპოვებით? მაშ გასწით, იტლინკეთ ცხოვრებაში, ჩემსკენ რაღას იყურებით?

— კაცო, შენი ახირების გულისთვინა მამაშვილობა ხომ არ უნდა მოეშალო? ამოდენა ქვეყანასა მართლა ოთხი-ხუთი მოხუცი ხომ არ შეებრძოლებით? ქვეყანა ეგრე თხოვდება და მე რაღა წითელი კოპი ვარ, რომ ყველასაგან გამოვრჩე?

— ჩემი სიძე მაშინ იქნება, როცა ჯვარს დაიწერთ. თუ მეპოვებით და კაცათა მთვლით, ეგრეა ჩემი გუნება. თუ არაფრათ მაგდებთ და ხომ მიაჭენებთ თქვენსასა, სხვა რაღა გინდათ?

— მა ასე უნდა გავიგლიჯო ორათა? მე ადამიანი არა ვარ? ცოდო არა ვარ?

— შენ ვინ რას გეუბნება! განა ჩემი ოჯახის კარი შენ დახურული დაგიხვდა როდისმე და არავინ გაგიღო?

— თუ კი ვინც მე ძვირად მიღირს ერთად ვერასდროს ვერა ვნახავ თავშეყრილსა, ეს რალა ცხოვრებაა? ლამის კი ჩამშხამდეს ყველაფერი: გათხოვებაცა და ჩემი ქვეყანაში გარეკვაც.

— თუ რამე მაბადია ამ ცხოვრებაში, განა ვის ეკუთვნის, თუ შენ არა, მაგრამ მე ჩემ ოჯახში ისეთს ვერავის შემოვუშვებ, ვისაც არც ოჯახი სწამს და არც ადამიანობა.

— ეჰ! აგიხირებია მამაჩემო და ნიადაგ ერთ და იმავეს იმეორებ.

— ჩემი ნება ესვა, თუ მეკითხვის. და თუ არ მეკითხვის, ძალითა რაც გინდოდეთ ქენით.

— რა გაუტეხავი ხარ, მამა! შე რო ახალგაზრდებში რეულიყავ ეგეთი ფოლადისებური ხასიათითა, პირველი მებრძოლი იქნებოდი ალბათ.

— მე რაცა ვარ, დაე სულიც ასე ამომხდეს. თუ სტყუოდა მამაჩემი, პაპაჩემი, პაპას პაპა, დაე მეცა ვსტყუოდე! მაგრამ იმათ გზაკვალსა და იმათ ანდერძს კი ვერ გადავუხვევ. მე ებლა უშარვლო კომცომოლა ხომ არა ვარ, რომ ასკიკუა ვითამაშო ცხოვრებაში. აქამდის არ ვყოფილვარ ქვეყნის დასაცინი და ამასიქით როგორ გავხდე?

— ეხ, მამა! აგეთი ახირებითა მხოლოდ მე მომიდნობთ და სხვა სიკეთე კი არაფერი იქნება.

— შენა ი შენ კაი ქმარსა მაღლობა გადაუხადე, რომა თხუთმეტი თუმანი შეგომაწერა. ჩემი უკვდავება ძროხა და მოზვერი რომ ხვალ გასაყიდათ უნდა წაიყვანო — ეს არის გლეხკაცის პატრონობა და ქომაგი?

— რა ვუყოთ! მარტო შენ თავს ხომ არ არის ეს ამბავი?

— შენა! შე რო ბიჭი ყოფილიყავი, ალბათ სანდალას ფეხი იქნებოდი.

— ეხლაც კარგა დავუმშვენებ მხარსა, როცა საჭირო იქნება.

— ვატყობ, ვატყობ!

* * *

— აი დასწყეველა ღმერთმა! ერთი ჭირი ვერ მოუნელებია კაცსა და ზედ მიყოლებით მეორე შეხვდება. არა! ეს ჭიანი ხინხილას ბიჭი გამიხდა ეხლა თავში საცემი: კაცო, აქაოდა შენა ე რაღაც უდღეური მოჯამაგირე გყავხო — კულაკი ხარო, და ლამის უცეცხლოდ შეგწვან და შეგჭამონ. ამ ხალხმა ვერ გაიგო რომა, მე მოჯამაგირე ჩემი დალხინებით კი არა მყავს, არამედ ჩემი გაჭირებითა. ჰაი, ეს ამდენი და ამდენი უნდა მისცე! ჰაი, ეს დაზღვევისა უნდა გადაიხადოვო! ჰაი, ამდენი და ამდენი საათი უნდა იმუშაოსო! არა, სად გაგონილა რომა, გლეხკაცმა საათობით იმუშაოს. ჩვენი საათი მზის ამოსვლა და მზის ჩასვლაა. როგორა, კაცო! მარტოხელა კაცმა მწყემსი ალარ დავიქირაო მაშა!

— თუ კი ეგრე გაგვიჭირებენ საქმეს, აბდგეთ და დავითხოვოთ.

— დავითხოვ მა! ბრალი იმისა რომა — თუ არსადა არ დადგა მოჯამაგირეთა, ისე ლუკმა პურს ვერ შეშჭამს, თორემა მე როგორც იქნება, წავალ ძალმანდურათ ოლადა.

— რავა, ბატონობა მოვსპეთო და ლამის ბატონათა მოჯამაგირე დაგვიყენონ ეხლა?

— ეჰ, სულერთიან კი გადაჩიეს ეს სალპი და! ისინი მაინც არაფერში გამოდგებიან და სხვის ცხოვრებასაც უკარგავენ ბარაქასა. აგერა მობრძანდება ისიც.

ეზოში შემოვიდა თხუთმეტიოდე წლის შეღერებული ბიჭი.

— შენა, ილა! საქონელს ჩვენებიანთ ბიჭებს გაურეკავ და შენ კი ურემი გაამზადე სატყეოთა.

ილა თავს იჩეჩავს. ალბათ არ ეჭაშნიკა გიოს სიტყვები.

— რა უგემურად იჩეჩავ თავსა? ეკუაში არ გიჯდება განა?

— მე მწყეესობაზე ვარ გარიგებული, ტყეში სიარულზე ხო არა?

— რაიო? რას ამბობ?

— რას უნდა ვამბობდე! უჯრედში ეგრე მითხრეს. რაზეცა ხარ დაქირავებული მარტო იმაზე უნდა იმეშაოვო.

— რა უჯრებიო, რის უჯრებიო?

— აი, ჩვენი ის სადაც არი...

გიო ჩაფიქრდა. თან სალომეს გადაჰხედა, თითქოს შვილის სათხოვნელათო, მაგრამ თვითონ სალომე გიოზე უფრო უმწეოთა გრძნობს თავს.

— ისინი რო გასულელებენ, მერე შენ რაღათა სულელდები, შვილო?

გიოს თითქოს კიდევ არ სჯერა ნათქვამი.

— მართლა არ წახვალ, ბიჭო, ტყეში?

— არა, კაცო! მე ხო მარტო მწყემსი უნდა ვიყვე.

გიომ ლაშის ულვაშები დაიკვნიტოს სიბრაზით.

— მა ტყეში წასასვლელად სხვა მოჯამაგირე უნდა დავიჭირო, შეშის დასაბობად — სხვაი, წისქვილში წასასვლელად — სხვაი. რამდენიც, თავი საქმეა — ეაშ იქნენი მოჯამაგირეც უნდა მყავდეს რაღა. მითომა მე აქა ერთი დანგრეული ოჯახის მაგიერ ბევრი ქარხანა მქონია რაღა!

— მე კი მარტო მწყემსი უნდა ვიყვე და ხვეიხი კი რა მოგახსენო!

— კარგი, შვილო, კარგი! მაშ წადი შენ სახლშია და იქ იყავი მარტო მწყემსადა. ჩემ თავს კი ისევ მე მოვუვლი -- როგორც იქნება.

ილამ თითქოს წარბიც არ შეიხარა.

— წასულაი რა! განა ეგრე ადვილი არი!

— მა რა გინდა, შვილო? წილს ხომ არ გაგატან?

— ეი! აბა სულ ცარიელი წავალ, მაშა?

ვიოს ჰგონია ხუმრობსო, თუმცა სახუმროს არაფერს ჰხედავს.

— აბა, ჩემო ილა, ვაჟიშვილი არა მყოლია და მა შენა ყოფილბარ ჩემი მოწილეი! აბა ერთი მითხარი რამდენი გერგება?

— ემაგასა „იქ" იანგარიშებენ.

— რაო? იქ იანგარიშებენო? ჩვენ მორიგებაში როდის ერიენ ისინი, რომ ეხლა იმათ გავასწორებინო ანგარიში?

— ეგრე კია და შე რაც ვინდა ისა თქვი.

ვიო დაყრუებულივით არის. აღარ იცის — რა სთქვას? რა იფიქროს? როგორ მოიქცეს?

— ეხ! მე და ჩემმა ღმერთმა თავემოშწონე კაცისათვის აღარა ღირს ცხოვრება ამ ქვეყანაზე. შვილოსანიასა თავადები აღარა გყავთ, ბურჯუებიც აღარა გყავთ, და ეხლა მე მებრძვით იმათ მაგიერ? ერთი ლუკმა პურს რო ძლივას ვსჭამ — ეს ვეხარბებათ? ჯანდაბას თქვენი თავი, წაიღეთ, მაგრამა ჩემზე მდიდრებს წაართვით, იმითი ვერ გაძეხით და ჩემი ნაწვამ-ნადაგით გაძღებით?

მაგრამ ილა სრულიადაც არ არის დაობობის გუნებაზე.

— მე თუ მამცემენ, ჩემი შრომისას მამცემენ, შენსას ხო არა!

ვიო მიუბრუნდა გამოშტერებულ სალომეს.

— ადამიანო, გესმის რას ამბობს?

— ოი! რატო შაეათა და ბნელათ არ იქცა ის დღეი, როცა ჩვენ მოჯამაგირე ავიყვანეთ.

გიო თავის კანტურით გაიძახის ისევ:

— არა! თავმომწონე კაცისათვის აღარა ღირს ცხოვრება ამ ქვეყანაზე.

გზის სიშორიდან მოისმის რიხიანი სიმღერა. ხმა თანდათან ახლოვდება და იქცევა ძლევამოსილ გუგუნად. ეს კოლექტივის წევრები არიან, სამუშაოდ მიეშურებიან. ჩამოუარეს გიოს, სალამი მისცეს და განაგრძეს თავიანთი გზა — სიმღერასთან ერთად.

გიომ კი ნაღვლიანად გააყოლა თვალი და—

— იმღერეთ, შვილო, იმღერეთ და მე კი არ მკითხავთ, რომ ტირილიც კი აღარ მეხერხება სულგამწარებულსა.

* * *

ძლივას გადიღო თავსხმა წვიმა. მეურმეები აიყარენ და შეშით დატვირთული ურმებიც მძიმეთ გაუდგენ სოფლის გზას.

მეთაურად გიო მიუძღვის. მოხუც კაცს ესახელება, რომ მისი ხარები ყველაზე ფიცხათ და მსუბუქათ მოაქანებენ რცხილის შეშით მძიმეთ დატვირთულ ურემს.

თვითონ გიო გვერდში მოსდევს ფეხდაფეხ. აბოლებს ჩიბუხს და თან აყოლებს თავის ფიქრების აშლილ ზეინებს:

მართლაც ამ ცხოვრების ანგარიში ვის შეუძლია გასწიოს სწორად?

დღევანდელი დღის მოულოდნელობით გუშინდელი დაგვიწყებია. ხვალინდელი კი დღევანდელს დაგავიწყებს სულ ერთიანად. რაც დღე გათენდება — უარესს უნდა ელოდეს კაცი. თვითონ გიო, გასაკვირია, რაღას ელის ამ ქვეყანაზე? ოჯახი თანდათან უკან მიდის. ერთი გოგო ჰყავდა — ისიც გადაიბირეს. ბგგარით ლამის სული ამოხდეს.

ლმერთი აღარ სწამს ხალხსა, სინდისი და პატიოსნება, უფროს-უმცროსობაზე ხომ ხსენებაც აღარ არის. წინედ სოფელში იმას კაცს უძახდენ, ეხლა კი ჩალის ფასათაც აღარა ღირს. ეხლა კურკას ბიჭი სანდალა ისე ათამაშებს იმის, როგორც კატა თაგვს: თუნდა შესწვავს, თუნდა შეხრაკავს. თუნდა გაუწყობს პირში ლუკმას, თუნდა არა. ერთი სიტყვით — სიკვდილ-სიცოცხლით მის ხელშია. სანდალა თავის თავად ძალიანაც ადვილი მოსანელებელია, მაგრამ ცეცხლი ის არის, რომ იმის უკან მთელი ძალა დგას, მთელი ხალხი, კანონი და სახელმწიფო.

არა! გიოს სანუგეშებელი აღარაფერი აქვს ამ დროებაში, მაგრამ ძველი დროებაც რომ აღარ დაბრუნდება. ამის გრძნობს, კარგათა გრძნობს თვითონ გიო და ყველაზე დიდი უბედურებაც სწორედ ეგ არის. არა! გიოს რამდენჯერ უთქვამს, რომ თავმომწონე კაცისთვის აღარა ღირს ცხოვრება ამ ქვეყანაზე, მაგრამ ჭიაც კი ცდილობს სიცოცხლეს და ადამიანი როგორ არ ეცადოს!

ჭრიალითა და ზლაზვნით ურმები უკვე მიუახლოვდენ სოფელს. მაგრამ ე მდინარეს რა დამართია! მოულოდნელ ნიაღვრებისაგან ერთბაშად მოდიდებულა იგი და ეხლა თითქოს მთელი არემარე მოაქვს თანაო — ისე მოღელავს. ხიდზე თავი მოუყრიათ სოფლის ახალგაზრდობას და ხარბი ცნობის მოყვარეობით მისჩერებიან მოზღვავებულ მდინარეს.

— გასწი, გიო, რაღას გაჩერდი!

— თქვენ წადით. არ იცით, რომ მე მაგ ხიდზე გამომსვლელი არა ვარ!

— ეჰ, ნეტაი შენა, კაცო!

მეურმეებმა აუხვიეს გვერდი გიოს და გასწიეს ხიდზე. ყველანი გავიდენ მშვიდობით და გაუხვიეს თავთავიანთ სახლისკენ.

— გიო, რას ფიქრობ? რატომ არ გამოდიხარ ხიდზე?

— მე რო დავიფიცე, ეხლანდელი ჯეელი ხომ არა ვარ, მე თვითონ დავახურდავო ჩემივე სიტყვა!

— მა სად წახვალ! მეტი რა ჩარა გაქვს, ძია გიო!

— ღამეს ხომ მანდ არ გაათევ?

— გაჭირვების დროს ფიცს ვიღა დასდევს, ძია გიო! გამო ერთი, ნეტავი შენა!

გიო კი დინჯათ უსვამს თავის ხარებს ზურგზე ხელს და ურემსაც ათვალიერებს, ყველაფერი რიგზე არის თუ არა. თან —

— მე არც თქვენ ხიდზე გამოვალ და არც აქ დავრჩები ღამისათევად.

— აბა მა რას იზამ, ძია გიო?

— რასაც ვიზამ, აგერ თქვენი თვალები დაინახავს.

გიომ პირჯვარი გადაიწერა, ღმერთი ახსენა და მარჯვეთ მოაჯდა ურმის თავს.

— ოხრათ არ დავარჩენ მაშინ ჩემ ხარებსა, ამ წყალშიაც რომ არ გამიყვანონ!

და თავისი ბედაურები იმედიანად შერეკა თავაწყვეტილ მდინარეში. ხიდზე გაჩერებული ახალგაზრდები გაოცებით მისჩერებიან.

— გიო! რას ჩადიხარ შე ულმერთო! კიდევ ხო ფონი არა გგონია მანდა?

— თქვენ დარდი ნუ გაქვთ! გიომ კარგად იცის, სად არის ფონი და სად მორევი! (და მოხუცი გიო მარჯვეთ აქეზებს ფერდებამდის წყალში ჩაფლულ თავის ხარებს).

— გასწიო გენაცვა! აბა ჭოტა! აბა თაფლა!

ინავარი მდინარე კი უფრო და უფრო ეძალება ხარებსაც, ურემსაც.

უკვე ზეწრებამდის ავიდა წყალი. ერთი ორი ნაბიჯიც და ურემი სულ ატივტივდა.

უეცრივ გაისმა საზარელი კვნესის მსგავსი ლაწუნი. ურემი შეტრიალდა უკუღმა და გაჰყვა მდინარის ამღვრეულ სიღრმეს.

უღელდამტვრეული ხარები ცალ-ცალად მისცურავენ ვაჭირვებით ნაპირისაკენ.

მაგრამ გიო?

გიოს თავის ურემზე სწრაფად მიაჭანებს ონავარი მდინარე. ხან ფეხი ამოტივტივდება წუთიერად, ხან თავი, ხან ფარაჯის კალთა.

— არიქა ხალხო! უშველეთ ჩქარა!

— გიო იღრჩობა, უშველეთ ჩქარა!

— ხალხო! კაცი იღრჩობა!

მთელი ახალგაზრდობა მისდევს ნაპირ-ნაპირ და შეშფოთებით ედებიან ღობე-ყორეს შველის საპოვნელად.

— ხალხო! თოკი ჩქარა!

— თოკი რას უშველის! ცურაობა ვინ იცის, ჩქარა!

აჰა, ერთმა ყმაწვილმა თვალის დახამხამებაში გაიძრო მაზარა, შარვალ-ხალათი და მარჯვეთ შესცურა უფრო დამშვიდებულ დენაში, სადაც რამდენჯერმე კიდევ გამოჩნდა გიო.

მკირეხნის თავგამეტებული შებრძოლების შემდეგ მოცურავე მისწვდა გიოს და ძალოვანად მიეწევა ნაპირისაკენ.

იქვე მდგომი ხალხი აღტაცებით აქებს მოცურავეს.

— ყოჩაღ, სანდალა!

— არიქა, სანდალა!

— ვაშა შენ ბიჭობასა!

აჰა, ბოლოს სანდალამ გამოათრია ნაპირზე გიოს უსულო გვამი და მძიმეთ ამოიოხრა: დაღალეთ? სხვა რამე ფიქრით? თუ ორთავეთი?

— ჯიუტი იყო მთელი სიცოცხლე´ და ჯიუტურადაც დალია სული. მორჩა! გიოს სიკვდილით ძველმა სოფელმაც დაჰკარგა თავი.

აგერ წყალმა ცალი ხარიც ჩაატარა სასტიკ ბრძოლაში დამარცხებული. მეორემ კი დიდის ვაგლახით გამოსცურა ნაპირზე. შეჩერდა საცოდავად და ცოტა ხნის შემდეგ ერთი შებღაველა გულშემზარავად.

ნეტავ რისთვის დაიბღავლა ასე საზარლად?

ნუ თუ იმან უკვე იგრძნო პატრონისა და ტოლის დაღუპვა?

1928 წ.

მიმინო თავის საბუდარში

— უჰ, თქვენი ქედის ჭირიმე! ესენი ხარები კი არა ჯეირნები არიან ულელში შებმული! აბა შეხედე, ბიჭო გიგო! სავსე ურემი ისე მიაქვთ თითქოს იალაღზე მიდიოდენო!

მაგრამ გიგო ბიჭს არ უნდა ანდროს მტკიცება, ისიც კარგად სცნობს ჯიშიან საქონელს.

— ეენაცვალე ამათ მომვლელის მარჯვენას! კარგი ატ-ლასიც ვერ იბზინავს მზის გულზე ისე ლამაზადა, როგორც ბზინავს ამათი ზურგი. ნამდვილი გლეხ-კაცობა, ძმაო, ამათ-მა პატრონმა დაიტრაბახოს!

— აქა ვარ, აქა, ამხანაგებო! რას ეარშიყებით ჩემ ხა-რებსა! თვალში ხომ არ მოგვივიდათ!

და ამ სიტყვებთან ერთად ურმის უკანიდან გამოჩნდა შუაბნის კარგად შენახული ვაჟკაცი. მის დანახვაზე ანდრომ ჯორჯიაშვილის ყუმბარასავით მიახალა:

— შენ უეჭველად მიმინო იქნები! მართალია თუ არა!

გლეხი კაცის პასუხიც სხარტი იყო შეკითხვასავით:

— დიალ, მიმინო გახლავართ სწორედ!

— მაშ გამარჯობა, შე კაი კაცო!

— გაგიმარჯოს შენც უკეთესო!

მიმინომ და ანდრომ კარგი სანაძლეოსავით ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

მიმინო თითქოს გაოცებულია:

— მე საიდან გეცნაურებით, ამხანაგო?

— მე კოლექტივის ახალი თავმჯდომარე ვარ — ანდრო ბარიშვილი ესეც ჭალაელი ამხანაგია — გიგო თავზარა-

შვილი. რამდენიმე დღით ქალაქიდანაა მოვლენილი — მეშაობის შესამოწმებლად. კაცო ერთი კვირეა აქა ვარ და ლამის ყარსის ციხესავით ამიღეს მიმინოზე ლაპარაკით. უფრო კი შენი ხარების ქება-დიდებითა და მართლაც სანაქებო რამე გყოლია, ძმაო! ყოჩაღ შენ კაცობასა!

მიმინომ კმაყოფილებით შემოუარა თავის ხარებს... თავზე ხელი გადუსვა მზრუნველობით. თითქოს მეათასეჯერ კიდევ დარწმუნდა მათ უკეთესობაში და თან დაუმატა:—ვენაცვალე ამათ ჯილაგსა! ესენი ჩემით არიან და შე კიდევ ამათითა ვარ!

— ერთი თხუთმეტი სოფელი მაინც შემოვიარე და მე ამათი ბადალი ხარები არ შემხვედრია, ძმაო.

და გიგოს სიტყვებს ანდროც უმატებს კარგი სანელებელიით.

— საიდან შეგეხვდებოდა, შე კაი კაცო! ქვეყანა ერთპირად გაიძახის: მთელ მხარეში ამისთანა ხარებს კაცი არ ინახავსო! ამას აგერა ვხედავთ ჩვენი კეთილი თვალითაც.

მიმინო კი ეალერსება თავის ჭოტას, თავის ეაშლას და თან უპასუხებს:

— საქონელი, შვილოსა, მოვლით არის, მოვლითა! აბა როგორ დავიტრაბახო, მაგრამა მაინც უნდა გითხრათ გულზე ხელდადებითა: ბევრჯერ გლახა საქონელი კარგად გადამიქცევია მოვლითა. ბევრჯერ კი კარგი საქონელი გლახად გადაქცეულა სხვის ხელში — მოუვლელობითა.

— მერე ასეთი ყოჩაღი გლეხკაცი კოლექტივში არა გყავთ აქამდისა? — ეკითხება გიგო ანდროს.

— არა გვყავს მაშა! მაგრამ გვეყოლება კი, ჩქარა გვეყოლება!

მიმინომ ულვაშებში ჩაიცინა.

— ძაან იმედიანათ კი ლაპარაკობ, ამბანაგო, მაგრამა ვაი თუ მოსტყუვდე ვარაუდში!

— რათ უნდა მოვსტყუვდე, მიმინო, რათა? განა ეგეთი შეურიგებელი მტერი ხარ კოლექტივისა?

— არა, ძმაო, ღმერთმა დამიფაროს! მე ერთი ღარიბი კაცი ვარ: ჩემი ან მტრობა ვის რას დააკლებს, და ან მოყვრობა ვის რას შემატებს, მაგრამა...

— მაგრამა?

მიმინო თავს იფხანს: სთქვას, თუ არა სთქვას? გაუგებენ?

— ...აი, ამხანაგებო! მოდი გამოტეხით ესთქვათ!

— სთქვი, მიმინო, რაც გიძევს გულში! ნუ გვეხათრები! ანდრო მოგიკვდეს, თუ შენი გულისნადები ვერ გაიგოს ღირსეულადა!

— არა! საწინააღმდეგოს კი არას გეტყვით. მაგრამ მაინც გაგება უნდა კაცსა. (მიმინო ახლა ულვაშს ისწორებს, ან ეგებ უფრო სიტყვასა?) აი, შვილოსა! თქვენ ხომა ორმოც-უღელი ხარკამეჩი გყავთ კოლექტივში, არა?

— გვყავს, მართალია!

— ჰო და იმ ორმოცი უღლიდანა მარტო ორი უღელი გამომიყვანეთ, თუნდ ერთი უღელი გამომიყვანეთ ისეთი რომა, ჩემ ხარებთან უღელი გავაწყვინო. ტოლს კიდევ ჩემ ხარებს დავუდებ, ამათ ვენაცვალე ქედში! მხოლოდ ტოლდადებულს მაინც გაუწყრონ! თქვენ ასეთი ხარები არა გყავთ, ძმაო და რა ვქნა!

— მართალია, არა გვყავს; მერე?

— მერე ისა რომა, რანაირად შემოვრეკო ეს ჩემი ბედაურები თქვენ ჭიაყელებში! ყველა კაცს თითო რამით უნდა მოსწონდეს თავი ცხოვრებაში. მე, ჩემო კეთილებო, რაც თავი შეშისწავლია, მხოლოდ კაი საქონლის შენახვით მომწონს თავი. ხალხში ყველაზე მეტად ამითი ვიხსენები: ეს არის ჩემი თავმოწონეობა. კოლექტივში კი რომ შემოვიდე, მეც წავხდები და ჩემი საქონელიცა. თქვენ კაი

კაცებო, განა თვითონ არ იცით, რომა ჩემი ხარები ძალა-უნებურად გახდებიან თქვენი ჯოგის ტოლი და არა თუ თქვენი ჯოგი გახდება ამათი ტოლი. მე მანამ ცოცხალი ვარ, კაი ხარის ყოლას ვერ მოვიშლი — სადაც უნდა ვიყო.

ანდრო ხარების ზურგზე უსვამს ხელს. ესიამოვნება ხელში სუფთა ბეწვის ნაპურწკლისებრივი ლაწა-ლუწი და თან—

— ოღონდ მოდი კოლექტივში და მაშინ შენ ხარებს ისევ შენ ჩაგაბარებ — პირობას გაძლევ.

— თქვე დალოცვილებო, განა ჩემზე კარგად არ მოგეხსენებათ? საერთო საქმე თუ ჩამორჩენილია, იქ ერთი კაცი სხვას ვერ გაუსწრებს წინა, და არც შესაფერისია რომ გაუსწროს — ჩემის კითხულობითა. თქვენ თვითონ დაიდეთ გულზე ხელი და მითხარით: შეიძლება თუ არა კოლექტივში ხარის ასე შენახვა?

— შეიძლება, მიმინო, შეიძლება!

— თუ შეიძლება თქვე კაი კაცებო, მა რატომ არ ინახავთ ეგრე? თქვენი ხარი და კამეჩი ისე არიან დამჭლეეებული, ძმაო, რომელიც უნდა დაკლათ და მორწმუნე კაცმა სქამოს მარხვაში — ცოდვათ არ ჩაეთვლება, ეგრე უნდა საქონლის მოვლა-პატრონობა!

ანდრო ჩაფიქრდა, ჩაფიქრდა. (მიმინოს სიტყვები ენიშნა თუ?) შემდეგ გუნებაში თითქოს რაღაც გადასწყვიტაო და ეუბნება:

— მიმინო! როგორც შენ გიბია თავმომწონედ ეგ შენი ხარები, მეც ისე თავმომწონედ უნდა ჩაგაბა ჩვენ კოლექტიეში!

— ვითომ?

— აი, ნახავ თუ არა!

— ვნახოთ!

* * *

...ჟირნახულით დატვირთული ურმები გაჟირვების ჭრაჭუნით მიიმართებიან კუზიან მდევის ალმართზე. წინა ურემზე აფრიალებული დროშა ქვეყანას ამცნობს:

— ეს არის სახელმწიფო დამზადების ქარავანი!

მიდიან ურმები. ჯერ ალმართის შუა წელიც ვერ გაუტეხიათ. მესრეები უმატებენ ხმაურსა და სახრეების ტყლაშა-ტყლუშს.

ხარები და კამეჩები ხვნეშიან, წელში იკუზებიან. ხანდახან მუხლის-ჩოქზეც დაეცემიან, წამოდგებიან და ისევ თავგანწირულად ეწევიან უზომო ჭაპანს.

აგერ მთელი ქარავანი შეჩერდა შუა ალმართზე. რა მოხდა? ასეთ უალაგო ალაგას ხომ დასვენება არ შეიძლება?

ეს წინა ურემი ჩავარდა ბეგში და ვეღარ აიტანეს მისმა მხიდავმა კამეჩებმა. მესრემ რამდენჯერმე დაუჭოიელა, კამეჩებმაც დაიმუხლითავეს დედამიწაზე, მაგრამ ვერ იქნა ურემს ადგილი ვერ აცვლევინეს. მესრე იგინება გაბრაზებული. კამეჩებს სისხლი სდით პირიდან. ურემი კი ისევ ეძრავადა სდგას — დედამიწაზე მილურსმულივით.

აგერ ანდროც დაწინაურდა. მიეიდა მეთაურ ურემთან და სცდილობს მოაგვაროს რამე. მაგრამ ყველა მესრეები ერთპირად იძახიან:

— თუ საყვავარი არ დავუბით, აქ ერთი უდელი ხარკაბეჩი ვერაფერს გახდება!

— აბა თუ ვერაფერს გასდება და—მე გიჩვენებთ ბაზა!— ამოისმა თითქოს საიდანლაც მოულოდნელად გადმოფრენილ ბედ მიმეფნოს ხმა.

ანდროს მიმინოს დანახვაზე სახე გაუბრწყინდა.

— არიქა, მიმინო! აბა ერთი გვიჩვენე — როგორი გაპირების ტალკვესი ხარ!

მიმინო მაშინათვე ატრიალდა ზეკით სერზე და ორი წუთის შემდეგ ისევ გაჩნდა გაპირების ადგილას თავისი საამაყო ბედაურებით.

— გამოუშვით თქვენი „ნიკორა“ კამეჩები და ახლა მე შევაბა ჩემი „ნიშა“ ხარები.

წინა მეხრემ გამოუშვა უღელში დამარცხებული კამეჩები და თან მიმინოს ეუბნება სიფრთხილით:

— ძალიანაც ნუ თამამობ, ჩემო მიმინო! არ შერცხვე! შძიმე საპინეა და ე ოხერი ურემიც ძაან უალაგო ალაგას ჩაიხინცა.

არა! მიმინო სრულიადაც არა ამაყობს. მაგრამ მაინც იძახის დაჯერებით:

— ერთი ურმის საპალნე რომ არ აიტანონ გაპირებაში, აქეე დავჭრი ორთავეს ყელსა!

ურმიდან გამოშვებული კამეჩები რაღაცა დაჩაგრულად გადგენ განზე. მათ სანაცვლოდ მიმინომ შეაბა თავის ხარები. შემდეგ გულმოდგინედ შემოუარა ურემს გარეშემო, გაუსინჯა ფოსოები, გოგრები და მოეიდა ურმისთავთან.

— აბა, ბიჭებო, თან ცოტა აუქარეთ დერძის თავებიდან! აბა გაეაწევინოთ ერთად!

აქ მიმინომ ელვასავით შემოუტია თავის ხარებს. სახრეს კი არ ურტყამს. მხოლოდ ოდნავ აკარებს ბეჭზე ხან ერთს და ხან მეორეს:

— აბა, ჭოტა, აბა, ვაშლა! ეენაცვალე თქვენ ქედსა! მოდით მარჯვეთ! თან ცოტა აუქარეთ, ბიჭებო!

ჭოტამ და ვაშლამაც არ დააყოვნეს. ქედ წაყრილებმა იმედიანად შეუტიეს გაპირებით უფრო დამძიმებულ საპალნეს. კიდეეაც დასძრეს ურემი ადგილიდან, მაგრამ ამ-

დროს გაისმა ლაწანი და ხარები წინ წაეყარენ მუხლი ჩოქზე.

ურმისთავის ტაბიკი გატყდა.

მიმინო აენთო.

— რა ღმერთი გაგიწყრათ! ტაბიკი ველარ გაუკეთეთ რიგიანი! ასე ხომ ვაილახა საქონელი! ეხლა როგორღა გავაწვეინო თავგამეტებით!

მაგრამ ანდრო ამშვიდებს:

— ნუ გაწყრები, მიმინო! რახან ყოჩაღობაზე დაგიდვია თავი, ბოლოც მიაყოლე!

— კარგი! ჩემ ხარებს ისევ ჩემი ტაბიკი გააწვინებს!

მიმინომ ისევ მარჯვეთ აირბინა ზევით, გამოაძრო თავის უღლიდან კელაპტარივით სწორე ობოლი შეინდის ტაბიკი და ხელად ჩამოირბინა ქვეეით.

ისევ გააწყო ურემი და შეუტია ხელმეორედ.

— აბა, ბიჭებო! აბა, ბოტა! აბა, ვაშლა! ცოტა კიდევ ცოტა კიდე! აბა მარჯვეთ!

და ურემიც, გაქირბით ამოლოლდა ზევით.

აქ უკვე მიმინო ყოჩაღად მოახტა ურმისთავს და შეოსძახა დარდიმანდულად:

კაბები მყავდა ნიკორა,
ვაქებდი ბრა იყორა..

ხარებსაც იგრძენეს რალაცა შვება და ლალათ მიაგორებენ ბორიკინა ურემს.

ეკან ჩამორჩენილმა ურმებმა გვერდი აუხვიეს ფათერაკიან ადგილას და გაჰყვენ ფეიმე-ფეიმედ კარგა დაწინაურებულ მიმინოს.

მიმინო უკვე ავიდა ალპართზე. შეაჩერა ურემი და გაიოუმეა თავისი ხარები.

— აჰა, ძმაო! ეხლა გზა დამილოცია!

ანდრომ მადლობა გადაუხადა. უცქერის მიმინოს — თავ-მომწონედ რომ მიერეკება თავის ხარებს და ფიქრობს:

— აი, სწორედ ასეთი მშრომელები სჭირდება კოლექ-ტივს.

და თავისთავთან თითქოს სანაძლევო დასდო.

— მიმინო უეჭველად შეიყვანოს როგორმე კოლექტი-ურ ოჯახში.

* * *

თითქმის დაიბერტყა შემოდგომა.

სახლში შემოსატანი უკვე შემოიტანა გლეხკაცმა. მინ-დორში გასატანი კი უკვე გაიტანა.

ეხლა ზამთრის თადარიგს იჭერს ყველა. ზამთრისთვის კი შეშაზე უფრო საჭირო რაღა იქნება.

მიმინომ უკვე რამდენიმე ხელი მოიარა ჭერეთხევი. ეხ-ლაც იქ არის. მან ერთ ქედზე მიაგნო თეთრი რცხილის მარაგს და ეშურება მის ჩამოზიდვას. თანაც იქავე იპოვა კარგად შენახული საბალახე და მის ხარებიც, გულისბუ-ხარს ყრილობენ ასე ნაგვიანევად პირშენახულ ბალახით.

განთიადზე ადრე მივიდა მიმინო აჩემებულ ადგილას. ურემი დასტოვა დაბლა. თვითონ კი თავისი ხარებით შე-უდგა მაღლა ქედს. ხარები გაუშვა საბალახოზე და თან თითქოს ემუდარება.

— აბა, ჭოტა, აბა, ვაშლა, ეენაცვალე თქვენს მადას! ისე ლაზათიანად მოიფერდეთ, რომ საპალნე სულ გეცოტავე-ბოდეთ — რაც უნდა ბევრი დაეუდო!

თვითონ მიმინო კი წავიდა მეორე მხარეს შეშის და-სამზადებლად. მილეული მთვარე ბრინჯაოს ფერად ძლივს ანათებს სიცოცხლით უძღებ დედამიწას. ტყისა და მთე-ბის გულში ჩამოვარდნილ მყუდროებას კი ხამუშ-ხან არღვევს მიმინოს ცულის ჩახაჩუხი.

მიდის დრო. რიჟრაჟმა ფრთა გაჰკრა ცისკამარაზე. მიმინომ უკვე დააგროვა რცხილის ათიოდე ძელი. მეტიც აღარ უნდა. ეხლა მხოლოდ საურმემდე უნდა ჩაათრიოს ნალოებათ.

მიმინო უკვე დაემზადა ხარების მოსაყვანად.

მაგრამ ეს რა ხმაურმა დაჰკოდა ტყის მყუდროებაზ? ეს ხარის ბღავილი იყო!

მიმინოს რალაცა ელვამ გაჰკრა გულში. ის ცულ მომარჯვებული გაეშურა ხარებისაკენ. მაგრამ აგერ დამფრთხალი ვაშლა ხარი თვითონ შეშოეფეთა წინ. პატრონის დანახვაზე ხარი შეჩერდა. მხოლოდ შეშფოთებული ფვალები გასაოცრად უბრიალებენ.

მიმინო მიხვდა: ეს უეჭველად ნადირისაგან არის დამფრთხალი. მაგრამ ჭოტა სადღა არის? ვაი თუ ის იყო, რომ დაიბლავლა! უეჭველად ის იყო.

მიმინო გარბის. მიწას აღარ გრძნობს ფეხქვეშ. ესმის მხოლოდ ჭოტას ჩამკედარი ბღავილი და თავისი გულისცემა.

მივიდა ადგილას. ხარი არსად სჩანს. იქ, ცოტა მოშორებით კი ტყიდან ანათებს ორი ბროლის ნაჭერი.

მიმინო მიხვდა — ეს მგლის თვალებია. და კიდევ მიხვდა თავის ჭოტას ბედსაც.

ის ცულმოღერებული გაექანა მგლისაკენ, მაგრამ ამ დროს კლდის ქვევიდან მოესმა გაჭირვებული საქონლის კვნესა და ზმუკუნი. ცხადია ეს ჭოტა იყო.

მიმინომ სასწრაფოდ დააქვეითა ვაშლა ხარი და მიეშურება გაჭირებულ იმის ტოლისაკენ.

აჰა, მივიდენ კიდეც! მაგრამ ვაი ამ მისვლას!

ყელში ნადირისაგან დაგლეჯილი და კლდიდან გადმოჩეხილი ხარი უკვე სულს ებრძვის უკანასკნელად.

მიმინომ ერთი შეჰღრიალა — „ვაი ჩემ უბედურებასაო!“ და მოეხვია ხარს ყელზე. ჭოტა კი სასიკვდილოთ ჭრაკო-

ლავს ტანში. უკანასკნელად ზმუკუნებს და თვალებიდან ლაპალუპით გადმოდის ცრემლი.

— ჩემო ჭოტა! ჩემო მარჯვენა ხელო! ვაიმე დალუპულო ოჯახო!

ეს გოდება ბანის-ბანად გაისმის მთებში და სასოწარკვეთილი კაცი ქვითინით უკოცნის ცრემლიან თვალებს მომაკვდავ სულდგმულს.

ხარს უკანასკნელად გააზმორა. ჩქარა ფეხები გასჭიმა ოთხი წაქცეული ბოძივით და თავიც გადააგდო მიწაზე სამუდამო მოძულებით.

— ვაიმე ჩემო ხარო! ჩემო ჭოტა! ვაი დალუპულო ჩემო თავო!—და მიმინო ნამგალმოსმულივით ემხობა პირქვე ხარის ბეჭზე.

* * *

ინათლა.

უნძრეველად წევს კვდარი ხარი.

არც კაცი ინძრევა მის ბეჭზე მწოლარე.

უცებ გაისმა საზარელი ბლავილი და გლოვის მეხად გაიჭრა მთებში.

მიმინო წამოხტა ზეზე.

ეს ვაშლა ბლავის: მას უპოვია თავისი ტოლის დალეწილი სისხლი კლდის ნაფლეთებზე და მას დაჰბღუის. წინა ტორებით ბდღვნის გასისხლიანებულ კლდეებს. საზარლად ჩაჰბღუის ქვესკნელს. ვაეკაცის მკლავებად აყრილი რქებით ემხობა კლდეებზე, თითქოს უნდა დაეჭიდოს, გადააბრუნოს მიწის ნახევარიო.

მიმინოს გული აუდუღდა. თავის სევდასთან ერთად იგრძნო სევდა ტოლდაკარგული ხარისაც. რამდენიმე ხანს იდგა გარინდებული. შემდეგ რალაცა მოწიწებით წაიჩოქა მკვდარ ხართან. აკოცა ქედზე, აკოცა რქებზე, და თან ირგვლივ შემორტყმულ ტყის დასაკოდათ აშოიგმინა:

— მშვიდობით, ჩემო ნაამაგდარო ხარო! მშვიდობით, ჩემო ჭოტა!

ვაშლა ხარი კი ისევ ბდღუის. ისევა ბდღვნის სისხლიან კლდეებს. (მთებიც ბღუიან, მთებიც ბდღვნიან თავიანთ გულის გულს).

ნუ თუ ასე ძნელია ტოლის დაკარგვა თვით პირუტყვისათვის!

* * *

მიმინო რომ ტყეში გაემგზავრა, სწორედ იმავე სალამოს კოლექტივის საზოგადო კრება გაიმართა.

ახალი თავმჯდომარე აზრისა და სიტყვის კარგი მკეთელი გამოდგა.

კოლექტივიზაციის მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, მისი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე — ყველა ეს საკითხები მრავალჯერ მოუსმენიათ სხვისი პირითაც, მაგრამ ახლა ანდროს ისეთ თავისებური მადლიანი ენით განუმარტა ყველაფერი, რომ სულ ახალ მიშზიდავ საქმედ დაუსახა მრავალჯერ სმენილი ძველი ამბავი.

გარე'მე მყოფი გლეხებიც საკმაოდ იყვენ კრებაზე.

ანდრო თავისი მახვილი ენით იმათაც მისწვდა.

— რატომ არ მოდიხართ ჩვენთან, ამხანაგებო? რალაზე ჰკარგავთ დროს? კოლექტივიზაციის დალუპვას თუ ელით, იგი არ დაილუპება! თქვენი თავის დალუპვას თუ ელით და ეგ ხომ უაზროობაა სრული.

გლეხები ფიქრობენ. ხანდახან ერთმანეთს ჩუმად უხიარებენ გულისსადებს.

— ხმამაღლა სთქვით რამე, კაცო! გააგონეთ ქვეყანას თქვენი სიტყვა და ფიქრი! როგორ დაწინებულად ჩურჩულობთ! ნაპარეკი ხომ არა გაქვთ ან აზრი და ან სიტყვა! აი თუნდა შენ, ნიკო! ძალიან ბედნიერი ხარ, რომ ჭიგოსავით მოსწვიდებიხარ კერძო მეურნეობას და ველარ ელევი?

ნიკა შეირხა. ჭალარა წვერ-ულვაშზე გადისვა კოჟიჟიანი ხელი. პასუხს არ ეჩქარება, ბოლოს მაინც —

— რალა მე ამომიღე ნიშანში, შე კაი კაცო! ჯერ ჩემზე გამოსადეგი ვინც არის, ისინი მოიყვანე და ბოლოს ალბათ მეც მოვყვები!

— სთქვი ბარემა — ვინ მიგაჩნია ეგეთ გამოსადეგ კაცებათ?

— ...აი თუნდა მიმინო! იმის მიბაძულობითა რამდენი კაცია დღეს კოლექტივის გარეთ დარჩენილი!

აქ ბეერმა სხვებმაც დაუკრეს კვერი.

— მართალია! მიმინო რო მოვიდეს კოლექტივში, იმას ბევრი სხვაც მოჰყვება.

— მიმინო რა მისაბაძი მაგალითია, ამხანაგებო! — ედავება ანდრო.

ისევ ნიკა უპასუხებს, ყველას მაგიერ.

— თავი კაცი სოფელში ყოველთვის ყოფილა მისაბაძი, ამხანაგო! მიმინოც თავკაცად ითვლება ჩვენში.

— ეგეც უცნაური ახირებაა!

— რას იზამ! გლეხკაცის საქმე ასეა! ერთმანეთის მიბაძულობაშია...

— კარგი! მიმინო რომ შემოვიდეს კოლექტივში, მერე?

— ...რაგი! მერე ალბათ მაგ გზას ვარჩევთ! — და აქ ანდრომ ხელასლად დასდო თავისთავთან ფიცი — უეჭველად მიიყვანოს როგორმე მიმინო ერთიან ოჯახში.

როცა გარეშე გლეხები წავიდენ, ანდრომ განაგრძო შეოლოდ კოლექტიველების კრება.

მან საგანგებოდ განუმარტა მუშა-საქონლის მნიშვნელობა მეურნეობაში; თავისებური ჯიგრიანობით დაასურათა მათი კარგი მოვლა-პატრონობა.

სანიმუშო მაგალითად თვალწინ დაუყენა მიმინო თავისი ჩაჩეული ბედაურებით. და ბოლოს სოცშეჯიბრება გა-

მოაცხადა: ვინც საუკეთესოდ მოუელის მასზე ჩაბარებულ კოლექტივის ხარებს, ის პირველ რიგში მიიღებს კანონით გათვალისწინებულ ყოველივე უპირატესობას. და ბოლოს დაუმატა ანდრომ:

— შეხედეთ თუნდა მიმინოს! ერთი მიზნით გატაცებულ ხალხს, ერთი ორგანიზაციით შეკავშირებულ მშრომელებს განა ის ერთი ღერი კაცი უნდა გვჯობნიდეს! იმისი ხარები რომ ვნახე, მართლა შემშურდა. ყოველი თქვენგანი უნდა აენთოს ასეთი შურით! კოლექტივის წევრი ყველაფერით უნდა სჯობდეს კერძო მეურნეს. მაშ ხარკაშეჩითაც უნდა სჯობდეს. იმ დღეს კი გაპირების ადგილას მიმინომ შეარცხვინა მთელი კოლექტივი: რასაც ჩვენი კამეჩები ვერ მოერიენ, იმისმა ხარებმა სულ გაუპირებლივ აიტანეს. ყოველმა თქვენგანმა უნდა იცოდეს: არცერთი კერძოს საქონელი არ უნდა სჯობდეს კოლექტივის საქონელს. არც მიმინოსი! სილოსიც საკმაო გვაქვს, ბზეც, თივაც და ჩალაც! მოვლა და პატრონობა კი თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენ ვერ მოვიზიდავთ დანარჩენ მშრომელ გლეხკაცობას, თუ კოლექტივის ყოფა არ დაეჯობინა იმათ ყოფას! ამ ჯერობაზე კი რახან საქონელზე გვაქვს ლაპარაკი, მაშ გახსოვდეთ ყველას:

— კარგი კოლექტივი — კარგი საქონლის მომვლელიც არის!

* * *

მიმინოს მწუხარებას თიოქმის მთელი სოფელი იზიარებდა. ყველანი ისე უსამძიმრებდენ, თითქოს ძვირფასი ვინმე ოჯახის წევრი დაჰკლებოდეს.

მაგრამ ასეთ დანაკლისს თუ ჩქარა არ შეავსებ, ოჯახი სულ ერთიან დაილუპება. გინდა გლეხკაცი ხარო, გინდა ვაჭკაცი უმარჯვენოთ! და მიმინომ გადასწყვიტა: რათაც

უნდა დაუჯდეს, უეჭველად უშოვოს ვაშლას თავისი ტოლი. ახლო-მახლო სოფლებში ყველგან დააგდო ხმა — თუ სადმე იშოვება კაი ხარიო. ცოტა ხნის შემდეგ ამბავიც მოუვიდა: ერთ დაშორებულ სოფელში ამადაამ კაცს ჰყავს საუკეთესო ხარიო. მიმინო მეორე დღესვე გაეშურა იქით. ნახა ხარი. მართლა მოსაწონი რამ იყო. მაგრამ პატრონის პასუხი კი ალარ მოეწონა:

— მეც ვეძებ ჩემი ხარის ღირსეულ ტოლს. თუ გინდა შენ მომყიდე ცალად დარჩენილი შენი ხარიო.

მიმინო დადონდა:

— შე კაი კაცო, მე შენგან აშენებას ველოდი და შენ კი ჩემი დაქცევა მოგინდომებიაო.

ხარის პატრონი ახირებული კაცი გამოდგა. მასაც ჰყვარებია ჯილაგიანი საქონელი. ცალი ხარი სახადით მოკვდომია და ეხლა თვითონვე ეძებს დარჩენილი ხარის შერჩეულ ტოლს.

მიმინო დაბრუნდა უკან ხელცარიელი. გულში კი ჩარჩა ნახული ხარის მურაზი. ისე მოეწონა, რომ ალარც კი უნდა სხვისი მოძებნა. გული ისე სწყდება, თითქოს მეორედ დაჰკარგოდეს თავისი ჭოტა ხარი.

ბიმინომ მაინც საესებით არ დაჰკარგა იმედი. მის ნათლიმამა ნესტორას რა არ გაუკეთებია! ახლომახლო სოფლებში მთელი აეკარგის გამრიგებელი განა ის არ არის? ქალის გათხოვება გინდა, საქონლის ყიდვა-გაყიდვა, ერთმანეთის შინაურული დაეა — ყველაფერი ნესტორას კითხულია. და ნესტორაც გასაოცარი ნიჭით არის დაჯილდოებული: არ შეიძლება, რამე საქმეში ჩაერიოს და ის საქმე კეთილად არ დააბოლოვოს. ამიტომ სცემენ ყველანი პატივს. ბიტომ აქვს შეპოება მახლობლებშიც და შორეულებშიც.

მიმინომაც მიმართა ნესტორას — როგორც ნამდვილ გაჭირვების ტალკვესს.

ნესტორი მეორე დღესვე გაეშურა ხარის პატრონთან. რომელთანაც უკვე რამდენჯერმე ჰქონია საქმე.

კაი პურმარილისა და კაი მსჯელობის შემდეგ, როგორც იქნა ნესტორმა დაიყოლია ნებაზე ხარის პატრონი. მხოლოდ ფასი კი დაადო გვარიანი და აღარც წავიდა არაფითარ დათმობაზე. რა ვუყოთ მერე! „ძვირად ყიდვა სჯობს კარგისა, ზედ გამოლება სართისაო“.

გამარჯვებული ნესტორი საჩქაროდ დაბრუნდა მიმინოსთან და ახარა კაი ამბავი.

მიმინო, რასაკვირველია, ხელიდან აღარ გაუშვებს ასეთ შემთხვევას. გაჰყიდა ერთი თეალი ოთახი, ზოგიც ჭირნახული დაუმატა და მურაზათ ნაპოვნი ხარი ამოუყენა გვერდში თავის დაობლებულ ეაშლას.

* * *

კოლექტივის ნამდვილ დედაბოძათ გადაიქცა ანდრო. ოურმე ერთ კაცს ბევრი რამ შესძლებია საერთო საქმეშიც: კოლექტივის ყველა წევრებში ჩანერგა რაღაცა ძლიერი რწმენა. გაალვიძა დიდი უნარიანობა. მთელი კოლექტივი თვალსაჩინოდ გაიმართა წელში და ღონივრად მიდის წინ.

თვითონ ანდროსაც უსარია, რომ ასეთ ნოყიერ ნიადაგზე უხდება მუშაობა. იმისი მეცადინეობა, შნო და ამაგი ამაოდ არ იკარგება. ამას ხედავს ყველა, ხედავს თვითონაც. ასეთი გამარჯვება მართლაც საამაყოა ყოველი გულწრფელი მუშაკისათვის. მაგრამ ნამდვილ გამარჯვებას წინ ელის ანდრო. იქ ელის თავის დაწყებულ საქმის დაგვირგვინებას.

* * *

ბარითალია მიმინომ შეინარჩუნა თავისი ეხტიბარი: ისევე ჰყავს დარჩენული ულელი ხარი. მაგრამ უდროოდ დროს ამ ცალი ხარის ზარალმა ძალიან უკან დასწია ოჯახი.

სარჩოს დაკლება უკვე დაეტყო შუა ზამთარში. იძულებული გახდა გამოზოგვით ეწყო ცხოვრება. ეს გამოზოგვა იმის ხარებსაც დაეტყოთ ძალაუნებურად: როშს ველარ აკმევს გულუხვათ და ლამის ბზეც ველარ მისცეს მაძღრისად — დაკლების შიშით. სამაგიეროდ მოვლა-პატრონობას არ აკლებს, რომ ამით აუნაზღაუროს საკვების დანაკლისი, და სოფელში მაინც იმისი ხარები დადიან ყველაზე ქედმაღლად, ყველაზე დასანახად.

* * *

გლეხკაცის ჯიბრზე ზამთარი გრძელი გამოდგა. ყველა შეწუხდა. ყველას კარებს მიუკაკუნა გაჭირვებამ. მოულოდნელად დაზარალებულ მიმინოსაც დაეტყო ხელმოკლეობა. შეშაც კი დააკლდა ამ გაჭიანურებულ ზამთარში. თოვლი კი ჯერ ისევ ბარაქიანად ძევს მთა და ბორში. არც ურემითა და არც მარხილით არ წაისელება ტყეში დიდი თოვლის გამო. მიმინომ ისევ არჩია მარტო ხარებით წასვლა. შემოდგომაზე თავის აჩემებულ ადგილას ერთი კაი რცხილა დარჩა და იმას ჩამოათრევს ნალოთა.

ალარც დააყოვნა მიმინომ და გაუდგა გზას.

თავისი რცხილა ისევ ალაგობრივ დაუხვდა. ხელდახელ მიაბა ხარებს და გასწია სახლისკენ.

* * *

სალამოჟამი იქნებოდა, როცა მიმინო შემოვიდა სოფელში. პატარა მდინარე დარჩა გასაცური, შემდეგ ფერდობი და უკვე სახლშია.

ალმართზე შეყენებამდე მიმინომ შეასვენა ხარები, ქარიამოალებინა კარგად. შემდეგ ერთი შეუტია თავისებურად, ხელად გასცურა მდინარე და შეუდგა ნახევრად მოყინულ ალმართს.

გაპირვებით თავჩაქინდრული ხარები მაგრა მიაბიჯებენ ალმართს. მიმინოც არ აკლებს წაქეზებას, მაგრამ...

მიმინო რას ხედავს! იმის ხარებს თითქოს უპირთ! უპირთ კი არა, შეჩერდენ კიდეც. აგერ ნალომაც უკან-უკან დაიწყო დაცურება და ხარებსაც უკან ახევინებს.

მიმინოს თითქოს ისარი მოხვდა გულშიო: როგორ! იმის ხარებს საპალნე გაუპირდათ! ერთი ნაწყენად შეუტია თავის ხარებს და ისევ შეუყენა ალმართს, მაგრამ... ტვირთი მაინც მოერია იმის დაგეშილ ხარებს. ამაოდ იმტვრევენ მუსლებს! ამაოდ აკვესებს მიმინო! დიალ, გაუპირდათ იმის ხარებს. და მერე ხედავენ მეზობლები. ხედავენ კოლექტივის ხალხიც ხელდახელ რომ შეგროვდენ მიმინოს გაპირვებაზე.

მიმინომ ითაკილა ასეთი შერცხვენა. ერთხელ კიდევ შეუტია თავის ბედაურებს. ხარებმა ახლად დაიქედნეს, ახლად წაიჩოქეს მოყინულ მიწაზე, მაგრამ ნალო უძრავი რჩება. თითქოს იგიც მიჰყინია მიწას,

— აბა, ამხანაგებო! მიმინოს შველა უნდა ეხლავე! (გაისმა ანდროს ხმა). — აბა, სინკა, ეხლავე მორეკე ჩვენი ლომა და მერცხალა! ჩქარა!

მიმინომ შეჰხედა ანდროს. ცეცხლი წაეკიდა ვაკაცს. მუნჯათ დოინჯი შემოიყარა და გულდაწყვეტით შეჰხედა თავის ხარებს:

— მიღალატეთ!?

აგერ სინკამაც მორეკა კამეჩები.

ანდრომ ჩამოირბინა მიმინოსთან.

— აბა, ყოჩაღო კაცო! ეხლა შენ გამოუშვი შენი ნიშა ხარები და ჩვენ შევაბათ, ჩვენი ნიკორა კამეჩები!

მიმინომ გამოუშვა ხარები. სინკამ კი შეაბა თავიანთი კამეჩები.

— აბა, ლომა! აბა, მერცხალა! არ შეგვარცხვინოთ თქვენი ჰირიმეთ!

კამეჩებმა სდრიკეს ქედი. თანაბრად მიეძალენ უღელს და თეთრი რცხილას ნალოც მიღოღავს მაღლა აბრეშუმის ჭიასავით.

სინკამ აათრია მაღლა ნალო და გამოუშვა კამეჩები. მიმინომ კი მძიმე-მძიმედ შეაბა თავისი ხარები.

ანდრო მივიდა მიმინოსთან და მეგობრულად შემოსცხო მხარზე ხელი:

— ჰა, მიმინო! ხომ გადაგიხადეთ სამაგიერო! ეგ ის კამეჩებია, შენმა ხარებმა რომ შემირცხვინეს „კუზიან მდევზე". ეხლა?

მიმინო უკვე მიხვდა, რას ნიშნავდა ანდროს შეკითხვა „ეხლა?"

* * *

მეორე დღეს კოლექტივის საზოგადო კრებაა. რევოლუციით გადაშენებულ თაეადის სასახლე სავსეა ხალხით. აივანზე იხილავენ საგაზაფხულო თესვის გეგმებს.

საცაა კრებაც დაიწყება. აგერ ანდრომ კიდეეაც შესძახა:

— ამხანაგებო!

მაგრამ ამ დროს გაიღო ჭისკარი და ეზოში შემოაბოტა ორმა მშვენიერმა ხარმა. პატრონიც უკან მოსდევდა.

ყველამ მაშინათვე იცნო მიმინო თავის ხარებით.

ხალხში რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა. რაღაც ცხადი წინაგრძნობა ალაპარაკდა. ანდრომაც დაბა თავისი სიტყვა.

მიმინო მოვიდა, თან მოიძღოლია თავისი ხარები.

ყველა მისჩერებია მიმინოს. მიმინომაც პირისპირ შეხედა ყველას და —

— აი, ძმებო! დღეიდან თქვენი ვარ, თუ მიმიღებთ, როგორც სწორსა და ამხანაგს!

ამ სიტყვებთან ერთად ყველას გულში შეიჭრა სიხარული. მაგრამ ყველაზე მეტად ანდროს უცემს გული. რამდენი ხანია ელოდა ამ დღეს! და ბოლოს მაინც მიაღწია!

ის დავდაჭერილი კმაყოფილებით მიმართავს კრებას:

— ამხანაგებო! ბოლოს მიმინოც „მოფრინდა“ თავის საბუდარში! გაგიმარჯოთ ყველას და გაუმარჯოს მიმინოსაც ახალ კოლექტიურ ოჯახში!

ხალხი შეჰხარის, შესცინის მიმინოს, თითქოს პირველად ჰხედავენო.

ყველაზე მეტ სიხარულს კი ეძლევა ანდრო. მან გაიმარჯვა თავის თავთან დადებულ სანაძლეოში. ხვალ ის უკვე ჰხედავს კოლექტივიზაციის სრულ გამარჯვებას მიმინოს უკან.

კრება იწყება მეტის ყურადღებით, მეტის ხალისით, რადგან მიმინოსაც ეხლა აქ ჰხედავენ — თავის საბუდარში.

ლომის ნადავლი

შავაჟლემოსანი

პარიზის გარეგნულ სიმშვენიერეს თავისებურად ალაზათებს ბელფორის განზედ გაცურებული მოედანი.

აქ არ გაწუხებს დიდი ბულვარების ალიაქოთი, სულის შემხუთავი კედლები, თავბრუს დამხვევი აურზაური. აქ შეიძლება მოსვენებით დაჯდე გულღია ყავახანის გულღია აივანზე. აქედან ლარში გატყორცნილ ბულვარის ბოლოს მოსჩანს მონსურის კეკლუცანა ბალნარის ხუჭუჭა საქოჩრე. მეორე მხარიდან ვაჟკაცის შეჭმუხვნილი შუბლივით იცქირება პარიზის ირგვლივ გოროზათ შემოვლებულ ქვითკირის ქიმი. ცის კაბადონიც აწყვეტილ ფიქრთა საყაბახედ შორს გაწეულა.

პირისპირ კი კლდოვან კვარცხლბეკზე მედიდურად წამოჩოქილა ბელფორის ბრინჯაოსანი ლომი. მას მრისხანე მუქარად შეუბოჭია თავის ძალღონე, რომ პირველივე შემოტევაზე დაუნდობრად ეკვეთოს კადნიერ შემმართებელს. ეს ლომი ანსახიერებს ფრანგების შეულახავ ვაჟკაცობას. გერმანიასთან ომის დროს სამოცდაათ წელში. ძლევამოსილმა გერმანელებმა ერთიერთმანეთზე მიყოლებით დაამხეს საფრანგეთის სახელოვანი სიმაგრეები. მხოლოდ ბელფორი დარჩა აფეღებელი. საფრანგეთის მახვილმა მხოლოდ აქ შეინარჩუნა სახელი და ამის ნიშნად პარიზში აღმართეს ეგერ ის ძეგლი — უძლეველ ლომისა.

აქ შორეული ქვეყნის შვილს შეგიძლია იხილო ბევრი რამ ახალი, თავისებური და საყურადღებო. შეგიძლია ფიქრები დაუგეშავად აჰენაო ცხოვრების დათალხულ წარსულში და მზეთუნახავ მის მომავალში...

მეც შორეული ქვეყნის შვილი ვარ.

ამ თვალდასაყენებელ მოედნის განიერ ბეჭებზე ხამუშ-ხამუშ გაიჩაქჩაქებს უკვე დღეებდათვლილი ცალცხენა ეტლი — ზედ შებერებულ დრომოკმულ მეეტლით. მას დაეწევიან ფერად-ფერადი ავტოები, გადაუსწრებენ წინ და მიჰქრიან დაუდეგარი სიხალისით, ხანდახან ველოც გაისრიალებს — ტოროლასავით რომ აწკრიალებს მოუსვენარ ზარს. კისკისით მოგოგმანობენ მხიარული მიდინეტები, მათ გვერდით ამირანივით მიაბიჯებენ მიწის მთბრელი ზორბა მუშები და კალატოზები. ზოგჯერ ხელის ურმებით ჩამოიცლიან მწვანილისა და ხილეულის გამყიდავი ჟამგადასული ბებრუხუნები.

აგერ გამოჩნდა შავი აქლემიც — მასზე მჯდომი ცალფეხა არაბით.

აქლემი მოჩაქჩაქებს ხალისიანად, იოლლად. მას თითქოს ემსუბუქება თავის თავიც, თავის მხედარიც.

ამ არაბს თავის შავი აქლემით მე ხშირად ვხედავ პარიზის ქუჩებში. ის გასაოცარი მოხერხებით იკვლევს გზას ავტოების ხროვაში, ტრამვაის ეაგონებ შორის, ხალხის ამოძრავებულ ზღვაში — როგორც დიდ ბულვარებზე, ისე ელისეს ველებზე, ვანდომის მოედანზე და ყველგან, ყველგან.

ის უცნაურ პირველყოფილურ სამკაულად მოსჩანდა თანამედროვე ქალაქის აზვირთებულ ცხოვრებაში.

პარიზის შუაგულში შავი აქლემით მოსეირნე ცალფეხა არაბს მოდი და გაოცებით ნუ დაუწყებს ცქერას მთელი ხალხი.

მეც მაოცებდა იგი და თანაც მაინტერესებდა მისი აქ მოვლენა.

შავი აქლემი მოვიდა კაფესთან, სადაც მე ვზივარ და ჩოქნილად დაიჩოქა ქუჩის ნაპირას.

არაბი ჩამოვიდა. მიუალერსა აქლემს. რამდენჯერმე ქოჩორზე გადაუსვა ხელი. შემდეგ მოვიდა არჩოფებით და მიჯდა მაგიდასთან ჩემს მახლობლად.

ამაზე უკეთესი შემთხვევა რაღათ მინდოდა! დაველაპარაკე. მასაც იამა. საგრილებელ სასმელთან ერთად გავაბით კარგი საუბარი.

იგი გამოდგა ტუნისელი არაბი აბდ-ელ-ომან. 1896 წელს ოცდაორი წლის ჭაბუკი იგი იბრძოდა აბისინელებთან ერთად იტალიის წინააღმდეგ. იგი დასწრებია ადუასთან ბრძოლასაც, სადაც სამარცხვინოდ განადგურდენ იტალიის ჯარები. შემდეგ 1912 წელს აბდ-ელ-ომანი იბრძოდა ისევ იტალიის წინააღმდეგ ჯერ ტრიპოლში და შემდეგ კირენაიკაში. ამ ბრძოლებში დაჰკარგა ცალი ფეხი. თანაც მიიღო სამი ჭრილობა მკერდში და მხარში.

დაამთავრა აბდ-ელ-ომანმა თავისი თავგადასავალი და მდუმარებით მისჩერებია ბელფორის ლომს, რომელსაც ეთელი ლაპარაკის დროს თვალს ვერ ართმევდა.

— მე მიყვარს ლომი, თუნდაც ბრინჯაოსი. ის მაგონებს ჩემი სამშობლო აფრიკის უდაბნოებს.

— ლომი ყველასთვის საყვარელია. ის ანსახიერებს ვაჟკაცობას, ქედმაღლობას, ძლევამოსილობას.

— ლომი დიდ ბრძოლებსაც მაგონებს და ძარღვებში სისხლი ჩუხჩუხს იწყებს. მე მიჩვეული ვარ ცოცხალი შოთარეშე ლომების ცქერას იქ, ჩვენში, უდაბნოებში. და ცოცხალ ლომებს დანატრულებული ეხლა გულისთრთოლით ვუცქერი ამ ბრინჯაოს ლომსაც. ეხლაც იმიტომ დავჯექი აქ, რომ ვუცქირო ამ უსულო ლომს და წარმოვიდ-

გინო ნამდვილი ლომები ჩემის ქვეყნისა. როცა აქეთ ჩამოვიელი ხოლმე, ამ ლომის დანახვა ყოველთვის მაგონებს ერთ ცოცხალ ამბავს — იტალია-აბისინიის ომის დროიდან. აი, ეხლაც კინოსურათიევით თვალწინ მიტრიალებს ეს ამბავი და ტანშიც მაჟრჟოლებს.

აქ აბდ-ელ-ომანმა მომითხრო ის ამბავი ლომი-კაცისა და ლომი-ნადირისა, რაც ჩემ გემოზე გავამოთხრობე შემდეგნაირად:

ძუ ლომის სიკვდილი

აფრიკაში, აბისინიაში ხდება ამბავი.

ხვადი ლომი სხვილი ჯაჭვით ება რას ემერუს სახლის დიდ კარებთან.

თვითონ ემერუს ხელით იყო იგი დაბმული. ძე ხორციელი სხვა ვინ გაჰბედავდა მის მიკარებას!

ემერუმ თვითონ დაიჭირა იგი პატარა ლეკვი.

ეს იყო სწორედ სამი წლის წინედ:

რას ემერუ სტუმრად იყო მეზობელ ტომის ძველ სარდალთან. იქ ახლად განიმეორეს უტეხი ფიცი, რომ იბრძოლონ სასტიკად იტალიელების წინააღმდეგ. იბრძოლონ ისევე შშაგათ, — როგორც გამწარებული ძუ ლომი თავის ლეკვების დასახსნელად.

არ შეურიგდენ გიაურ იტალიელების მუხანათობას — როგორც უდაბნოში მოთარეშე ხვადი ლომი არ შეურიგდება რკინის გალიას.

და ამ ურყევი ფიცის შემდეგ რა ბრუნდებოდა ქარავანით ემერუ სახლში, ნარკარას ოაზისზე გადმოიარა.

იქ ერთი მშვენიერი ძუ ლომი დაეცა იმის აქლემებს. სასტიკი ბრძოლა შეუხვდა მთელ რაზმს.

თვითონ ემერუ თეთრ აქლემიდან ძირს დასცა ლომმა. ვაჟკაცურ თეძოდან ბლუჯა ხორცი აშოაგლიჯა.

მაგრამ ბოლოს მაინც წაუხდა ლომს უდაბური ნახტომი. ზედიზედ ნასროლმა ტყვიამ სასიკვდილოდ მოჰკვეთა იგი და უკანასკნელად ემერუს მახვილ ქვეშ დალია სული.

შიშით დამფრთხალი პატარა ლეკვი მიძუნძულებდა შორს.

დაეწიენ. დაიპირეს.

ძუ ლომს კი ემერუმ გაჰხადა ტყავი.

გაუპო მკერდი. ამოლადრა თბილ-თბილი ჯიგარი. ხელდახელ შებრაწა ხმლის წვერზე მწვადი და გულს ლომისას თვით ემერუ შეექცა.

მწვადს ზედ დააყოლა მადიანათ ერთი ჯამი სისხლი ლომისა.

ოო! აბისინელის სიცოცხლეს ეჭირვება სისხლი ლომისა და გული ლომისა, რომ გაუძლონ გამხეცებულ შემოსეას იტალიელებისას მათ ქვეყანაში.

ორი ლომის მეგობრობა

მშვიდობით დაბრუნდა რას ემერუ თავის სახლში.

უხაროდა ნადავლი: ძუ ლომის ტყავი და მისი ლეკვი.

ტყავი ლეიბად გაიხადა მთელი წლების განმავლობაში, თვით ლომი კი — სათამაშო მეგობრად.

ლომის ლეკვი ხვადი გამოდგა.

თვით ემერუმ იკისრა იმისი გაწვრთნა:.

უვლიდა კარგი შვილივით. ხელზე შეიჩვია. მის თვალწინ იზრდებოდა.

როცა მარტო იყო თავის ჭერდაბალ დარბაზში, ლომი მუდამ აშვებული ჰყავდა. ემერუს ალარ ეშინოდა მისი ტორების, მისი გაალმასებული თვთრი კბილების.

მოჰხვევდა ხელს სქლად აყრილ ფაფარზე და უხაროდა ლომის ასეთი მეგობრობა.

ამაყობდა ლომთან ასეთი მეგობრობით მთელი ქვეყნის წინაშე, თუმცა ქვეყანა არ ჰხედავდა ამ დაუჯერებელ მეგობრობას ლომისას და იმ ლომკაცისას.

ლომსაც არ ეშინოდა ემერუსი. მას შეეჩვია და შეიყვარა.

მხოლოდ ემერუს ხელის ლუკმაზე გაიზარდა იგი.

ორი წლის შემდეგ ის ლომთა ჯოგში გამოსარჩევ ნადირად იქცა.

წითლად დაბრაწული ბეწვი ბზინვით გადაჰკროდა მის მოქნილ წელს. სქელზედ სქელი ფაფარი ზედ თავზედ ჰქონდა წამოყრილი იერიშივით. ოთხ-კუთხა პირს რომ გააღებდა—ცეცხლ-მოდებულ გრგვინვის ვულკანს წარმოადგენდა.

იმის ზურგზე სხვისი ხელი არ გადასმულა.

ემერუმ მხოლოდ თავისთვის დაგეშა იგი. სხვებისთვის კი ლომი იყო ისევ მხეცი — საზარელი, სისხლის მსმელი, შეუპოვარი.

იგი რომ ყალყზე შესდგებოდა, ემერუ მასთან ბავშვივით სჩანდა.

მაგრამ ემერუს არ ეშინოდა თავისი ლომის. ამის დასამტკიცებლად რამდენჯერ გაუღებდა ხახას და შიგ ჩაუდებდა თავის ცოცხალ თავს.

ალბათ ამ დროს ფიქრობდა იგი:

— ისევ შემჭამოს ლომმა ვაჟკაცი — ის მირჩევნია, ვიდრე მომიდნოს რომელიმე იტალიელის წუწკურმა ტყვიამ.

და როცა ემერუ შინ არ იყო, მაშინ კი დიდ კარებთან ება ის ხვადი ლომი და ამშვენებდა მის სასახლეს მთელ დანაკილის მცხოვრებთა თვალში.

უტეხი ბრძოლა

რას ემერუ ბელადი იყო დანაკილის მბარეში გაბნეულ მცხოვრებლებისა.

მათმა გალალებულმა და ამაყმა ბუნებამ ვერ შეიფერა მპყრობელობა მსუნაგი იტალიელებისა. მართალია მტერი დიდი ხანია შემოიჭრა მათ ქვეყანაში, მაგრამ ფეხი კი ვერ მოიკიდა. მცხოვრებლები პირველივ ღღიდანვე ჩაებენ სასტიკ მტერთან სასტიკ ბრძოლაში.

მათ ვერ აშინებს ვერც სიმრავლე, ვერც სიძლიერე იტალიელებისა.

მათი კაჟიანი თოფები არ ეპოებიან იტალიელების ტყვიის მფრქვეველებს.

მათი აქლემების ქარავანი არ გაურბის იტალიელების არტილერიის ქარავნებს.

თვითან მშვიდობა დაკარგული — სიცოცლეს უმწარებენ თავხედურად შემოჭრილ მტერს და ანანიებენ ყოველ ნაბიჯს — მათ უდაბნოში გადადგმულს.

დამორჩილებას არავინ ფიქრობს, ბრძოლას კი — სულ ყველა. და ესე ზვიადად ამხედრებულ ხალხს თავის მხარეში მეთაურობს გმირი ემერუ.

რას ემერუ თვითან არის პირველი მებრძოლი: მამაცი, სასტიკი, შეუპოვარი. უყვარს თარეში ნუბიიდან მოძღვნილ არაბულ შავ ტაიჭით უდაბნოში მომწყვდეულ იტალიის რაზმებზე.

იშვიათად მოსცდენია თავისი ლომური ნახტომი მიზანში ამოღებულ მტრის რაზმზე.

ყოველი ბრძოლიდან იგი ბრუნდებოდა სამხედრო ხადაელით: ტყვეებით და იარაღით.

იარაღს ხმარობდენ ბრძოლაში. ტყვეებს კი ხოცავდენ უდაბნოში.

ასეთი ქცევა ისწავლეს თვით იტალიელებისაგან. ემერუს უთვალავ ბრძოლის კორიანტელში გაუვლია, მაგრამ ჯერ არც ერთ ტყვია არ მოხვედრია. არც ერთი ჭრი-

ლობა არ მიუღია. და ამხანად დანაკილის მებრძოლთა შორის ზღაპრული ხმებიც დადის:

— ემერუს ტყვია არ ეკარება. იგი შელოცვილია განგებისაგანო.

და რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო რწმუნდებოდენ მის ნამდვილ მოწოდებაში სარდლობისა და ბელადობისთვის.

მაგრამ ემერუ ნამდვილ საზღაპრო გმირად გადაიქცა ლომის შემდეგ.

როცა გაიგეს, რომ ემერუს სახლში ლომი ჰყავს შიჩვეული, ეალერსება, ეთამაშება თავისუფლად. მეგობრულად ეხვევა მის მღელვარე ფაფარსა და შფოთი ნადირი დაგეშილი მურიასავით ულოკავს ხელებსო, ათასი ხმები გავრცელდა ემერუს გმირობაზე.

მთელ ხალხს მოედო ლეგენდური თქმულებანი ემერუს რაინდობაზე. და იგი გადაიქცა უსაყვარლეს სარდლად მთელი მხარეს თვის.

ყველას სჯეროდა ემერუს უძლეველობა. საკმარისი იყო ერთი მისი მოწოდება და მთელი მებრძოლი ხალხი ფეხზე დგებოდა.

იგიც წინ მიუძღოდა. იბრძოდა, თავზარსა სცემდა იტალიის ჯარებს და ვაკაცურ იერიშით წაქეზებული მისი რაზმები ისევ მზად იყვენ ახალ ვეფხურ თარეშობისათვის.

* * *

იტალიის სარდლობა კარგად ხედავდა ემერუს ძალას, ამიტომ ძვირადაც აფასებდა იმის თავს ან ცოცხალს, ან მკვდარს.

ასე გრძელდება წლით წლობამდის სასტიკი ბრძოლა.

ერთი არ ფიქრობს უკან დახევას, მეორე კი — დამორჩილებას.

სად გადასწყდება ბედი ბრძოლისა?

ვინ გაიმარჯვებს?

მტერთა სისასტიკე

აბისინიის უდაბნოს მებრძოლი ტომები ,იტალიელებისაგან სწავლობდენ ველურობასა და სისასტიკეს.

იტალიელები არ სცნობდენ აბისინელებს უფლებამოსილ მებრძოლ მხარედ. ამიტომ არ ინდობდენ მათ სახლკარს, მათ დოვლათს, მათ ტყვეებს.

განსაკუთრებით ტყვეებზე აშკარავდებოდა მათი მხეცობა:

ჩაუვარდებოდათ თუ არა ვინმე ხელში, მაშინვე მოჰკვეთდენ თავს, წამოაგებდენ მარგილზე და ჩამოამწკრიეებდენ თავიანთ სანგრების წინ.

ამით აშინებდენ მოწინააღმდეგეს, რომ აღარ გაებედა ბრძოლა.

მაგრამ აბისინელები უფრო გაალმასებით ეკვეთებოდენ და ბრძოლაში სიკვდილს არჩევდენ — ცოცხლად ტყვედ ჩავარდნას.

თანაც იტალიელებისაგან კარგად ისწავლეს დაუზოგაობა.

მოხვდებოდათ თუ არა ვიმნე ტყვედ — მეორე დღესვე მოკვეთდენ თავს და მშიერ მხეცებს გადაუგდებდენ მოძულებულ იმის მძორს.

განსაკურებულ დახელოვნებითა და სასასტიკით იბრძოდა ემერუს რაზმი.

იტალიელები ყოველთვის ვერ ჰბედავდენ მასთან შეხვედრას. მხოლოდ კარგი სამხედრო მზადების შემდეგ თუ მოახერხებდენ მის მხარეში შეჭრას, მაგრამ ყოველთვის უკან ბრუნდებოდენ დაზარალებულ-დამარცხებული.

და თვითან ემერუ თუ ,ითავებდა მათზედ იერეშის მიტანას, ეს ხომ რისხვად მიაჩნდა იტალიის რაზმებს. და

ვინც უვნებლად გადარჩებოდა ამ ბრძოლას — სიცოცხლე ნაპოვნად ეჩვენებოდა.

მოგცდარი ნახტომი

ბოლო დროს ბევრი ძალები მოემატენ დამპყრობელებს გული იტალიიდან. ამას ზედ დაემატა სომალიში და ერიტრეიაში ადგილობრივად შემდგარი აკმალელთა ლეგიონები.

რადაც უნდა დაჯდეს — უნდა გასტეხონ აბისინიის წინააღმდეგობა.

მაგრამ იტალიელების წარმოდგენით ეს მოხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ გასტეხავენ ყველაზე მრისხანე მოწინააღმდეგეს — რას ემერუს.

მას ვერ მოისყიდიან. ეს ხერხი ბევრჯერ სცადეს.

მაშ უნდა ბრძოლაში დაამარცხონ: ან მოჰკლან, ან ხელში ჩაიგდონ ტყვედ.

ამისთვის იყო მოწოდებული ახალი ჯარები იტალიისა.

და ამ ჯარებს წამქეზებლად წინ მიუძღოდენ თავზედ ხელ-აღებული რაზმები — აკმალიელთა.

მოულოდნელი იყო და სწრაფი ეს სამზადისი, რომ ემერუს არ შეემჩნია.

წინასწარ უნებლიე შეტაკებაში უკანაც დაიხიეს იტალიელებმა, რომ ღრმად შეეტყუებინად ემერუს რაზმი.

ემერუც გათამამდა ჩვეულებრივად მოპოებული გამარჯვებით და მიჰყვა ფეხდა-ფეხ დევნილ მტერს.

განა ერთხელ და ორჯერ გაქცეულან იტალიის რაზმები იმის წინ? მაშ ეხლა რაღაა გასაკვირი?

მისდევს ქარიშხლოვანი თვის რაზმით და ანანიებს სიცოცხლეს ზურგ-შექცეულ მტრის მხედრობას.

სწორედ იტალიელებსაც ეს უნდოდათ და შერჩეულ დროს აუტეხეს ისეთი ძლიერი, სასტიკი ბრძოლა, რომლის მსგავსიც ჯერ არ შეხვედროდა ემერუს არას დროს.

ემერუმ იგრძნო საშინელი განსაცდელი და ვაჟკაცური თავგამეტებით ერთსღა შეეცადა, რომ გასხლტომოდა როგორმე ბრძოლით — მტრისაგან შემორტყმულ ცეცხლის რკალს.

ლომი — ლომს ეკვეთებოდა, ფოლადი — ფოლადს, ცეცხლი — ცეცხლს. ვაჟკაცი აკვდებოდა თავის დარ ვაჟკაცს.

ერთის სიცოცხლე ფასდებოდა მრავალ სიცოცხლედ და ბედისწერაც დაუზოგავად ისროდა ისრებს — განკითხულთა კორიანტელში.

ბევრი დაემხო ამ დაუნდობარ შეკვეთებაში.

თვითონ ემერუმ ბევრს შეანანა პირისპირ შეხვედრა და ბოლოს მაინც რჩეული გმირებით გავარდა ლომი იტალიის ჯარიდან.

ბინდბუნდმაც ხელი შეუწყო ბედით მოთარეშეს და გადაურჩა მეხად დატეხილ მტრის რისხვას.

ბრძოლის ველზე კი დარჩა ბევრი დასანანი ვაჟკაცი. ზოგიც ცოცხლად ჩაიგდეს ხელში იტალიის ჯარებმა.

მეორე დღეს აღარც ერთ ტყვედ-ქმნილ მებრძოლს აღარ ება თავი მხრებზე.

მარგილზე წამოგებულნი საზარელ სურათად გასცქეროდენ გატიალებულ სივრცეს.

სამაგიეროს გადახდა

ემერუს გმირულმა ბუნებამ ვერ შეიფერა ესეთი მარცხი.

შურის ძიება და სამაგიეროს გადახდა — ეს არის უტეხი ფიცი ყოველი მებრძოლისა.

სულ ბოკლე ხანში თავი მოუყარა ყველა რაზმებს. ახალ-ახლებიც მიემატა ძველთა რიცხვს და ველურის მუქარით გაეშვა ლომგული — ჯიუტ მტერზე.

იტალიელებს არ ეგონათ თუ ემერუ ისე ჩქარა გაიმართებოდა წყლში და სამაგიეროსაც გადაუხდიდა. ამიტომ მოულოდნელი იყო აბისინიელთა იერიში მათ ბანაკზე.

შუალამის სიმშვიდეში ცეცხლისა და მახვილის რისხვად დაატყდა ემერუ თავზე მოსვენებულ ჯარებს.

მოწინავე რაზმი სულ ამოჟლიტა და მთავარ ჯარებსაც შეურყია ბრძოლის სიმტკიცე.

გაომებულ ნადირივით ჯოგში ჩამორეულმა დანაკელებმა რამდენი იმსხვერპლეს, რამდენს შეანანეს წუთისსოფელი — ვინ დაითვალოს!

ბოლოს სახელდახელო ნადავლით და ორასიოდე ტყვეთი გაბრუნდენ უკან.

მეორე დღეს ტყვეების თავები ჩაჰყარეს ტომრებში, აჰკიდეს აქლემებს და გამოგზავნეს იტალიის ბანაკში.

— ესე იციან აბისინელებმა სამაგიეროს გადახდაო.

ახალი სამზადისი

მოუნელებელი იყო იტალიელებისათვის ასეთი მარცხი. მათმა სარდლობამ გადასწყვიტა, რადაც უნდა დაუჯდეს, იტალიას—უეჭველად მოსპონ ემერუ ტ მისი რაზმები. უიმისოდ ვერასგზით ვერ შეიჭრებიან გულდაგულ აბისინიაში.

სწორედ ამიტომ გადაწყვეტილი იყო საქმის შორიდან დაწყება:

შეუდგენ ლაშქრობის სამზადისს.

გადასწყვიტეს, როგორმე რკალი შემოავლონ ემერუს მცირერიცხოვან თავგამეტებულ რაზმს და ისე გამოსჭყლიტონ შუაში წიწილებივით.

ფეხზე დააყენეს აფრიკაში მყოფი ყველა მებრძოლი ძალები.

არ დაზოგეს ტექნიკური ძლევა-მოსილებაც: ტყვიის მფრქვეველები, საველე სწრაფულ-მსროლელი ზარბაზნები, ახლად ნაქედი თოფი და ხმალი.

ემერუმაც იცოდა, რომ მისი გამარჯვება სრულიად არ ნიშნავდა იტალიელების ხელ-აღებით დამარცხებას. იგიც ისვენებდა, მაგრამ თან იკრებდა ლაღსა და უშიშარ ქოჩორა ბიჭებს. სწვრთნიდა რაინდულად, რომ საჭირო წამში ფოლადის მკვეთრი ისარივით გაეტყორცნა იგინი იტალიის მრავალრიცხოვან ჯარში.

გადამწყვეტი ბრძოლა.

დამთავრდა სამზადისი.

სასტიკი გადაწყვეტილებით გაერთიანდენ ჯარები ყოველი მხრიდან.

ერთად უნდა შეიყარონ სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებისთვის ნარკარას ოაზისთან.

და ერთ განთიადზე მთელის ძალ-ღონით შემოარტყეს ბრძოლის რკალი ემერუს არე-მარეს.

დაიწყო საბედისწერო შეკვეთება ერთისა ათთან. თავისუფლების ლაღ მდინარისა — უძღებ, უძირო ოკეანესთან.

აქლემებზე რაინდულად გამოწყობილი უდაბნო-ორბის ფრთოსანი ისარივით ეკვეთება ფოლადში ჩამოსხმულ ევროპას.

მუზარადი ილეწება — ჯავშანზე. ხმალი ტყდება — ზარბაზანზე. ლომი აკვდება — მგლების ჯოგს.

ვაჟკაცი — ვაჟკაცს სპობს. სისხლი — სისხლს ჰლებავს. სიცოცხლე — სიცოცხლეს სიკვდილის რისხვად მოეელინება.

უმიზნო ტყვია — მიზანში სცდება. მოკნეული მახვილი — მხარს არა სცდება. დაკვესებული ცეცხლი — ხანძრად იქცევა.

გაპობილი მკერდი, დაწყვეტილი მკლავები, მოკვეთილი თავები, დამსხვრეული იარაღი, ცეცხლი და სგრევა, ყიჟინა, ქუხილი, კვნესა და შეტევა — ერთმანეთში ირევა.

გაჰქრა ქვეყანა, ცოლი და შვილი, ზღვა და ხმელეთი.

დაბურული თავი, სასტიკი გული, აბნეული თვალები და მოთარეშე მკლავები — ჰხედავენ მხოლოდ ერთს:

— თუ არ მოჰკალი — თვითონ მოკვდები!

— თუ არ გაიმარჯვე — გელის დაღუპვა!

დაიბნა, დაყრუვდა ცეცხლ-მოდებული, დამთვრალი სივრცე. ვაჟკაცის გულივით ზანზარებს გარემო და ჰქუხს უდაბნოც დამფრთხალი ლომივით.

ამ ცეცხლისა და ფოლადის გულის და მკლავის დაუზოგავ კორიანტელში გადასწყდა ბედი ემერუს გმირობის.

ლომ-გულებისაგან შემდგარი მისი რაზმი უმეტეს ნაწილად ბრძოლაში ამოიჟლიტა. მცირედმა ჯგუფმა კი ვაჟკაცურის თარეშით გაიპო გზა სამხრეთისაკენ.

თვითან ემერუ კი ბრძოლის ქარცეცხლიდან უვნებლად გადარჩენილი ტყვედ ჩაუვარდა გამარჯვებულ მტერს.

იტალიელებმა დაარბიეს მთელი ოაზისი, აჰგავეს ყველა სახლკარი და ემერუსთან ერთად ტყვედ წაიყვანეს მისი ხვადი ლომიც.

— რომის ზოოლოგიურ ბაღს მოუხდება ნადაელად წამოყვანილი ხვადი ლომი აფრიკის უდაბნოებიდან.

ორი ლომის დატყვევება

მოჭანცულ ლაშქარს შესვენება ეპირვებოდა, ამიტომ იმ ღამეს ალაგობრივ დაისადგურეს.

მხოლოდ ემერუს სახლი გადურჩა სრულ განადგურებას და იტალიის სარდლობაც აქ დაბინავდა.

ემერუს ეკითხებიან:

— რათ დასოცე ტყვეები?

— დაუნდობლობა თქვენგან ვისწავლეთ!

— თქვენ რა ღირსი ხართ, ველურებო, რომ იტალიის ჯარის კაცს თავი მოჭეთოთ?

— თქვენ ჯარის-კაცებსრომ შესძლებოდათ გაცოცხლება თვითეულ მათგანს ხუთჯერ გავაგდებინებდი თავს.

— რათა, ველურო?

— თვითეული ჩვენი მებრძოლის თავი ხუთ იტალიელის სიცოცხლედ არის დაფასებული. ჩვენ ანგარიშში ბევრი იტალიელის თავი გვაკლია კიდევ.

— სად არის კოლონელი დონატო?

— პირველად მას მოვკვეთე თავი.

— აქ ვერა ვნახეთ.

— დაჭრილი იყო, სახე შეშლილი და ვერ იცნობდით.

— ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, შენც შეგრჩებოდა სიცოცხლე.

— განა ისე ცოტა მიბრძოლია თქვენს წინააღმდეგ, რომ სიცოცხლის შერჩენის იმედი კიდევ მქონოდა?

— შენ კიდევ შეგიძლია გადარჩე სიკვდილს...

— რა ფასად?

— გამოაცხადე, რომ ემორჩილები იტალიის ძლიერებას და შენმა დაბნეულმა რაზმებმაც შესწყვიტონ ბრძოლა. დანარჩენ კუთხეების რაზმებს ჩვენ თვითონ მოვურიგდებით.

— დანაკილელები მე მემორჩილებიან მხოლოდ ბრძოლაში და არა იტალიელებისადმი დამონებაში. ჩემს მოწოდებას ახალი ბრძოლისათვის ყველა გაიგებს, მაგრამ ბარალის დასაყრელად კი არავინ არ გაიგებს, არავინ!

— მაშ ალარ გინდა სიცოცხლე?

— თუ კი დაგეცემიან გადარჩენილი ჩემი რაზმები და გამანთავისუფლებენ, ან ვიბრძოლებ დროს და მე თვითონ გაგექცევით, მაშინ კი მინდა სიცოცხლე, რომ ახლად გებრძოლოთ თავგამეტებით, სასიკვდილოდ...

— მიიღებ შესაფერ ჯილდოს შენ დაუგეშავობისათვის!

— თქვენგან სხვა წყალობას არც ველოდები!

— ამალამ იფიქრე კიდევ. ღილაზე კი გადაწყდება შენი ბედი სამარადისოდ.

— ეხლავე შეგიძლიათ მომხადოთ ვალი! თქვენ მტერს ღილაზეც ისევ მტრად მნახავთ.

— მაინც ღილამდის დაგაცდით კიდევ! ეგებ შესცვალო შენი ველური ჯიუტობა!

ემერუ წაიყვანეს და ჩაჰკეტეს ერთ დარბაზში. იქვე იყო გალიაში გამომწყვდეული მისი ხვადი ლომიც.

ორი ლომის მარტოობა

რას ემერუს მაღალ გალავნიან ეზოში დაბინავდენ ლომის სათევად მკვიდრი იტალიელები.

რამდენი იყვენ იქ? ასი, ორასი, სამასი?

არავის დაუთვლია.

მთავარი ლაშქრის დანარჩენი ნაწილები კი ეზოს გარეთ იყვენ შემომწკრივებული.

განიერ გალავანზე დადიან დარაჯები.

ემერუს კარებსაც უყენია საკუთარი დარაჯი.

ლამის ჟამი გადის მძიმედ, უანგარიშოდ, ბოლმიანად.

ემერუს რა დააძინებს!

მშფოთარე მისი სული აღმოსავლეთურ დინჯ ნაბიჯებში ჩაბორკილა და ისე დადის კუთხიდან კუთხეში...

კუთხიდან კუთხეში.

მშიერი ლომიც ვერ არის მოსვენებული თავის რკინის

გალიაში და იგიც დადის მოუსვენრად კუთხიდან კუთხეში.

ხანდახან შეჩერდება. შეხედავს იგი მდუმარე ემერუს და ვერ გაუგია — რა მოხდა იმის გარშემო?

რათ იყო დილიდან საღამომდის ისეთი საზარელი ჭექა-ქუხილი, როცა იგი გრგვინავდა, ჰკვნეტავდა თავის ჯაჭვს, მაგრამ ვერ დაეწყვიტა? (ემერუს ფოლადის ხელს ისე მკვიდრად დაება იგი).

ან ეხლა რად არის მიუსაფარად რკინის ჩაშავებულ გალიაში?

რატომ არ გაუღებს ემერუ კარებს? რატომ არ ეხვევა და არა ჰკოცნის?

რატომ არ აუხსნის საიდუმლოებას დღისა და ღამისას?

რად არის თვითან ემერუ უცხო, ცივი, მიუსაკარი?

თვითან ემერუც შეჩერდება ხამუშ-ხამუშად და უცქერის თავის ლამაზ ლომს.

და რას ფიქრობს ლომი ლომზე? — რა გაიგებს მათ გულის მეტი? რა გაიგებს უდაბნოს მეტი?

დადიან, სდუმან.

იქანცებიან.

არ ჩერდებიან.

ასე ატარებს ორი ტყვე ლომი ღამის წყევას, მის სიპირ-ქუშეს.

ჰკითხეთ ემერუს!

— ორ ლომში რომელი უფრო ბედნიერია? — ის, რომელიც გათენებისას დალევს სულს იტალიის მიხვილ-ქვეშ, თუ ის — რომელიც მთელი სიცოცხლით ტყვედ იქნება იტალიაში?

მაგრამ გვესმის პასუხი:

— ლომს — ლომის ბედი ვერ შეხარბდება!

ლომების ალსასრული.

უკვე განთიადი შემოეპარა სუსხიანათ — არე-მარეს. ემერუ დაიღალა და ამოცანით მისჩერებია თავის ლომს.

ლომიც მოქნილად დადის. გავლით შეხედავს ემერუს. თითქოს ყოველ ნაბიჯში ეძებს რაღაცა გაშლილ ნახტომს და რა. შეეჯახება რკინის კუთხეს — ყალყზე შემდგარი უკანვე ხტება.

ემერუს სახეზე გაბრწყინდა რაღაცა გადაწყვეტილება.

თანაც უნდა გამოემშვიდობოს თავის ლომს.

ასწია კარი რკინის გალიას.

მშიერი ლომი გამოხტა მარდათ და მორთო სირბილი ცარიელ დარბაზში.

ემერუმ დაიპირა. მოულოქუცა. მოებვია.

დიდხანს უცქირა დანის პირად ჩაწყრულ თვალებში.

მერე თავის მხრებზე აყალყულ ლომს გაულო ხახა და ჩაუდო თავი შიგ.

— ლომმა შესჭამოს — ურჩევნია, ვიდრე იტალიის ვეფრაგმა ტყვეიამ მოულოს ბოლო.

მაგრამ ლომი ხმას არა სცემს.

ემერუ გააგდებს თავისაგან ლომს. მოიხდის ქუდს და ამითი დაუწყებს დევნას გახელებულ ნადირს.

უნდა — გააღიზიანოს, თავი შეაჭამოს, იმიტომ სდევნის ასე გაშმაგებით, ასე ჯიუტად, ასე უშიშრად.

ლომი კი ზარ-დაცემული, ემერუს გამბედაობით შეძრწუნებული დახტის კედლიდან კედლისაკენ და სჭექავს, გრგვინავს თავგამეტებით.

მის ჭექა-გრგვინვასთან ზანზარებს სახლ-კარიც, ზანზარებს გული და განთიადიც.

ემერუ დაითრო თავის ძლიერებით და უფრო ახელებს უდაბურ ნადირს.

დასდევს, დაჭკივის, აფრთხობს...

შეშინებული ნადირიც გააფთრებით დახტის კუთხიდან კუთხეში და მისი გრგვინვაც არყევს ყველაფერს მთელს გარეშოში.

დარაჯი შეშფოთდა:

— რა ამბავია ემერუს დარბაზში?

გააღებს კარებს, რომ გაიგოს რა ხდება იქ და უეცრივ შეტრიალდება მთელი ქვეყანა.

თავ-აწყვეტილი ლომი ელვის სიმკვეთრით ეძგერება მას და თავ-გაგლეჯილს ძირს დაანარცხებს.

სისხლ-გაღებული ნადირი უფრო გამხეცდა იალაღის დანახვაზე და ასხლეტილ ისარივით გადაეშვა ძირს ეზოში.

ასეთ ნადავლს კი არ ელოდა დამფრთხალი ლომი.

იგი ეძგერა პირველ მსხვერპლს.

მეორეს.

მესამეს.

გადაირია ნადირი მძორების გლეჯაში, უფრო დაითრო სისხლის მორევში და შეერია ხალხის ჯოგს საშინელ რისხვასავით.

ემერუ თან გამოჰყვა, შედგა მაღალ გალავანზე და იქიდან სცემს თავის ლომს, გადამრევ ყიჟინას.

— ეგრე ლომო!

— გენაცვალე გიჟ ფაფარში.

— დაგლიჯე ყველა!

— არავინ გაუშვა!

— იყარე ჯავრი!

— აბა, შენ იცი!

— გიჟო ლომო!

— ძლიერო ლომო!

— ხვადო ლონო!

ლონი კი დაჰქრის დაბურთხალ იტალიელებში:

ვის მუცელს ლადრავს, ვის თავს უჭეჭყავს, ვის მკლავსა ჰგლეჯავს.

ჰკვნესიან. ყვირიან. ვარბიან.

ერთმანეთში ირევიან, ეცემიან. იღუპებიან.

თბილ სისხლით, წითელ სისხლით, ეხვი სისხლით გადარეული ლონი კი უფრო მეტის სიმკვეთრით, მეტის სიმკაცრით ეძგერება ათსა და ას მსხვერპლს.

ასეთი თარეში, ასეთი დღესასწაული ჯერ არ შეხვედრია მას მთელ სიცოცხლეში.

ამ კვნესა-ვაგლახში, საზარელ გოდებაში მაინც ფოლადის ზარივით გაისმის ემერეს ყიჟინა:

— ეგრე ლონო!

— ჩემო ლონო!

— ყველა დალადრე!

— ყველას შეანანე აქ შემოქრა!

— არაეინ დაზოგო!

— დალიე სისხლი!

— თბილი სისხლი!

— იტალიელის სისხლი!

— გენაცვალე ლონო!

— ხვადო ლონო!

საერთო ზარ-დაცემის შემდეგ უკვე ვილაცები გონს მოსულან.

გალავნის მეორე მხარეს ჩამწკრივებული ჯარისკაცები ზედიზედ ესვრიან ტყვიებს წითლად მოთარეშე ლონს.

იგი დაიქრა კიდეე ბევრგან, ბევრგან, მაგრამ იგი მაინც დაელავს და ნახტომით ნახტომზე — მსხვერპლს მსხვერპლზე უმატებს.

დაგლეჯილთა კვნესა, შეშინებულთა კივილი, ტყვიების ლაწა-ლუწი, ლომის ბდღვნა და ემერუს ყიჟინი შემაძრწუნებელ ზარსა ჰქმნიან მთელს ოაზისში.

პირველის ჭრილობებით სულ-გამწარებული ლომი უფრო გააფთრდა და იმის მსხვერპლსაც ალარ უჩანს სათვალავი.

მაგრამ ზედი-ზედ მიღებული ჭრილობებით მასაც მიუწყდა თან და თან.

ბოლოს ტყვიებით დაცხავებული დაემხო და მორთო ქუხილი. მაგრამ ალარ დასცალდა:

შემდეგმა ტყვიებმა გაუღადრეს გული და შუბლი.

სიხარულით გალოთებული ემერუ ჩამოხტება ძირს, მირბის ლომისაგან დაგლეჯილ გვამებზე.

მირბის ლომისაკენ.

მივა და ჩაეხვევა მის წითლად შეღებილ სახეს. მის სისხლით დამბალ ფაფარს.

ჩაეხვევა ტყვიებით დაცხავებულ მის განიერ მკერდს და ჰკოცნის თვალებში,

ჰკოცნის ძველებურად, ემერულად...

ჰკოცნის მადლობით...

ვაჟკაცურის მადლობით...

ამ დროს რამდენიმე ტყვია ემერუსაც მოხვდება ზურგში და შეჩერდება მისი სიცოცხლე ლომის ხვევნაში.

ასე მოკვდა:

ემერუ ლომი და ხვადი ლომი.

ორი ლომი —

ერთმანეთთან გაფიცული —

სიკვდილ-სიცოცხლით.

დედა-შვილი

— დედიკო! შენ კეთილ თვალებს შემოვევლე, გამიშვი რა ქალაქში სასწავლებლადა!

— ხან იძახი სამუშაოთაო! ხან იძახი სასწავლებლათაო. მე შენი ვერაფერი გამიგია!

— სამუშაოდაც და სასწავლებლადაც!

— ორთავე ერთად, ჰა!

— ჰო, ჰო, დედიკო! კიდეეაც ვიმუშავებ და კიდეეაც ვისწავლი.

— არა, შვილო, არა! ეგეთ რამეს ნუღარ გამაგონებ, თუ ცოტა ხათრი კიდევ გაქვს ჩემი!

— რა არის, ადამიანო, ეგეთი ახირებაი! ესე მურაზათ ჩამიდვია გულში სწავლაი და შენ კი ნებას არ მაძლევ!

— ვერა, შვილო! დედისერთა გოგო ხარ გენაცვალე, ვერ გელევი, ვერა! საწყალი მამაშენი რომ კვდებოდა, სულს აქ მიტოვდა — ჩემ კოკოროჭინა გოგოს გაუფრთხილ-დიო! შენ კი ეხლა მარტოდ გაგიშვა ქალაქში!

— მარტო რათაᲗ აი ჩვენებიანთ მათიკოც ხომ მოდის, თათარაანთ ნინაცა!

— არა, შვილო, არა! ყრუ ვარ ეგეთ თხოვნაზე! არ შესმის, არა! რომ ან კოპლი იყვე, ან ბრმა, ან ყბა მოლრეცილი კიდევ მესმის! ეგეთი მარწყვივით გოგო და ისიც ჩვიდმეტი წლისა სად უნდა გაგიშვა უდედოდ იმოდენა ქალაქში!

— სწავლა მინდა, დედიკო, სწავლაი! მეც უნდა ადამიანებში გავერიო!

— როგორ! ამოდენა კოლექტივის ხალხი დასაწუნიც გაგიხდა! მაშ ჩვენ ადამიანები ალარა ვართ, ჰა!

— ყველაც ძალიან კარგია, მაგრამ მე მეტი მინდა, მეტი! ბოლოს თვითონ კომკავშირმა არ აგვირჩია ეს სამი საუკეთესო — ქალაქში გასაგზავნათა!

— ნუ, ჩემო გოგო, ნუ დამიბრმავებ ორთავე თვალსა, აგრემც გენაცვლები ორთავე თვალითაცა და მთელი სიცოცხლითაცა! პირში სული იმიტომ შემრჩენია, რომ შენ გიცქერო, შე მაიმუნო, და შენ კი...

— დედიკო! ჩემო კარგო დედიკო! მე დარწმუნებული ვარ, რომ არ ინანებ. მაშ ნუ დამიშლი! მითხარი გზა მშვიდობისათქო!

— უწინამაც ენა გამხმობია, რომ მე ეგ არ გითხრა! როგორ! დედის ერთა ვოგო, ობლობაში და წვალებაში გამოზრდილი გოგო ეგრე გაეუშვა ღვთის ანაბარად ათასნაირად აჭრელებულ ქალაქში?

— ღვთისანაბარად კი არა, დედიკო, არაფედ მთავრობის ანაბარად, პარტიის ანაბარად, კაი ხალხის ანაბარად, მაშა!

— არა, შვილო, არა! ნულარ გამიმწარებ ორი დღის სიცოცხლესა! ჯერ შენი ხელით მიწა მომაყარე და მერე რაც გინდა ჰქენი. მერე ქალაქსაც ნულარ დასჯერდები, თუნდა მთელი დუნია ფეხქვეშ ამოვიდვია!

— მაშ არ მაძლევ ნებას, დედიკო?

— არა, შვილო, არა!

ელიკოს ძალიან უყვარდა დედა, მაგრამ მისი ნატვრა უფრო ძლიერი გამოდგა. ამიტომ ალარ გაუგონა დედას და გასწია ქალაქისაკენ.

* * *

გრუზა თმიანი, ცქრიალა და კოხტა გოგო ელიკო ხალისით შეიჭრა დიდი ქალაქის დიდ ცხოვრებაში.

აბრეშუმის ფაბრიკაში მოეწყო თავის ამხანაგებთან ერთად.

ახალი პირობები, ახალი ხალხი, ახალი ცხოვრება ელიკოშიც აღვიძებდა ახალ და ახალ ფიქრებს, ახალ და ახალ ძალღონეს.

კოხტა გოგო ელიკო ხელში რომ ართავდა აბრეშუმის ძაფებს, თავშიც შრიალებდენ აბრეშუმის ფიქრები, გულშიც ულიტინებდენ აბრეშუმის ნატვრანი.

ყველაფერი უსრულდება ისე, როგორც უნატრია ლამლამე ძილგატეხილს, როგორც უნატრია კოლექტივის მინდვრებში მუშაობისას, როგორც უნატრია ცაში მონავარდე ჰაეროებზე ცქერისას.

სადილობამდის მუშაობს ფაბრიკაში, სადილობის შემდეგ კი სწავლობს.

ბედნიერია, კმაყოფილია ელიკო თავისი ცხოვრების დილა-საღამოთი და დედიკოსაც უზიარებს თავის სიხარულს.

„დედიკო! დედიკუნა! შენი გაუგონარი მათხოვი გოგო ძალიან კარგათა ვარ ამ შენგან ათვალისწინებულ ქალაქში. სულ ვმუშაობ და ვსწავლობ. მე, მათიკო და ნინა ერთად ეცხოვრობთ. ახალი ამხანაგებიც ბევრი მყავს ეხლა.

„რომ იცოდე რა ბედნიერი ვარ, მაშინ შენც გიხარებ ჩემსავით, ჩემო საყვარელო კარგო დედუკუნა!

„ჩქარა, ჩქარა გაგახარებ ჩემი სწავლით და ყველაფერს მაპატიებ შენ გაუგონარ საძაგელ გოგონას!

„გკოცნი და გეხვევი ყელზე. შენი ელიკო“.

მუშაობიდან მოცლილი მაგდა ჩამომჯდარა სახლის საძირკველზე და მეხუთედ კითხულობს თავისი კეთილი გოგოს მონაწერს. ჰგონია ყოველი ახალი წაკითხვით რაღაც ახალ აზრავს გაიგებს თავისი გოგონას შესახებ, რაც თითქოს უნებლიედ გამორჩა წინა წაკითხვის დროს.

ბოლოს გამოართვა თავმჯდომარეს ერთი თაბახი ქალალდი და შეუდგა საკუთარი ხელით პასუხის გამოთქმას საკუთარი გოგონასადმი.

„თუ შენ ბედნიერი ხარ, ჩემო კოკრიჭინა გოგო, მეც ბედნიერი ვარ. მე პირში სული მბოლოდ შენთვის მიდგია. რახან არ გამიგონე და თავნებად გაიარე, სახელოვნად მაინც გამოდი, რომ ყველა შეგნატროდეს.

„ჭკუით მოიქეცი, კაი ამბანაგებთან იარე, ბიჭებუჭებს ხრ აჭყვე უშნოთა. ეინმემ რომ შენი საძრახისი მითხრას, ვიწა რო გამისკდეს და ჩამიტანოს ის მირჩევნია.

„რაც იმუშაო სულ შენ თავზე მოიხმარე, ჩემო ურჩო, ჩემო საყვარელო გოგონი!

„თუ კარგად მოიქცევი და კარგად ისწავლი, სიხარულით მამაშენიც კი საფლავში გადატრიალდება.

„მართლა, რატომ არა მწერ, შვილო, რასა სწავლობ? ეს ვიცი, რომ აბრეშუმის საქმეზე მუშაობ, მაგრამ სწავლისას კი ალარაფერს მატყობინებ.

„ყველაფერი მომწერე, შვილო! ამ პატარა წვრილებით მაინც გამახარე ხოლმე შენს ნახვას დანატრებული შენი მშობელი.

„თუ შენც მოგენატროს ჩემი ნახვა, მომწერე გენაცვალე და იმავე დღეს წამოვალ შენს სანახავად.

„გწერს შენ ნახვას დანატრებული დედა შაგდა.

* * *

ელიკოსავით კუდრაპა და ცელქი დღეები ზედიზედ მიჰქრიან, მიგოგმანობენ.

ელიკოც ყოველდღიურად სულ წინ მიდის. მიდის თუ ბიფრინავს — ვეღარ გაურკვევია, მუშაობა და სწავლა ნამდვილ დღეობად გადაჰქცევია.

ცხოვრების ნაყოფიერ მკერდს ასე ხარბად დაწოფებული გოგონა რამდენ რამეს იძენს, რა სისწრაფით იზრდება — თვითონაც უკვირს. მან ჯერაც არ იცის, რა არის დაღალვა და გაბეზრება. პირიქით, ის ერთობა მუშაობითაც, სწავლითაც და როცა მოიცლის, თავის ხალისიან ამხანაგებს არ ჩამორჩება არც სიმღერაში, არც თამაშში, არც სხვა მრავალგვარ გართობა და ვარჯიშობაში.

მისი დედიკო კი ხამუხამუშ გაახარებს ხოლმე სოფლიდან ნუგბარად გამოგზავნილი ამანათით.

აი ეხლაც თვალებანთებული ელიკო გზნებითა კითხულობს საბჭოთა კავშირის გადაფრენაზე ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ და ამ დროს მის კარებთანაც მოფრინდა დედისაგან გამოგზავნილი ამანათი.

გიჟმაჟა გოგოებმა და ბიჭებმა მაშინათვე სიხარულის ყიჟინა დასცხეს.

— მოვიდა, მოვიდა, რასაც ველოდით!

ფრთებ შესხმულმა ელიკომ ბიმინოსავით აიტაცა ამანათი.

— შენ კი გენაცვალე ხელებში, ჩემო საყვარელო დედიკო!

— ხელებში კი არა გულში, გულში, გოგო!—შესძახის მათიკო.

— გულშიაც ეენაცვალე და ხელებშიაც, ჩემ ლამაზ დედიკუნას.

გახარებული ამხანაგები ერიამულით შემოეხვიენ ამანათს.

— გახსენი, გოგო! გახსენი ჩქარა! დამბლა ხომ არ დაგემართა ხელებში!

— მე ვაშლის სუნი მომდის!

— მე კიდევ მსხლისა! გულაბი ყვითელი მსხლისა!

— მე კი ჩურჩხალების სუნიც მომდის!

ელიკო ხსნის, კისკისებს და თან...

— ყელზე დაგადგეთ ვაშლიცა, მსხალიცა და ჩურჩხალაცა თქვე მსუნაგებო, თქვენა!

სიცილით, ხარხარით, ოხუნჯობით სულერთიან გასთაქეს ელიკოს გემრიელი ძღვენი.

— გოგო, ელიკო! რა არის დედაშენი ცოტა მეტს ვერაფერს ვერ გამოგზავნიდა!

— ელიკოს ალბათ არ მიუწერია, რომ კარგი ამხანაგებიცა ყავს აქა!

— მისწერე გოგო! მისწერე! ამას იქით იცოდეს დედაშენმა და უფრო მეტი გამოგზავნოს ხოლმე, რომ ცოტა შენც გერგოს რამე!

— მე მივწერ, რომ ამას იქით ალარაფერიც არ გამოგზავნოს. თქვენისთანა მსუნაგებს სამტრესტიც კი ვერ გაძღობს, არამც თუ საწყალი დედაჩემის მიერ გამოგზავნილი ძღვენი!

გიჟმაჟა გოგონებმა და ბიჭებმა ასე ჩაიტკბარუნეს პირი, იოხუნჯეს, იმხიარულეს და ბოლოს კოლექტიურად მადლობის წერილი მისწერეს დედას.

თვითონ ელიკომ კიდეე ცალკე ბარათი შიაყოლა საყვარელი დედის გასახარად.

„ჩემო კარგო, დედიკო! არ მოიწყინო! ოქტომბრის დღესასწაულზე რამდენიმე დღით თავისუფალი ვიქნები და უეჭველად მოვალ, მოვალ და გაგახარებ კიდეც, ძალიან გაგახარებ!

„შენი ურჩი და საძაგელი შვილი — ელიკო".

* * *

ოქტომბრის დღესასწაულია.

ხაშურის გარეთ ტრიალ მინდორზე აუარებელ ხალხს მოუყრია თავი საზეიმო შეკრებაზე. ახლო მახლო სოფლის

მცხოვრებლები, განსაკუთრებით კოლექტიველები სულ აქ არიან.

მაგდაც იქავე ტრიალობს თავის მეზობლებთან ერთად. მაგრამ ის მოსვენებას ვერსად პოულობს.

წამსა და უწამოს შუბლზე ჩამოიფარებს ხელსა ო გასცქერის სადგურის გზას. ყოველ წუთს ყოველ ...ბელზე ელის ელიკოს, დედისერთა გოგო ელიკოს.

შორიდანვე აკვირდება ყველა მომავალს, ყველაში ეძებს თავის ერთადერთ ნუგეშს ელიკოს. მაგრამ ის ცულ-ლუტი გოგო არსადა სჩანს. ნუ თუ მოატყუა თავის საყვარელი დედა, რომელსაც ლამის თვალები გამოალამდეს მის გზაზე ცქერით?

შეშფოთებულმა მაგდამ ალარ იცის სად წავიდეს, ვის დაელაპარაკოს, როგორ დალიოს წლად გადაქცეული თვითეული წუთი.

შფოთავს და ღელავს დედის გული. ათასგვარ საშინელებაზე ფიქრობს, რომელიც შეიძლება თავს დაატყდა მოულოდნელად მის სათაყვანებელ კოკრიჭინა გოგონას.

ჰაერში გაისმა გუგუნი.

ყველამ ცას შეხედა. ბავშვებმა შეჰქნეს ყიჟინა და ხტუნაობა.

— ჰაეროპლანია!

— ჰაეროპლანი!

ათასი თვალი ყველა ღიმილით ეგებება ფოლადის ჩიტუნას. მაგდასაც თითქოს წუთიერად დაავიწყდა თავისი დედისერთა გოგონას დარდი და იქ მისჩერებია ცაში.

უცებ ხალხში შეიქნა ჩოჩქოლი.

— რაღაცა გადმოაგდო!

— ტომარასა გავს!

— არა, ჯორკა რაღაცა თითქოს!

— გასასკდომი არაფერი იყვეს, კაცო! გამოეცათ აქეთა!

უცებ ხალხში შეიქნა სულ სხვა განგაში:

— ქოლგა ყოფილა, კაცო, ქოლგა! უყურეთ რა ლამაზათ გაიშალა.

— ბოლოზე კი კაცი უნდა იყვეს მე მგონი; უყურეთ როგორ ინძრევა!

— ჰო, მართლა კაცია, უყურეთ ფეხებსა!

— ხელებსაც აქნევს, ხელებსა!

მაგდა კი გაჰკივის:

— უშველეთ, ხალხო! მიწაზე რო დაენარცხოს, ხო სული აღარ დაჰყვება!

ამ დროს პარაშუტი დაეშვა მიწაზე.

მთელი ხალხი იქითკენ გაექანა. მაგდაც გარბის კრიალხით.

— ვაი მაგის გამწარებულ დედასა! მაგას რაღა აცოცხლებს, ხალხო! მიწას დაასკდებოდა ვაშლივითა. უშველეთ ჩქარა, ეგებ კიდევ მოუსწროთ ცოცხალსა!

ამ ვაივაგლახით მაგდა მიარღვევს წრეს პარაშუტისაკენ. ამ დროს ვილაცის მძლავრი მკლავები შემოეჭედენ მის ყელს. ვილაცის მხურვალე ტუჩები ჰკოცნიან იმის თვალებს.

— დედა, დედიკო! ეს მე ვარ გენაცვალე, შენი ელიკო!

მაგდას ერთხანად სული ვერ მოუთქვამს, გაბრუებულივით ტორტმანებს. ბოლოს თითქოს გონს მოვიდა:

— ჩემო დედისერთა გოგო! ჩემი ელიკო! ეს შენ იყავი გენაცვალე ციდან რო ჩამოფრინდი?

— მე ვიყავი, დედიკო, მე! ხომ შეგპირდი, საოქტომბროდ მოვალ მეთქი. აი კიდევაც შეგისრულე დაპირება!

მაგდას სიხარულისაგან ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდის.

— ხალხო, მოშილოცეთ ხალხო! ხო ხედავთ, რა ბედნიერი დედა ვარ! შვილი ციდან ჩამომიფრინდა!

ხალხი სიხარულითა და აღტაცებით ეხმაურება დედა-შვილის შეხვედრას.

მაგდა ღვრის ნეტარების ცრემლებს, ეხვევა თავის თერთმეტი თვის უნახავ გოგონას და თან ლუღლუღებს:

„შენ გენაცვალე, შენა, ჩემო ზეციდან მოფრენილო გოგონი!

პირველი ზარდაცემა

მსოფლიო ტორტმანობს

დიდ მოვლენათა მოწმედ შესწრება ცხოვრების თავისებურ ჯილდოთ უნდა მიიჩნიოს ადამიანმა.

ოცი წლის წინედ დაირღვა იმპერიალისტური მსოფლიოს ხიშტებზე დამყარებული მშვიდობიანობა.

დედამიწას ოდითგან არ ახსოვს ესოდენი ნივთიერი სიკეთის განადგურება — როგორც ამ ომის დროს.

კაცობრიობას ისე მწარედ არასდროს არ დაუკვნესია— როგორც ამ ომის დროს.

ამ ბუმბერაზულ ძალთა შეჯახებაში საბედისწეროთ დაწიოკდენ ოდესღაც ძლევამოსილი იმპერიები. სამაგიეროდ აღსდგენ ცხოვრების ანგარიშიდან მივიწყებული ბევრი ქვეყნები და სახელმწიფოები.

მაგრამ ისტორიის ახალი მიჯნების შემქმნელ ამ ტიტანიურ დაღუპვასა და წარმოშობაში კაცობრიობის უფრო სხვა სახეა საყურადღებო:

ამ ომმა შეარყია თვით ფუძე ძველ ურთიერთობაზე დამყარებულ ქვეყნიერებისა. ამ ომით დაიწყო დაღუპვა იმპერიალისტური მპყრობელობისა. სამაგიეროდ ამ ომში ჰპოვა მძლეთა-მძლეობა პროლეტარულმა იდეოლოგიამ, რომელიც სინამდვილედ იქცა საბჭოთა ხელისუფლების სახით.

ეს ხელისუფლება აღმავალი კლასის, პროლეტარიატის მრისხანე სახელმწიფოდ დამკვიდრებულა დასავლე-

თად და აღმოსავლეთად შუაზე გახლეჩილ ევროპის ნახევარზე, სამხრეთად და ჩრდილოეთად შუაზე გახლეჩილ აზიის ნახევარზე.

მაგრამ ეს არის მხოლოდ გეოგრაფიული სახე პროლეტარული სახელმწიფოსი, თვით იდეა კი ამ სახელმწიფოსი, იდეა ბოლშევიზმისა და კომუნიზმისა ურაგანივით იქრება სახელმწიფოდან სახელმწიფოში და საძირკველში არყევს შიშით შეპყრობილ ბურჟუაზიულ სამყაროს.

ეს არის ზოგადი ჩონჩხი მსოფლიოს იმპერიალისტური ომისა.

ბევრი ისტორია უკვე დაიწერა ამ ომზე. უფრო მეტი კიდევ შემდეგში დაიწერება; ასი, ორასი, ათასი წლის შემდეგ, როგორც ახლა იწერება ძველი ქვეყნების ისტორია.

მაგრამ მოვლენების უშუალო მოწმის შთაბეჭდილებასაც აქვს თავისებური სურნელება, რასაც ვერცერთი ისტორიკოსი ვერ გადასცემს შთამომავლობას.

ოცი წლის იქით, მსოფლიო ომის დასაწყისიდან შერჩენილი ზოგიერთი შთაბეჭდილება მეც მინდა გავუზიარო მკითხველს, განსაკუთრებით კი ახალთაობას.

ეს შთაბეჭდილებანი შეეხება განსაზღვრულ კუთხეს: სახელდობრ — პარიზს. მაგრამ საფრანგეთი და მაშასადამე პარიზი — ეს ხომ ერთი უმნიშვნელოვანესი კვანძი იყო იმპერიალისტური ჯადოსნური ხლართისა!

* * *

1914 წელი. ივნისის მიწურულებია.

ორი კვირაა ლონდონში ვარ. ეს ხომ უდიდესი ქალაქია მთელ დუნიაზე. მაინც მისი არაფერი არ მხიბლავს: ის მოცულობით არის დიდი და არა სულით, შინაარსით.

ყველაზე მეტად მიზიდავს „რეჯინა-პარკი“ და იქ გაშლილი ზოოლოგიური ბაღი. ახლაც დაებრუნდი იქიდან.

გზაზე ვიყიდე პარიზის ყველა მნიშვნელოვანი გაზეთები. იწყება მადამ კაიოს პროცესი.

ეს პროცესი არ არის მარტო ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული დრამა. ეს არის დღევანდელი საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების მკვეთრი მოვლენაც. ამიტომ მისჩერებიან განსაკუთრებული ყურადღებით ამ პროცესს განა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელს ევროპაშიც.

M-me კაიო ერთერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის და რადიკალ-სოციალისტების ბელადის — ჟოზეფ კაიოს მეუღლე არის. კაიო მინისტრ-პრეზიდენტად იყო 1911 წელს. მან სახელი გაითქვა თავისი რეაქციონური პოლიტიკით. სოციალისტები და სინდიკალისტები მას უწოდებდენ „საფრანგეთის სტოლიპინს", „სისხლიან კაიოს".

მაგრამ კაიომ ერთი დიდი სიკეთე მაინც ჩაიდინა. ამ დროს მაროკოს შესახებ საქმე მეტისმეტად იყო გამწვავებული გერმანიასთან. კაიომ თავისი კომბინატორური დათმობით იმდენი მოახერხა, რომ საფრანგეთს ომი ააცდინა. ამგვარად იგი იხსნა სრული განადგურებიდანაც.

მაგრამ რეაქციონურმა საფრანგეთმა საკითხის ასეთი მოგვარება დამსახურებად კი არ ჩაუთვალა კაიოს, არამედ გამოიყენა მის საწინააღმდეგო ბრალდებად.

ამას ზედ დაერთო მეორე გარემოებაც: 1913-14 წელს ფინანსთა მინისტრად ყოფნის დროს კაიომ მოინდომა საშემოსავლო პროგრესიული გადასახადის შემოღება. ამის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა რეაქციონურმა ბურჟუაზიამ. კაიოს საწინააღმდეგო კამპანიას ყველაზე ღვარძლიანად ეწეოდა გაზ. „ფიგარო" — მისი დირექტორის გასტონ კალმეტის მეთაურობით.

კამპანიამ საზიზღარი ხასიათი მიიღო. კალმეტმა კაიოს პრესტიჟის გასანადგურებლად დაიწყო მისი ინტიმური წერილების ბეჭდვა.

პოლიტიკური ბრძოლის ასეთი ფორმა ეელარ აიტანა კაიოს მეუღლემ. ერთ დღეს ეწვია კალმეტს რედაქციაში და სიცოცხლეც მოუსპო ბრაუნინგის ტყვიით.

ამან უფრო გაამწვავა საქმე. მთელი საფრანგეთი ორ ბანაკად გაიყო. კაიო იქცა პოლიტიკურ წამებულად რეაქციის ხელში და დღეს მთელი მემარცხენე ფრონტი მას უჭერს მხარს.

დღეს XI-ის კაიოს პროცესის სახით ერთმანეთს ეჯახება ორი პოლიტიკური ბანაკი.

ამ პროცესზე დამცველებად გამოდიან საფრანგეთის ადვაკატურის ყველაზე სახელოვანი წარმომადგენლები: ლაბორი — კაიოს დამცველად და როშერი — მოწინააღმდეგედ.

ამ პროცესის უბრალო წვრილმანიც კი სენსაციად აქვთ გადაქცეული ყველა გაზეთებს.

წლების განმავლობაში მეც სავსებით შევესისხლხორცე საფრანგეთის ცხოვრებას. დღეს ჩემი ყურადღებაც ისევეა შებოჭილი ამ პროცესით — როგორც ყოველი ჟეშმარიტი ფრანგის.

ვკითხულობ ამ პროცესის ამბებით გაჭედილ გაზეთებს და აგერ უცებ წავაწყდით თითქოს შემთხვევით მოთავსებულ ცნობას: სარაევოში ვინმე სერბიელ ახალგაზრდას მოუკლავს ავსტრო-ჰუნგრეთის მემკვიდრე ფრანს-ფერდინანდი.

მე კარგად მახსოვს ატმოსფერა რამდენჯერმე უკიდურესობამდის გამწვავებულ მაროკოს საკითხისა, იტალია-ოსმალეთის ომის, ბალკანეთის ამხედრების. ყველა ამ მომენტების დროს შეუძლებლად ვსთვლიდი მსოფლიო ომის დაწყებას.

ახლა კი ამ სარაევოს მკვლელობით აუცილებლად მოშეჩვენა ომი დიდ სახელმწიფოთა შორის.

მაშ ალარ ღირს ხეტიალი. ჩემ ბუდმივ სამყოფელს პარიზი წარმოადგენს. ისა მაქვს მიჩნეული ჩემი ცხოვრების ნავთსაყუდარად.

ომის მოლოდინით ასწრაფებული მეორე დღესვე დავბრუნდი პარიზში.

* * *

გადის კვირა, ორი კვირა.

არავის ულტიმატუმი არ ეგზავნება. არავინ მობილიზაციას არ ახდენს.

ნუ თუ მშვიდობიანად ჩაივლის ყველაფერი ეს?

მაგრამ დაკვირვებული კაცი აშკარად შეატყობდა თუ რა სულშეხუთული პოლიტიკური ატმოსფერა შეიქმნა სთელს ევროპაში.

მაინც ომის აუცილებლობაში რაღაც იქვს ჰბადებს ზოგიერთი უცნაური ამბები: მაგალითად დასასვენებლად ვიდიან ავსტრიის სამხედრო მინისტრი და გენშტაბის უფროსი. გერმანიისა და რუსეთის დიდ პოლიტიკურ პირებსაც ახლა მოუნდათ დასვენება და სადღაც გასეირნება. აგერ საფრანგეთის პრეზიდენტი პუანკარე და მინისტრ-პრეზიდენტი ვივიანიც სასტუმროდ გაემგზავრენ ნიკოლოზ მეორესთან.

რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ნუ თუ ევროპის პოლიტიკის უდიდესი პასუხისმგებლები მართლა არსაიდან არ ელიან საფრთხეს და ასე გულდამშვიდებით დასეირნობენ?

მაგრამ არა! ყველაფერი ეს თურმე განგებ მოაწყეს ერთმანეთის თვალის ასაბმელად, ზოგიერთის ფხიზელი თვალი და გონება სწორედ ასეთ ამბებში ჰხედავდა კიდევ უფრო მეტ საფრთხეს.

რამდენიმე დღის წინედ საფრანგეთის პალატაში საკითხი იდგა პუანკარესი და ვივიანის რუსეთში მოგზაურობის ხარჯების გასაღებად.

ჟორესმა სასტიკად გაილაშქრა ამ ხარჯების წინააღმდეგ. ის თავისი მძლავრი ლოლიკით და ცეცხლოვანი ტემპერამენტით ამტკიცებდა, რომ პუანკარეს შეხვედრით ნიკოლოზთან კიდევ უფრო განმტკიცდება საფრანგეთ-რუსეთის მეტად სახიფათო და არაბუნებრივი კავშირი. ეს კი ნიშნავს ახალ პოლიტიკურ ვალდებულებების მიღებას. ჩვენ კი უხეშ, თვითმპყრობელურ რუსეთთან საერთო არაფერი გვაქვსო.

პუანკარე და ვივიანი მაინც გაემგზავრენ.

ისინი ალბათ ელოდენ პეტერბურგის ლამაზ პროსპექტებზე ზეიმით შეხვედრას. მაგრამ გაცრუვდა მათი რეაქციონური რომანტიკა და ფანტაზია.

ხანგრძლივ ბრძოლებში ნაკადი პეტერბურგის პროლეტარიატი ისევ ამძვინვარდა. გაფიცვა მოედო ქარხნიდან ქარხნებს, რაიონებიდან რაიონებს. ქუჩებში ყოველდღე იმართება გრანდიოზული დემონსტრაციები. ხდება სასტიკი შეჯახებანი პოლიციასთან და ჟანდარმერიასთან.

გაზეთებში ყოველდღიურად ვხვდებით მოკრძალებულ ციფრებს: დემონსტრაციის დროს მოკლულია 3, ან 5, ან 6 მუშა. დაჭრილია იმაზე მეტი.

გამოცდილებით უკვე ვიცით — რას ნიშნავს ეს. ფრანგული გაზეთები გულისტკენით ძუნწად იძლევიან ამ ცნობებს. ოდესღაც რევოლუციონური პარიზი დღეს როგორ კანკალებს' რევოლუციონური პეტერბურგის წინაშე!

პუანკარეს ერთი საზეიმო გასეირნებაც ვერ მოუხდა პეტერბურგის ქუჩებში.

მაგრამ სასახლეში ჩაკეტილი — ეტყობა მთელ დროს უფრო ნაყოფიერად ხარჯავს თავისი პოლიტიკის პირქუშ საქმეებზე.

ორ წელიწადში ეს კაცი ნამდვილ დიქტატორად გადაიქცა საფრანგეთში. ასეთი თვითნება და აქტიური პო-

ლიტიკური მოღვაწე არ ახსოვს რესპუბლიკურ საფრანგეთს ერთი წლის წინედ აირჩიეს პრეზიდენტად და იმ დღიდან ხელში ჩაიგდო საფრანგეთის პოლიტიკის მთელი სადავე. რამდენჯერმე ძალის-ძალათი მოახვია პარლამენტს თავზე ისეთი მთავრობა, რომელიც მისი პოლიტიკის ბრმა გამტარებელი იქნებოდა. უდიდესი როლი ითამაშა სამხედრო სამსახურის სამ წლამდე აყვანაში — ორი წლის მაგიერ. განსაკუთრებით მჭიდრო და გულითადი კავშირი დაამყარა ნიკოლოზ მეორესთან. მთელი რეაქციონური საფრანგეთი ისეთი მოწიწებით იხსენიებს ამ თვითმპყრობელს — თითქოს საკუთარი იმპერატორი იყვესო.

ერთი სიტყვით პუანკარე თავისი დიქტატორული მოქმედებით ყოველნაირად ამწვაფებდა საერთაშორისო მდგომარეობას და ხელს უწყობდა მსოფლიო კატასტროფის მოახლოებას. მისი პოლიტიკის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა ორგანიზაციულად დარაზმული მთელი მუშათა კლასი. რამდენიმე თვეა უკვე გააფთრებული კამპანია სწარმოებს „პუანკარე-ომის“ წინააღმდეგ. გაზეთები ლამის ყოველდღე გამოდიან ანშლაგით —

ვერსალში! ვერსალში!

(ე. ი. მოხდეს პრეზიდენტის ახალი არჩევნები, რაც ტრადიციულად ხდება ხოლმე ვერსალში პარლამენტისა და სენატის შეერთებულ არჩევნებით).

ეს კამპანია ორი კვირის წინედ უცებ შენელდა. ახლა კი საგსებით ჩაქრა რაღაცა დიდი ამბების მოლოდინში.

*

როგორც იქნა გამოირკვა ეს სულშემხუთავი მდგომარეობა: ავსტრიამ ულტიმატუმი გადასცა სერბიას.

მორჩა! ეს უკვე ომია! ამას აღარ უნდა დიდი მიხვედრა და საგანგებო წინასწარმეტყველობა.

ახლა აღარაევითარი მოჩვენებითი საშშეიდობო ზომა
არ გასჭრის. ახლა ყველას აუცილებლად მიაჩნია ომი.

მაგრამ ათეული წლობით რომ ემზადებიან ამ ომისთვის, ახლა მაინც თითქოს სახტად დარჩენო და სცდილობენ სხვადასხვა საბაბით მოიგონ ერთი-ორი დღე.

უკვე დაიწყო ომის ციებ-ცხელება.

უკვე სულ სხვანაირი გახდა ხალხის სიარული, მათი გამომეტყველება, მათი კილო საუბრისა, რაღაც ახალი ტემპი, ახალი იერი, ახალი ატმოსფერა იქმნება ქუჩაში, მეტროში, კაფეში, მოედანზე.

იაფ-ფასიანი გაზეთები უკვე ანთებენ შოვინიზმის ჭიაკოკონას. ამ საქმეში ერთმანეთს ეჯიბრებიან „მატენი", „ჟურნალი", პტი პარიზიენი", „ეკო დე პარი".

მთელი საფრანგეთის მკითხველი მასის უმრავლესობა კი ამათ ხელშია. როგორც ყოველთვის — დარბაისლურად უჭირავს თავი საგარეო პოლიტიკის ტონის მიმცემ რეაქციონურ „ტანს". ის არ ხარჯავს იაფფასიან სააგიტაციო მასალას, მაგრამ მისი ყოველი წერილი — ეს მძიმე არტილერიის გამოტანაა ბრძოლის ველზე.

მხოლოდ ჟორესის „ლ'უმანიტე" სდგას მშეიდობიანობის სადარაჯოს მწვერვალზე. მაგრამ ყველა გრძნობს — ომი აუცილებელია. აღარას გზით არ გადაიდება იგი: ეს იქნება მოვლენების განვითარების ულოგიკობა, ძალთა ჭიდილის უკუღმა შეტრიალება, სტიქიონების შებოჭვის ამაო ცდა. ეს კი არ მოხდება, არ მოხდება. ამას უმალლეს ჭეშმარიტებასავით განიცდი რაღაც მეექვსე გრძნობით.

თან გაჟრჟოლებს: არ იცი, რა სახის იქნება ეს ომი. თან გეჩქარება: დაე, ბარემ მოხდეს აფეთქება. წუთები იზრდებიან, აუტანელი ხდებიან: ვერსად ვერ ისვენებ, ვერაფერს აკეთებ, ვერ იძინებ, ვერცა ფიქრობ გარეშე

ომისა. ამ მოწამლული ატმოსფერით დამთვრალი ფიქრობ მხოლოდ:

როდის და ვინ — ვის?

აჰა, ბოლოს ავსტრიამ გამოუცხადა ომი სერბიას.

უკვე მოსქდა ომის ნიალვარი, მას ვეღარავინ შეაჩერებს. დღეს ან ხვალ იგი წალეკავს მთელს ევროპასა და რა იქნება შემდეგ, რა იქნება შემდეგ — ამას ალარავინ უწევს ანგარიშს.

მთელი ფიქრი, მთელი სულისკვეთება დღევანდელი დღით არის გაჟღენთილი, დღევანდელი დღით არის დამათვრალი:

დღეს კი იწყება ომი: მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების ათეულ წლობით დაგროვილი ენერგია: იარალი, სიმდიდრე, ცოდნა, ნებისყოფა, ვაჟკაცობა — ერთმანეთს უნდა შეეჯახონ სამკვდრო-სასიცოცხლოდ.

გარდა ამისა ერთმანეთს უნდა შეეჯახოს უტიფრობა და მშრომელი კაცობრიობის ბსტატური მოტყუებაც.

* *

პუანკარე და ვივიანე ჰაიჰარათ მოეშურებიან პარიზისაკენ სწრაფმავალი კრეისერით. როგორც გავლისას, ისე გამოვლისას გზაში ხვდება გერმანიის ჯავშნოსანი და სამხედრო ხალამს აძლევს თავის ბვალინდელ მოსისხლე მტრებს. ეს ქცევა წარმოადგენდა გულისხმაში ჩასაგდებ გოროზ მუქარას: არ დაგავიწყდეთ! საფრანგეთსა და რუსეთშუა იმყოფება გერმანია, რომელსაც უნდა გაუსწოროთ ანგარიშიო.

შეირყენ მუშათა მასებიც. მათი რევოლუციური გრძნობა ჯერამ არ შელახულა შოვინისტური თავბრუდახვევით.

„ლ'უმანიტე", „ლა ბატაი სინდიკალისტ" იწოდებენ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაზე.

რევოლუციური პეტერბურგით გუნებაწამხდარი პუანკარე და ვივიანი სასტიკად კრძალავენ ამ დემონსტრაციას.

საღამოზე მუშები მაინც გროვდებიან ყველაზე აპილპილებულ, ყველაზე სულგაყიდულ და ყველაზე გავრცელებულ გაზეთ „მატენის“ რედაქციასთან — მთავარი ბულვარების ცენტრში. მასობრივად უკანასკნელად მხოლოდ აქ გაისმა კიდევ:

— ძირს ომი!

— ძირს ბურჟუაზიული იმპერიალიზმი!

— გაუმარჯოს კლასობრივ ომს!

იშვიათად გაწრთვნილი პარიზის პოლიცია გულხელდაკრეფით არ უცქერიდა ასეთ „მოლალატურ“ გამოსვლას მუშათა კლასისას, „პატრიოტურ“ გრძნობით შეკუმშული მათი მუშტები მრავალმა ასეულმა მუშამ იგემა. მრავალიც მიაბრძანეს კომისარიატში.

სამაგიეროდ აგერ თითქოს მიწიდან ამოძვრენო ომის პირქუში მოციქულები: ყოველი მხრიდან მოფრიალებენ სამფეროვანი დროშები — გამოთაყვანებული პატრიოტული წარწერებით. ყველაზე „მრისხანე“ წარწერას წარმოადგენს —

— ბ ერ ლ ი ნ ი ს კ ე ნ! ბ ერ ლ ი ნ ი ს კ ე ნ!

უცქერი ამ უჩვეულო ალტყინებით შეპყრობილ ბრბოს, გინდა გამოარკვიო. მისი სოციალური სახე, მაგრამ... აქ უნდა იყვენ მოსწავლეები, ნოქრები, პატარა ვაჭრები და რანტიეები, კომი-ვოიაჟორები, ქუჩაში ათასობით მოხეტიალე გამოურკვეველი პროფესიის ხალხი. ერთი კია: მუშებს აქ ვერ ვხედავ.

ეს არის პატრიოტული დემონსტრაცია.

ეს არის პირველი ოფიციალური სახე ომისა.

ალბათ ასევე ხდება რეინს იქით, ასევე ხდება ვიხლას იქით, ასევე ხდება ლამანშს იქით.

ასე ერთდროულად ილვიძებს ყველგან „ქეთილშობილი პატრიოტული გრძნობა“.

გიხაროდეთ კრეზო, ზახაროვო, კრუპპო, სკოდო, პუტილოვო!

გიხაროდეთ ფრანს-იოსებო, ვილჰელმო, გეორგო, ნიკოლოზო, რაიმონდო!

უკვე რადიოსისწრაფით ვრცელდება მთელ ქალაქში გამაღიზიანებელი ლეგენდები:

ვითომ დააპატიმრეს აუარებელი გერმანელი ჯაშუშები. აღმოაჩინეს რამდენიმე გერმანელი რადიოსადგური. ვითომ მრავალი კომერციული ფირმები (მაგალითად „მატი“) — ეს მხოლოდ გერმანიის აგენტურა ყოფილა.

საკმარისია ამ ჰანგზე აწყობილი უბრალო ფრაზა გადაიხროლო და იგი ელვის სისწრაფით ედება ყველგან, ყველგან.

ასეთ შემთხვევაში რა იშვიათი გადამცემი აპარატი ყოფილა მბსსა!

ყველამ იცის, ბულვარ პუასონიერზე გამართული მუშათა დემონსტრაცია ომს ვერ ჩაშლის. აქ იშლება სოციალისტური პარტიის ტრაგედია — იმპერიალისტური ომის ხანაში.

მოკვდა უდიდესი ორატორი

ამ ალიაქოთში, ამ შხამიან და უგუნურობით დამათვრალ ატმოსფერაში შენ, შენი ცხოვრებით მუშათა კლასის ბედილბალთან განუყრელად დაკავშირებული, მაინც ფიქრობ:

რას იზამს მუშათა კლასი?

რას იზამს სოციალისტური პარტია?

რას იზამს ჟორესი?

ყველას აბსოლუტ შტუტგარტის, კოპენჰაგენის, ბაზელის კონგრესების დადგენილება:

საერთო გაფიცვა ომის დროს.

იმპერიალისტური ომის გადაქცევა კლასობრივ ომად.

მაგრამ ეს არ მოსდეპა არსად: არც გერმანიაში, არც საფრანგეთში, არც სპეგან. აშკარად გრძნობ სოციალისტური პარტიების უძლურებას. სამაგიეროდ ბრმა შოვინისტური ანთება მოედო ყველგან. იგი იმორჩილებს ყველას ფსიქიკას: თვით იმათსაც კი — ვინც აქნობამდის შეგნებული მოწინააღმდეგე იყო ომის.

მაინც რას იზამს, როგორ მოიქცევა ჟორესი? მუშათა კლასის, სოციალისტური პარტიის უკანასკნელი სიტყვა მაინც იმან უნდა სთქვას.

ის არის სინიდისი მთელი მეორე ინტერნაციონალისა.

ის კი ოლიმპიურის სიმშვიდით უცქერის ამ ქვეყნის ალრევას. თუმცა თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეების ყოველ წუთს ამ თავსატეხ საკითხების მოგვარებას სწირავდა.

25 ივლისს ლიონში გამოვიდა ომის საწინააღმდეგო სიტყვით.

29 ივლისს ასეთივე სიტყვით გამოვიდა ბრიუსელში.

ვივიანი მთავრობის ყოველ სხდომაზე იწვევს ჟორესს და უკანასკნელ რჩევას მისგან ღებულობს.

ეს უდიდესი იდეალისტი და მშვიდობიანობის თავდადებული მოციქული მთელი თავისი სიბრძნით და კეთილშობილი ავტორიტეტით სცდილობდა კარზე მომდგარ სისხლისღვრის თავიდან აცილებას.

ავსტრიამ რო ულტიმატუმი გაუგზავნა სერბიას, მეორე დღეს ჟორესი სწერს მეთაურს „ლუმანიტეში". ის

ურჩევს სერბიას — მიიღოს ულტიმატუმი, დაუთმოს ავსტრიას: ეს წარმოადგენს სულ უმნიშვნელო მსხვერპლს იმასთან შედარებით, რაც ომის დაწყებით მოელის კაცობრიობას.

მაგრამ სერბია რომ წავიდეს დათმობაზე, რუსეთი დაათმობინებს? ან რუსეთი რომ წავიდეს დათმობაზე, საფრანგეთი დაათმობინებს? ან საფრანგეთმაც რომ დაუთმოს, განა ინგლისი წავა დათმობაზე?

აგრეთვე ავსტრიამ რომ შეანელოს თავისი რისხვა სერბიის მიმართ, განა გერმანია მისცემს ამის ნებას?

არა! ჟორესის ამ გონიერ და კეთილშობილ აზრს არავინ არ მიიღებს.

აი უკანასკნელ დღეს, 31 ივლისს, როცა ცეცხლის ვულკანმა უკვე დაიწყო ქშენა, ჟორესი მაინც სწერს წერილს:

„გულდამშვიდებით!“

ის ურჩევს ყველა მთავრობებს, მინისტრებს, პრეზიდენტებს, მეფეებს — სასწრაფოდ, დაუფიქრებლად არ გადასდგან რაიმე ნაბიჯი, რადგან ახლა გადადგმული ყოველი ნაბიჯი მეტად საბედისწერო იქნება მთელი ქვეყნიერებისთვისო.

შუადღის შემდეგ ისევ მიიწვიეს მთავრობის სხდომაზე. აი ამ სხდომის დროს, თუ მის შემდეგ, მოხდა პ ა ტ ა რ ა ს ა უ ბ ა რ ი, რასაც რაპპოპორტი გადმოგვცემს უტყუარ საბუთად:

...ჟორესი „ლ'უმანიტესთვის“ ამზადებდა წერილების მთელ სერიას, სადაც გამოაშკარავებული იქნებოდა ომის მიზეზები და პასუხისმგებლობა მასზე. ეს იქნებოდა თავისებური „მ ე ბ რ ა ლ ს ა ვ ს დ ე ბ!“

ეს იცოდა ბევრმა. ამ სუბარზე დამსწრე — ვივიანის თანაშემწე ალბერტ ფერერი შეეკითხა ჟორესს, თუ როგორ მოიქცევა იგი შემდეგისათვის. ჟორესმა უპასუხა:

— განვაგრძობ ჩვენ კამპანიას ომის წინააღმდეგ!

— თქვენ ვერ გაბედავთ ამის ჩადენას,— უთხრა ფერრიმ,— თქვენ მოგკლავენ პირველივე შეხვედრილ კუთხეში!"

ეს იყო 3-4 საათზე. აქედან ჟორესი წავიდა პირდაპირ რედაქციაში. იქ წაიმუშავა რამდენიმე ხანს. მაგრამ დაიქანცა კაცი, თანაც მთელ დღეს მშიერია. ის რამდენიმე წუთით ჩამოდის იქვე მონმარტრის კაფეში, რომ დანაყრდეს ცოტაოდენი.

აქ აღსრულდა წინასწარმეტყველობა ფერრის:

ქუჩიდან ვერაგულად მიეპარა ვინმე ვილლენი და მოუსპო სიცოცხლე ამ მშვიდობიანობის უკანასკნელ მებრძოლს.

* * *

უდიდესი ორატორი — ჟან ჟორესი — რომელიც ამშვენებდა საფრანგეთის ტრიბუნას — მოკვდა.

ასე იწყებოდა მთავრობის სამგლოვიარო განცხადება — ქუჩებში რომ გააკრეს მრავლად პირველ აგვისტოს.

მსოფლიო ომის პირველ მსხვერპლად გადიქცა ის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლით, უბადლო მჭერმეტყველობითა და მარად შეულახავი ავტორიტეტით ისე სწორუპოვრად იბრძოდა მშვიდობიანობისათვის.

მოკვდა მთელი საფრანგეთის მშრომელთა მებაირახტრე და უმწიკვლო ადამიანი.

მოკვდა მეორე ინტერნაციონალის სინიდისი.

მოკვდა უდიდესი ტრიბუნი მეოცე საუკუნისა.

მირაბოსი და დანტონის, რობესპიერისა და გამბეტას პარიზი დღეს ახლად დაიკოდა ჟორესის სიკვდილით.

ვერა, მის ადგილს ვეღარავინ დაიპერს დღევანდელ საფრანგეთში, მისი ადგილი დაცარიელდა.

კარიერა, ქონება, სახელი — აი ფამოძრავებელი ძალ. ყოველი ბურჟუაზიული ქვეყნისა და განსაკუთრებით საფ. რანგეთისა.

ოცი წლის განმავლობაში ჟორესისათვის ყოველთვის ღია იყო ყოველი მთავრობის კარი, მაგრამ აგი არასდროს არ გაჰყოლია ამ ცდუნებას!

ის კმაყოფილდებოდა მხოლოდ დეპუტატის კეთილშობილი როლით და აქედან წარმოადგენდა იგი მთელი მშრომელი საფრანგეთის ავტორიტეტს და ყოველი მთავრობის რისხვას.

ყოველთვის შეგეძლოს მინისტრად გახდომა და არასდროს არ შეცდე! იცით რას ნიშნავს მუდამჟამს ასეთი თავდაპერა? ეს არის სინდისი, ეს არის რწმენა, ეს არის პრინციპიალობა, რომელსაც სრულყოფილად ანსახიერებდა ჟორესი. სხვა ყველა უძლური იყო ასეთ ცდუნების წინაშე.

ბრიანი, ვივიანი, მილიერანი, ალბერტ ტომა, პოლ ბონკური — ყველა ესენი ჟან ჟორესის საბუდრიდან გადმოფრენილი ბახალებია. ისინი სოციალისტების ჭურჭს ატარებენ, სანამ სამინისტრო ჭურჭს წამოისხამდენ.

აქედან აშკარად სჩანს, რომ ჟორესს არ ჰყავდა სწორი თავის ეპოქაში.

მახსოვს ერთაპელ ტრიბუნაზე მდგომ ბრიანს ჟორესმა უსაყვედურა მისი იდეური ფერისცვალებანი. ბრიანმა უპასუხა, რომ ასეთი ფერისცვალება თვით ჟორესსაც განუცდია თავის ცხოვრებაშიო. ამაზე ჟორესმა მიუგო:

— დიაღ, მეც განმიცდია იდეური ცვლილება, მაოლოდ ერთის განსხვავებით: თქვენ მუდამ მარცხნიდან მარჯვნივ მიდიხართ, მე კი მარჯვნიდან მარცხნივ მივდივარ. თქვენ

შუდამ ღალატობთ მუშათა კლასს, მე კი უფრო ეუახლოვდები მასო.

ყველა აქედან შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ერთი დასკვნა:

ჟორესმა პოლიტიკური მოღვაწეობა ერთბელ კიდევ აიყვანა იდეურ სიმაღლემდე. მან პოლიტიკაში აღადგინა მორალის მძლეთა-მძლეობა. მან გულწრფელობა და უანგარობა გაიხადა თავისი მოღვაწეობის ყველაზე ბასრ მახვილად. ის იყო სწორუპოვარი მიმყოლი თავისი იდეების, მაგრამ მან მოიპოვა ავტორიტეტი ყველა იდეებზე, ყველა პარტიებზე.

ჟორესმა ისევ აამაღლა საფრანგეთის ტრიბუნა და ახლად მოუპოვა კონვენტის შემდეგ მივიწყებული სილამაზე.

ჟორესის მომსწრე თაობას არასდროს არ დააევიწყდება მისი მოვლენა ტრიბუნაზე.

ხალხი ელის ათასობით, ზოგჯერ ათიათასობით. აგერ სადღაც შეირყა ჯგუფი და იქიდან გასაოცარი სისწრაფით წამოვიდა მომჯადოებელი ტალღა—

ჟორესი! ჟორესი!

ხალხი დრტვინავს. ხალხი ერთი მტკაველით იზრდება მაღლა; ყველა ფეხის წვერებზე დგება: უნდა დაინახოს იგი, ვისაც ელის, ვისმა ტალღამაც ასე გამოაფხიზლა მთელი არსება. მაგრამ ჟორესი ვერა სჩანს: ის ხომ საშუალო სიმაღლისა ძლივს არის. მთელი ხალხი მიიწევს მისკენ: არა სჩანს, მაგრამ მაგნიტივით იზიდავს ყველას.

აგერ ტრიბუნაზე ადის ერთი ორატორი, მეორე, მესამე. მაგრამ ყურს არავინ არ უგდებს: ყველას ეჩქარება—დაინახოს ის, გაიგოს ის, ვისი სახელიც ატორტმანებს ყველა ტრიბუნას და ყველას გულს.

აჰა, იგიც გამოჩნდა ტრიბუნაზე.

ტაშის ქუხილი, შემდეგ სიჩუმე დაგუბებული მორევისა.

ხუ თუ ეს არის ჟორესი?

სულ სხვა ყოფილა გარეგნულად — ვიდრე ელოდი წარმოდგენით:

ბრგე, ძარღვიანი. უფრო სქელი, ვიდრე მაღალი. განიერ მხარ-ბეჭს მოკლე კისერი კიდევ უფრო აგანიერებს. ქაღარა შერთული ქერწითელა წვერულვაში არ ღაღადებს პატრონის განსაკუთრებულ მზრუნველობაზე.

გასაოცარია! ეს უფრო დამშვიდებულ კომერსანტის ტიპსა ჰგავს, ვიდრე დიდი ტრიბუნისას.

მაგრამ სმენა! ლაპარაკობს ჟორესი!

ყველა ჩაიმარხა სიჩუმით თავის თავში.

ჟორესმა შთანთქა ხალხი, თუ ხალხი ნთქავს ჟორესს?

შესავალი უბრალო. სულ ჩვეულებრივი, დამშვიდებული კილო. დასაწყისში ნუ მოსთხოვთ ნურაფერ იმას, რასაც ელით ჟორესისაგან.

მაგრამ აჰა, გულში უკვე დაინთო ცეცხლი: თავში ამოძრავდენ იდეები! ხმამ შეიძინა ფოლადი!

მორჩა! ტრიბუნაზე ახლა დრტვინავს უშველებელი ტიტანი! სადღაც უცებ დაპყრობილ ქვესკნელიდან მოაქანებს ახალ-ახალი იდეების მაშხალებს! ისმის მოსწრებულ თქმათა ლაწანი.

ყველაფერი გაქრა. ყველაფერი დაიკარგა. მოსჩანს მხოლოდ ტრიბუნი, თვითმპყრობელი ტრიბუნი!

ვინ იფიქრა წელან, თითქოს კომერსანტს ჰგავდეს ჟორესი!

აბა შეხედეთ, ასეთი აზრიანი, ასეთი მგზნებარე, ასეთი რაინდული და მებრძოლი სახე სად გინახავთ კიდევ ტრიბუნაზე!

მისი ყოველი გამოხედვა ცეცხლი და ღელვაა. მისი სიტყვაც ცეცხლი და ღელვაა. მისი აზრების კამათელიც

ცეცხლი და ღელვაა. მთელი მისი არსებაც ცეცხლი და ღელვაა.

მთელი ხალხიც სულგანაბულა, სამარედ ქცეულა, მაგრამ ახლა იგიც ცეცხლი და ღელვაა!

ჟორეს! ჟორეს! წაგვიყვანე ბურჟუაზიული ქვეყნის ასაოხრებლად, მთავრობების დასამხობად, ტახტების დასანგრევად.

ყველა გამოგყვებით, ყველა ვიბრძოლებთ, ყველა დავიხოცებით...

მაგრამ დღეს შენ თვითონა ხარ მკვდარი!

* * *

არა, ჟორესის გამო არ მოხდა არც აჯანყება, არც საერთო გაფიცვა, არც უბრალო დემონსტრაცია. დამათრობელ შოვინისტურ ღრიანცელში მუშათა კლასს გულჩათხრობილად მოანელებინეს თავიანთი ბელადის ტრაგიკული სიკვდილი.

ყოველ მოვლენაში კაცს ამახსოვდება გარკვევით თითო მომენტი.

მახსოვს ჟორესის დასაკრძალავი პროცესია ალმას მოედანზე. აქ არიან მინისტრები, სენატორები, დეპუტატები, დეპარტამენტის ჩინოვნიკები. არა სჩანს მხოლოდ ათასეული რაზმები მხარბეჭიანი ტერრასიების (მიწის მუშების), შოფერების, მექანიკოსების. ისინი ჟორესის პროცესიის სანაცვლოდ მობილიზაციაში არიან ჩაბმული.

ალმას მოედანზე პროცესიას გზა გადაუკრა აფრიკელმა სენეგალების რაზმმა. პროცესია შეჩერდა რაზმის გავლამდე. მრავალნიშვნელოვანად მეჩვენება ეს შემთხვევა: მკვდარი ჟორესი გზას უთმობს ომს.

კოპწია ქალები ხელგაყრით და აშიყობით მისდევენ ტუჩებ-დაბერილ თეთრკბილება ბრინჯაო სენეგალებს.

აგერ მოაფრიალებენ რომელიღაც გაზეთს:

— ვიქტუარ! ვიქტუარ!

ეს რაღაც ახალი გაზეთია. ვყიდულობ: გუსტავ ერვეს, ამ ოდესღაც თავზე ხელაღებულ ანტიმილიტარისტს, თავისი მებრძოლი გაზეთი „ლაგერ სოსიალ“ (სოციალური ომი) დღეს გადაუკეთებია პატრიოტულ „ვიქტუარად“ (გამარჯვება).

სათაურს ქვევით ცერისიმსხო ასოებით სწერია:

— გაუმარჯოს მეფეს!

ის აღტაცებულია, რომ ნიკოლოზი პოლონეთს შეჰპირებია ავტონომიას. ამაზედ უკრავს ტაშს.

აქვე არის ცნობა, რომ გერმანელების გებენსა და ბრესლაუს კარგი დღე არ დაუყრიათ საფრანგეთის ნავთსაყუდარ ბონისთვის — აფრიკაში.

ზარბაზნები უკვე ჰქუხან. სისხლი უკვე იღვრება. ჟორესის ნეშთს საჩქაროდ მიასვენებენ სამარადისო სამყოფელისკენ.

იქ, მის სამარეზე დაადგინეს სოციალისტებმა და იმპერიალისტებმა „უნიონ საკრე“ (წმიდა გაერთიანება). ამიერიდან ხელიხელჩაკიდებული იელიან ორავალ მილიონიან მშრომელთა გვამებზე — იმპერიალისტური ზრახვების გასამარჯვებლად.

* * *

ჩქარა მოვესწარით სოციალისტური პარტიების სრულ გაკოტრებას მთელს ევროპაში. ამის მნახველს ხშირად მიფიქრია:

ეგები სჯობდა, რომ მოკლეს ჟორესი!

მართლაც რა იქნებოდა, ცოცხალი რომ დარჩენილიყო? გამხდარიყო ომის მომხრე და ფეხქვეშ გაეთელა ყველაფერი ის, რაც აქნობამდის მიაჩნდა წმიდათა წმიდათ?

არა! ეს შეუძლიათ ჩაიდინონ ჟუომ, რენოდელმა, ალბერტ ტომამ, თუნდა ვაიანმა და გედმაც, მაგრამ ჟორესი ამას ვერ ჩაიდენდა.

ებრძოლა ომის წინააღმდეგ? მაგრამ როგორ გაუძლებდა ამ საშინელ ტალღას ამ შემთხვევაში უეჭველად წაილეკებოდა ადრე თუ გვიან.

მდგომარეობა მეტად ტრაგიკული იქნებოდა. უეჭველად ისევ კატასტროფით უნდა დამთავრებულიყო მისი სიცოცხლე.

მაშ ეგები სჯობდა, რომ მოჰკლეს: მისი სახელი შეუბღალავად დარჩა ისტორიაში.

გადარეული ქუჩები

აეტომობილზე ვმუშაობ. საშუალება მაქვს მთელი პარიზის ამბებს ცოცხლად ვადევნო თვალყური.

- პატრიოტული გრძნობებით აღტყინებული ბრბო უკვე ამოძრავდა. მთელ ქალაქში არბევენ გერმანელების მაღაზიებს. (როგორ ჰგავს ებრაელების დარბევას ოდესაში!).

აგერ ფობურგ-სან-მარტენის ქუჩაზეც არბევენ უნივერსალურ მაღაზიას. „გამარჯვებულებს" ნადავლათ მოაქვთ უბეში და კალთებში გამობვეული კონსერვები, გალეტები და მრავალნაირი სხვა რალაც.

შორიახლოს გაჩერებულან პოლიციელები და გულმშვიდათ მისჩერებიან ამ „პატრიოტული მოვალეობის" გადაჭარბებით შესრულებას.

მაღაზიაში აღარაფერია,. ახლა მის შუშებს ამტვრევენ.

ვუცქერი ამას და საფრანგეთის შელახული რაინდობის გამო თვალებში ცრემლი მე მადგება.

რას სჩადიხართ, თქვენ, კონვენტისა და კომუნის მემკვიდრე პარიზელებო!

რას სჩადიხართ „კეთილშობილი საფრანგეთის“ შვილებო!

მაგრამ თქვენ ჯავრსა ყრილობთ „ბოშებზე“. ბოშების დარბევა, მათი ცოლშვილის აწიოკება, მათი სისხლის წვეთწვეთად დალევა — ეს უდიდესი სამსახურის გაწევაა ცივილიზებულ კაცობრიობისათვის, ერთა თანასწორობისათვის, მარადიულ ზავის დამყარებისათვის!

აგერ „მატენს“ მთელ გვერდზე დაუბეჭდია ყაზახის სურათი. ის რუსეთის საზღვრიდან გამხეცებით მოაჭენებს ცხენს და შუბი უკვე ჩაუძგერებია შუაგულ ბერლინში. ქვეშ კი აწერია:

— მხოლოდ ოთხი დღეა საჭირო ბოშების სატახტო ქალაქამდის!

მაინც საიდან ამოძვრა ეს უცნაური სიტყვა — „ბოში“?

აქამდის არსად იხმარებოდა. შემდეგ ყველა გაზეთების ლექსიკონში ჩაეწერა იგი. უკვე პატრიოტულ დანაშაულად ითვლება სიტყვა „გერმანელის“ ხმარება, ყველგან და ყოველგან მხოლოდ — „ბოშ“. ერთად-ერთი „ტანი“ დარჩა, რომელიც არ ხმარობდა ამ სიტყვას და ისევ თავისი ტრადიციული სტილის სიმაღლეზე იდგა.

შემდეგ ბევრმა ფილოლოგმა იკვლია, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ბოშ“, ან საიდან მომდინარეობს. მაგრამ ვერაფერი ვერ გამოარკვიეს, ვარაუდით კი ასე ფიქრობდენ: ეს უნდა იყოს რაღაც ჯირკის მსგავსი, რაღაც უსუფლგულო. ალბათ შემდეგ ჩანერგეს ეს აზრი ამ უაზრო სიტყვაში.

* * *

მაინც რა ფენომენალური დღეებია!

ავსტრიამ გამოუცხადა ომი სერბიას, გერმანიამ — რუსეთს, ბელგიას, საფრანგეთს, ინგლისმა გერმანიას და ავსტრიას.

* * *

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს დემონიურ რაშზე მჯდომი ომის პირქუში მოციქული ზარის დამცემი რისპეით დაჰქრის ქვეყნიდან ქვეყანაში — მთელს ევროპაში.

* * *

უჰ, დავიღალე, გავბეზრდი!

ღღეში ასჯერ მაინც მეკითხებიან:

— შენ როდის მიდიხარ, შენ როდის მიდიხარ? (ე. ი. ომში).

მე არსად არ მივდივარ, ხალხო! არცა ვფიქრობ წასვლას! მე მხოლოდ კლასობრივ ომში შემიძლიან მივიღო მონაწილეობა და არა იმპერიალისტურში!

მაგრამ ამას როგორ იტყვი ხმამაღლა! თუ არ დაინდეს ჟორესი, სხვას ვის დაინდობენ!

სხვადასხვა პასუხის მოგონებაც მომბეზრდა. ერთი პასუხი კი ვერ გავიზეპირე.

აი, ერთ ღღეს მონპარნასის სადგურზე ვარ. იქ შევლაპარაკდი ერთ ფრანგთან. ხედავს კოქლი არა ვარ, ბრმა არა ვარ, ბებერი არა ვარ და მეკითხება — მე როდისლა მივდივარ?

მე ეუპასუხებ, რომ არ მივდივარ, რადგან უცხოელი ვარ.

— ესპანელი ხარ?

— არა!

— იტალიელი ხარ?

— არა!

— ბოში ხარ?

— არა!

მაგრამ ბოშის ხსენებაზე ჯკვე სხვებიც მოტრიალდენ. უკვე შეგროვდა ხალხი. პირიდან პირში გაისმის „ბოშ!“ „ბოშ!“

აქ ერთმა გატაცებულმა პატრიოტმა იძრო ჯიბის დანა და ჩამცა მხარში. როგორც იქნა გაგვაშველა იქ შეხწრებულმა პოლიციელმა. მე, დოკუმენტების გასინჯვის შემდეგ, გამიშვა. ის კი უდოკუმენტოთ გაუშვა — როგორც ჰეშმარიტი ფრანგი.

დარბეული იდეები

ემიგრაციაც აირია.

აირიენ იდეები, პრინციპები, პარტიები,

იმპერიალისტების მიერ ომის გასამართლებლად მოპორილ თვალთმაქცობას ჩვენი ემიგრანტებიც გამოთაყვანებულად იმეორებენ, როგორც დედის გვამით თანდაყოლილ ჰეშმარიტებას. თურმე რა იდეურ უბადრუკობას წარმოადგენდა მრავალი, ვინც ჩაკირულ რევოლუციონერად გვეჩვენებოდა აქნობამდის.

მენშევიკები და ესერები პარტიულად გადაიბარგენ მეომარ იმპერიალისტების ბანაკში.

მენშევიკებმა მოხალისეთა მიმღები პუნქტიც გახსნეს ვინმე ანტონოვის ხელმძღვანელობით.

მხოლოდ ბოლშევიკები დარჩენ თავიანთ პრინციპიალურ სიმაღლეზე. მხოლოდ ისინი ვერ მოსდრიკა იმპერიალისტური შოვინიზმის საშინელმა ტალღამ.

ისინი თავიდანვე გადიქცენ რუსეთის თვითმპყრობელობის დამარცხების მოციქულებათ. ამ დამარცხებიდან ლოლიკურად ელოდენ ისინი რევოლუციის გამარჯვებას.

მაგრამ წახდა ბოლშევიკების თითო-ოროლა რაზმელიც და მოიშხამა მათი აზრი იმპერიალიზმის საომარი სულისკვეთებით.

პირველივე დღეებში მოხალისედ ჩაეწერა საქართველოში კარგად ცნობილი მიშა დავითაშვილი, გ. ხ—ი, ტ—ძე.

მახსოეს უკანასკნელ საღამოს ვზივართ კაფე „დ'არკურ-ში" — სანმიშელის ბულვარზე.

ვკამათობთ ომის შესახებ. ყოველ მსჯელობაზე მწვავედ მეჩვენება უბრალო შეკითხვა:

— ბიკო, ეგ არის შენი ბოლშევიკობა?

ის კი აღშფოთებით ლაპარაკობს, როგორც ყოველი კონსიერჟი, ყოველი გარსონ დე-კაფე. ის ლაპარაკობს „მატენისა" და „პტი პარიზენის" ყველაზე იაფი ენით:

— გერმანელები — ეს ბარბაროსები!

— პატარა ერების მჩაგვრელები!

— ცივილიზაციის მტრები!

— საზიზღარი იმპერიალისტები!

მას ველარას გზით ვერ დაეუმტკიცებთ, რომ საფრანგეთიც, ინგლისიც, რუსეთიც სწორედ ისეთივე ანგელოზები არიან — როგორიც გერმანია.

არის ფსიქოლოგიური მომენტი, არის ატმოსფერა და პირობები, როცა ადამიანს ველარაფერს ვერ გააგებინებ, თუ კი თვითონ არ ესმის თავისთავად.

ან როგორ შეაგნებინებ კაცს იმპერიალისტური ომის სრულ უკულმართობას და საშინელებას, როცა თვითონ ასეთი ენტუზიაზმით, ასეთი ხალისით მიდის ამ ომის სამსხვერპლოზე!

თუ დასცალდა, ყველაფერ ამ უგუნურებას მიხვდება შემდეგ, მაგრამ დასცალდება კი?

ახლა კი, მიუხედავად მისი იდეიური კოტრობისა, მაინც ვხედავ, მის გულში ანთია რაღაც კეთილშობილი გრძნობის ცეცხლი, მაშ განზე! არ შემიძლია პატიოსანი-მით არ დაეუთმო გზა სიკვდილისაკენ ასე მიმავალ კაცს!

ბოლშევიკურმა ფრაქციამ ისინი დაუყოვნებლივ გარიცხა თავის რიგებიდან.

გ. ხ-მა გადმომცა, რომ შემდეგ ის და დავითაშვილი ისევ აღადგინეს საქმეში ლენინის ჩარევის გამო. შვეიცარიიდან ლენინს მოეწერა პარიზის ორგანიზაციაში დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი:

— ყოველი რევოლუციონერის ვალდებულებაა ყოველთვის იყოს მშრომელ ხალხთან. დღეს პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი იმყოფება თხრილებში, მაშ ვალდებულებაა, რევოლუციონერიც იყოს ამ თხრილებში და ეწეოდეს რევოლუციონურ მუშაობას.

ამგვარად იმპერიალიზმის ქარიშხალით თავბრუდახვეული ამხანაგები ლენინისათვის არ იყვნენ ხელაღებით დაკარგული. პირიქით: ლენინი სცდილობდა გამოეფხიზლებია ეს ამხანაგები, დაებრუნებია იგინი ბოლშევიკური იდეების სიმტკიცისაკენ. თანაც ეს ამხანაგები უნდა გამოეყენებია რევოლუციონიური მუშაობისათვის იმ მეტად პასუხსაგებ ფრონტზე, სადაც ორი იმპერიალისტური მსოფლიო ერთმანეთს ეჯახებოდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ.

ადამიანს ხანდახან რა სასტიკად დასცინის ბედი:

მიშა დავითაშვილი — ეს სწორუპოვარი მებრძოლი, ეს რევოლუციურ ქარცეცხლში მრავალგზარ ნაცადი ჯარისკაცი თავაღებულად, ახირებულად გაიჭრა მებრძოლი იმპერიალიზმის პირველ რიგებში და მსხვერპლადაც შეეწირა.

1916 წელს ვერდენის ბრძოლების დროს არგონის ტყეში აღმოხდა სული.

მისი თანამებრძოლნი და ამხანაგები დღეს მსოფლიო პროლეტარიატის ბედიღბალსა სჭედავენ. ის კი იმპერიალისტურ კატასტროფაში გადაჩეხილა და ვეღარ ამშვენებს სახელოვან რაზმებს გამარჯვებული პროლეტარიატისას.

ვერდენის პირველივე ბრძოლებში მოკვდა აგრეთვე ბუჭუტა აბაშიძე. ამანაც თავისებური გზა განელო ცხოვრებაში: რევოლუცია, ემიგრაცია, უცხოელთა ლეგიონი,

აფრიკა, ინდოეთი, ჩინეთი, განუყრელი ზმანება სამშობლო ქვეყანაზე და ბოლოს ვერდენის ფრონტზე ეაჟკაცური სიკვდილი.

მოკვდა ტარსაიძეც.

გაიარეს აღტაცებისა თუ უგუნურობის პირველმა დღეებმა და ბევრმა იგრძნო თავისი შეცდომა, მაგრამ ახლა უკვე ისინი მონები არიან სამხედრო დისციპლინისა.

ეს იმპერიალისტური ორომტრიალი უსასტიკესი გაშოცდა იყო მსოფლიოს შამოძრაველელი ძალებისათვის.

აქ დაირბენ კაცობრიობის წინსვლის საბელმძღვანელო იდეები. აქ დაირბენ რევოლუციისა და სოციალიზმის პრინციპები.

ამ დარბევას თავი დააღწია მხოლოდ ბოლშევიკურმა გრანიტოვანმა იდეამ. და განა მარტო თავი დააღწია? ამ უმაგალითო იმპერიალისტურ აღრევიდან ის გამოვიდა ძლევამოსილად, მპყრობელად უდიდესი ქვეყნისა. და დღეს იგი ფიქრობს მთელი მსოფლიოს დაპყრობას, არა! — მთელი მსოფლიოს განთავისუფლებას ბოლშევიკურად, სოციალისტურად, კომუნისტურად.

1934 წელი.